

გ. გოდერძიშვილი, ი. სადათერაშვილი,
შ. ფოცხვერია, ი. შეყილაძე

საზოგადოებრივი ჰალოგენტონი

განკუთვნილია სავეტერინარო მედიცინის ფაკულტეტის
სტუდენტებისა და ვეტერინარი სპეციალისტებისათვის

თბილისი
2008

ავტორები: გუგული გოდერძიშვილი, იური სადათერაშვილი,
შადიმან ფოცხვერია, ირინა შეყილაძე

სავეტერინარო ჰელმინთოლოგია. სახელმძღვანელო განკუთვნილია სავეტერინარო მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტებისა და ვეტერინარი სპეციალისტებისათვის. დისციპლინაში შემავალი კლასების განხილვისას მოტანილია მონაცემები ჰელმინთოზურ დაავადებათა აღმძრელების მორფოლოგიისა და ბიოლოგიის შესახებ, აღწერილია პათოგენეზი, კლინიკური სიმპტომები, პათოლოგიურანატომიური ცვლილებები, აგრეთვე დიაგნოსტიკის, მკურალობის, პროფილაქტიკისა და ბრძოლის სხვა ღონისძიებათა საკითხები, რომლებიც წარმოდგენილია აღნიშნულ დარღვეულ მეცნიერებისა და პრაქტიკის თანამედროვე მიღწევების გათვალისწინებით.

მთავარი რედაქტორი – საქართველოს სასოფლო-სამეურნეო სახელმწიფო უნივერსიტეტის სავეტერინარო მედიცინის ფაკულტეტის დეკანი, ვეტერინარიის მეცნიერებათა დოქტორი, სრული პროფესორი – ლ. მაკარაძე

რეცენზენტები:

სსსსუ სავეტერინარო მედიცინის ფაკულტეტის არაგადამდებ სწრაფულებათა დეპარტამენტის უფროსი, ვეტერინარიის მეცნიერებათა დოქტორი, სრული პროფესორი – ვ. თვალიაშვილი

სსსსუ სავეტერინარო მედიცინის ფაკულტეტის ინფექციურ და ინვაზიურ სწრაფულებათა დეპარტამენტის სრული პროფესორი, ვეტერინარიის მეცნიერებათა დოქტორი – ჯ. ნაჭყებაძე

ს. ვირსალაძის სახელობის სამედიცინო პარაზიტოლოგიისა და ტროპიკული მედიცინის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო ნაწილში, ნაწლავთა პარაზიტოზების განყოფილების ხელმძღვანელი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, პროფილაქტიკური მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი – ლ. ზირაქიშვილი

გამომცემლობა „გლობალ პრინტი“

ISBN 978-9941-9010-5-8

ზოგადი ჰელმინთოლოგია

სავეტერინარო ჰელმინთოლოგიის განსაზღვრა, შინაარსი და მოცულობა

ჰელმინთოლოგია (ბერძ. helminth - ჭია, logos - სწავლება) - მეცნიერება ჰელმინთების - პარაზიტული ჭიების, მათ მიერ გამოწვეული დაავადებების - ჰელმინთოზებისა და მათთან ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ. სისტემატიკური კუთვნილების მიხედვით ჰელმინთები გაერთიანებული არიან ზეტიპში Scolecida, რომელიც შეიცავს დამოუკიდებელ ტიპებს. მათგან განსაკუთრებით გავრცელებულია ბრტყელი (ტიპი - Plathelminthes), მრგვალი (ტიპი - Nematelminthes) და მჩხვლეტავთავიანი (ტიპი - Acanthocephales) ჰელმინთები, რომელთაც სავეტერინარო მნიშვნელობა აქვთ.

ჰელმინთები წარმოადგენენ ეკოლოგიურ ჯგუფს, რომელიც მეტად მრავალფეროვანია როგორც მორფოლოგიურად, ისე ბიოლოგიურად. ჰელმინთოლოგია შეისწავლის ყველა პარაზიტულ ჭიას იმის მიუხედავად, თუ რომელ ორგანიზმში ბუდობს იგი. ჰელმინთოლოგია იყოფა სავეტერინარო, სამედიცინო და აგრონომიულ დისციპლინებად, თუმცა სავეტერინარო და სამედიცინო ჰელმინთოლოგიის დაყოფა პირობითია, რადგან ჰელმინთების დიდი რაოდენობა საერთოა ადამიანისა და სასოფლო-სამეურნეო ცხოველებისათვის.

ჰელმინთოლოგია, უპირველესად, ზოლოგიური მეცნიერებაა, რომელიც შეისწავლის ცხოველთა სამყაროს წარმომადგენლებს; მეორე მხრივ, იგი პარაზიტოლოგიური მეცნიერებაა, რომელიც შეისწავლის პარაზიტსა და მასპინძელს შორის ევოლუციის პროცესში გნევითარებულ კანონზომიერებებს, და მესამე, ჰელმინთოლოგია სამედიცინო, სავეტერინარო და აგრონომიული მეცნიერებაა, რადგან შეისწავლის ჰელმინთების პათოგენურ თვისებებს და შეიმუშავებს პარაზიტული ჭიებით გამოწვეული დაავადებებისგან ადამიანის, ცხოველების, ფრინველების, თევზებისა და მცენარეების დაცვის ღონისძიებებს.

ჰელმინთოზები, რომელთა აღმძრელები პარაზიტობები ადამიანებსა და ცხოველებში, მიეკუთვნებიან ანთროპოზოონოზებს. მათ ყოფენ ორ ჯგუფად. პირველ ჯგუფს მიეკუთვნება ის ინვაზიები, რო-

მელთა აღმბვრელების განვითარებაში აუცილებლად მონაწილეობს ადამიანი, კონკრეტული ჰელმინთის ობლიგატური მასპინძელი. მეორე შემთხვევაში ჰელმინთის ობლიგატური მასპინძელია ცხოველი, ხოლო ფაკულტატიური - ადამიანი.

სავეტერინარო ჰელმინთოლოგია სავეტერინარო პარაზიტოლოგიის ნაწილია, რომელიც, ერთი მხრივ, შეისწავლის შინაური და სარეწაო ცხოველების პარაზიტულ ჭიებს (ჰელმინთებს), მეორე მხრივ, - მრავალრიცხოვან დაავადებებს - ჰელმინთოზებს, რომლებიც წარმოიქმნება ცხოველთა ორგანოებსა და ქსოვილებში ჰელმინთების ჩაბუდების შედეგად.

სავეტერინარო ჰელმინთოლოგია დიდი მოცულობისაა. ჰელმინთების ორი ათასზე მეტი სახეობა ახდენს პათოგენურ ზეგავლენას სასოფლო-სამეურნეო და სარეწაო ცხოველების ორგანიზმზე. ჰელმინთები პარაზიტობენ მასპინძლის სხვადასხვა თრგანოსა და ქსოვილში. არ არსებობს ორგანო, სადაც პარაზიტულ ჭიას არ შეეძლოს ჩაბუდება. თუ ჩაბუდების ადგილზე ჰელმინთი სქესმწიფე ანუ ინვაზიურ სტადიას აღწევს, ასეთ ჩაბუდებას ნორმალური ლოკალიზაცია ეწოდება, განსხვავდით ანომალიურისაგან, როდესაც ჰელმინთი განვითარებისათვის საჭირო პირობებს ვერ პოულობს. მაგალითად, ლარვული ფორმა - *Coenurus cerebralis* ვითარდება მხოლოდ შუალედური მასპინძლის ტვინში, ხოლო მიგრაციის დროს ღვიძლში ან ფილტვში მოხვედრისას იღუპება. ზოგიერთი ჰელმინთი არ იჩენს სპეციფიკურობას ამა თუ იმ ორგანოს მიმართ. მაგალითად, ექინოკოკის ბუშტები ინვაზიურ სტადიას აღწევენ შუალედური მასპინძლის ღვიძლში, ფილტვებში, თირკმელებში, ძვლის ქსოვილშიც კი. ტრიქინელას ლარვები ლოკალიზობენ განივზოლიან კუნთებში სხეულის ნებისმიერ ადგილას. ზოგჯერ ერთსა და იმავე ჰელმინთს სხვადასხვა ლოკალიზაცია აქვს, რაც ჰელმინთის ორგანოქსოვილოვან და მასპინძლის მიმართ დამოკიდებულების სპეციფიკურობაზე მიუთითებს. მაგალითად, *chinococcus granulosus*-ის ლენტისებრი ფორმა ლოკალიზობს ძაღლისა და ძაღლისებრთა ოჯახის მტაცებლების წვრილ ნაწლავებში, ხოლო მისი ლარვული (ბუშტუკოვანი) ფორმა - 80-ზე მეტი სახეობის ძუძუმწოვართა ორგანოებში.

ჰელმინთოლოგიური მეცნიერების ფუძემდებელია აკადემიკოსი

კონსტანტინე სკრიაბინი, რომლის სახელი მსოფლიოში ფართოდაა ცნობილი. მან თავის მოწაფებთან (ნ.ზახაროვი, ი.ისაიჩიკოვი, ბ.მასინო, ნ.პოპოვი, ვ.ბასკაკოვი, ვ.პოდიაპოლსკაია, ე.ლიაიმანი, რ.შულცი, ა.პეტროვი და სხვ.) ერთად ჰელმინთოლოგია გამოყო როგორც დამოუკიდებელი სამეცნიერო დარგი, სასწავლო დისციპლინა და მის წინაშე სახელმწიფო მნიშვნელობის სახალხო-სამურნეო ამოცანები დააყენა.

პათოგენეზი ჰელმინთოზების ღრმს

ჰელმინთები მასპინძლის ორგანიზმს გარკვეულ ზიანს აყენებენ. კ.სკრიაბინი და რ.შულცი აღნიშნავენ, რომ იგი გამოიხატება მექანიკური და ტოქსიკური ზეგავლენით, აგრეთვე ორგანიზმში პათოგენური მიკრორგანიზმების ინკულაციით და აქტივიზაციით. ამ უკანასკნელ ფაქტორთან დაკავშირებით კ.სკრიაბინმა მოსწრებულად თქვა - "ინვაზია კარს უხსნის ინფექციას".

ჰელმინთების მექანიკური ზემოქმედება დაკავშირებულია ორგანოებსა და ქსოვილებში მათ ფიქსაციასა და ლოკალიზაციასთან, აგრეთვე ორგანიზმში ლარვების მიგრაციასთან. ჰელმინთებს აქვთ კაუჭები, მისაწოვერები, მშრელი ფირფიტები, რომელთა მეშვეობით ნაწლავის ლორწოვან გარსზე ან სხვადასხვა ქსოვილებში ფიქსაციისას ისინი იწვევენ მექანიკურ დაზიანებას, გაღიზიანებას, რასაც მოსდევს ანთებითი რეაქცია.

ღვიძლში, ფილტვებში, ელენთაში, თირკმელებში, ტვინში, კუნთებში, სხვა ორგანოებსა და ქსოვილებში ჰელმინთების ლოკალიზაციის შედეგად ხდება მათი ატროფია. საჭმლის მომნელებელ ტრაქტში ნემატოდებისა და ცესტოდების მასობრივმა დაგროვებამ შეიძლება გამოიწვიოს სანათურის დაცობა, ნაწლავის კედლის გასკდომა, რის შედეგად ჰერიტონიტი ვითარდება.

მასპინძლის ორგანიზმზე ჰელმინთების ტოქსიკური ზემოქმედება. ჰელმინთები თავიანთი ცხოველმოქმედების პროცესში გამოყოფენ ნივთიერებათა ცვლის პროდუქტებს (მეტაბოლიტები), ჯირკვლების სეკრეტებს - ტოქსინებს, რომელთა მიერ ორგანიზმზე მოშხამვე-

ლად მოქმედების შედეგად ორგანოებსა და ქსოვილებში პათოლოგიური ცვლილებები ვითარდება. ჰელმინთების ტოქსინები ზეგავლენას ახდენენ პირველ რიგში ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე, არღვენ მის ფუნქციას, რაც კლინიკურად გამოიხატება კრუნჩვებით, აღგზნებით ან დაკინიებით. ტოქსინების ზემოქმედებით მასპინძლის ორგანიზმში შეიძლება დაირღვეს ნივთიერებათა ცვლა, სუნთქვის, გულსისხლძარღვთა სისტემების, შინაგანი სეკრეციის ჯირკვლებისა და სხვა ორგანოების ფუნქცია.

ალერგია ჰელმინთოზების დროს ორგანიზმის საპასუხო რეაქციაა. ამდენად ჰელმინთოზებს ალერგიულ დაავადებებს მიაკუთვნებენ. მასპინძლის ორგანოებსა და ქსოვილებში ჰელმინთების ჩაბუდების გამო მასპინძლსა და პარაზიტს შორის მიმდინარეობს მეტად აქტიური, რთული და მრავალფეროვანი ბრძოლა, რაც მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული, კერძოდ, ჰელმინთის სახეობაზე, მისი ლოკალიზაციის ადგილზე, დაინვაზიების ინტენსიურობის ხარისხზე, მასპინძლის ორგანიზმის ფიზიოლოგიურ მდგომარეობაზე და სხვ.

პათოგენური მიკროორგანიზმების ინფექცია და აქტიურიზაცია მრავალი ჰელმინთოზის დროს ვლინდება, განსაკუთრებით იმ დროს, როდესაც დაავადების აღმძვრელი თავისი განვითარების გარკვეულ სტადიაზე მიგრირებს მასპინძლის ორგანიზმში. განასხვავებენ მასპინძლის ორგანიზმში ინფექციის აღმძვრელებისა და ჰელმინთების კავშირის რამდენიმე ფორმას. კერძოდ, ჰელმინთებთან ერთად ორგანიზმში აღწევს პათოგენური მიკროფლორა; ჰელმინთები ააქტიურებენ მასპინძლის ორგანიზმში მყოფ "მთვლემარე" ან პირობითად პათოგენურ მიკროფლორას; ნაწლავის კედლიდან მიგრაციისას გზას უსწინა მიკრობებს ან თავად შეაქვთ ისინი სხვადასხვა ორგანოებში; აქვეითებენ ცხოველის ორგანიზმის რეზისტენტობას, ხელს უწყობენ ინფექციური დაავადებების წარმოშობას; ართულებენ ინფექციურ დაავადებათა მიმდინარეობასა და შედეგს.

ჰელმინთების ლარვები მიგრაციისას აზიანებენ ორგანოებსა და ქსოვილებს, არღვევენ ორგანიზმის ბუნებრივ ბარიერებს, რითაც ხელს უწყობენ სხვადასხვა ორგანოსა თუ ქსოვილში მიკრობების შეღწევას.

ჰელმინთოზების დიაგნოსტიკა

ჰელმინთოზური დაავადებები უსიმპტომოდ, სუბკლინიკურად, კლინიკურად ან ლატენტურად მიმდინარეობენ. უფრო ხშირია სუბკლინიკური მიმდინარეობა. ჰელმინთოზების დიაგნოსტიკა კლინიკური ნიშნების საფუძველზე ყოველთვის არ იძლევა სარწმუნო შედეგს, რადგან ამ დროს სიმპტომები ნაკლებდამახასიათებელია და მსგავსი გამოვლინება შესაძლოა სხვა დაავადებასაც ახასიათებდეს.

ჰელმინთოზების დიაგნოსტიკა კომპლექსურად ხორციელდება, რაც ცხოველის სიცოცხლეში მოიცავს ეპიზოოტოლოგიურ მონაცემებს (ცხოველის ასაკი, დაავადების სეზონურობა, მისი გეოგრაფიული გავრცელება, ცხოველის მოვლა-შენახვისა და კვების პირობები და სხვ.), კლინიკურ ნიშნებს და ლაბორატორიული გამოკვლევების შედეგებს. ცხოველის სიკვდილის შედეგ ამ მონაცემებს ემატება პათოლოგიურ-ანატომიური გაგვეთის შედეგები. ყველა შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ლაბორატორიული გამოკვლევების შედეგებს, რადგან ამ დროს ხდება დაავადების აღმმკრელის დადგენა.

ჰელმინთოზების დიაგნოსტიკა ცხოველის სიცოცხლეში

ცხოველის სიცოცხლეში ჰელმინთოზების დიაგნოსტიკისათვის უპირატესად გამოიყენება კოპროლოგიური გამოკვლევის მეთოდები - ჰელმინთოსკოპია, ჰელმინთოვოსკოპია და ჰელმინთოლარვოსკოპია.

უმეტეს შემთხვევაში იკვლევენ ცხოველის ფეკალს, რადგან მასში შესაძლებელია არა მარტო კუჭ-ნაწლავის ტრაქტში ჩაბუდებული ჰელმინთების კვერცხებისა და ლარვების გამოკვლენა, არამედ იმ ჰელმინთებისაც, რომლებიც ლოკალიზობენ ღვიძლის ნაღვლის სადინარებში, კუჭქეშა ჯირკვალში და სასუნთქ გზებში. ცალკეულ შემთხვევაში იკვლევენ სხვა ორგანოს გამონადენს, ზოგიერთ ქსოვილს ან პუნქტატების, აბსცესებისა და წყლულების შიგთავსს.

ჰელმინთოსკოპია ნიშნავს ფეკალში ჰელმინთების ან მათი ფრაგ-

მენტების აღმოჩნას. ამ მიზნით ფეკალის მთელ მასას ათავსებენ მინის დიდ ჭურჭელში ან ვედროში, შეავსებენ წყლით, გულდასმით ურევენ ხის, მინის ან რკინის ჯოხით და აყვონებენ ნალექის გამოყოფამდე. შემდეგ წყალს ფრთხილად გადაღვრიან ნალექამდე და ჭურჭელს კვლავ შეავსებენ. ამ პროცედურას რამდენჯერმე იმეორებენ, სანამ წყალი გამჭვირვალე არ გახდება. წყალს გადაღვრიან, ხოლო ნალექი პორციებით გადააქვთ კოუგეტზე, საიდანაც ჰელმინთებს ან მათ ფრაგმენტებს საპრეპარაციო ნეშის ან ფუნჯის მეშვეობით ამოკრეფენ და ახარისხებენ, რის შემდეგ ლუპით ან მიკროსკოპის მეშვეობით ადგენენ მათ სახეობებს.

ჰელმინთოვოსკოპია ნიშნავს ფეკალში ჰელმინთების კვერცხების აღმოჩნას. ჰელმინთოვოსკოპის მრავალი მეთოდი არსებობს. მათგან ყველაზე მარტივია ნატიური ნაცხის მეთოდი, მაგრამ უფრო გამოიყენება გამდიდრების მეთოდები, რომელებიც დაფუძნებულია ჰელმინთის კვერცხისა და ინთხის კუთრი წონების განსხვავებაზე. თუ კვერცხების კუთრი წონა მეტია წყლის კუთრ წონაზე, ისინი ეშვებიან ჭურჭლის ფსკერზე (დაღეჭვის მეთოდი). თუ კვერცხების კუთრი წონა ნაკლებია რიგი მარილების ნაჯერი ზენარების კუთრ წონაზე, ისინი ამოტივტივდებიან ხსნარის ზედაპირზე (ამოტივტივების ანუ ფლოტაციის მეთოდი).

ნატიური ნაცხის მეთოდი. ფეკალის მასაში ჩაუშვებენ მინის ან ხის წკირს. ამოყოლილ მასას გადაიტანენ სასაგნე მინაზე წინასწარ დაწვეთებულ გლიცერინიანი წყლის ნარევში, გულდასმით შეურევენ და ნეშით მოაცილებენ მყარ ნაწილაკებს. ნარევს აფარებენ საფარ მინას და იკვლევენ მიკროსკოპით. ამ მეთოდით შესაძლებელია ფეკალში არსებული ყველა ჰელმინთის კვერცხისა და ლარვის აღმოჩნა. იგი ძალზე სწრაფად და ტექნიკური თვალსაზრისით ადვილად შესასრულებელია, მაგრამ მისი სიზუსტის ხარისხი ძალზე დაბალია. ამდენად, ეს მეთოდი ნაკლებად გამოიყენება.

ჰერიანალური ნაოჭებიდან აღებული ანაფეკის გამოკვლევის მეთოდი. იგი გამოიყენება ცხენის ოქსიუროზის სადიაგნოსტიკოდ. ნიჩბისებურად გათლილი ასანთის ღერის მეშვეობით, რომელიც წინასწარ გლიცერინიან წყალშია დასველებული, აკეთებენ ანაფეკს ჰერიანალური ნაოჭებიდან, კუდის შიდა ზედაპირიდან და შორისის

მიდამოდან. ანაფეკი გადააქვთ სასაგნე მინაზე წინასწარ დაწვეთებულ გლიცერინიანი წყლის ნარევში, ურევენ, აფარებენ საფარ მინას და იკვლევენ მიკროსკოპით.

თანამიმდევრობითი გადარეცხვის მეთოდი გამოიყენება ფასციოლოზის, პარამფისტომიდოზებისა და სხვა ტრემატოლოზების სადიაგნოსტიკოდ. ფეკალს (დაახლოებით 5-10 გრამის ოდენობით) ათავსებენ ჭიქაში, რომელსაც შეავსებენ წყლით. სითხეს გულდასმით ურევენ მინის ან ხის წკირით და ძაბრში ჩაფენილ ღოლბანდში გატარებით გადაიტანენ მეორე ჭიქაში. ნარევს აყვონებენ გამოლექვამდე. შემდეგ წყალს ფრთხილად გადაღვრიან, ხოლო ნალექს, რომელიც პორციებით გადააქვთ ჰეტრის ფინჯანში, იკვლევენ მიკროსკოპით.

ფიულებორნის ანუ ფლოტაციის მეთოდი. ამ მეთოდს იყენებენ ყველა სახეობის ასკარიდატოზების, სტრონგილატოზების, ზოგიერთი ცესტოდოზების (ძეწკვურებით გამოწვეული) და სხვა ჰელმინთოზების შემთხვევაში. წინასწარ ამზადებენ სუფრის მარილის ნაჯერ სამუშაო ხსნარს, რისთვისაც 400 გრამ სუფრის მარილს ხსნიან ერთ ლიტრ ადულებულ წყალში, ფილტრავენ რამდენიმე ფენიან ღოლბანდში და იყენებენ გაცივების შემდეგ. თვით ფიულებორნის მეთოდის ტექნიკა შემდევნაირია: 5-10 გრამ ფეკალს ათავსებენ ჭიქაში, დაასხამენ მცირე ღოლობით სუფრის მარილის ნაჯერ ხსნარს, ურევენ მინის ან ხის წკირით და ძაბრში ჩაფენილ ღოლბანდში გატარებით გადაიტანენ მეორე ჭიქაში, რომელსაც ბოლომდე შეავსებენ სამუშაო ხსნარით. კვერცხები, რომელთა კუთრი წონა ნაკლებია სუფრის მარილის ნაჯერი ხსნარის კუთრ წონაზე, ამოტივტივდებიან ხსნარის ზედაპირზე. დაახლოებით 15-20 წუთის შემდეგ მარყუჟით, უშუალოდ ხსნარის ზედაპირიდან იღებენ 4-5 წვეთს (სასურველია ჭიქის კიდესთან), გადააქვთ სასაგნე მინაზე, აერთიანებენ, აფარებენ საფარ მინას და იკვლევენ მიკროსკოპით.

სამუშაო ხსნარის დასამზადებლად სუფრის მარილის გარდა შესაძლებელია ჰიპოსულფიტის (1750 გ გახსნილი ერთ ლიტრ წყალში), აზოტიმუავა ნატრიუმის (1000 გ/1 ლ წყალში), გოგირდმჟავა

მაგნეზიის (920 გ/1 ლ წყალში) და სხვა მარილების გამოყენება.

დარღინგის ანუ კომბინირებული მეთოდი. ამ მეთოდს საფუძვლად უდევს კვერცხების დალექვისა და ამოტივტივების პრინციპების კომბინირება. კერძოდ, 5-10 გრამ ფეკალს ათავსებენ ჭიქაში, რომელსაც წყლით შეავსებენ და ურევენ მინის ან ხის წყირით. ნარევს ძაბრში ჩაფენილ დოლბანდში გატარებით გადაიტანენ მეორე ჭიქაში და აყვენებენ გამოლექვამდე. შემდეგ სითხეს გადაღვრიან, ხოლო ნალექს შენჯლრევის შემდეგ ჩაასხამენ ცინტრიფუგის სინჯარაში და აცენტრიფუგებენ დაბალ სიჩქარეზე 1-2 წუთის განმავლობაში. ამ დროს ჰელმინთების კვერცხები სინჯარის ფსკერზე იღებებიან. ცენტრიფუგირების დამთავრების შემდეგ სინჯარიდან წყალს გადაღვრიან და შეავსებენ დარღინგის ხსნარით (გლიცერინისა და სუფრის მარილის ნაჯერი ხსნარის თანაბარი ნარევი). სინჯარას კვლავ აცენტრიფუგებენ 1-2 წუთის განმავლობაში. ამჯერად სინჯში არსებული კვერცხები ამოტივტივდებიან. შემდეგ მარცულო ხსნარის ზედაპირიდან იღებენ 4-5 წვეთს, გადააქვთ სასაგნე მინაზე, აერთიანებენ, აფარებენ საფარ მინას და იკვლევენ მიკროსკოპით. ამ მეთოდს იყენებენ უმრავლესი ჰელმინთოზების სადიაგნოსტიკოდ.

შერაბოვის მეთოდი იყიდე კომბინირებული მეთოდია, შესრულების იმავე ტექნიკით, ოღონდ უფრო მეტი ფეკტანობისათვის (მაგალითად, ღორის მეტასტრონგილოზისა და მაკაკანთორინქოზის საღაგნოსტიკოდ) ი.შერბოვისმა დარღინგის ხსნარის ნაცვლად შემოგვთავაზა ზემოთ აღნიშნული დოზებით დამზადებული გოგირდმჟავა მაგნეზის ან ჰიპოსულფიტის ნაჯერი ხსნარების გამოყენება.

ჰელმინთოლარვოსკოპია გულისხმობს ფეკალში ჰელმინთების ლარვების აღმოჩენას.

ბერმანის მეთოდი. ამ მეთოდით ფეკალის გამოკვლევისას სარგებლობები სპეციალური ხელსაწყოთი. ეს არის 10-15 სმ დიამეტრის ძაბრი, რომელშიც ჩაღებულია ჩაღრმავებული ლითონის საცერი (შესაძლებელია დოლბანდის ჩაფენაც), რომლის კიდეები გადმოსული იქნება ძაბრის კიდეზე). ძაბრის ბოლოზე მიერთებულია 10-15 სმ სიგრძის რეზინის მილი, რომლის მეორე ბოლოზე დამაგრებულია მოჭერი. ეს ხელსაწყო იდგმება სპეციალურ შტატივში.

ბერმანის მეთოდს იყენებენ მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის

ფილტვის ჰელმინთოზების სადიაგნოსტიკოდ. ამ მიზნით იღებენ 15-20 გრამ ახლად გამოყოფილ ფეკალურ მასას (შესაძლებელია უშუალოდ სწორი ნაწლავიდანაც), ათავსებენ ძაბრში ჩადებულ ლითონის საცერზე ან ჩაფენილ მარლაზე და შეავსებენ ოთახის ტემპერატურამდე გამთბარი წყლით ისე, რომ ფეკალი დაიფაროს. სასინჯ მასალაში ლარვების არსებობის შემთხვევაში ისინი გამოღიან წყალში და იღებებიან რეზინის მილში მომჭერთან. დაახლოებით ერთი საათის შემდეგ მომჭერს ოდნავ, ძალზე ფრთხილად მოუშვებენ. გამოსული სითხის პირველ წვეთებს აგროვებენ პეტრის ფინჯანში და იკვლევენ მიკროსკოპით.

გაიდას მეთოდი. ამ მეთოდს იყენებენ ცხვრისა და თხის ფილტვის ჰელმინთოზების სადიაგნოსტიკოდ. პეტრის ფინჯანში, რომელშიც ჩასხმულია მცირე ოდენობის შემთბარი წყალი, ათავსებენ ახლად გამოყოფილ ფეკალის 3-4 ბურთულას. 5-10 წუთის შემდეგ ბურთულებს აცილებენ, ხოლო სითხეს იკვლევენ მიკროსკოპით ლარვების არსებობაზე.

ლარვების კულტივირების მეთოდი. სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა საჭმლის მომნელებელი ტრაქტის სტრონგილატოზების აღმბრელთა კვერცხების ძლიერი მსგავსების გამო შეუძლებელია ამ დაავადებათა ჰელმინთოლოსკოპიური დიაგნოსტიკა. ამიტომ მიმართავენ ლარვების კულტივირების მეთოდს, რადგან ინვაზიური სტადიის მათი ლარვები ძლიერ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან მორფოლოგიური ნიშნებით.

ამ მიზნით ფეკალს ათავსებენ მინის ქილაში, რომელსაც 7-10 დღით დგამენ თერმოსტატში 25-30°C ტემპერატურაზე. ამ დროის განმავლობაში ლარვები აღწევენ ინვაზიურ სტადიას. ყოველდღიურად ფეკალს ნამავენ, რათა არ მოხდეს მისი გამოშრობა. დადგენილი დროის გასვლის შემდეგ სასინჯ მასალას ათავსებენ ბერმანის აპარატში და იკვლევენ ბერმანის უკვე აღწერილი მეთოდით.

ყველა შემთხვევაში სინჯების მიკროსკოპიული გამოკვლევა ხდება მცირე გადიდების ობიექტივით.

გარდა აღნიშნული მეთოდებისა, ცხოველის სიცოცხლეში ჰელმინთოზების სადიაგნოსტიკოდ იყენებენ სადიგნოსტიკო დეპელმინ-თიზაციასა და იმუნობიოლოგიურ რეაქციებს.

სადიაგნოსტიკო დეპელმინთიზაციას მიმართავენ სასოფლო-სამეურნეო და შინაური ცხოველებისა და ფრინველების კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ჰელმინთოზების შემთხვევაში. ამ მიზნით ცხოველების ან ფრინველების მცირე რაოდენობის ჯვარის (3-5 სული ან 5-10 ფრთა) რამდენიმე დღით ამყოფებენ ნახირისაგან ან გუნდისაგან იზოლირებულად, შესაბამისად, შენობაში (დაბმულ მდგომარეობაში) ან გალიებში და აძლევენ რომელიმე ანტელმინთურ პრეპარატს სამკურნალო დოზით. ფეკალთან ან სკორესთან ერთად გამოყოფილ ჰელმინთებს ან მათ ფრაგმენტებს აგროვებენ და ადგენ დაავადებათა აღმდევლების სახეობებს.

იმუნობიოლოგიური რეაქციები მოწოდებულია ტრიქინელოზისა და ლარვული ტენიდოზების (ექინოკოკოზი, ცენტროზი, ცისტიცირკოზი და სხვ.) სადიაგნოსტიკოდ, მაგრამ რიგი მიზეზების გამო სავეტერინარო პრაქტიკაში მათი გამოყენება ჯერჯერობით ვერ ხერხდება.

ჰელმინთოზების დიაგნოსტიკა ცხოველის სიკვდილის შემდგრომ

ჰელმინთოზების დიაგნოსტიკა ცხოველის სიკვდილის შემდგომ გულისხმობს ცხოველის ორგანიზმში ჰელმინთების აღმოჩნას მათი განვითარების სხვადასხვა სტადიაზე. ჰელმინთები პარაზიტობენ ყველა ორგანოსა და ქსოვილში. ამიტომ მათი შეგროვება და შემდგომი გამოკვლევა შესაძლებელია ცხოველის გაკვეთით, რაც განსხვავდება ლეშის პათოლოგიურ-ანატომიური გაკვეთის წესებისაგან. განასხვავებენ სრულ და არასრულ ჰელმინთოლოგიურ გაკვეთას.

სრული ჰელმინთოლოგიური გაკვეთა კ.სკრიაბინის მიხედვით განსაკუთრებული საიმედო მეთოდია, რომელიც საშუალებას იძლევა დაინვაზიებული ცხოველის ყველა ჰელმინთი აღირიცხოს რაოდენობრივად და თვისებრივად. იგი გულისხმობს ორგანიზმის ყველა მათი განვითარების სტადიაზე. თავდაპირველად, ლეშის გატყავების შემდეგ, გულდასმით ათვალიერებენ კანს და კანქვეშა ქსოვილებს. შემდეგ კვეთენ გულმკერდისა და მუცლის ღრუებს და ამოაქვთ ყველა შინაგანი ორგანო. თითოეული სისტემის (საჭმლის

მომნელებელი, გულსისხლძარღვთა, სასუნთქი და სხვ.) ყველა ორგანოს კვეთენ და ცალ-ცალკე იკვლევენ. კერძოდ, მათ ჭრიან სიგრძეზე, შიგთავსს ათავსებენ ქილაში, ჯამში ან ვეღროში (ორგანოს მოცულობის მიხედვით). ლორწოვანი გარსებისაგან იღებენ ანაფენეკს, ხოლო განაკვეთი ორგანოს კედლებს იკვლევენ კომპრესორიუმით. პარენქიმულ ორგანოებს (ლვიძლი, ფილტვები, კუჭქვეშა ჯირკვალი, თირკმელები და სხვ.) ათავსებენ ცალკე ჰურტელში და გარდაქმნიან დეტრიტად (ფარშად), კუწავენ ხელით ან ჭრიან წვრილ ნაჭრებად დანით ან მაკრატლით. დეტრიტს, ანაფენეკს, ორგანოების შიგთავს გადარეცხავნ წყლით ან ფიზიოლოგიური ხსნარით (თანამიმდევრობით გადარეცხვის მეთოდი). მიღებულ მასალას (ნალექი), რომელიც პორციებით გადაქვთ კოუგეტში, იკვლევენ შავ (კარგად ჩანს ღია შეფერილობის მქონე ჰელმინთები) და თეთრ (კარგად ჩანს მუქი ფერის ჰელმინთები) ფონზე. წვრილი ჰელმინთების აღმოსაჩენად იყენებენ ხელის ლუპას (8-10-ჯერადი გადიდების მქონე). ჰელმინთების ამოკრეფენ მხოლოდ საპრეპარო ნემსით ან ფუნჯით.

სრული ჰელმინთოლოგიური გაკვეთა კ.სკრიაბინის მიხედვით ძალზე ხანგრძლივი და შრომატევადი მეთოდია. იგი უმთავრესად გამოიყენება სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის დროს. სავეტერინარო პრაქტიკაში ხშირად მიმართავენ არასრულ ჰელმინთოლოგიურ გაკვეთას, რა დროსაც ხდება ცალკეული სისტემის ან რომელიმე სისტემაში შემავალი ერთი ორგანოს ან მონაკვეთის გამოკვლევა. მაგალითად, კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, საჭმლის მომნელებელი ტრაქტიდან შესაძლებელია გამოკვლეულ იქნეს მხოლოდ საყლაპავი მიღი, ღვიძლი ან თორმეტგოჯა ნაწლავი.

გაკვეთის შედეგად აღმოჩენილი ჰელმინთების შეგროვება, აღწერა, ფიქსაცია და გადაგზავნა. გაკვეთის შედეგად გამოკლენილ და შეგროვილ ჰელმინთებს მაშინვე ათავსებენ სითხეში (ტრემატოდებს და ცესტოდებს - წყალში, ნემატოდებს - 3%-იანი ფორმალინის ხსნარში, აკანთოცეფალებს - წყალში ან ფიზიოლოგიურ ხსნარში), სადაც ისინი ირეცხებიან და იღუპებიან. დაუშვებელია მშრალ მდგომარეობაში მათი პაერზე დატოვება თუნდაც მცირე ხნით. შემდეგ კიუვეტებში ხდება ჰელმინთების დიფერენცირება სახეობის მიხედვით და სპეციალურ სინჯარებში ან ქილებში მოთავსება, რომ

ლებშიც საფიქსაციო სითხეა ჩასხმული. ტრემატოდებისა და ცესტოდების ფიქსაციისათვის იყენებენ 70⁰-იან სპირტს, ცესტოდების ლარვული ფორმების (ცისტიცერკები, ცენურუსები, ექინოკოკები, ალვეოკოკები და სხვ.), ნემატოდებისა და აკანთოცეფალებისათვის - ბარბაგალოს ხსნარს (1000 მლ ანალულარი წყალი, ფორმალინი - 30 მლ და სუფრის მარილი - 9 გ). ჭურჭელში ასევე დებენ ეტიკეტს, რომელზეც მითითებული უნდა იყოს ჰელმინთის სახეობა, ცხოველის სახეობა, ორგანოს დასახელება, გაკვეთის თარიღი, ადგილი. ჭურჭლის თავს ჰერმეტულად ხურავენ (იყენებენ ფისს ან პარაფინს). იმ შემთხვევაში, თუ დასადგენია ჰელმინთების სახეობები, რისთვისაც ისინი უნდა გაიგზავნოს სპეციალურ ლაბორატორიაში, ამ რეკონტრებს უმატებებ ჰელმინთების შემგროვებლის გვარს. ეტიკეტისათვის იყენებენ მკვრივ ქაღალდს, რომელზეც წარწერას აკეთებენ უბრალო ფანქრით. ლაბორატორიაში შესაძლებელია პათოლოგიურ-ანატომიური პრეპარატების გადაგზავნა. ამისთვის მათ წინასწარ აფიქსირებენ ფორმალინის 10%-იან ხსნარში. 2-3 დღის შემდეგ ასეთ პრეპარატს (ორგანოს) იღებენ სითხიდან, ახვევენ ტენიან ბაბბაში ან დოლბანდში, ფუთავენ სპეციალურ ყუთში. ლაბორატორიაში შესაძლებელია ფეკალური მასის გადაგზავნაც ჰელმინთების პერცების შემცველობაზე გამოსაკვლევად. მასალას ათავსებენ ფორმალინის 25%-იანი ხსნარით შეესტულ ჭურჭელში, რომელსაც მჭიდროდ უკრავენ თავს და შეფუთავენ. ორივე შემთხვევაში მათ უკეთებენ სათანადო ეტიკეტებს შესაბამისი რეკვიზიტებით.

ჰელმინთების შეღებვა და მათგან პრეპარატების მომზადება. ჰელმინთების ანატომიურ-მორფოლოგიურ თავისებურებათა დეტალურად შესწავლისათვის საჭიროა მათი შეღებვა, გამჭვირვალობა, სათანადო ხსნარებში მოთავსება და ა.შ.

ტრემატოდების შესაღებად იყენებენ შაბის კარმინს, რომელსაც შემდეგნაირად ამზადებენ: დისტილირებულ წყალზე დამზადებული კალიუმის შაბის 5%-იანი ხსნარის 100 მილილიტრში ხსნიან 2-3 გრამ კარმინს და ნარევს ადულებენ 30-50 წუთის განმავლობაში. გაგრილების შემდეგ საღებავის ხსნარს გაატარებენ ქაღალდის ფილტრში და უმატებენ თიმოლის ან ფენოლის კრისტალს. საღებავს იყენებენ განუზავებლად ან განაზავებენ წყლით, შეფარდებით

1:2-3-თან.

დაფიქსირებულ ტრემატოდებს გულდასმით რეცხავენ გამდინარე წყლით 6-7 საათიდან 24 საათამდე და წნეხენ ორ სასავანე მინას შორის 70⁰-იან სპირტში 2-24 საათის განმავლობაში (ჰელმინთის ზომისა და მაკონსერვებელ სითხეში მისი შენახვის ხანგრძლივობიდან გამომდინარე). შემდეგ ტრემატოდებს კვლავ რეცხავენ გამდინარე წყლით (6-24 სთ) და გადააქვთ ფილტრის ქაღალდზე ჭარბი წყლის მოსაცილებლად.

ამგარად მომზადებულ ტრემატოდებს ათავსებენ საღებავში ერთი წუთიდან რამდენიმე საათის განმავლობაში (ჰელმინთების სისქიდან გამომდინარე), რის შემდეგ მათ რეცხავენ გამდინარე წყლით (რამდენიმე წუთიდან ერთ საათამდე), ფრთხილად აშრობენ ფილტრის ქაღალდით და გაუწყლოების მიზნით გაატარებენ აღმავალი სიმაგრის სპირტებში: 50⁰-იან სპირტში - 5-10 წუთი, 60⁰-იანში - 10-15 წუთი, 70⁰-იანში - 15-20 წუთი, 85⁰-იანში - 20-30 წუთი და 96⁰-იანში - 1-10 საათი.

გაუწყლოების შემდეგ ტრემატოდებს ამჭვირვალებენ მიხაკის ზეთში ან კარბოქსილოლში. შემდეგ ისინი გადააქვთ სასაგნე მინაზე, რომელზეც დაწვეთებულია კანალური ან სოჭის ბალზამი, და აფარებენ საფარ ან სასაგნე მინას. ბალზამის არქონის შემთხვევაში შეიძლება სილიკატური წებოს გამოყენებაც. გადაღებილი ტრემატოდების გაუფერულება შესაძლებელია მარილმჟავას 1%-იანი სპირტიანი ხსნარით (1 გ მარილმჟავა გახსნილი 100 მლ 70⁰-იან სპირტში), სანამ კარგად არ გამოიკვეთება ტრემატოდების შინაგანი ორგანოები, რასაც აკონტროლებენ მიკროსკოპით. შემდეგ პრეპარატს რეცხავენ 3-4 საათის განმავლობაში.

ცესტოდებს ასევე შაბის კარმინით ღებავენ, ხოლო საღებავს განაზავებენ გამოხდილი წყლით, შეფარდებით 1:2-თან. გარდა ამისა, გამოიყენება გემატენი, რომლის ხსნარს შემდეგნაირად ამზადებენ: ერთ გრამ გემატენის ხსნიან ერთ ლიტრ დისტილირებულ წყალში, აყოვნებენ ერთი დღე-ღამის განმავლობაში და უმატებენ 0,2 გრამ ნატრიუმის იოდატს და 50 გრამ კალიუმინ შაბს. 2-3 დღის შემდეგ საღებავი მზად არის გამოსაყენებლად. ცესტოდების შეღებვის ტექნიკა ისეთივეა, როგორიც ტრემატოდების შემთხვევაში.

შაბის კარმინის ნაცვლად შეიძლება გამოყენებულ იქნეს მარილ-მჟავა კარმინი. ჩვეულებრივ, სკოლექსებს არ ღებავენ. სხეულიდან მოცილების შემდეგ მათ ათავსებენ სასაგნე მინაზე დაწვეთებულ 50%-იან გლიცერინში, აფარებენ საფარ მინას და იკვლევენ მიკროს-კოპით. თუ ცესტოდა გრძელია, მას ღებავენ ცალკე ნაწილებად - რამდენიმე ჰერმაფოროდიტულ და მომწიფებულ პროგლოტიდას ერთად. მცირე ცესტოდებს საღებავში ამყოფებულ 10-30 წუთიდან ერთ საათამდე, ხოლო მსხვილებს - რამდენიმე საათის განმავლობაში. თუ ცესტოდები ძალიან მუქად შეიღება, მათ ათავსებენ 70%-იან შემუავებულ სპირტში.

ახლად მოპოვებულ (დაუფიქსირებელ) ტრემატოდებსა და ცესტოდებს ღებავენ ბლაუნის მეთოდით.

პირველი ვარიანტი. შეღებვის წინ ახდენენ დიდი ზომის ჰელ-მინთების (ცესტოდების) მაცერაციას გამდინარე წყალში 1-3 დღის განმავლობაში. მცირე ზომის ჰელმინთებს ღებავენ ორგანოებიდან მათი ამოღებისა და წყალში გარეცხვიდან რამდენიმე საათის შემდეგ. შეღებვისათვის იყენებენ კარმინის 0,1-0,3%-იან ხსნარს რძის მჟავას 30%-იან წყალხსნარში (100 მლ რძის მჟავას 30%-იან წყალხსნარში დუღილის დროს ხსნან 0,1-0,3 გ კარმინს). გაგრი-ლების შემდეგ ხსნარი მზად არის გამოსაყენებლად. მცირე და სა-შუალო ზომის ჰელმინთებს საღებავში ამყოფებულ 30-60 წუთს, ხოლო უფრო დიდი ზომისას - 4-6 საათს. საღებავიდან ამოღების შემდეგ ჰელმინთებს გულდასმით რეცხავენ გამდინარე წყალში მეწამული ფერის მიღებამდე. შემდეგ მათ გადაიტანენ სასაგნე მინაზე, ასწორებენ და აშრობენ ოთახის ტემპერატურაზე ან თერმოსტატში 25-37°C ტემპერატურაზე. გამშრალ და სასაგნე მინაზე მიწებებულ ჰელმინთებს აწვეთებენ კანადური ბალზამის ან გოგირდწყალბადში გახსნილი კანიფორის რამდენიმე წვეთს, რის შემდეგ აფარებენ სასაგნე (ან საფარ) მინას ჰელმინთის ზომიდან გამომდინარე.

მეორე ვარიანტი. შეღებილ და გარეცხილ ჰელმინთებს ათავსებენ ჰეტრის ფინჯანში სასაგნე მინაზე და ასხამენ 75°-იან, 90°-იან და 96°-იან სპირტს, ბოლოს კი - აბსოლუტურ სპირტს. თითოეულ სპირტში ჰელმინთებს აყოვნებენ 20-30 წუთს (დიდი ზომისას - 6 საათამდე). ამის შემდეგ ჰელმინთებს აშრობენ ფილტრის ქაღალ-

დით, ამჭვირვალებენ მიხაკის ზეთში ან ქსილოლში, ასწორებენ სა-საგნე მინაზე და ფარავენ კანადური ბალზამით. ბლაუნის მეთოდით შესაძლებელია დიდი ზომის ცესტოდებისაგან მინის ფირფიტებზე სამუზეუმო და სასწავლო პრეპარატების მომზადება (ტოტალური პრეპარატები).

სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მიზნებისათვის ნემატოდე-ბისაგან დროებით პრეპარატებს ამზადებენ. მათ კი არ ღებავნ, არა-მედ დაწმენდენ რძის მჟავაში. მცირე ზომის ნემატოდებს ათავსებენ სასაგნე მინაზე, აწვეთებენ რძის მჟავას რამდენიმე წვეთს, აფარებენ საფარ მინას, აჩერებენ რამდენიმე საათს (24 საათამდე) და იკვლე-ვენ. დიდი ზომის ნემატოდებს (სტრონგილიდები, ტრიქოსტრონგი-ლიდები) ათავსებენ საათის მინაზე, ბაქტერიოლოგიურ ფინჯანში ან ბიუქსებში, ასხამენ რძის მჟავას და აჩერებენ 3-5 დღეს.

ნემატოდებისაგან ასევე ამზადებენ მუდმივ სასწავლო და სამუ-ზეუმო პრეპარატებს, რისთვისაც იყენებენ პრენდელის მეთოდს. ნე-მატოდებს აფიქსირებენ ბარბაგალოს ხსნარში და თანამიმდევრობით ატარებენ სპირტისა და გლიცერინის ნარევში, ამასთან სპირტის სი-მაგრე და გლიცერინის შემცველობის პროცენტი თანდათან მატუ-ლობს. პირველი ნაზავი შეიცავს 40°-იანი სპირტის 20 მლ-ს და გლიცერინის 2 მლ ს; მეორე - 50°-იანი სპირტის 20 მლ-ს და გლიცერინის 5 მლ-ს; მესამე - 60°-იანი სპირტის 20 მლ-ს და გლიცერინის 6 მლ-ს; მეოთხე - 70°-იანი სპირტის 20 მლ-ს და გლიცერინის 10 მლ-ს. პირველ სამ სითხეში ნემატოდებს აჩერებენ 24 საათს, მეოთხეში კი - მანამ, სანამ სპირტი მთლიანად არ აქ-როლდება და ჰელმინთები მხოლოდ გლიცერინში დარჩებიან (ჩვე-ულებრივ, 2-3 დღის შემდეგ თერმოსტატში 37°C ტემპერატურაზე). ამის შემდეგ ჰელმინთებს ათავსებენ სასაგნე მინაზე, აცილებენ ზედ-მეტ გლიცერინს და ფარავენ გლიცერინ-ჟელატინით. პრეპარატს აფარებენ საფარ მინას, რომელის კიდეებს ამოავსებენ კანადური ბალ-ზამით. ამგვარად მომზადებულ პრეპარატს უკეთებენ ეტიკეტს და ინახავენ სპეციალურ საქალალდეში ან ხის ყუთში.

ცხოველთა პელმინთოზებთან ბრძოლის ზოგადი პრიციპები

სასოფლო-სამეურნეო და სარეწაო ცხოველების ჰელმინთოზებთან ბრძოლა გეგმიანი ხასიათის უნდა იყოს.

ჰელმინთოზებთან ბრძოლაში უფრო შედეგიანია კომპლექსური ღონისძიებები, რომლებიც მოიცავენ კონკრეტულ ბუნებრივ-კლიმატურ და სამეურნეო პირობებში ჰელმინთოზების საწინააღმდეგო ცველა ეფექტურ და მიზანშეწონილ სამკურნალო-პროფილაქტიკურ ზემოქმედებას პარაზიტის განვითარების ნებისმიერ სტადიაზე როგორც გარემოში, ისე ცხოველის ორგანიზმში.

ჰელმინთოზებთან ბრძოლის ზოგად ღონისძიებებში ძირითადია ცხოველთა სრულფასოვანი კვება, მათი მოვლა-შენახვის ვეტერინარიულ-სანიტარიული წესების ზუსტი დაცვა, ბუნებრივი საძოვრების გაუმჯობესება და ხელოვნური საძოვრების შექმნა, პიგინური სარწყულებლების მოწყობა და ა.შ. ზოგადი რიგის ღონისძიებებს მიეკუთვნება აგრეთვე გარემოს გაუვნებლობა ჰელმინთების ინგაზიური საწყისისაგან, მელიორაცია, ნაკელის ბიოლოგიური გადამუშავება და სხვ.

ჰელმინთოზების თავიდან აცილების მიზნით მსხვილფეხა და წვრილფეხა რქოსან პირუტყვს იკვლევენ ფასციოლოზზე, დიკროცელიოზზე, დიქტიოკაულოზზე, მონიეზიოზზე, ლორებს - ასკარიდოზზე, მეტასტრონგილოზზე, ცხენებს - პარასკარიდოზზე, ქათმებს - ასკარიდიოზზე და ჰეტერაკიდოზზე. ჰელმინთების გამოვლენისას ცხოველებს უტარებენ დეპელმინთიზაციას და მხოლოდ შემდეგ გაიცემა მეურნეობიდან მათი გაყვანის ნებართვა.

რეკომენდებულია მეურნეობაში ახლად შემოვყანილი ცხოველებისათვის ერთი თვით კარანტინის დაწესება და ამ წნის განმავლობაში მათი ჰელმინთოკოპროლოგიური გამოკვლევა. ჰელმინთოზების დადგენის შემთხვევაში ატარებენ მთელი სულადობის დეპელმინთიზაციას და 4-5 დღის შემდეგ ცხოველებს უშვებენ საერთო ჯოვში.

ადამიანისა და ცხოველის საერთო ჰელმინთოზების (ტრიქინელოზი, ღორისა და მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ცისტიცირკოზი და სხვ.) გამოვლენისას ვეტერინარი სპეციალისტები ვალდებული არიან აცნობონ ეს ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებს და ერ-

თობლივი ძალებით მიიღონ ზომები, რათა მოსახლეობა და ცხოველები დაიცვან დაავადებებისაგან.

ჰელმინთოზებთან ბრძოლის საქმეში, ისევე როგორც ცველა სხვა დაავადების დროს, დომინირებულად ითვლება პროფილაქტიკის პრინციპი, რომლის მიზანია ცხოველთა ჰელმინთოზებით დაავადებისა და იმ დანაკარგების თავიდან აცილება, რომლებსაც ეს დაავადებები იწვევენ. თუ მეურნეობა არაკეთილსამედოა ჰელმინთოზებზე, იქ ახორციელებენ სამკურნალო-პროფილაქტიკურ ღონისძიებებს, რომელთა ძირითადი რეოლია ცხოველთა დეპელმინთიზაცია.

ჰელმინთოზების წინააღმდეგ ხორციელდება შემდეგი პროფილაქტიკური ღონისძიებები:

1. საძოვრის პროფილაქტიკა. ჰელმინთებით ცხოველების დაინვაზიება უპირატესად ძოვებისას ხდება. ამდენად, საძოვრის სწორ შერჩევას ჰელმინთოზების პროფილაქტიკისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს. ჰელმინთების განვითარებისათვის ხელშემწყობი პირობები დატენიანებულ საძოვრებზე იქმნება. ამიტომ საჭიროა ცხოველები ვაძოვოთ მშრალ საძოვრებზე.

ზოგიერთი ჰელმინთოზის დროს (სტრონგილატოზები, ფასციოლოზი) პროფილაქტიკისათვის მიმართავენ საძოვრების ცვლას, რაც დამყარებულია ჰელმინთების ბიოლოგიისა და მათ მიერ გამოწვეული დაავადებების ეპიზოოტოლოგიის საკითხების თავისებურებათა ცოდნაზე. მაგალითად, ზაფხულში, საძოვრული შენახვის პერიოდში, ფასციოლოზის კერაში საძოვრის ერთჯერადი გამოცვლაც კი უზრუნველყოფს მიმდინარე წელს დაბადებული ხბოების ფასციოლებით დაინვაზიების თავიდან აცილებას. ზოგიერთი ჰელმინთოზის, მაგალითად, დიქტიოკაულოზის დროს ეფექტიანი პროფილაქტიკური ღონისძიებაა მოზრდილი ცხოველებისაგან ხბოების იზოლირებულად ძოვება.

2. ცხოველთა ბაგური შენახვა. ამ შემთხვევაში წყდება ცხოველის კონტაქტი საძოვრებზე არსებულ ინვაზიურ საწყისთან, რაც ეფექტიანი პროფილაქტიკური ღონისძიებაა მრავალი გეო- და ბიო-ჰელმინთოზის (საჭმლის მომნელებელი ტრაქტისა და სასუნთქიორგანოების სტრონგილატოზები, ფასციოლოზი, მონიეზიოზი და სხვ.) შემთხვევაში, თუ საკვებად იყენებენ ისეთ ფართობებში გათი-

ბულ მწვანე მასას ან დამზადებულ თივას, სადაც ცხოველებს არ აძოვებენ.

3. ჰელმინთების ინვაზიური საწყისისაგან გარემოს გაუვნებლობა მოიცავს შენობების, ფერმისპირა ტერიტორიებისა (სეირანები) და ნაკელის დეზინვაზის, ჰელმინთების შუალედურ მასპინძლებთან ბრძოლის ღონისძიებებს.

ჰელმინთოზების მხრივ არაკეთილსაიმედო მეურნეობებში მეცხოველეობის შენობებს ჰერიოლულად ასუფთავებენ ნაკელისაგან და ატარებენ მათ დეზინვაზის ქიმიური საშუალებებით (ქსილონაფტი, ორთოქლორფენოლი და სხვ.), რომლებიც დამღუპველად მოქმედებენ ჰელმინთების ჩანასახებზე. აუცილებლობის შემთხვევაში ქიმიური საშუალებებით ხდება სეირანების დამუშავებაც.

ჰელმინთების ინვაზიური საწყისისაგან გარემოს გასაუვნებლად ძალზე ეფექტუარი საშუალება ნაკელის ბიოთერმული გაუვნებლობა, რა დროსაც ნაკელში იღუპება ფერალთან ერთად გამოყოფილი ჰელმინთების კვერცხებისა და ლარვების უმეტესობა, აგრეთვე მრავალი უმარტივესი და ნაკლებგამმლე პათოგენური მიკრობი, რის შემდეგ ნაკელი აღარ არის ინვაზიის წყარო.

ბიოთერმული გაუვნებლობისათვის ნაკელს აღაგებენ გროვებად (1,5-2 მ სიგანისა და სიმაღლის), რასაც აყრიან ნამჯას, ფარავენ 20-30 სმ სისქის მიწის ფენით და ტოვებენ ასე სულ ცოტა სამი კვირის განმავლობაში. ამ დროს ნაკელში ტემპერატურა მატულობს 70⁰-მდე (ცელსიუსის შკალით), რის შედეგად ისპობა სხვადასხვა ჰელმინთის კვერცხები თუ ლარვები, მწერების მატლები, პათოგენური მიკრობები. უკეთ გაუვნებლობის მიზნით ურევენ მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვისა და ცხენის ნაკელს, ხოლო განოყიერების გასაზრდელად მას უმატებენ სუპერფოსფატს 20 კგ ერთ ტონაზე გაანგარიშებით.

ნაკელის სადეზინვაზიოდ რეკომენდებულია მისი ცხლად დაწნების წესი. ამ მიზნით ნაკელს აღაგებენ ფაშარად, რათა უზრუნველყოფილ იქნეს პაერის შეღწევა. რამდენიმე დღის შემდეგ ასეთ გროვაში ტემპერატურა აიწევს 55-60⁰C-მდე, რა დროსაც იღუპება ჰელმინთების კვერცხები და ლარვები, აგრეთვე მიკრობების უმრავლესობა. ამის შემდეგ ნაკელს წნევენ, რათა შეიქმნას პირობები აერო-

ბული მიკროორგანიზმების დასახლებად და ნიადაგის გამანოყიერებელი თვისებების შესანარჩუნებლად.

შუალედურ მასპინძლებთან ბრძოლის შედეგად იღუპებიან მათ ორგანიზმში მყოფი ჰელმინთების ლარვებიც, რითაც წყდება ბიოჰელმინთოზების აღმდვრელთა ბიოლოგიური ციკლი. შუალედურ მასპინძლებს ანადგურებენ ქიმიური, ბიოლოგიური და ფიზიკური მეთოდებით. მაგალითად, ფასციოლოზის გავრცელების საწინააღმდეგოდ ეფექტუარი ღონისძიებაა ფასციოლას შუალედური მასპინძლების - Limneidae-ს ოჯახის მტკნარი წყლის მოლუსკების განადგურება. ქიმიური საშუალებებიდან მოლუსკების მოსასაობად (მოლუსკოციდებად) იყენებენ შაბაიმანს, კირს, მინერალურ სასუქებს. ძალზე ეფექტუარი საშუალებაა 5,4-დიქლორსალიცილანილიდ. მოლუსკოციდებს იყენებენ ემულსის, ხსნარების, დუსტების ფორმით, რომლებსაც შესაბამისად ასხურებენ ან აფრქვევენ მოლუსკების ბინადრობის ადგილებში (ბიოტოპებში). მტკნარი წყლის მოლუსკების საწინააღმდეგოდ ბიოლოგიური მეთოდის გამოყენება გულისხმობს წყალსატევებზე იხვებისა და ბატების გაშვებას, რომლებიც მოლუსკებით იკვებებიან, რის შედეგად გარემოში მცირდება ფასციოლოზის ინვაზიური საწყისი. მოლუსკებთან ბრძოლის ფიზიკური მეთოდებიდან უფრო მისაღებად ითვლება მათი მოსპობა საძოვრის დაჭაობებულ უბნებში გაშმარი ბალაზის გადაწვით.

4. ქიმიოპროფილაქტიკა სასოფლო-სამეურნეო ცხოველების ჰელმინთოზებთან ბრძოლის მეთოდია, რომლის დანიშნულება ის არის, რომ საკვებთან ერთად მცირე დოზებით ქიმიოპრეპარატების ხანგრძლივად გამოყენების შედეგად არ მოხდეს ჰელმინთების განვითარება და მათ მიერ დაავადებების გამოწვევა.

ქიმიოპროფილაქტიკა ფართოდ გავრცელებული მეთოდია, რაც აიხსნება მისი განხორციელებისაგან მიღებული ეკონომიკური ეფექტუარი კერძოდ, ჰელმინთოზებისაგან გამოწვეული დანაკარგების თავიდან აცილება საშუალებას იძლევა დამატებით მიღებულ იქნეს ათასობით ტონა მეცხოველეობის მაღალხარისხოვანი პროდუქტი. ქიმიური პრეპარატების გამოყენება რეკომენდებულია კონცენტრირებულ საკვებთან, მარილთან ან სასმელ წყალთან ერთად. სამკურნალო ნარევს ამზადებენ გამოყენების წინ კომბინირებული საკვების ფორმით.

მცონავ ცხოველთა საჭმლის მომნელებელი ტრაქტისა და სასუნთქი გზების სტრონგილატოზების დროს იყენებენ ფენოთიაზინით ქიმიოპროფილაქტიკას. მარილთან ფენოთიაზინის ნარევს (შეფარდება 1:9, 1:6 და სხვ.), რომელიც დამზადებულია ქარხნულად ფხვნილის ან ბრიკეტის ფორმით, განათავსებენ საძოვარზე ატმოსფერული ნალექებისაგან დაცულ რამდენიმე ადგილას, სადაც ცხოველებს შეუძლიათ მისი მიღება თავისუფალი კეების გზით. ფენოთიაზინით პროფილაქტიკას საფუძვლად უდევს ორი მოვლენა: 1. პრეპარატის მომაკვდინებელი მოქმედება პელმინთების პრეიმაგინალურ ფორმებზე - ლარვებზე. 2. პოსტიმაგინალური ეფექტი (პოსტიმაგინალური დეპელმინთიზაცია) - ჰელმინთების რეპროდუქციული თვისებების დახშობა და მათი კვერცხებისა თუ ლარვების შემდგომი განვითარების შეუძლებლობა.

საჭმლის მომნელებელი ტრაქტის სტრონგილატოზებისა და ცხვრის მონიეზოზის დროს რეკომენდებულია მარილის, ფენოთიაზინისა და შაბიამნის ნარევის გამოყენება, რომელსაც საჭიროების შემთხვევაში მიკროელემენტებს (მოლიბდენი და სხვ.) უმატებენ. ღორის ასკარიდოზის დროს იყენებენ ჰიგრომიცინ B-თი ან ჰიგროვეტინით გამდიდრებულ კომბინირებულ საკვებს, ხოლო ქათმის ასკარიდოზის შემთხვევაში საკვებთან ერთად უნიშნავენ ფურიდინს, ფენოთიაზინს და ჰიპერაზინის მარილებს.

ცხოველთა დეპელმინთიზაცია, ე.ი. მათი გათავისუფლება ჰელმინთებისაგან ქიმიოთერაპიული პრეპარატების (ანტიპელმინთური საშუალებების) გამოყენების გზით, ერთ-ერთი მთავარი რგოლია ჰელმინთოზების საწინააღმდეგო ღორისძიებათა ჯაჭვში. იგი არა მარტო სამკურნალო ჩარევაა, არამედ პროფილაქტიკის მძლავრი საშუალებაცაა, რადგან ჰელმინთებისაგან ცხოველის ორგანიზმის გათავისუფლება სპონს გარემოში მათი მიმოფანტვისა და ინვაზიის შემდგომი გავრცელების შესაძლებლობას.

დეპელმინთიზაციის ეფექტიანობა დამოკიდებულია ანტიპელმინთურ საშუალებათა ხარისხზე, რაც განისაზღვრება შემდეგი მოთხოვნებით: ა) მაღალი ეფექტიანობა პრეპარატის მინიმალური დოზირებით და სქესმოუმწიფებელ ჰელმინთებზე მომაკვდინებელი მოქმედება; ბ) ტოქსიკური თვისებების არქონა ან დაბალტოქსიკურო-

ბა; გ) ეკონომიურობა - პრეპარატისა და ერთი ცხოველის დამუშავების დაბალი ღირებულება (პრეპარატი შესაძლოა იაფი იყოს, მაგრამ მაღალი დოზები დეპელმინთიზაციას აძირებდეს); დ) გამოყენების სიადვილე; ე) მდგრადობა და ხანგრძლივი შენახვის პირობებში საკუთარი თვისებების შენარჩუნება; ვ) საყოველთაო ხელმისაწვდომობა, იაფი ნედლეულის არსებობა სამამულო მრეწველობის წარმოებისათვის; ზ) ცხოველთა თავისუფალი ან ჯგუფური დეპელმინთიზაციის დროს არახელსაყრელი აგრეგატული და ორგანოლეპტიკური თვისებების (არასასიამოვნო სუნი და გემო, წყალში ხსნადობა და ა.შ.) უქონლობა.

დანიშნულების მიხედვით არსებობს იმულებითი, პროფილაქტიკური, პრეიმაგინალური და სადიაგნოსტიკო დეპელმინთიზაცია.

იმულებითი დეპელმინთიზაცია ტარდება წლის ყველა დროს კლინიკურად ჰელმინთოზების მასობრივად გამოვლენისას.

პროფილაქტიკური დეპელმინთიზაცია ტარდება გარკვეული დროის განმავლობაში გეგმის მიხედვით, რომელიც შედგენილია ჰელმინთების ბიოლოგისა და ჰელმინთოზების ეპიზოოტოლოგიის თავისებურებათა გათვალისწინებით. მისი მიზანია ცხოველების გათავისუფლება ჰელმინთმატარებლობისაგან, რაც უზრუნველყოფს კლინიკური ნიშნების განვითარებისა და ინვაზიის გავრცელების თავიდან აცილებას.

პრეიმაგინალური დეპელმინთიზაცია ხორციელდება იმ დროს, როდესაც ცხოველის ორგანიზმი ჰელმინთებს ჯერ არ მიუღწევიათ სქესობრივ სიმწიფემდე და, შესაბამისად, არ გამოყოფენ გარემოში კვერცხებს ან ლარვებს.

სადიაგნოსტიკო დეპელმინთიზაცია ეწყობა ამა თუ იმ ჰელმინთოზზე წინასწარი დიაგნოზის დასადასტურებლად, უმთავრესად იმ შემთხვევაში, როდესაც კოპროლოგიური გამოკვლევით დიაგნოზის დასმა შეუძლებელია.

დეპელმინთიზაციისას, ჰელმინთის თვისებებიდან გამომდინარე, იცავენ დიეტას, კვების და დარწყელების რეჟიმის განსაკუთრებულ პირობებს. მაგალითად, ნაწლავის მრავალი ჰელმინთოზის დროს ანტიპელმინთურ საშუალებათა გამოყენების წინ საჭიროა 12-18-საათიანი მშეერი დიეტის დაცვა; მცონავთა ფასციოლოზის საწინა-

აღმდევოდ ჰექსაქლორპარაქსილოლის გამოყენების წინ რამდენიმე დღით ადრე რაციონიდან იღებენ კონცენტრირებულ, ცილოვან და ადვილაფუებად საკვებს და ა.შ.

ცხოველთა დეპელმინთიზაციას ატარებენ საამისოდ სპეციალურად გამოყოფილ შენობაში ან საძოვრის მონაკვეთზე. პრეპარატის მიცემის შემდეგ ცხოველებს ამყოფებენ ერთ ადგილზე 3-5 დღის განმავლობაში, რა დროსაც ფეკალთან ერთად გამოყოფილ ჰელმინთებს აგროვებენ და წვავენ ან მარხავენ. დეპელმინთიზაციის ეფექტიანობას განსაზღვრავენ კოპროლოგიური გამოკვლევებით, ხოლო სპეციალური ცდების შედეგებს ადგენენ საცდელი (ნამჯურნალები) და საკონტროლო ცხოველების ჰელმინთოლოგიური გაკვეთის დროს მიღებილი მონაცემების შედარებით.

ანტელმინთურ საშუალებათა მოქმედების ეფექტიანობის შეფასებისათვის იყენებენ ორ კრიტერიუმს - ექსტენსეფექტიანობას და ინტენსეფექტიანობას.

ექსტენსეფექტიანობა (ეე) ნიშნავს დეპელმინთიზებული სულადობიდან ჰელმინთებისგან მთლიანად გათავისუფლებული ცხოველების რაოდენობას. მაგალითად, თუ 100 დეპელმინთიზებული ცხოველიდან ჰელმინთებისაგან მთლიანად განთავისუფლდა 75, - ეე უდრის 75%-ს.

ინტენსეფექტიანობა (იე) - პრეპარატის მიცემის შემდეგ გამოყოფილი ჰელმინთების პროცენტია დეპელმინთიზაციამდე არსებულ მათ რაოდენობასთან შედარებით. მაგალითად, დეპელმინთიზაციამდე ცხოველს ჰყავდა 100 ჰელმინთი; პრეპარატის მიცემის შემდეგ გამოიყო 80; იე უდრის 80%-ს.


პერძო ჰელმინთოლოგია

ტრემატოდები და ტრემატოდოზები

ტრემატოდები პარაზიტული ჭიებია. ისინი მიეკუთვნებიან ბრტყელი ჭიების ტიპს - *Plathelminthes*, მწოველთა კლასს - *Trematoda*.

ტრემატოდების ანატომია და ბიოლოგია

ტრემატოდების ანუ მწოველების სხეული უმეტესად ფოთლისებრი ფორმისაა და მისი ზომები სიგრძეში მერყეობს 0,1 მმ-დან 15 სმ-დან.



სურ. 1. ტრემატოდების აგებულების სქემა
1.პირის მისაწოვარი; 2.ხახა; 3.საყლაპავი; 4.ნაწლავის სვეტები; 5.მდგდრობითი სასქესო ხერელი; 6.მამრობითი სასქესო ხვრელი; 7.საშვილოსნო; 8.საყვითრე ჯირკვლები; 9.ოოტიპი; 10.საყვითრე არხი; 11.საკვერცხე; 12.ოესლგამომტანი არხი; 13.სათესლე ჯირკვლები; 14.ნაწლავის სვეტების ყრუ დაბოლოება; 15.ექსკრეტორული ბუშტი; 16.ექსკრეტორული არხი; 17.ლაურერის არხი; 18.მელისის სხეული; 19.ოესლგამომტანი; 20.საერთო ოესლგამომტანი არხი; 21.სათესლე ბუშტი; 22.მუცლის მისაწოვარი; 23.სასქესო ბურსა.

იგი კანკუნთოვანი პარკია, რომელიც შეიცავს შინაგან ორგანოებს. სხეულის წინა ნაწილში პირის მისაწოვარია. მისი მეშვეობით პარაზიტი ემაგრება ცხოველის (მასპინძელი) ქსოვილებს. ამ მისა-

წოვრის ძირზე არსებული ხვრელი იხსნება ხახაში, რომელიც საყლაპავითა და ყრუდ დაბოლოებული ნაწლავით გრძელდება. მწოველების მრავალ სახეობას სხეულის წინა ნაწილში პირის მისაწოვრის გარდა მუცლის მისაწოვარიც აქვს. ის მხოლოდ საფიქსაციო ფუნქციას ასრულებს.

ცხოველის ორგანიზმში მწოველები იკვებებიან ლორწოთი, სხვა-დასხვა ქსოვილის წვენით, ზოგიერთი სახეობა - სისხლითაც. მათი ნივთიერებათა ცვლის პროდუქტები გამოიყოფა ექსკრეტორული სისტემით.

მწოველების უმეტესობა ჰერმაფროდიტია. მამრობითი სასქესო სისტემა შედგება ორი სათესლე ჯირკვლისაგან. მათგან გამოდის თითო თესლგამტარი. ისინი ერთიანდებიან საერთო თესლგამტან-ში, რომელიც მთავრდება სასქესო ბურსით. ეს უკანასკნელი იხსნება სხეულის ვენტრალურ მხარეს, მუცლის მისაწოვრის შორიახლოს. მდედრობითი სასქესო სისტემა შედგება ოოტიპისაგან. ეს არის ღრუ, სადაც ხდება კვერცხების განაყოფიერება და ფორმირება. ოოტიპი დაკავშირებულია საკვერცხესთან, თესლმიმღებთან (მასში ხდება საერმის დაგროვება), საყვითრე ჯირკვლებთან (გამოიმუშავებენ კვერცხისათვის აუცილებელ ნივთიერებებს) და მელისის სხეულთან (გამოიმუშავებს ნივთიერებას, რომელიც ჩამორცხავს ოოტიპისა და საშვილოსნოს კვდებს და აადვილებს სასქესო ხვრელისაკენ კვერცხების გადაადგილებას საშვილოსნოს ხვეულებ-ში). ოოტიპიდან გამოდის საშვილოსნოს დახვეული მილი, რომელიც მეორე ბოლოთი - სასქესო ხვრელით იხსნება მუცლის მისაწოვრის წინ მამრობითი სასქესო ბურსის შორიახლოს. ოოტიპიდან ასევე გამოდის ლაურერის არხი, რომლის მეშვეობით ხდება ჭარბი სითხის გამოტანა. ძირითადად ხდება თვითგანაყოფიერება, თუმცა შესაძლებელია ორი ინდივიდის შერწყმაც.


ტრემატოდების კვერცხი უმეტესად ოვალური ფორმისაა. მის ერთ პოლუსზე სარქველია.

მწოველების ნერვული სისტემა შედგება ხახის ქვეშ მდებარე ნერვული კვანძისაგან და მისგან გამომავალი ნერვული ღეროებისა-გან, რომლებიც ატოტიანებენ მთელ სხეულს.

ექსკრეტორული სისტემა წარმოდგენილია მთელ სხეულში სიმეტ-

რიულად განლაგებული უწვრილესი არხებით. ისინი ერთ მილში ერთიანდებიან, რომელიც ხვრელით იხსნება სხეულის უკანა ნაწილში.

ტრემატოდების კვერცხები ფეკალთან ერთად ხვდებიან გარემოში, სადაც სათანადო ტენიანობის, ტემპერატურის თუ განვითარებისათვის საჭირო სხვა ხელშემწყობ პირობებში მათში ყალიბდება ჩანასახოვანი ფორმები - მირაციდიუმები, რომლებიც გარკვეული დროს შემდეგ გამოდიან კვერცხებიდან. შემდგომი განვითარებისათვის საჭიროა, რომ მირაციდიუმი მოხვდეს შუალედური მასპინძლის ორგანიზმში, სადაც მისგან ვითარდება სპოროცისტა. ეს უკანასკნელი უსქესო გამრავლების გზით წარმოშობს მრავლობით რედიებს, ხოლო რედია - მრავლობით ცერკარიებს. ისინი ტოვებენ შუალედური მასპინძლის ორგანიზმს და გარემოში გარდაიქმნებიან ადოლესკარიებად, რომლებიც საკვებთან ან წყალთან ერთად თუ მოხვდებიან დეფინიტური (საბოლოო) მასპინძლის ორგანიზმში, ჩაიძულებენ შესაბამის ორგანოში და ამთავრებენ ზრდა-განვითარებას. ზოგიერთი ტრემატოდას განვითარებისათვის ერთი შუალედური მასპინძელი საკმარისი არ არის. გარემოში მოხვედრილი მათი ცერკარიები განვითარებას აგრძელებენ მხოლოდ დამატებითი (მეორე შუალედური) მასპინძლის ორგანიზმში, სადაც გარდაიქმნებიან მეტაცერკარიებად, რომელთაც შესწევთ უნარი დააინვაზიონ საბოლოო ანუ დეფინიტური მასპინძელი.



სურ. 2. ტრემატოდების კვერცხები
1.Fasciola hepatica; 2.Opisthorchis felineus; 3.Dicrocoelium lanceatum;
4.Paramphistomidae sp; 5. Eurytrema pancreaticum; 6. Prosthogonimus ovatus; 7.
Orientobilcharzia sp.

ფასციოლოზი


ფასციოლოზი ცხვრის, თხის, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის, მრავალი შინაური და გარეული ძუძუმწოვრის დაავადებაა. მისი აღმძვრელები - *Fasciola hepatica* და *F. gigantica* მიეკუთვნებიან *Fasciolidae*-ს ოჯახს. ფასციოლოზით ავადდება ადამიანიც.

ზრდასრული ფასციოლები პარაზიტობენ ღვიძლის ნაღვლის სა-დინარებში. დაავადება მიმდინარეობს ქრონიკული ფორმით, იშვია-თად - მწვავედ. მისთვის დამახასიათებელია ნივთიერებათა ცვლის მოშლა და ღვიძლის დაზიანება. ფასციოლოზით დაავადებულ ცხო-ველებს მნიშვნელოვნად უქვეითდებათ პროდუქტიულობა. კერძოდ, ფურების წევლადობა მცირდება 20-40%-ით, უარსდება ცხვრის ხორცისა და მატყლის ხარისხი, აღინიშნება სიკვდილი. ავადმყოფი ცხოველების ნაკლავის ვეტერინარიულ-სანიტარიული შემოწმებისას ხდება დოდი რაოდენობით ღვიძლის გამოწუნება.

აღმძვრელები. *F. hepatica*-ს (ჩვეულებრივი ფასციოლა) სხეული ფოთლისებრი ფორმისაა, რომლის კუტიკულა დაფარულია მცირე ზომის ქაცვებით. სხეულის სიგრძე 2-3 სმ-ია, სიგანე - 1 სმ. მის წინა ნაწილში, რომელიც ხორთუმისებრად არის გამოწეული, ორი მისაწოვარია. პირის მისაწოვარი საყლაპავითა და ყრუდ დაბოლო-ებული ნაწლავის ორი ტოტით გრძელდება. მუცლის მისაწოვრის უკან საშვილოსნო და ირმის რებისებრი საკვერცხეა. სხეულის გვერდებზე საყვითრე ჯირკვლებია, ხოლო დანარჩენი სივრცე ხისებ-რად დატოტვილი სათესლე ჯირკვლებითა და თესლგამომტანი არ-ხებით არის ამოვსებული. ყვითრის რეზერვუარის გვერდით მელი-სის სხეულია. ფასციოლებს თესლმიმღები არ გააჩნიათ.

F. gigantica-ს (გიგანტური ფასციოლა) ანალოგიური აგებულება აქვს, მაგრამ ჩვეულებრივი ფასციოლასაგან განსხვავდება სხეულის ფორმითა და ზომით. მას წაგრძელებული ფორმა და პარალელური გვერდები აქვს. სხეულის სიგრძე 7,5 სმ-მდე აღწევს.

ფასციოლას კვერცხს ოვალური ფორმა და მოყვითალო შეფერი-ლობა აქვს. გარედან იგი დაფარულია გლუვი გარსით. კვერცხის ზომა სიგრძეში 0,15 მმ-ია, სიგანეში - 0,07-0,08 მმ. მის ერთ-ერთ პოლუსზე სარქელია.




სურ. 3. ჩვეულებრივი ფასციოლა

- 1.საყვითრე ჯირკვლები;
- 2.საყვითრე არხები;
- 3.თესლგამომტანი არხები;
- 4.მელი-სის სხეული;
- 5.ნაწლავი;
- 6.სასქესო ჩანთა;
- 7.ცირუსი;
- 8.პირის მისაწოვარი;
- 9.ხახა;
- 10.მდედრობითი სასქესო ხვრელი;
- 11.მუცლის მისაწოვარი;
- 12.საშვილოსნო;
- 13.საკვერცხე;
- 14.საყვითრე რეზერვუარი;
- 15.სათესლე ჯირკვლები.

ფასციოლები ბიოპელმინთებია. მათი განვითარების ციკლი მიმდინარეობს შუალედური მასპინძლების - Limneidae-ს ოჯახის მტკნარი წყლის ლოკოკინების (*Limnea truncatula*, *L. palustris*, *L. auricularia*, *Radix ovata*) მონაწილეობით, მაგრამ *F. hepatica*-სათვის უმთავრესია *L. truncatula* (მცირე ტბორულა), *F. gigantica*-სათვის - *L. auricularia* (ფურისმაგვარი ტბორულა).

აღმძვრელის ბიოლოგია. ფასციოლები ღვიძლის ნაღვლის სადინარებში გამოყოფენ დიდი რაოდენობით კვერცხებს, რომლებიც ნაღველთან ერთად ხვდებიან თორმეტგოჯა ნაწლავში, შემდეგ - გარემოში. მათი შემდგომი განვითარებისათვის საჭიროა უანგბადი, შესაბამისი ტემპერატურა და ტენიანობა. $20-30^{\circ}\text{C}$ ტემპერატურაზე კვერცხი სწრაფად ვითარდება; $10-12^{\circ}\text{C}$ ტემპერატურაზე მისი განვითარება შენელებულია, ხოლო 40°C ტემპერატურაზე იგი იღუპება. ხელშემწყობი პირობების არსებობის შემთხვევაში კვერცხში ორ კვირაში ვითარდება მირაციდიუმი. ეს არის წავრელებული ფორმის ლარვა $0,15$ მმ-მდე სიგრძით. სხეულის წინა დაბოლოებაზე მას აქვს მოძრავი კუნთოვანი ხორთუმი, აგრეთვე ჯირკვლოვანი უჯრედები, რომელთა სეკრეტი ხელს უწყობს მირაციდიუმის შეღწევას შუალედური მასპინძლის ორგანიზმში. სხეული დაფარულია წამწამებით. მათი მეშვეობით მირაციდიუმი აქტიურად მოძრაობს წყალში, სადაც მისი სიცოცხლის ხანგრძლივობა რამდენიმე საათიდან მაქსიმუმ 2-3 დღით განისაზღვრება. მცირე ტბორულას ორგანიზმში შეჭრის შემდეგ მირაციდიუმს სცილდება წამწამები, იგი შეაღწევს მოლუსკის ღვიძლში და გარდაიქმნება სპოროცისტად. ეს არის თითისტარისებრი ლარვა, რომლის სხეულში უსქესო გამრავლების გზით ვითარდებიან ახალი ლარვული ფორმები - რედიები. თავის შერივ რედიაში ვითარდებიან ცერკარიები.

ცერკარიების სხეული მრგვალი ან ოვალური ფორმისაა. მათ კარგად აქვთ გამოხატული პირისა და მუცლის მისაწოვრები, საყლაპავი და ნაწლავის ტოტები, აგრეთვე აქვთ კუდი, რომელიც ორჯერ აღემატება საკუთრივ სხეულს. მის გვერდებზე განლაგებულია კანის ცისტოგონური ჯირკვლები. ჩვეულებრივ, ერთი მირაციდიუმიდან მიღება $200-250$ -მდე ცერკარია. მოლუსკის ორგანიზმში მირაციდიუმის შეჭრიდან ზრდასრული ცერკარიების ჩამოყალიბების პროცესი 2-3 თვეს გრძელდება.



სურ. 4. ჩვეულებრივი ფასციოლას განვითარების სტადიები
A-ფასციოლას კვერცხი. **B**-კვერცხიდან მირაციდიუმის გამოსვლის მომენტი: 1.კვერცხი ღია სარქველით; 2.მირაციდიუმის გამოსვლა კვერცხიდნ; 3.მირაციდიუმი. **C**-მცირე ტბორულა – შუალედური მასპინძელი. **D**-მცირე ტბორულას ორგანიზმში განვითარების სტადიები: 1.რედია ცერკარიებით; 2.ცერკარია; 3.ახალგაზრდა რედია; 4.ადოლესკარია.

ზრდასრული ცერკარიები გამოდიან წყალში, სადაც ერთ ხანს თავისუფლად ცურავენ. შემდეგ ისინი ემაგრებიან რაიმე საგანს ან რჩებიან წყლის ზედაპირზე. ამ დროს მათ წყლებათ კუდი, ხოლო ცისტოგონური ჯირკვლები გამოყოფენ სეკრეტს, რომელიც სქელ გარსად ეკვრის სხეულს, და ცერკარიები გარდაიქმნებიან ადოლეს-კარიებად. ცხოველის დაინგვაზიება ხდება დაჭაობებულ საძოვარზე ადოლესკარიებშემცველი ბალახის ძოვისას ან ბაგური შენახვის პირობებში ჭარბტენიან სათიბებზე ახლად გათიბული ან დამზადებული ადოლესკარიებშემცველი მწვანე მასით, ან ახალი თივით ცხოველის კვებისას, ან ფასციოლოზზე არაკეთილსამედო წყალსატე-ვებიდან მისი დარწყულებისას.

დეფინიტური მასპინძლის წვრილ ნაწლავში ადოლესკარიებს სცილდებათ გარსი, ხოლო ახალგაზრდა ფასციოლები შეიჭრებიან ღვიძლის ნაღვლის სადინარებში, რასაც ორი გზით ახერხებენ: პირველ შემთხვევაში ნაწლავის კედლიდან ისინი გააღწევენ მუცლის ღრუში, გარს ეკვრიან ღვიძლს, ხვრეტენ მის კაფსულას და აღმოჩნდებიან პარენქიმაში, სადაც ვითარდებიან, ხოლო 35-40 დღის შემდეგ მიგრირებენ ნაღვლის სადინარებში, რაც დაახლოებით სამ კვირას გრძელდება. მეორე შემთხვევაში ახალგაზრდა ფასციოლები ხვდებიან ნაწლავის კედლის ვენებში, ხოლო შემდეგ კარის ვენის მეშვეობით - ღვიძლში. დეფინიტური მასპინძლის ორგანიზმში ზრდასრული ფასციოლების ფორმირება 2,5-4 თვის განმავლობაში მიმდინარებს. მცოხნავი ცხოველების ღვიძლში ფასციოლები რამდენიმე წელს ცოცხლობენ.

ეპიზოტოლოგიური მონაცემები. მცირე ტბორულა ბუნებაში ფართოდაა გავრცელებული. იგი მტკნარი წყლის მოლუსკია, მაგრამ გვევდება ხმელეთზეც. მის გამრავლებას ხელს უწყობს ხშირი წვიმები, განსაკუთრებით თუ ეს მოვლენა ზედიზედ ორი სეზონის განმავლობაში აღინიშნება. მოლუსკები ბინადრობენ პატარა წყალსატევებში, ცხოველთა დასარწყულებელი ადგილების მახლობლად. მათ შეუძლიათ გამოზამთრება.

საქართველოში მცოხნავ ცხოველთა ფასციოლოზი უმეტესად გავრცელებულია ქვემო ქართლის, შიდა კახეთის, კოლხეთის დაბლობებისა და დასავლეთ საქართველოს მთისწინეთის რაიონებში,

აჭარასა და აფხაზეთში. მწვავე ფასციოლოზი ხშირად ვლინდება სიღნაღის, გარდაბნის, თერჯოლის, საჩხერის რაიონებში. ფასციოლოზი გავრცელებულია ღორებშიც.

მცირე ტბორულები, რომლებიც საქართველოს კლიმატურ პირობებში წლის განმავლობაში ორ გენერეციას იძლევიან, უპირატესად გავრცელებული არიან სარწყულებლების მახლობლად, თვით სარწყულებლებში, საძოვრის მცირე სიღრმის გუბერბში.

საქართველოს დაბლობი ზონების რაიონებში ფასციოლებით მცოხნავი ცხოველების დაინგვაზიება ხდება ადრე გაზაფხულზე (გამოზამთრებული ადოლესკარიებით), ზაფხულისა და შემოდგომის თვეებში - გამოზამთრებული მოლუსკებიდან გამოყოფილი ცერკორიებისაგან ფორმირებული ადოლესკარიებით, აგრეთვე იმ ადოლესკარიებით, რომლებიც ვითარდებიან დაავადებული ცხოველების მიერ გაზაფხულზე და ზაფხულში გამოყოფილი კვერცხებისაგან. ფასციოლას კვერცხები ქვეშის დაბლობ ზონებში თავისუფლად იზამთრებენ.

პათოგენები. ცხოველის ორგანიზმზე პათოგენურ ზეგავლენას ახდენენ როგორც სქესმწიფე ფასციოლები, ისე მათი ახალგაზრდა ფორმები ნაწლავებში, ღვიძლსა და ნაღვლის სადინარებში მიგრაციის დროს.

ახალგაზრდა ფასციოლები მიგრაციის პერიოდში აზიანებენ ნაწლავის ლორწოვან გარსს, შეიჭრებიან სისხლძარღვებში და იწვევენ სისხლის ცირკულაციის მოშლას ღვიძლის ცალკეულ წილებში. გადაადგილებისას ისინი არღვევენ კაპილარების, პარენქიმის, ნაღვლის სადინარების მთლიანობას. ამის შედეგად წარმოიქმნება ხვრელები, რომლებიც მოგვიანებით ფიბროზულ ზონებად გარდაიქმნებიან. სისხლის გზით ფასციოლები, შესაძლოა, სხვა ორგანოებშიც მოხვდნენ, სადაც ისინი ინკაფსულირდებიან, თუმცა სქესობრივ სიმწიფეს ვერ აღწევენ. მაგალითად, ძლიერი დაინვაზიების დროს ფასციოლები გვხვდებიან მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ფილტვებშიც.

ახალგაზრდა ფასციოლებთან ერთად ღვიძლში შედის ნაწლავის მიკროფლორა, რაც ორგანიზმის ინტოქსიკაციას განაპირობებს. ეს კი ხელს უწყობს სხვადასხვა ინფექციის განვითარებას.

სქესმწიფე ფასციოლები იკვებებიან სისხლით. ნაღვლის სადინა-

რებში გადაადგილებისას ისინი იწვევენ სადინარის ტრავმას, ხოლო დიდი რაოდენობით დაგროვების შემთხვევაში - მის დაცობას. პარაზიტების ცხოველმოქმედების პროდუქტები, აგრეთვე მათ მიერ გამოყოფილი ტოქსიკური ნივთიერებები მოქმედებენ ღვიძლის ქსოვილზე, მთელ ორგანიზმზე. ირლვევა რეტიკულო-ენდოთელური, გულ-სისხლძარღვთა, ცენტრალური ნერვული სისტემების, კუჭნაწლავის ტრაქტისა და სუნთქვის ორგანოს ფუნქციები, იშლება ნივთიერებათა ცვლა.

დაავადების სიმპტომები დამოკიდებულია დაინვაზიების ინტენსიურობის ხარისხზე, პარაზიტის სახეობაზე, ცხოველის კვებისა და შენახვის პირობებზე, მის ასაკსა და ინდივიდუალურ თავისებურებებზე.

ცხვრებსა და თხებში ფასციოლოზი მიმდინარეობს მწვავე და ქრონიკული ფორმებით. მწვავედ მიმდინარეობას განაპირობებს ორგანიზმი ადოლესკარიების დიდი რაოდენობით შეჭრა, რის შედეგად ვითარდება მწვავე ჰეპატიტი. ამ დროს მადა დაქვეითებულია, სხეულის ტემპერატურა მატულობს $41,0-41,5^{\circ}$ -მდე. ცხვარს აღნიშნება კონიუნქტივის პროგრესირებადი გაუფერულება, რომელიც მღვრიე-მიმქრალ ფერს იღებს. ზოგჯერ აღინიშნება ლორწოვანი გარსების სიყვითლე, სისხლიანი ფალარათი, შესაძლებელია განვითარდეს ყაბზობა და ტიმპანია. ცხოველი მოწყენილია. გამოხატულია ტაქიკარდია (პულსი - 160-180 წუთში), ქოშნი, აჩქარებული სუნთქვა (70-80 წუთში).

დაავადების ქრონიკული ფორმით მიმდინარეობისას ცხვარი ფარას ჩამორჩება და ხშირად წევს. მას უქვეითდება მადა. მატყლი მშრალი, ადვილად მტკრევადი ხდება და სცვივა. აღინიშნება შეშუ-ჰებები ქუთუთოების, ყბისქვეშა არესა და მკერდის მიდამოში. ღვიძლის მიდამო მტკივნეულია, ხოლო მისი მოყრუების საზღვრები - გაფართოებული. სისხლში ჰემოგლობინისა და ერითროციტების რაოდენობა მცირდება. ამ ნიშნებს ემატება გასტრიტული აშლილობები. თანდათან ვითარდება შეგუბება, წყალმანკი, კახექსია, რასაც მოსდევს ცხოველის სიკვდილი. ზოგჯერ დაავადება ძალიან მძიმე ფორმით მიმდინარეობს და თვეობით გრძელდება. სუსტი დაინვაზიების შემთხვევაში ცხოველი გამოჯანმრთელდება.

მსხვილფეხა რქოსან პირუტყვში ფასციოლოზი უმეტესად ქრო-

ნიკული ფორმით მიმდინარეობს და უფრო ხშირად აღინიშნება ორ წლამდე ასაკის მოზარდებულში. კლინიკური ნიშნები ნაკლებად არის გამოხატული, სიკვდილის შემთხვევებიც ნაკლებია, თუმცა მკეთრად კლებულობს პროდუქტიულობის (შეხორცება, წონამატი, წველადობა) მაჩვენებლები.

პათოლოგიურ-ანატომიური ცვლილებები. ცხოველის ლეში გამხდარია, მუცლის ღრუში დაგროვილია (ზოგჯერ დიდი რაოდენობით) გამჭვირვალე სითხე. ნაღვლის სადინარები გაგანიერებულია და გადავსებული სქელი კონსისტენციის მღვრიე ყავისფერი ნაღვლით, რომელშიც დიდი რაოდენობით არის ფასციოლები. აღინიშნება ნაღვლის სადინარების კატარი, ინტერსტიციული ჰეპატიტი, ღვიძლის ციროზი. თუ დაინვაზიების ინტენსიონის ხარისხი მცირეა, ცვლილებებს ნახულობენ მხოლოდ ფასციოლების ლოკალიზაციის ადგილებში. ზოგჯერ ელენთაში, კუჭქვეშა ჯირკვალსა და ფილტვებში პოულობენ ინკაფსულირებულ ფასციოლებს.

ფასციოლოზის მწვავე ფორმით მიმდინარეობის შემთხვევაში ღვიძლი გადაიდებულია და გადავსებულია სისხლით. მის ზედაპირზე აღინიშნება წერტილოვანი სისხლჩაქცევები, ზოგჯერ ფიბრინის ნაღებები და მოყვითალო ფერის კერები.

დიაგნოზი ისტება ეპიზოოტოლოგიური მონაცემების გათვალისწინებით, დაავადების სიმპტომების მიხედვით და ჰელმინთოვოსკოპიური გამოკვლევის, აგრეთვე მკვდარი ან იძულებით დაკლული ცხოველის პათოლოგიურ-ანატომიური გაკვეთის შედეგების საფუძველზე.

ვინაიდან ამ დაავადების დროს სიმპტომები არ არის აშკარად გამოხატული, კლინიკური ნიშნებით შეიძლება მხოლოდ ეჭვი მივიტანოთ ფასციოლოზე. ამიტომ ცხოველის სიცოცხლეში დიაგნოზს ადგენენ ჰელმინთოვოსკოპით - დაავადებაზე საეჭვო ცხოველის ფეხების გამოკვლევით თანამიმდევრობით გადარეცხვის მეოთლით. ფასციოლას კვერცხს სხვა ჰელმინთების კვერცხებისაგან განასხვავებენ ფორმის, ზომისა და ფერის მიხედვით.

მკურნალობა. სადეპელმინთოზაციოდ გამოიყენება ჰექსაქლორპარაქსილოლი (ჰექსიქოლი), ოთხქლორიანი ნახშირბადი, ჰექსაქლორეთანი, ბითიონოლი, აცემიდოფენი, ატაზოლ ფორტე-300, ექსიპტოლ-600, ექსიპტოლ-2500, ფილიქსანი და სხვა.

ჰექსაქლორპარაქსილოლი ცხვარს ეძლევა 0,4 გ/კგ, ერთჯერად, 0,5-1 კგ კომბინირებულ საკვებთან ერთად ინდივიდუალურად. დეპელმინთიზაციის ჩატარება მიზანშეწონილია დილის საათებში, ცხოველის კვებამდე. დეპელმინთიზაციამდე ორი დღით ადრე და ორი დღის განმავლობაში მის შემდეგ საკვები რაციონიდან უნდა გამოირიცხოს ადვილაფულადი საკვები. ჰექსაქლორეთანის მიღების შედეგად განვითარებული თანამდევი მოვლენების დროს ცხოველს ეძლევა ნატრიუმის ბიკარბონატის ხსნარი ან ახალი რძე.

ჰექსიქოლი ჰექსაქლორპარაქსილოლის ახალი ფორმას, იგი უფრო ეფექტური და ნაკლებტოქსიკურია. მსხვილფეხა რქოსან პირუტყვს პრეპარატი ეძლევა დოზით 0,3 გ/კგ, ცხვარს - 0,2 გ/კგ.

ოთხქლორინ ნახშირბადს მსხვილფეხა რქოსან პირუტყვს უნიშნავენ კუნთებში, გავის მიდამოში 2-3 ადგილას 50%-იანი ხსნარის სახით სამედიცინო ვაზელინის ზეთან ერთად, დოზით 10 მლ 100 კგ ცხოველის მასაზე ერთჯერად. გართულების დროს ვენაში შეკუვთ 100 მლ ქლორინი კალციუმის 10%-იანი ხსნარი და უნიშნავენ რუმინატორულ საშუალებებს.

ცხვარს უკეთესია პრეპარატი დაენიშნოს კანქვეშ, დოზით 2 მლ 10 კგ მასაზე, უბალნო ადგილზე, იდაყვის სახსრის უკან, მარცხენა ან მარჯვენა მხარეს, მკერდის კედელთან. ამ მეთოდით პრეპარატის შეკვანის დროს ზოგიერთ ცხოველს მოკლე ხნით ემზევა აღგზნება, შემდეგ მოდუნება, რაც ცხოველისათვის საშიში არ არის.

მოზარდეულს ექვსი თვიდან ერთი წლის ასაკამდე შეიძლება მიცეს პრეპარატის 1 მლ, ხოლო მოზრდილ ცხოველს - 2-3 მლ უელატინის კაფსულით პერორალური გზით ან უშუალოდ ფაშვში.

ფასციოლოზის მწვავე ფორმით მიმდინარეობის დროს ერთ წელზე უხნეს ცხვარს ერთდროულად უნიშნავენ ჰექსაქლორეთანს - დოზით 0,15-0,2 გ/კგ პერორალურად და ოთხქლორინ ნახშირბადს - დოზით 1 მლ ცხოველზე, ფაშვში.

ოთხქლორინი ნახშირბადით და ჰექსაქლორეთანით დეპელმინთიზაციის წინ ცხვარსა და თხას საკვები არ ეძლევათ. დეპელმინთიზებული ცხოველის კვება იწყება 2-3 საათის შემდეგ.

მასობრივი მკურნალობის დაწყებამდე აუცილებელია ცხოველების მცირე ჯგუფზე ჩატარდეს პრეპარატის შემოწმება ტოქსიკუ-

რობაზე. პრეპარატისადმი უფრო მგრძნობიარე არიან გამხდარი და ლაქტაციის პერიოდში მყოფი ცხვარი და თხა. თუმცა, ზოგჯერ, დიდ მგრძნობიარობას იჩენენ ნაკვები ცხოველებიც. მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ ცხვრის მკურნალობის დროს გართულება შეიძლება გამოწვეული იყოს არა მარტო პრეპარატით მოწამვლით, არამედ ძლიერი დაინგაზიებით, როდესაც ინტოქსიკაციას განაპირობებს დახოცილი ფასციოლების დაშლის პროდუქტები. ამიტომ მკვეთრად გამოხატული კლინიკური ნიშნების მქონე ცხოველების მკურნალობისას საჭიროა სიფრთხილის დაცვა.

თხები უფრო მგრძნობიარე არიან ოთხქლორინი ნახშირბადისადმი. ექვს თვემდე ასაკის ბატკნებსა და თიკნებს დეპელმინთიზაცია არ უტარდებათ.

მკურნალობის შემდეგ მოწამვლის გამომუდავნებისთანავე (სისუსტე, კუნთების კანკალი, მადის დაქვეთება, ტემპერატურის მომატება) კარგ შედეგს იძლევა დიდი რაოდენობით ახლად მოწველილი რძის მიცემა, 10%-იანი ქლორ-კალციუმის ხსნარის ინექცია ვენაში დოზით 20-20 მლ 3-4-ჯერ დღე-ღამის განმავლობაში, გლუკოზა. გართულება თავიდან რომ ავიცილოთ, დეპელმინთიზაციამდე ორი კვირით ადრე ცხვრის რაციონში უნდა გავზარდოთ მარილებითა და ვიტამინებით მდიდარი საკვების წილი.

ფასციოლოზის მწვავე ფორმით მიმდინარეობისას აცემიდოფენი ცხვარს ეძლევა დოზით 0,15 გ/კგ, მსხვილფეხა რქოსან პირუტყვს - 0,2 გ/კგ აქტიურად მოქმედი ნივთიერების მიხედვით (ამნ) 10%-იანი წყლიანი სუსპენზიის ფორმით ორჯერად, ორი კვირის შუალედით.

ფაზინექსი ცხვარს ეძლევა დოზით 6-12 მგ/კგ ამნ-ს მიხედვით 5%-იანი სუსპენზიის ფორმით.

ტიმპანის თავიდან ასაცილებლად მკურნალობამდე ერთი დღით ადრე და მკურნალობის შემდეგ 3-4 დღის განმავლობაში კვების რაციონიდან გამორიცხავენ ადვილაფულად საკვებსა და კონცენტრატებს. მკურნალობის წინადღეს, საღამოს, ცხოველებს არ კვებავენ. მათ კვებას განაახლებენ მკურნალობიდან 2-3 საათის შემდეგ.

ფალიერის ცხვარს უნიშნავენ დოზით 0,3-0,4 გ/კგ. პრეპარატი ცხოველს ეძლევა პერორალურად წყალთან ერთად ან ფხვნილის

სახით ჯგუფური კვებისას. მკურნალობამდე 10-12 საათით ადრე ცხოველს საკვებს აღარ აძლევენ. პრეპარატის ინდივიდუალურად გამოყენებისას მშიერი დიეტის დაცვა აუცილებელი არ არის.

ბითონოლი ცხვრებს ეძლევა დოზით 0,15 გ/კგ ინდივიდუალურად და 0,2 გ/კგ ჯგუფურად, საკვებთან შერეული. დეპელმინთიზაციამდე 15 საათის განმავლობაში ცხვარს აშიშმილებენ.

ატაზოლ-ფორტე-300 ეძლევა მსხვილფეხა რქოსან პირუტყვსა და ცხვარს დოზით ორი აბი 70 კგ ცოცხალ მასაზე ერთჯერადად, მშიერი დიეტის დაცვის გარეშე, ხოლო უქსიატოლ-600 - ასევე მსხვილფეხა რქოსან პირუტყვსა და ცხვარს დოზით ერთი აბი 100 კგ ცოცხალ მასაზე ერთჯერადად, მშიერი დიეტის დაუცველად.

პროფილაქტიკა და ბრძოლის ღონისძიებები. ფასციოლოზის სრული ლიკვიდაციისათვის მეურნეობაში ახორციელებენ ღონისძიებათა კომპლექსს, რომელთა მიზანია სქესობრივად მომწიფებული ჰელმინთების, ფასციოლას კვერცხებისა და ლარვების, აგრეთვე შუალედური მასპინძლების მოსპობა; ქმნიან პირობებს, რათა გამორიცხოს საბოლოო და შუალედური მასპინძლების დაინვაზიებისა და ინვაზიის გარედან შემოტანის შესაძლებლობა. აუცილებელია გაუმჯობესდეს ცხოველების კვებისა და მათი შენახვის სანიტარიულ-ჰიგიენური პირობები.

ფასციოლოზე არაკეთილსაიმედო მეურნეობებში პროფილაქტიკურ დეპელმინთიზაციას ატარებენ ორჯერ მაინც წლის განმავლობაში. ცხოველების დამუშავება მიზანშეწონილია ჩატარდეს დეკემბრის ბოლოს ანუ ბაგურ შენახვაზე მათი გადაყვანიდან დაახლოებით ორი თვის შემდეგ, ე.ი. როდესაც ფასციოლების ძირითადი მასა ღვიძლში აღწევს სქესობრივ სიმწიფეს, ხოლო განმეორებით, - ადრე გაზაფხულზე (მარტის პირველი ნახევარი), ცხოველების სამოვარზე გაშვებამდე ერთი თვით ადრე.

დეპელმინთიზაციის ეფექტიანობის დადგენისათვის აუცილებელია ცხოველების საკონტროლო კოპროლოგიური გამოკვლევა მკურნალობიდან 15-20 დღის შემდეგ. ტერიტორია, სადაც ჩატარდა დეპელმინთიზაცია, საჭიროა კარგად გაიწმინდოს და გაუკნებელდეს.

არ შეიძლება ცხოველების ძოვება დაჭაობებულ საძოვრებზე, მათი დარწყულება დაგუბებული წყალსატევებიდან, გუბეებიდან, პატა-

რა ტბორებიდან, ჭაობებიდან. დაუშვებელია ჭარბტენიან, ფასციოლოზზე არაკეთილსაიმედო საძოვარ-სათიბებზე გათიბული მწვანე მასით ცხოველების კვება. ასეთი მასისაგან თივა უნდა დამზადდეს აქტიური ვენტილაციის მეთოდით და ცხოველების საკვებად გამოყენებულ იქნეს ბაგური შენახვის მეორე ნახევრიდან, ე.ი. მისი დამზადებიდან დაახლოებით ექვსი-შვიდი თვის შემდეგ.

კარგ შედეგს იძლევა გასაძოვებელი ფართობების პერიოდული ნაკვეთმონაცვლეობა. თუ მეურნეობაში ამის საშუალება არ არის, სასურველია საძოვრის შეცვლა ერთხელ მაინც, ცხოველების საძოვრული შენახვის შუა პერიოდში. ასევე სასურველია საერთო ნახირი-საგან მოზარდეულის განცალკევებული ძოვება მშრალ საძოვრებზე.

მეურნეობაში ახალშემოყვანილი ცხოველები, რომლებსაც დაუდგინდებათ ფასციოლოზი, საერთო ნახირში გაიშვებიან მხოლოდ დეპელმინთიზაციის შემდეგ.

მოლუსკების წინააღმდეგ საბრძოლველად უფექტიანი საშუალებაა შაბიამანი. მას იყენებენ წყალხსნარის სახით, განზავებულს 1:5000-თან. ხსნარს ამზადებენ ხის ჭურჭელში და ჰიდროპულტის მეშვეობით ასხურებენ დაინვაზიებულ ტერიტორიას. პრეპარატის გამოყენება დაუშვებელია, თუ წყალსატევს იყენებენ თევზების მოსაშენებლად.

მოლუსკების საწინააღმდეგოდ კარგი შედეგით გამოიყენება 5,4-დიქლორსალიცილანილი (1:10000). ბიოტოპებში ხსნარი შეაქვთ წელიწადში ერთხელ, გაზაფხულზე ან ზაფხულის დასაწყისში. საძოვრის დამუშავებიდან რამდენიმე დღის განმავლობაში არ შეიძლება მასზე ცხოველების ძოვება. დაუშვებელია პრეპარატის მოხვედრა მეთევზეობის მეურნეობის წყალსატევებში.

მოლუსკოციდებით საძოვარს ამუშავებენ წელიწადში ერთხელ - გაზაფხულზე ან შემოდგომაზე, მოლუსკების აქტიური ცხოვრების პერიოდში.

მოლუსკების წინააღმდეგ საბრძოლველად ასევე ეფექტიანი საშუალებაა მელიორაცია, რაც უზრუნველყოფს მოლუსკების პრაქტიკულად სრულ განადგურებას. მოლუსკების წინააღმდეგ წარმატებით გამოიყენება მათთან ბრძოლის ბიოლოგიური მეთოდი, რაც გულისხმობს წყალსატევებსა და მდინარეებზე იხვებისა და ბატების გაშვებას.

ფასციოლოზის წინააღმდეგ ბრძოლაში ძალზე მნიშვნელოვანია ნაკელის ბიოთერმული გაუვნებლობა, რა დროსაც ყველა ინვაზიური საწყისი იღუპება.

ფასციოლებით დაინვაზიებული ღვიძლი ადამიანისათვის უვნებელია, მაგრამ აუცილებელია მისი ვეტერინარიულ-სანიტარიული კონტროლი და სათანადო დამუშავება. თუ დაინვაზიების ხარისხი მაღალია, ასეთი ღვიძლი გამოიწუნება და იგზავნება საუტილიზაციოდ. თუ დაინვაზიების ხარისხი დაბალია, მაშინ ღვიძლი გაიშვება სარეალიზაციოდ მხოლოდ სათანადო სანიტარიული დამუშავების შემდეგ.

დიკროცელიოზი

დიკროცელიოზი ფართოდ გავრცელებული ჰელმინთოზია. მისი აღმძვრელია *Dicrocoeliidae*-ს ოჯახის წარმომადგენელი - *Dicrocoelium lanceatum*, რომელიც პარაზიტობს 70-მდე სახეობის შინაური და გარეული ძუძუმწოვრების ღვიძლის ნაღვლის სადინარებსა და ნაღვლის ბუშტში. უპირატესად ავადდებიან მცონნავი ცხოველები, განსაკუთრებით - ცხვრები. აღწერილია დიკროცელიუმებით ადამიანის დაინვაზიების შემთხვევებიც.

დიკროცელიოზით გამოწვეული ზარალი გამოიხატება ავადმყოფი ცხოველების პროდუქტიულობის დაჭვებით.

აღმძვრელი. ეს არის ლანცეტისებრი ფორმის ტრემატოდა, რომლის სხეულის სიგრძეა 10-15 მმ, სიგანე - 1,5-2 მმ. ორივე მისაწილავი განლაგებულია სხეულის წინა მესამედში. მუცლის მისაწილის უკან ირიბად ძევს ორი მომრგვალო ფორმის სათესლე ჯირკვალი, ხოლო მათ უკან - საკვერცხე, თესლმიმღები და მელი-სის სხეული. დიკროცელიუმის სხეულის დანარჩენი სიგრცე ამოვსებულია მუქი ფერის საშვილოსნოს ხვეულებით. სასქესო ხვრელები იხსნება მუცლის მისაწოვრის წინ. სხეულს მთელ სიგრძეზე გასდევს ყრუდ დაბოლოებული ნაწლავის ორი ტოტი, რომელთა ირგვლივ საყვითრე ჯირკვლებია.

დიკროცელიუმის კვერცხი მცირე ზომის და ასიმეტრიული ფორმისაა, რომლის სიგრძეა 0,038-0,045 მმ, სიგანე - 0,02-0,03 მმ.

იგი დაფარულია მუქი მურა ფერის გლუვი გარსით. კვერცხს, რომელშიც ფორმირებული მირაციდიუმია, ერთ-ერთ პოლუსზე სარქველი აქვს.

დიკროცელიუმი ბიოპელმინთია. მისი შუალედური მასპინძლებია *Helicella*-ს, *Zebrina*-ს, *Theba*-ს და *Fruticola*-ს გვარების ხმელეთის მოლუსკების სხვადასხვა სახეობები, ხოლო დამატებითი - *Formica*-ს და *Proformica*-ს გვარების ჭიანჭველები.


აღმძვრელის ბიოლოგია. პარაზიტის კვერცხები ნაღველთან ერთად ხვდებიან ცხოველის ნაწლავებში, შემდეგ ფეკალთან ერთად - გარემოში. ფასციოლას მირაციდიუმისაგან განსხვავებით დიკროცელიუმის მირაციდიუმი არ გამოდის გარემოში, იგი კვერცხთან ერთად გადაიყლაპება ლოკოკინას მიერ. მოლუსკის ნაწლავებში მირაციდიუმი გამოდის კვერცხიდან და მიგრირებს ღვიძლში. აქ მას ეცდება წამწამები და მისგან ყალიბდება დედისეული სპოროცისტა, ხოლო მის სხეულში - შეილული სპოროცისტები, რის შემდეგ დედისეული სპოროცისტა რედუცირდება. თავის მხრივ შვილეულ სპოროცისტებში ფორმირდებიან ცერკარიები, რომლებიც მოწიფების შემდეგ გამოდიან სპოროცისტებიდან და სისხლის მიმოქცევის გზით მიიტანებიან მოლუსკის ფილტვებში. აქ ხდება თითეული მათგანის ინცისტირება და ჯგუფებად კონცენტრირება, ყოველ ჯგუფში დაახლოებით 200 ეგზემპლარამდე. ისინი იფარებიან ლორწოვანი გარსით, წარმოქმნიან ლორწოვან გროვებს და მოლუსკის სუნთქვითი მოძრაობისას გამოიტყორცნებიან გარემოში. მოლუსკის ორგანიზმში დიკროცელიუმების განვითარება 3-6 თვეს გრძელდება. ლორწოვან გროვებს საკვებად იყენებენ ჭიანჭველები, რომელთა



სურ. 5. *Dicrocoelium lanceatum*

წოვანი გარსით, წარმოქმნიან ლორწოვან გროვებს და მოლუსკის სუნთქვითი მოძრაობისას გამოიტყორცნებიან გარემოში. მოლუსკის ორგანიზმში დიკროცელიუმების განვითარება 3-6 თვეს გრძელდება. ლორწოვან გროვებს საკვებად იყენებენ ჭიანჭველები, რომელთა

მუცლის ღრუში ცერკარიები დაახლოებით 1-2 თვის განმავლობაში გარდაიქმნებიან მეტაცერკარიებად. დეფინიტური მასპინძლები დაკროცელიოზით ავალდებიან საძოვარზე ბალახთან ერთად მეტაცერკარიებით დაინვაზიებული ჭიანჭველების გადაყლაპვით. მათ ორგანიზმში ჭიანჭველები მოინელებიან, ხოლო გამოთავისუფლებული მეტაცერკარიები თორმეტგვჯა ნაწლავის ნაღვლის სადინარების მეშვეობით ხვდებიან ღვიძლის ნაღვლის სადინარებში, ნაღვლის ბუშტში, სადაც 2-2,5 თვის შემდეგ აღწევენ სქესობრივ სიმწიფეს. დაღვენილია, რომ ჭიანჭველას მუცლის ღრუში მეტაცერკარიების ფორმირების შემდეგ ერთი მათგანი გააღწევს დამატებითი მასპინძლის თავში და იწვევს მის გაშეშებას. ასეთ მდგომარეობაში მყოფი ჭიანჭველები მყარად არიან მიმაგრებული ბალახის ღეროებზე და არ რეაგირებენ რაიმე გამღიზიანებელზე, რაც აიოლებს დეფინიტური მასპინძლის დაინვაზიებას.



სურ. 6. *D. lanceatum*-ის განვითარების ციკლი:
1. დეფინიტური მასპინძლები; 2. კვერცხი; 3. მირაცი-დიუმი; 4. დედისეული სპოროცისტა; 5. შვილეული სპოროცისტა; 6. ცერ-კარია; 7. მეტაცერკარია; 8. ჭიანჭველა - დამატებითი მასპინძელი; 9. ცისტების გროვები; 10. ხმელეთის ლოკომინა - შუალედური მასპინძელი.

ეპიზოოტოლოგიური მონაცემები. დიკროცელიოზი თითქმის ყველგან არის გავრცელებული. ცხოველის დაინვაზიება ხდება საძოვარზე, ინტენსიურად - გაზაფხულსა და შემოღვმაზე. ბალაზე გაშეშებულ ჭიანჭველებს უფრო დილის და საღამოს საათებში პოულობენ. მეტაცერკარიებით ჭიანჭველების დაინვაზიების ინტენსიურობის მაჩვენებელი მერყეობს ერთიდან რამდენიმე ათეულ ეგზებლარამდე. რეგისტრირებულია დეფინიტური, შუალედური და დამატებითი მასპინძლების ფართო წრე, რომელთა სახეობრივი შემადგნლობა სხვადასხვა ზონაში სხვადასხვაა.

დიკროცელიუმის კვერცხი ძალზე გამძლეა გარემოს ზემოქმედებისადმი. 18-20°C ტემპერატურაზე გამოშრობას ისინი უძლებელი ერთი კვირის განმავლობაში. მათ არ კლავს +50°C ტემპერატურა. დიკროცელიუმის კვერცხი ასევე გამძლეა დაბალი ტემპერატურის მიმართაც.

კავკასიონის მთავარი ქედის საქართველოს აღმოსავლეთ, აგროვედაბლობი ზონების რაიონებში (სიღნაღის, დედოფლისწყაროს, თელავის, თეთრიწყაროს, მცხეთის) დიკროცელიუმებით ცხვრის დაინვაზიების ექსტენსიურობის მაჩვენებელი 70-99%-ის ფარგლებში მერყეობს. შედარებით დაბალია იგი სამხრეთ მთიანეთის ზონაში, კერძოდ, ახალქალაქისა და წალკის რაიონებში (64-91%). დაბლობ რაიონებში ინვარ-თებერვალში დაბადებულ ბატქნებში დიკროცელიუმებით პირველი დაინვაზიება აღინიშნება აპრილში, ხოლო ზღვის დონიდან 1500 და 2000 მეტრ სიმაღლეზე მდებარე საძოვრებზე, შესაბამისად, - მაისსა და ივნისში.

პათოგენეზი. დიკროცელიუმები პათოლოგიურ ცვლილებებს უმთავრესად ღვიძლის ნაღვლის სადინარებში იწვევენ. ინტენსიური დაინვაზიების დროს აღინიშნება ნაღვლის სადინარების კატარული ანთება, რომელიც შესაძლებელია ღვიძლის მიღიარული ციროზით დამთავრდეს.

დაავადების სიმპტომები. სუსტი დაინვაზიების შემთხვევაში კლინიკური ნიშნები გამოხატული არ არის. დაავადების მძიმედ მიმდინარეობა შეინიშნება დიკროცელიუმების დიდი რაოდენობით დაგროვებისას, რა დროსაც ცხოველი მოწყენილია, მას აღნიშნება საჭმლის მონელების ფუნქციის მოშლა, ფალარათს ენაცვლება ყაბზო-

ბა, მატყლი მსხვრევადი ხდება, კანზე მოტიტვლებული უბნები ჩნდება, მკერდისა და მკერდქეშა არეში - შეშუპებაა, ფურების წველადობა მცირდება. მოზარდეულში დაავადება უსიმპტომოდ მიმდინარეობს. დიკროცელიოზი კლინიკურად უფრო სამ წელზე უხნესი ასაკის ცხვარში ვლინდება. აღინიშნება სიგამხდრე, პროგრესირებადი გამჭველება, ყველა სახის პროდუქტიულობის მაჩვენებლის შემცირება. არასრულფასოვანი მოვლა-შენახვისა და კვების პირობებში არცთუ იშვიათია დიკროცელიოზით დაავადებული ცხვრისა და მსხილფეხა რქოსანი პირუტყვის სიკვდილი.

პათოლოგიურ-ანატომიური ცვლილებები. ძლიერი დაინვაზიების დროს ღვიძლი გადიდებულია, ნაღვლის სადინარები გაფართოებული და მკვრივი. განაჭერზე გამოდის მოყავისფრო-მომწვნო ფერის ნახევრად თხიერი მასა, რომელიც დიდი რაოდენობით დიკროცელიუმებს შეიცავს. ასევე გადიდებულია ნაღვლის ბუშტი, რომელიც გადაფქებულია მოყავისფრო ბლანტი ნაღვლით და დიკროცელიუმებით. ღვიძლის კაფსულაზე შეინიშნება უსწორმასწორო ბადისებრი სურათი, რომელიც შედგება მოლურჯო-მონაცრისფრო მრავლობითი წვრილი შეხორცებისაგან. ზოგ ადგილას ბადე ერთიანდება და წარმოიქმნება შესქელება თეთრი ლაქების სახით. ასეთი ცხოველის ლეშის გაკვეთისას აღინიშნება სიგამხდრე, ანემია, კანქვეშა უჯრედისის ინფილტრაცია.

დიაგნოზი. ცხოველის სიცოცხლეში დიაგნოზს სვამებ ეპიზოტოლოგიური მონაცემებისა და ფეკალის ჰელმინთოოვოსკოპიური (თანამიმდევრობით გადარეცხვის ან ფლოტაციის მეთოდები) გამოკვლევის შედეგად სინჯში დიკროცელიუმის კვერცხების აღმოჩენის საფუძველზე. ცხოველის სიკვდილის ან იძულებითი დაკვლის შემდეგ დიაგნოზი დამყარებულია ღვიძლის გაკვეთის შედეგებზე. დაინვაზიების ინტენსიურობის დასადგენად ღვიძლის ვისცერალურ ზედაპირზე აკეთებენ სამ პარალელურ ღრმა ჭრილს და ითვლიან გამოვლენილი დიკროცელიუმების რაოდენობას. ინტენსიური ინვაზიის ღვიძლის გადახვის პარაზიტების რაოდენობა რამდენიმე ათას ეგზემპლარს აღწევს.

მკურნალობა. დიკროცელიოზის საწინააღმდეგოდ მაღალეფექტი-ანი პრეპარატია ჰექსიქოლი. მოზრდილ მსხილფეხა რქოსან პი-

რუტყვეს მას უნიშნავენ დოზით 0,3 გ/კგ, მოზარდეულს - 0,4 გ/კგ, ცხვარსა და თხას - 0,4 გ/კგ ცხოველის მასაზე. მოზრდილ მსხილფეხა რქოსან პირუტყვეს პრეპარატი ეძლევა ინდივიდუალურად, 0,5-1 კგ დაღერლილ მარცვალთან ან კომბინირებულ საკვებთან ერთად. ხბოებს ამ ნარევს აძლევენ 10-12 ცხოველისაგან შემდგარ ჯგუფს. ცხვარსა და თხას ჰექსიქოლი ეძლევათ კომბინირებულ საკვებთან შერეული, შეფარდებით 1:8 - 1:10-თან, დილით კვების დროს. დეპელმინთიზებული ცხოველის ღვიძლიდან პარაზიტების გამოყოფა პრეპარატის მიცემიდან 12 საათის შემდეგ იწყება და მეშვიდე დღემდე გრძელდება.

კარგი შედეგია მიღებული ჰექსაქლორპარაქსილოლის გამოყენებით, რომელიც მოზრდილ მსხილფეხა რქოსან პირუტყვეს ეძლევა დოზით 0,4 გ/კგ, მოზარდეულს - 0,5 გ/კგ; ცხვარსა და თხას - 0,6 გ/კგ ცხოველის მასაზე სამჯერ, დამუშავებათა შორის ერთი თვის ინტერვალით.

წარმატებით გამოიყენება აგრეთვე პრეპარატები: ატაზოლ-ფორტე-300, ექსიპტოლ-600, ექსიპტოლ-2500, ფილიქსანი, რომელთა, აგრეთვე ჰექსაქლორპარაქსილოლით დეპელმინთიზაციის მეთოდიკა და წესები ისეთივეა, როგორიც ფასციოლოზის დროს.

პროფილაქტიკა და ბრძოლის ღონისძიებები მოიცავს დიკროცელიოზის საწინააღმდეგო ღონისძიებათა კომპლექსს, რომლის შემადგენელი ელემენტებია: მოზრდილი სულადობის დეპელმინთიზაცია, საძოვრების ჰელმინთოლოგიური შეფასება, შუალედური მასპინძლების მოსპობა, მოზარდეულის ბაგურ-სეირანული შენახვისა და ვეტერინარიულ-სანიტარიული შეზღუდვების ორგანიზება.

ცხვრის პროფილაქტიკური დეპელმინთიზაცია უმჯობესია ჩატარდეს ნოემბერ-დეკემბერში და აპრილში (დოლის გათვალისწინებით). დაახლოებით ამავე ვადებში უნდა მოხდეს მსხილფეხა რქოსანი პირუტყვის დამუშავებაც. შუალედური მასპინძლების (მოლუსკები) წინააღმდეგ ბრძოლაში კარგ შედეგს იძლევა ყამირი მიწების გადახვნა (შემდგომში კულტურული ბალახების დათესვით), ბუჩქარების ამოძირება, საძოვრების გაწმენდა ქვებისაგან, ხოლო იქ, სადაც ეს დასაშვებია, - ხმელი ბალახის გადაწვა.

საძოვრული პროფილაქტიკის მიზნით შემოთავაზებულია ჭიან-

ჭველების ბუდეების შემოღობვის მეთოდი. ჭიანჭველების ბუდეები დიკროცელიოზური ინვაზიის მიკროკერას წარმოადგენენ და მათი იზოლირებით შესაძლებელი ხდება დაინვაზიებისაგან ცხოველების დაცვა და ჭიანჭველების შენარჩუნება, რომლებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ტყისა და ტყის ნარგავების ბიოლოგიური დაცვის საქმეში.

ცხოველების დაინვაზიებისათვის განსაკუთრებით სახიფათოა მდინარეების ხეობებსა და ჭალებში არსებული საძოვრები. დიკროცელიოზზე არაკეთილსამედო მეურნეობებმა, რომელთაც საკმაო რაოდენობით აქვთ სავარგულები, წვრილფეხა რქოსანი პირუტყვი უნდა იყოლიონ მშრალ ნაკვეთებზე, ხოლო დასარწყულებლად შეარჩიონ ბუჩქებისა და ხშირი მცენარეებისაგან თავისუფალი, მზით კარგად განათებული მშრალი სანაპირო ადგილები.

ხორციობინატებსა და ცხოველთა სასაკლაონებში აუცილებელია მცონნავ ცხოველთა ღვიძლის გულდასმითი ვეტერინარიულ-სანიტარიული ექსპერტიზა. ძლიერ დაინვაზიებული ღვიძლი იგზავნება საუტილიზაციოდ, სუსტად დაინვაზიებული შესაბამისი სანიტარიული დამუშავების შემდეგ გამოიყენება შეუზღუდავად.

განხორციელებულ ღონისძიებათა უფექტიანობის შემოწმება ხდება ყოველწლიურად. ამ მიზნით დიკროცელიოზზე არაკეთილსამედო ფერმიდან ან ფარიდან კოპროლოგიურად იკვლევენ 20-30 ცხოველს.

მცონნავ ცხოველთა პარამფისტომიზოგაბი

პარამფისტომიდოზები მცონნავ ცხოველთა დაავადებებია, რომელთა აღმძვრები მიეკუთვნებიან *Paramphistomata*-ს ქვერაზმს. მასში გაერთიანებულია ორი ოჯახი: *Paramphistomidae* და *Gastrophilidae*, რომელთა წარმომადგენლების მიერ გამოწვეული დაავადებების საერთო სახელწოდებებია, შესაბამისად, პარამფისტომიდოზები და გასტროთოლაციდოზები (ოჯახის დასახელებიდან გამომდინარე). საქართველოში გავრცელებულია პარამფისტომიდოზები.

ცნობილია პარამფისტომიდოზების 81 აღმძვრელი. მათგან საქარ-


თველოში გამოვლენილია ორი სახეობა - *Paramphistomum cervi* და *Calicophoron calicophorum*. მათ მიერ ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში დაინვაზიებული აღმოჩნდა მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, კამეჩი, ცხვარი და შველი.

პარამფისტომიდოზების აღმძვრებები პარაზიტობენ წვრილი ნაწლავისა და მაჭიკის ლორწოვან გარსებში (ლარვული ფორმები) და ფაშვსა და ბადურაში (ზრდასრული ფორმები). ამ დაავადებებს ახასიათებთ მწვავე და ქრონიკული მიმდინარეობა. მწვავე ფორმას, რომელიც უმეტესად მოზარდეულში ვლინდება, იწვევენ პარამფისტომიდების ლარვები, ქრონიკულს - ზრდასრული ტრემატოდები.

პარამფისტომიდოზები დიდ ეკონომიკურ ზარალს აყენებენ მცხოველეობის დარგს. მწვავე ფორმით მათი მიმდინარეობისას იღუპება მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის მოზარდეულის 50-100%, ფერხდება მისი ზრდა-განვითარება, ქრონიკული მიმდინარეობისას კი მცირდება პროდუქტიულობა.

აღმძვრებები. ზრდასრული პარამფისტომიდები ცილინდრული ან მსხლისებრი ფორმისაა. მათი სხეულის ზომები სიგრძეში 20 მმ-მდეა, სიგანეში - 8 მმ-მდე. სხვა ტრემატოდებისაგან განსხვავებით მათ არ გააჩნიათ პირის მისაწოვარი, ხოლო მუცლის მისაწოვარი, რომლითაც პარამფისტომიდები ემაგრებიან ფაშვის ხაოებს, მდებარეობს სხეულის ბოლოში. პირის ხველის უკან ხახაა. მისგან გამოდის ყრუდ დაბოლოებული ნაწლავის ორი ტოტი, რომელთა ირგვლივ საყვითრე ჯირკვლებია. სხეულის ცენტრში ერთმანეთის მიყოლებით განლაგებულია ცილინდრული ფორმის ქქონე მეტესლე ჯირკვალი, ხოლო მათ უკან - მომცრო ზომის საკვერცხე. საშვილოსნოს მილი დაკლაკნილია და თითქმის მთელ სხეულს ავსებს.

პარამფისტომიდების კვერცხები, რომელთა ნაცრესფერი შეფერილობა აქვთ, ოვალური ფორმის არი-



სურ. 7. *Paramphistomum* sp.

ან. მათი ზომები სიგრძეში მერყეობს 0,107-დან 0,189 მმ-დან, სიგანეში - 0,060-დან 0,108 მმ-დან. კვერცხს, რომლის გარსი გლუ-ვი და ორკონტურიანია, ერთ პოლუსზე სარქველი აქვს, მეორეზე - ონდავ შესამჩნევი ბორცვი. შეგთავსი შედგება ოვალური ფორმის კვერცხუჯრედისა და საყვითრე მასისაგან.

პარამფისტომიდები - ბიოპელმინთებია. მათი შუალედური მასპინ-ძლებია - Planorbidae-ს ოჯახის მტენარი წყლის ლოკოკინები, ე.წ. კოჭელები. მათგან პარამფისტომიდოზების ეპიზოოფოლოგიაში ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს მოვარაყებულ კოჭელას (Planorbis planorbis), რომელიც სხვა სახეობის კოჭელებისაგან განსხვავებით ფართოდ გავრცელებული სახეობაა და უფრო მეტად არის დაინვაზიებული პარამფისტომიდების ლარვული ფორმებით.

აღმძვრელების ბიოლოგია. პარამფისტომიდების ყველა სახეობი-სათვის განვითარების ციკლი თითქმის ერთნაირია. გარემოში გამოყოფილი მათი კვერცხების შემდგომი განვითარებისათვის აუცილებელია სითბო და წყლიანი არე. 19-27°C ტემპერატურაზე კვერცხში ორ კვირაში ვითარდება მირაციდიუმი, რომელიც გამოიჩინება და თავისუფლად ცურავს წყალში. აქ იგი თავს ესხმის კოჭელას, შეიჭრება მის სხეულში და სამ დღეში გარდაიქმნება სპოროცისტად. დაახლოებით 2-3 კვირის შემდეგ სპოროციტას სხეული იშლება და მისგან გამოთავისუფლდებიან რედიები, რომლებიც 21-25 დღის შემდეგ იწყებენ შვილეული რედიებისა და ცერკარიების პროდუცირებას. ცერკარიების სრული ფორმირება დაახლოებით 2-3 თვეს გრძელდება, რის შემდეგ ისინი ტოვებენ მოლუსკის ორგანიზმს, გამოდიან წყალში, სადაც თავისუფლად ცურავენ ან ემაგრებიან ბალანსის ღეროებს, წყალმცენარეებს, ინცისტირდებიან და გარდაიქმნებიან ადოლესკარიებად. საკვებთან ან წყალთან ერთად მცოხნავ ცხოველთა საჭმლის მოწელებელ ტრაქტში მოხვედრილი ადოლესკარიები-დან გამოთავისუფლებული ლარვები შეჭრებიან წვრილი ნაწლავის ლორწოვნ გარსში, სადაც გადიან ქსოვილოვანი განვითარების სტა-დიას. შემდეგ ისინი ინაცვლებენ ფაშვში, სადაც ამთავრებენ ზრდას და იწყებენ კვერცხების პროდუცირებას. დეფინიტური მასპინძლის ორგანიზმში პარამფისტომიდების სქესობრივი სიმწიფის სტადიამდე განვითრებისათვის საჭიროა დაახლოებით 4-5 თვე.

ეპიზოოფოლოგიური მონაცემებით მცოხნავ ცხოველთა დაინვაზიება ხდება საძოვრული შენახვის პერიოდში ჰარბტენიან საძოვარზე მათი ძოვებისას, თუმცა ეს შესაძლებელია ბაგური შენახვის პირობებშიც, თუ პირუტყვის საკებად გამოიყენება პარამფისტომიდოზების კერებში გათიბული მწვანე მასა ან დამზადებული თივა. დაავადების მწვავე მიმდინარეობა მასობრივად ვლინდება ჭარბალექიან წლებში, ხბოების საძოვარზე გარეკვიდან ერთი თვის შემდეგ.

პარამფისტომიდოზების გავრცელებას ხელს უწყობს გაზაფხულის წყალდიდობები, ხშირი წვიმები, რა დროსაც ხდება შუალედური მასპინძლების - კოჭელების დიდ ფართობებზე გადატანა. საქართველოში დაინვაზიების საშიშროების თვალსაზრისით სახიფათოა პირუტყვის ძოვება ისეთ საძოვრებსა და მდინარეთა ჭალებში, სადაც არის მცირე სიღრმის მქონე დროებითი და მუდმივი გუბეები. უპირატესად ასეთ ბიოტოპებში ბინადრობენ პარამფისტომიდების ლარვული ფორმებით დაინვაზიებული მოლუსკები, რომელთა გამოვლენა შესაძლებელია მთელი საძოვრული პერიოდის განმავლობაში. მათი რაოდენობა განსაკუთრებით მატულობს აგვისტო-სექტემბერში.

საქართველოში პარამფისტომიდოზები გავრცელებულია გერობრივად, უმთავრესად შავი ზღვის სანაპირო ზოლისა და ბარის რაიონებში. დაავადება გამოვლენილია სამეცნიეროსა და მდინარე ალაზნის გასწვრივ მდებარე ყველა რაიონში.

პათოგენები. ახალგაზრდა პარამფისტომიდები მიგრაციისას იწვევენ ღრმა პათოლოგიურ ცვლილებებს მასპინძლის ორგანიზმში, პირველ რიგში - წვრილ ნაწლავებსა და მაჭიკში, სადაც ირღვევა სეკრეტორული ფუნქცია, ვითარდება კატარულ-ჰემორაგიული პროცესები, რასაც მოსდევს საჭმლის მონელების ფუნქციის მოშლა და პროგრესირებადი გამჭლევება.

დაავადების სიმპტომები. მსხვილფეხა რქოსან პირუტყვში დაავადების მწვავე ფორმით მიმდინარეობა დაკავშირებულია ახალგაზრდა პარამფისტომიდების მიგრაციის პროცესთან, რა დროსაც, უმრავლეს შემთხვევაში, დაავადება ლეტალურად მთავრდება ან ქრონიკულ მიმდინარეობას იძენს. კლინიკური ნიშნები ვლინდება არაკეთილსამედო საძოვარზე პირუტყვის გარეკვიდან 2-4 კვირის შემდეგ, რაც

20-35 დღეს გრძელდება. ავადმყოფი ცხოველი მოდუნებული და მოწყენილია, ნაკლებად მოძრაოს, სუსტად რეაგირებს გამრიშიანებელ ფაქტორებზე. მისი ხილული ლორწოვანი გარსები ფერმრთალია. ცხოველი კვნესის, კბილებს აკრაჭუნებს და მადას კარგავს. მას აღენიშნება პროგრესირებადი გამჭლევება, წინაკუჭების ჰიპოტონია და ატონია, ფალარათი, რომელიც ყაბზობით იცვლება, შეშუპება ყბისქვეშა და მკერდქვეშა არეში. შარდში ჩნდება ცილა. სისხლში კლებულობს ერითროციტების რაოდენობა და ჰემოგლობინის შემცველობა. ვითარდება ლეიკოპენია ან ლეიკოციტოზი. დაავადების ქრონიკული ფორმით მიმდინარეობისას მსხვილფეხა რქოსან პირუტყვს აღენიშნება ხანგრძლივი, უწყვეტი ფალარათი, პროგრესირებადი გამჭლევება და ანემია.

ცხვრებში დაავადება მიმდინარეობს მწვავე და ქრონიკული ფორმებით. ნაწლავის ლორწოვან გარსში ახალგაზრდა პარამფისტომიდების დიდი რაოდენობით დაგროვებისას გითარდება ფალარათი. შეინიშნება შეშუპება ყბისქვეშა და მკერდქვეშა არეში, აგრეთვე მუცლის ქვედა მიდამოში. ფაშვსა და ბადურაში სქესმწიფე პარამფისტომიდების ლოკალიზაციის დროს დაავადება უსიმბტომოდ მიმდინარეობს, მაგრამ ცხოველი ჩამორჩება ზრდა-განვითარებაში და გამხდარია.

პათოლოგიურ-ანატომიური ცელილებები. ამ ცელილებათა ზასიათი დამოკიდებულია დაინვაზიების ინტენსივობაზე და გამოიხატება თორმეტგოჯა ნაწლავისა და მაჭიკის პილორული ნაწილის კატარულ-ჰემორაგიული ანთებით, ჯორჯლის ლიმფური კვანძების გადიდებით, ხილული ლორწოვანი გარსების ანემიურობით, გამჭლევებით. ყბისქვეშა და მკერდქვეშა არებში ლაბისებური ინფილტრატია. თორმეტგოჯა ნაწლავში პოულობენ ათასობით პარამფისტომებს. დაავადების ქრონიკული ფორმის დროს ფაშვში აღინიშნება ხაოების ატროფია.

დიაგნოზი. ცხოველის სიცოცხლეში პარამფისტომიდონებზე დიაგნოზი ისმება ეპიზოტოლოგიური მონაცემების, კლინიკური ნიშნებისა და ფეკალის კოპროლოგიური გამოკვლევით (თანამიმდევრობით გადარცხვის მეთოდი). პარამფისტომიდების კვერცხები ფორმით და ზომით ძლიერ გვანან ფასციოლების კვერცხებს, მაგრამ მათგან განსხვავდებიან ფერით. ფასციოლების კვერცხებს მოყვითა-

ლო შეფერილობა აქვთ, პარამფისტომიდებისას - ღია მონაცრისფრო. ცხოველის სიკვდილის შემდეგ დიაგნოზს აზუსტებენ გაკვეთით, რა დროსაც წვრილ ნაწლავებსა და მაჭიკიში ნახულობენ პარამფისტომიდების ახალგაზრდა ფორმებს.

მკურნალობა. მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის პარამფისტომიდონების დროს იყენებენ: ბითიონოლს დოზით $0,07 \text{ g/g}$ ცხოველის მასაზე, ინდივიდუალურად, დაღერღილ მარცვალთან ან კომბინირებულ საკვებთან შეფარდებით $1:10-1:20$ -თან, 8-12 საათიანი შშიერი დიეტის შემდეგ. პარამფისტომიდონების საწინააღმდეგოდ მაღალუფექტიანი პრეპარატებია ტეტრაქსიქოლი, რომელიც ცხოველს ეძლევა დოზით $0,2 \text{ g/g}$ ცხოველის მასაზე, საკვებთან შერეული, ერთჯერად, და ფისტიკლოზანიდი, რომელიც გამოიყენება დოზით 1 g/g (15 მგ/კგ აქტიურად მოქმედი ნივთიერების მიხედვით) ცხოველის მასაზე, საკვებთან შერეული, ერთჯერად.

პროფილაქტიკა და ბრძოლის ლონისძიებები ისეთივეა, როგორიც ფასციოლოზის დროს. დეკემბერში, ბაგური შენახვის პირობებში ცხოველის გადაყვანის შემდეგ, საჭიროების შემთხვევაში, შესაძლოა ორი დეჰელმინთიზაციის ჩატარება. ამასთან მეორე უნდა ჩატარდეს პირველი დეჰელმინთიზაციიდან არა უადრეს ორი კვირისა. ზაფხულში, დაავადების მასობრივად გამოვლენის შესაძლებლობის შემთხვევაში, მოზარდეულის საძოვარზე გაშვებიდან 3-4 კვირის შემდეგ ახორციელებენ ორჯერად პრეიმაგინალურ დეჰელმინთიზაციას 10 დღის შუალედით.

სორცისმაზამელთა ოპისთორქოზი

ოპისთორქოზი ძალლის, კატის, ბეწვიანი ნადირის, გარეული ზორცისმჭამელების, აგრეთვე ადამიანის დაავადებაა. მისი აღმძვრებლია *Opisthorchis felineus*, რომელიც მიეკუთვნება ოჯახს - *Opisthorchidae*. ოპისთორქისები პარაზიტობენ ღვიძლის ნაღვლის სადინარებში, იშვიათად - ნაღვლის ბუშტში და კუჭქვეშა ჯირკვლის სადინარებში.


აღმძვრებლი. ოპისთორქისების სხეული ლანცეტისებრი ფორმისაა, რომლის ზომა სიგრძეში შეადგენს 8-12 მმ-ს, სიგანეში - 1,2-2 მმ-ს.

სხეულის წინა მესამედში პირისა და მუცლის მისაწოვრებია. პირის მისაწოვარი გრძელდება ხახით, რომლიდანაც გამოდის ყრუდ დაბოლოებული ნაწლავის ორი ჭოტი. ისინი მთელ სიგრძეზე გასდევენ სხეულს, რომლის შუა მესამედში მათ გარს ეკვრის საყვითრე ჯირკვლები. სხეულის ბოლო მესამედში ერთმანეთის მიყოლებით განლაგებულია ორი სათესლე ჯირკვალი, რომელთა შორის S-ის მსგავსად დაკლაკნილი ექსკრეტორული ბუშტია. სათესლე ჯირკვლების წინ მდებარეობენ საკვერცხე და თესლმიმღები. სხეულის დანარჩენი სივრცე ამოვსებულია საშვილოსნოს ხევულებით.

ოპისთორქისები ძალზე გვანან დიკროცელიუმებს. გარეგნულად მათ შორის ის განსხვავებაა, რომ ოპისთორქისებს სათესლე ჯირკვლები სხეულის უკანა მესამედში აქვთ განლაგებული, დიკროცელიუმებს - წინაში.

ამ ტრემატოდას კვერცხი, რომელშიც ფორმირებული მირაციდიუმია, ღია მოყვითალო ფერისაა. მას ოვალური ფორმა აქვს და თხელი, ორშოთესლები ჯირკვლები; 8. საყვითრე რიანი გარსი აკრავს. კვერცხის ერთ ჯირკვლები; 9. თესლგამომტენი არხი; პოლუსზე სარქველია, მეორეზე - მცირე ქაცვისებრი წამონაზარდი. მისი ზომებია სიგრძეში - 0,023-0,034 მმ, სიგანეში - 0,011-0,019 მმ.

ოპისთორქისი - ბიოპელმინთია. მისი შუალედური მასპინძელია მტკნარი წყლის მოლუსკი - *Bithynia leachi*, დამატებითი - კობრისებრი თევზების მრავალი სახეობა (ნაფოტა, ჭანარი, იდი, კობრი, კა-



სურ. 8. *Opisthorchis felineus*

- 1.პირის მისაწოვარი;
- 2.ნაწლავი;
- 3.საშვილოსნო;
- 4.საკვერცხე;
- 5.თესლმიმღები;
- 6.გამომყოფი არხი;
- 7.სალური ფორმა აქვს და თხელი, ორშოთესლები ჯირკვლები;
- 8.საყვითრე რიანი გარსი აკრავს.
- 9.თესლგამომტენი არხი;
- 10.მუცლის მისაწოვარი;
- 11.ხახა.

პარჭინა და სხვ.).

აღმმბვრელის ბიოლოგია. ოპისთორქისის კვერცხი ნალველთან ერთად ხვდება ნაწლავში და ფერალთან ერთად გამოიტანება გარემოში, სადაც შემდგომი განვითარებისათვის აუცილებელია მისი მოხვედრა წყალში. აქ იგი გადაიყლაპება შუალედური მასპინძლის - ბითინიას მიერ. მის ნაწლავში კვერცხიდან გამოდის მირაციდიუმი, რომელიც შეაღწევს მოლუსკის ღრუში, სადაც გარდაიქმნება სპოროცისტად. იგი შეიცავს რედიებს, რომლებიც დაახლოებით ერთი თვის შემდეგ გამოდიან სპოროცისტას სხეულიდან და შეიჭრებიან მოლუსკის ღვიძლში, სადაც მათში ფორმირდებიან ცერკარიები. მოლუსკის ორგანიზმში ოპისთორქისის კვერცხის მოხვედრიდან ორი თვის შემდეგ ცერკარიები გამოდიან წყალში და ცურავენ წყალსატევის ფსკერის შორიახლოს. ისინი თავს ესხმიან თევზებს, მათი კანის საფარველიდან გააღწევენ კანქვეშა ცხიმოვან ქსოვილში, კუნთებში, სადაც ჩაბუდებენ და დახლოებით ექვსი კვირის შემდეგ გარდაიქმნებიან მეტაცერკარიებად.

ოპისთორქისებით დეფინიტური მასპინძლების დაინვაზიება ხდება უმი, გაყინული, შებოლილი ან თერმულად არასაკმარისად დამუშავებული მეტაცერკარიებით დაინვაზიებული თევზის შეჭმისას, რომლის ნაწლავებში გამოთავისუფლებული მეტაცერკარიები ნაღვლის სადინარების გზით გააღწევენ ღვიძლსა და ნალვლის ბუშტში, სადაც 3-4 კვირის შემდეგ ჩამოყალიბდებიან ზრდასრულ ოპისთორქისებად და იწყებენ კვერცხების პროდუცირებას.

ოპისთორქისების განვითარების მთელი ციკლი, კვერცხიდან სქეს-მწიფე პარაზიტამდე, დაახლოებით ოთხ თვეს გრძელდება.

ეპიზოოტოლოგიური მონაცემები. ოპისთორქოზი ბუნებრივ-კერობრივი დაავადებაა. იგი გავრცელებულია მდორე ღინების მქონე, წყალმცენარეებით მდიდარი მდინარეების აუზებში, ჭალის წყალსატევებში, სადაც უპირატესად ბინადრობენ დაავადების აღმმბრელის შუალედური მასპინძლები - ბითინები. ინვაზიის გავრცელების ძირითადი წყაროა ოპისთორქოზით დაავადებული ადამიანი, რომლის ფერალი მდინარეების ნაპირებზე განლაგებული ტუალეტებიდან, ან მის მიერ სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დარღვევის გამო, ხვდება წყალში. მდინარეებსა და წყალსატევებში ძაღლისა და კატის

ფეკალის მოხვედრა ნაკლებად შესაძლებელია.

პათოგენური ღვიძლის ნაღვლის სადინარების ლორწოვანი გარსზე ოპისთორქისების მიერ მექანიკური და ტოქსიკური ზემოქმედების შედეგად ვითარდება სადინარების ქრონიკული ანთება და ციროზული ცვლილებები ღვიძლში. პარაზიტების დიდი ინტენსივობით დაინვაზიების შემთხვევაში ფერხდება ნაღვლის დენა, ზოგჯერ ხდება მისი შეგუბება, რაც იწვევს სადინარების კისტოზურ გაგანიერებას. ოპისთორქისების ნივთიერებათა ცვლის პროდუქტები დავადების მიმდინარეობას აღერგიული მოვლენებით ართულებენ.

დაავადების სიმპტომები. ავადმყოფი ცხოველის სხეულის ტემპერატურა ნორმალურია. მას აღენიშნება ლორწოვანი გარსების სიყვითლე, მადის დაჭეითება, მოღუნება, საერთო დაუქმლურება, საჭმლის მომნელებელი ტრაქტის აშლილობა (ფალარათი, რომელიც იცვლება ყაბზობით). ხელის დაჭრისას იგრძნობა ტკივილი ღვიძლის არეში. ღვიძლი გადიდებული და გამკვრივებულია, მის ზედაპირზე სხვადასხვა ზომისა და ფორმის ბორცვებია. სუსტი დაინვაზიების დროს კლინიკური ნიშნები გამოხატული არ არის.

პათოლოგიურ-ანატომიური ცვლილებები. ღვიძლი გამკვრივებულია, ნაღვლის სადინარები – გაგანიერებული, განივად გადაჭრილი სადინარებიდან გამოედინება მოყვითალო-მწვანე მასა, რომელიც ოპისთორქისებს შეიცავს. ნაღვლის ბუშტი და მსხვილი სადინარები დაჭიმულია, მათი კედლები გასქელებულია. ზოგჯერ ღვიძლში აღნიშნავენ პაპილომატოზური და ადენომატოზური ხასიათის ჩაზრდებს. ძალლებს შეიძლება განუვითარდეთ სიმსივნეები.

დიაგნოზი ისმება ეპიზოოტოლოგიური მონაცემების, კლინიკური ნიშნების და ფეკალის კოპროლოგიური (თანამიმდევრობით გადარეცხვისა და ფლოტაციის მეთოდები) გამოკვლევის შედეგების საფუძველზე. ოპისთორქოზის დროს შესაძლებელია იმუნობიოლოგიური რეაქციის გამოყენებაც. ყურის ნიჟარას კანის გარე ზედაპირზე აღერგენის (0,1 მლ) შეყვანიდან 15-20 წუთის შემდეგ დაავადებულ ცხოველებს უვითარდებათ 1,5-2 სმ დიამეტრის მქონე პაპულა, რომელიც ადვილად ჩანს და პალპაციისას კარგად შეიგრძნობა.

მკურნალობა. მელიას და ყარსაღს უნიშნავენ ჰექსიქოლს დოზით 0,2-0,3 გ/კგ ერთჯერად, ინდივიდუალურად, ხორცის ფარშში შერე-

ულს, 12-საათიანი მშიერი დიეტის შემდეგ. დაავადების მძიმე ფორმით მიმდინარეობისას ცხოველს პრეპარატს აძლევენ დოზით 0,1 გ/კგ ერთ მიღებაზე, ორი ღლის განმავლობაში ზედიზედ.

შეიძლება ჰექსაქლორეთანის გამოყენება დოზით 0,1-0,2 გ/კგ ერთჯერად, ხორცის ფარმატიკული ერთად, 12-18-საათიანი მშიერი დიეტის შემდეგ.

ძალლებისათვის რეკომენდებულია ჰექსაქლორპარაქსილოლი ან ჰექსაქლორეთანი დოზით 0,1-0,2 გ/კგ ორი ღლის განმავლობაში ზედიზედ. მაკე ძედერებს დეპელმინთიზაციას უტარებენ არა უგვიანეს ერთი თვისა დალეკვიანებამდე.


პროფილაქტიკა. ოპისთორქისებით დაინვაზიებისაგან დაცვის მიზნით ძალლებს, კატებსა და ბეწვიან ნადირს არ უნდა მიეცეთ უმი, გაყინული, გამხმარი, შებოლილი და თერმულად არასაკმარისად დამუშავებული მტკნარი წყლის თევზი.

ფრინველის პროსტოგონიმუზი

პროსტოგონიმოზი ქათმის, ინდაურის, იშვიათად იხვის და ბატის, აგრეთვე გარეული ფრინველის დაავადებაა. მისი გამომწვევია რამდენიმე სახეობის ტრემატოდა, რომელიც მიეკუთვნებიან Prosthognomimidae-ს ოჯახს. მათგან განსაკუთრებით გავრცელებულია - *Prosthognomimus ovatus* და *P. cuneatus*. მოზარდ ფრინველებში პროსტოგონიმუსები პარაზიტობენ ფაბრიციუსის ჩანთაში, მოზრდილებში - კვერცხსავალში. ამ დაავადებისათვის დამახასიათებელია კვერცხდების ფუნქციის მოშლა, უნაჭუჭო კვერცხის წარმოქმნა და მისი, ასე ვთქვათ, - გადოლვრა.

აღმძვრელები. პროსტოგონიმუსების სხეული მსხლისებრი ფორმისაა, რომლის ზომებია სიგრძეში - 3-6 მმ, სიგანეში - 1-2 მმ. *P. ovatus*-ის პირის მისაწოვრის უკან ხახაა, რომელიც გრძელდება ყრუდ დაბოლოებული ნაწლავის ორი ტოტით. მათ გარს ეკვრიან საყვითრე ჯირკვლები. მუცლის მისაწოვრის წინ საკვერცხეა, ხოლო უკან - ოვალური ფორმის ორი სათესლე ჯირკვალი. სხეულის დანარჩენი სივრცე ამოქსებულია საშვილოსნოს ხვეულებით.

დაახლოებით ასეთივეა *P. cuneatus*-ის აგებულებაც, ოღონდ პირ-კელი სახეობისაგან იგი იმით განსხვავდება, რომ მისი საკერცხე განლაგებულია მუცლის მისაწოვრის უკან, ხოლო საშვილოსნოს მი-



სურ. 9. მარცხნივ – *P. ovatus* მარჯვნივ – *P. cuneatus*

1.მამრობითი და მდედრობითი სასქესო ხვეული; 2.პირის მისდაწოვარი; 3.ხახა; 4.საყლაპავი; 5.მამრობითი ბურსა; 6.ნაწლავი; 7.საშვილოსნო; 8.მუცლის მისაწოვარი; 9.საკვითორე ჯირკვლები; 10.საკვერცხები; 11.სათესლე ჯირკვლები; 12.საშვილოსნოს ხვეულები; 13.ექსკრეტორული არხი.

ლი სხეულის წინა ნაწილში არ წარმოქმნის ხვეულებს.

პროსთოგონიმუსების კვერცხები მცირე ზომისაა (სიგრძე - 0,022-0,027 მმ, სიგანე - 0,013-0,016 მმ). მათ ოვალური ფორმა და მუქი ყვითელი შეფერილობა აქვთ. კვერცხის ერთ პოლუსზე სარქველია, მეორეზე - ქაციისებრი წარმონაზარდი.

პროსთოგონიმუსები - ბიოპელმინთებია. მათი შუალედური მასაზინძლებია - *Bithynia*-ს და *Graulus*-ის გვარების წარმომადგენელი მტკნარი წყლის ლოკოკინები, დამატებითი - ჭრიჭინების მრავალი სახეობა.

აღმტვრელის ბიოლოგია. პროსთოგონიმუსებით დაინვაზიებული ფრინველი ფეკალთან ერთად გარემოში გამოყოფს ამ ტრემატოდების კვერცხებს, რომლებიც შემდგომი განვითარებისათვის უნდა მოხვდნენ წყალში. სათანადო ტემპერატურული პირობების არსებობის შემთხვევაში მათში ერთი-ორი კვირის განმავლობაში ვითარდებიან მირაციდიუმები, რომლებიც გამოღიან წყალში და შეიჭრებიან ბითინიების ან გურაულუსების ორგანიზმში. მოლუსკის ღვიძლში ისინი გარდაიქმნებიან სპოროცისტებად, რომლებშიც დაახლოებით 45 დღეში ვითარდებიან ცერკარიები. ფორმირების დასრულების შემდეგ ცერკარიები ტოვებენ მოლუსკის ორგანიზმს და თავისუფლად ცურავებ წყალში, სადაც მათი სიცოცხლის ხანგრძლივობა ერთ დღეს არ აღმატება. თუ ამ დროის განმავლობაში ცერკარიებს შეისრუტავენ ჭრიჭინების ლარვები, ამ უკანასკნელთა ორგანიზმში ისინი გარდაიქმნებიან მეტაცერკარიებად, რომლებიც 70 დღის შემდეგ აღწევენ ინვაზიურ სტადიას. პროსთოგონიმოზით ქათმები ავადდებიან მეტაცერკარიებით დაინვაზიებული ჭრიჭინების ლარვების ან მათი ზრდასრული ფორმების გადაყდაპვისას. დეფინიტური მასაზინძლის ნაწლავებში გამოთავისუფლებული მეტაცერკარიები შეაღწევენ კვერცხსავალში ან ფაბრიციუსის ჩანთაში, სადაც ორ კვირაში აღწევენ ზრდასრულ სტადიას და იწყებენ კვერცხების პროდუცირებას.

ეპიზოოტოლოგიური მონაცემები. პროსთოგონიმოზისათვის დამასასიათებელია კერობრივი გავრცელება. დაავადება ვლინდება გაზაფხულის ბოლოს-ზაფხულის თვეებში. იგი განსაკუთრებით მძიმედ მიმდინარეობს კვერცხმდებელ ქათმებში. გაზაფხულზე, მეტაცერკარიებით დაინვაზიებული გამოზამთრებული ჭრიჭინების ლარვები გროვდებიან წყალსატევების ნაპირებზე. ამიტომ პროსთოგონიმოზი უფრო ხშირად გვხვდება მდინარეებისა და ტბების ნაპირების მიმდებარე საფრინველეებში, სადაც არის დანერგილი ფრინველის გალიური შენახვის მეთოდი. დაავადების გავრცელებაში მნიშვნელოვანია გარეული ფრინველის (შოშია, ჭილყვავი, ყორანი და სხვ.) როლიც.

პათოგენეზი. პროსთოგონიმუსები, რომლებიც პარაზიტობენ კვერცხსავლის ცილოვან ნაწილში, მისაწოვრებით და ქაცვებით

აღიზიანებენ მის ლორწოვან გარსს, არღვევენ ნაჭუჭისა და ცილის წარმომქმნელი ჯირკვლების ფუნქციას, რაც იწვევს ცილისა და კირის წარმოების მომატებას ან შეწყვეტას. ლორწოვანი გარსის კატარული ანთება იწვევს ჯირკვლების სეკრეციის გაძლიერებას, ხოლო ცილოვანი და ანთებითი პროდუქტების დაგროვების გამო მთლიანად იშლება კვერცხსავლის შექმნვის ფუნქცია. აღნიშნულის გამო ხდება დეფორმირებული (რბილნაჭუჭიანი ან უნაჭუჭო) კვერცხის შეჩერება კვერცხსავალში ან მისი სწრაფი გამოდევნა და თხიერი კირის მასის გამოყოფა.

დაავადების სიმპტომები. დაავადების მიმდინარეობაში განასხვავებენ სამ სტადიას. პირველ სტადიაში ქათამი ჯანსლად გამოიყურება. დაავადების საწყის ეტაპზე მის მიერ დადებული კვერცხი ნორმალური ზომისა და შემადგენლობისაა, თუმცა ნაჭუჭი თხელია და რბილი. შემდეგ ქათამი დებს უნაჭუჭო კვერცხს, რომელიც დაფარულია მხოლოდ ნაჭუჭებებით. ბოლოს კვერცხდება გართულებულია ან საერთოდ წყდება. დაავადების ეს სტადია ვლინდება მაისის მეორე ნახევრიდან და დაახლოებით ერთ თვეს გრძელდება, რის შემდეგ შესაძლოა ქათამი გაჯანსაღდეს.

ივნისის ბოლოს იწყება დაავადების მეორე სტადია, რომელიც დაახლოებით ერთ კვირამდე გრძელდება. ამ დროს დაავადების სიმპტომები აშკარადაა გამოხატული. ქათამი მოწყინილია, უმეტესად ზის, ცუდად ჭამს. ბუმბული აბურმგნილია. შეინიშნება ბიბილოს გალურჯება. ზოგჯერ კლოაკიდან გადმოკიდებულია რბილი ნაჭუჭი ან უხვად გამოედინება სქელი სითხე, რომელიც კირის ხსნარს წააგავს. ქათამს მუცელი უდიდდება, სიარულის დროს აღნიშნება არამყარი წონასწორობა; რომ არ წაიქცეს, იგი ფეხებს განზე დგამს.

მესამე სტადიისათვის დამახასიათებელია სხეულის ტემპერატურის მომატება, წყურვილის გაძლიერება, საერთო სისუსტე. ფრინველს ბუმბული აბურმგნილი აქვს, ხოლო უკანალი - კასრისებურად გამოწეული. იგი დადის ბარბაცით, "იხვისებრი" სიარულით. ხელის დაჭერით მუცელი ძლიერ მტკივნეულია. კლოაკა გამოწეული და გაწითლებულია. მის მახლობლად და მუცლის უკანა ნაწილში ბუმ-

ბული გაცვენილია. ასეთი უკიდურესი მდგომარეობა 2-3 კვირას გრძელდება, რის შემდეგ ფრინველი კვდება.

პათოლოგიურ-ანატომიური ცვლილებები. მკვეთრად გამოხატული პათოლოგიურ-ანატომიური ცვლილებები მხოლოდ პროსთოგონიმუსებით მაღალი ინტენსივობით დაინვაზიების შემთხვევაში აღინიშნება. მკვდარ ფრინველს კლოაკის არეში ეტყობა ანთებითი მოვლენები. ასევე ანთების სურათია საკვერცხესა და კვერცხსავალში, რომელთა კედლები დაფარულია უსიამო სუნის მქონე ჩირქოვან-ფიბრინული მასით. კვერცხსავალში ნახულობენ დეფორმირებულ კვერცხებს ან ცილოვან წარმონაქმნებს.

დიაგნოზი ისმება ეპიზოოტოლოგიური მონაცემების, კლინიკური ნიშნებისა და კლოაკიდან გამონაღენის გამოკვლევის შედეგების საუზღველზე. გამონაღენში უნდა აღმოჩნდეს პროსთოგონიმუსები და მათი კვერცხები.

სიკვდილის შემდეგ დიაგნოსტიკა ემყარება ფრინველის გაკვეთის შედეგებს, რა დროსაც იკვლევენ კვერცხსავალსა და ფაბრიციუსის ჩანთას პროსთოგონიმუსების არსებობაზე.

მკურნალობა კარგ შედეგს იძლევა მხოლოდ დაავადების საწყის სტადიაში. ჰექსაქლორეთანს უნიშნავენ შიგნით სამი დღის განმავლობაში, 12-საათიანი მშიერი დიეტის დაცვით, დოზით 0,5 გ ფრინველზე. ოთხქლორიანი ნახშირბადი შეჰყავთ შიგნით ერთჯერად საყლაპავი მიღლის ზონდით ან ჩიჩახში ინექციით შპრიცის მეშვეობით, დოზით 2-5 მლ ერთ ქათამზე.

პროფილაქტიკა და ბრძოლის ღონისძიებები. საფრინველები აუცილებელია განლაგდეს წყალსატევებიდან და ჭაობიანი ადგილებიდან მოშორებით. არ შეიძლება ფრინველის გაშვება ჭბის, ტბორის, ჭაობის მახლობლად, განსაკუთრებით ადრე დილით, მზის ამოსვლამდე. პროსთოგონიმუზე არაკეთილსაიმედო მეურნეობაში ატარებენ ფრინველის წუნდებას, სადედე გუნდს ცვლიან ჩასაყენებელი (და არა სარემონტო. იხ. სოფლის მეურნეობის ტერმინოლოგია. თბ. 1959) მოზარდეულით, რომელსაც განათავსებენ ახალ ადგილზე, ინვაზიის კერიდან მოშორებით.

ცესტოდები და ცესტოდოზები

ცესტოდები მიეკუთვნებიან ბრტყელი ჭიების ტიპს - Plathelminthes, ლენტისებრთა კლასს - Cestoda. მათგან სავეტერინარო-სამედიცინო მნიშვნელობის მქონე ცესტოდები - ძეწკვისებრები და ლენტურები გაერთიანებული არიან, შესაბამისად, Cyclophyllidea-ს და Pseudophyllidea-ს რაზმებში.

ცესტოდების ანატომია და ბიოლოგია

ცესტოდების სხეული ლენტისებრია. იგი შედგება თავისაგან (სკოლექსი), ყელისა და სეგმენტებისაგან (პროგლოტიდები). სახეობიდან გამომდინარე, ზოგ ცესტოდას ერთი სეგმენტი აქვს, ზოგს - ათობით, ასობით და უფრო მეტიც. ცესტოდების სხეულის სიგრძე მერყეობს 0,5 სმ-დან 10 მეტრამდე.

სკოლექსის მხოლოდ საფიქსაციო ფუნქცია აქვს. მისი მეშვეობით ცესტოდა ნაწილავის ლორწოვან გარსს ემაგრება. იგი სხვადასხვა ფორმის, ზომის, სტრუქტურული აგებულებისა და შეიარაღების მქონეა. უმრავლეს შემთხვევაში სკოლექსზე კუნთოვანი წამონაზარდი - ხორთუმია, რომელზეც განთავსებულია სხვადასხვა რაოდენობის კაუჭები. გარდა ამისა, სკოლექსზე არის კუნთოვან-ქიტინოვანი ორგანოები - მისაწოვრები ან ბოთრიები, რომელთა მეშვეობით პარაზიტი, შესაბამისად, მიეწოვება მასპინძლის ქსოვილს ან მოიქცევს მას საკუთარ ნაპრალებში. თავის შემდეგ ყელია (ზრდის ზონა). მისგან იზრდება ახალი სეგმენტები - პროგლოტიდები, რომლებიც ქმნიან სტრობილას.

პროგლოტიდებს სხვადასხვა ფორმა აქვთ (ოთხკუთხედი, კიტრის თესლის მსგავსი და სხვ.). მათი ზომები ცესტოდას სახეობაზეა დამოკიდებული. ყოველი სეგმენტი ორგანოთა სისტემას შეიცავს.


ცესტოდების სხეული დაფარულია კუტიკულით, რომლის ქვეშ თხელი კუნთებია. მათ საჭმლის მომნელებული სისტემა არ გააჩნიათ. ამიტომ ცესტოდები ოსმოსის გზით იკვებებიან. ნერვული სისტემა შედგება ნერვული კვანძისაგან, რომელიც სკოლექსშია განთავ-

სებული. მისგან გამოდიან ნერვული ტოტები, რომლებიც მთელ სიგრძეზე გასდევენ სხეულს. ცესტოდებს აქვთ ექსკრეტორული სისტემა. იგი შედგება მოციმციმე ეპითელიუმის უჯრედებისა და ორი, დორსალური და ვენტრალური, გამომტანი არხისაგან. ცესტოდებს განსაკუთრებით განვითარებული აქვთ სასქესო სისტემა. ისინი ჰქონაფროდიტები არიან. ე.ი. ყოველ სეგმენტში არის მამრობითი და მდედრობითი სასქესო სისტემები. ყელთან ახლოს მდებარე პროგლოტიდები უსქესოა. მომდევნო სეგმენტებში ჩნდება მამრობითი სასქესო სისტემა, შემდეგ - მდედრობითი. ასეთ პროგლოტიდებს ჰქონაფროდიტული ეწოდება. განაყოფიერების შემდეგ ერთმანეთის მიყოლებით მამრობითი და მდედრობითი სასქესო სისტემები ატროფირდებიან და ბოლო პროგლოტიდებში რჩება მხოლოდ საშვილოსნო, რომელიც ჰქონითის კვერცხებით ამოვსებულ პარკს წარმოადგენს. ეს უკანასკნელი წყდებიან სხეულს და გამოიტანებიან გარემოში.


მამრობითი სასქესო სისტემა შედგება სათესლე ჯირკვლებისაგან, სათესლე არხებისა და საერთო თესლგამომტანი სადინარისაგან, რომელიც მთავრდება სასქესო ბურსით და მამრობითი სასქესო ხვრელით. მდედრობით სასქესო სისტემას აქვს ოოტიპი, რომელსაც უკავშირდება საკვერცხები, საყვითრე ჯირკვლები, მელისის სხეული, საშვილოსნო და ვაგინა. ამ უკანასკნელს აქვს მეორე ხვრელი, რომელიც მამრობითი სასქესო ხვრელის შორიახლოს იხსნება. მოწიფების შემდეგ კვერცხები ხვდებიან საშვილოსნოში. ძეწკვისებრთა რაზმის ცესტოდების საშვილოსნო დახურულია. ამიტომ საძოვარზე ან სხვა ადგილებში მათი კვერცხები ხვდებიან გარემოში გამოსული პროგლოტიდების გახრწნის ან მათი მთლიანობის მექანიკური დაზიანების შედეგად. ლენტურების რაზმის ცესტოდებს ღია საშვილოსნო აქვთ, რომელიც კვერცხების გამომტანი სპეციალური ხვრელით იხსნება პროგლოტიდას ზედაპირზე.

ძეწკვისებრთა ცესტოდების კვერცხი მრგვალი ან ოდნავ ოვალური ფორმისაა. იგი დაფარულია ოთხი გარსით და შეიცავს ჩანასახს - ონკოსფერას, რომელიც აღჭურვილია სამი წყვილი კაუჭით.


ზრდასრული ცესტოდები პარაზიტობენ დეფინიტური (საბოლოო) მასპინძლების წვრილ და მსხვილ ნაწლავებში.



სურ. 10. ცესტოდების სასქესო აპარატის აგებულების სქემა
A—ლენტურების; B—ძეწკვერების: 1.საშვილოსნოს ხვრელი; 2.საშვილოსნო;
3.საკვერცხე; 4.ოოტიპი; 5.თესლგამომტანი არხები; 6.საყვითრე ჯირკვლები;
7.სათესლე ჯირკვლები; 8.ვაგინის ხვრელი; 9.მამრობითი სასქესო ხვრელი;
10.მამრობითი სასქესო ბურსა; 11.თესლგამომტანი არხი; 12.ვაგინა; 13.მელისის სეული; 14.მდედრობითი სასქესო ხვრელი; 15.თესლმიმღები; 16.შიდა სათესლე ბუშტი; 17.გარე სათესლე ბუშტი.



სურ. 11. ცესტოდების კვერცხები:
1. *Diphyllobothrium latum*;
2. *Taeniarhynchus saginatus*;
3. *Echinococcus granulosus*;
4. *Dipylidium caninum*;
5. *Moniezia benedeni*;
6. *Anoplocephala magna*.



სურ. 12. ცესტოდების ლარვული ფორმები:

- 1.ცისტიცერკი;
- 2.ცენურუსი;
- 3.ექინოკოკი;
- 4.დითირიდიუმი;
- 5.ცისტიცერკოიდი;
- 6.სტრო-ფეტვის მარცვლიდან ქათმის კვერცხის ბილოცერკი;
- 7.პლეროცერკოიდი.

ცენურუსი. აგებულების მიხედვით იგი ძალზე წააგავს ცისტიცერკს, მაგრამ განსხვავდება იმით, რომ შიდა გარსზე მიმაგრებულია რამდენიმე ათეული სკოლექსი, ხოლო მისი ზომა სიგრძეში 10-15 სმ-შე აღწევს;

ექინოკოკი - განსაკუთრებით რთული აგებულების ლარვული ფორმაა. ეს არის სითხით ამოვსებული ბუშტი, რომლის ზომები მერყეობს მუხუდოს მარცვლის ოდენობიდან ახალშობილი ბავშვის თავის ოდენობამდე. გარედან იგი დაფარულია სქელი ქიტინიზებული გარსით, რომელსაც რამდენიმე გარსი მოსდევს. საყურადღებოა შიდა, ჰერმინატიული გარსი, რომელიც შეიცავს გამომყვან კაფსულებს. ამ კაფსულებში ხდება სკოლექსების პროდუცირება, რომლებიც სწყდებიან ჰერმინატიულ გარსს და თავისუფლად ცურავენ ბუშტის სითხეში მომცრო მარცვლების სახით;

სტრობილოცერკი. ამ ლარვული ფორმისათვის დამახასიათებე-

ცესტოდები ბიოპელმინთებია. მათი განვითარების ციკლში მონაწილეობს ერთი ან რამდენიმე შუალედური მას-პინძელი, რომელთა სხეულში მოხვედრილი ცესტოდების კვერცხებისაგან ვითარდებიან ლარვული ფორმები. ასე-თებია:

ცისტიცერკოიდი. იგი ყველაზე პრიმიტიული ლარვული ფორმაა, რომლის სხეულის წინა ნაწილი გაფართოებულია, ხოლო უკანა წაგრძელებულია დანამატის სახით;

ცისტიცერკი ანუ ფინა - მრგვალი ან ოვალური ფორმის ბუშტია. იგი ამოვსებულია გამჭვირვალე სითხით, რომელშიც კარგად ჩანს ბუშტის შიდა გარსზე მიმაგრებული ერთი სკოლექსი. 3.ექინოკოკი;

- 2.ცენურუსი;
- 3.ექინოკოკი;
- 4.დითირიდიუმი;
- 5.ცისტიცერკოიდი;
- 6.სტრო-ფეტვის მარცვლიდან ქათმის კვერცხის ბილოცერკი;
- 7.პლეროცერკოიდი.

ცენურუსი. აგებულების მიხედვით იგი ძალზე წააგავს ცისტიცერკს, მაგრამ განსხვავდება იმით, რომ შიდა გარსზე მიმაგრებულია რამდენიმე ათეული სკოლექსი, ხოლო მისი ზომა სიგრძეში 10-15 სმ-შე აღწევს;

ექინოკოკი - განსაკუთრებით რთული აგებულების ლარვული ფორმაა. ეს არის სითხით ამოვსებული ბუშტი, რომლის ზომები მერყეობს მუხუდოს მარცვლის ოდენობიდან ახალშობილი ბავშვის თავის ოდენობამდე. გარედან იგი დაფარულია სქელი ქიტინიზებული გარსით, რომელსაც რამდენიმე გარსი მოსდევს. საყურადღებოა შიდა, ჰერმინატიული გარსი, რომელიც შეიცავს გამომყვან კაფსულებს. ამ კაფსულებში ხდება სკოლექსების პროდუცირება, რომლებიც სწყდებიან ჰერმინატიულ გარსს და თავისუფლად ცურავენ ბუშტის სითხეში მომცრო მარცვლების სახით;

სტრობილოცერკი. ამ ლარვული ფორმისათვის დამახასიათებე-

ლია კაუჭებით შეიარაღებული სკოლექსი და გრძელი ცრუ სტრო-ბილა, რომლის ბოლოში მცირე ზომის ბუშტია;

დითირიდიუმი (ტეტრატირიდიუმი). ამ ლარვულ ფორმას ხელ-თათმანის თითის მსგავსად ჩაბრუნებული შეუიარაღებელი სკოლექ-სი აქვს, რომელზეც ოთხი მისაწოვარია. გარდა ამისა, მას კუდის გრძელი დანამატი აქვს.

პროცერკოიდი ლენტურების ლარვული ფორმაა. მისი სხეული წაგრძელებულია, რომლის წინა ბოლოზე ჩაღრმავებაა (პირველადი ბოთრია), უკანაზე - ბუშტისმაგვარი დანამატი. დამატებითი მასპინ-ძლის ორგანიზმი მოხვედრილი პროცერკოიდი პლეროცერკოიდად გარდაიქმნება, რომელსაც ჩამოყალიბებული ბოთრიები აქვს.

ცესტოდებით დეფინიტური მასპინძლების დაინვაზიება ხდება ლარვული ფორმებით დაინვაზიებული შეალედური ან დამატებითი მასპინძლების შეჭმის ან გადაყლაპვის შედეგად. ასეთები შეიძლება იყვნენ მწერები, ამფიბიები, თევზები, ფრინველები, მცირე ზომის ძუ-მუმწოვრები.

ცესტოდების ლარვული ფორმებით გამოვლეული დაავლებები

ტენიდოზები

ტენიდოზები აერთიანებენ ადამიანის, შინაური, სარეწაო და გა-რეული ცხოველების ჰელმინთოზების დიდ ჯგუფს, რომელთა აღმმ-ვრელია ძეწავისებრთა მრავალი წარმომადგენელი *Taeniidae*-ს ოჯა-შიდან.

ტენიდოზების აღმმვრელებია როგორც იმაგინალური (სქესმომ-წიფებული), ისე ლარვული სტადიის ტენიდები. ამიტომ არჩევენ იმაგინალურ და ლარვულ ტენიდოზებს.

ტენიდოზებს შორის დიდი რაოდენობით გვხვდება ანთროპოზო-ოჰელმინთოზები, მაგრამ ადამიანის როლი ამ ინვაზიების გავრცე-ლებაში ერთნაირი არ არის. ანთროპოზონოზების ერთი ჯგუფი-სათვის (ტენიოზი, ტენიარინქოზი) ადამიანი ობლიგატური მასპინძე-

ლია. იგი ლარვული ცესტოდოზებით (ცისტიცერკოზი) ცხოველე-ბის დაავადების ერთადერთი წყაროა. ანთროპოზონოზების მეორე შემთხვევაში ადამიანი ფაკულტატიური მასპინძელია და არ მონა-წილეობს ინვაზიის (ექინოკოკოზი, ალვეოკოკოზი, ცენუროზი) გავ-რცელებაში, ხოლო ობლიგატური მასპინძლის როლში გამოდიან მტაცებელი ძუძუმწოვრები. ამდენად, ეს ინვაზიები შეიძლება დაი-ყოს ორ ჯგუფად: ტენიდოზები, რომელთა დროს ადამიანი აღმმვრე-ლის საბოლოო მასპინძლია და ტენიდოზები, რომელთა შემთხვე-ვაში ძალი და მტაცებელი ძუძუმწოვრები გვევლინებიან აღმმვრე-ლის საბოლოო მასპინძლად.

ტენიდოზები, რომელთა აღმმვლების საბოლოო მასპინძლია აღამიანი

ტენიდოზების ამ ჯგუფს ორი ანთროპოზონოზური დაავადება მიეკუთვნება: მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ცისტიცერკოზი (ფი-ნოზი) ანუ ბოვისური ცისტიცერკოზი და ღორის ცისტიცერკოზი (ფინოზი) ანუ ცელულოზური ცისტიცერკოზი.

ცისტიცერკოზები დიდ კონომიკურ ზარალს აყენებენ მეცხოვე-ლეობას. ცისტიცერკებით სუსტად დაინვაზიებული ნაკლავი (და არა ტანხორცი). იხ. სოფლის მეურნეობის ტერმინოლოგია. თბ. 1959) უფასურდება და შესაბამისი დამუშავების შემდეგ გამოიყენე-ბა კვების პროდუქტების მრეწველობაში (ძეხვის წარმოება). მაღა-ლი ინტენსივობით დაინვაზიებული ნაკლავი ნადგურდება. დიდია ტენიდოზების სამედიცინო-სანიტარიული მნიშვნელობაც. მსხვილ-ფეხა რქოსანი პირუტყვისა და ღორის ძეწკვერები, რომლებიც ადა-მიანის ნაწლავებში პარაზიტობენ, აფერხებენ მის ზრდა-განვითარე-ბას, აქვეითებენ შრომის უნარს. გარდა ამისა, გარკვეულ შემთხვევა-ში ღორის ძეწკვერას ფინას შეუძლია ჩაიბუდოს ადამიანის თავის ტვინში, თვალში და გამოიწვიოს ფსიქიკური აშლილობა, მხედველო-ბის დაჭვეითება, ზოგჯერ - სიკვდილიც კი.

მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ცისტიცერკოზი

მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ცისტიცერკოზის გამომწვევია *Cysticercus bovis*. იგი ლარვული ფორმა, რომლის ზრდასრული ცესტოდა - *Taeniarhynchus saginatus* პარაზიტობს ადამიანის ნაწლავებში. ცისტიცერკები ლოკალიზობენ ჩონჩხის მუსკულატურის კუნთშეა შემაერთებელ ქსოვილში, გულში, ენაში, იშვიათად პარენქი-მატოზული ორგანოების ქსოვილებში.

აღმძვრელი. *Cyst. bovis* სითხით ამოვსებული ოვალური ფორ-მის, მოთეთრო ფერის ბუშტია, რომლის ზომები სიგრძეში შეადგენს 5-15 მმ-ს, სიგრძეში - 3-8 მმ-ს. მის შიდა გარსზე 2 მმ-მდე დია-მეტრის მქონე სკოლექსია, რომელიც ჩაბრუნებულია ხელთათმანის თითის მსგავსად.

ზრდასრული ცესტოდა - *Taeniarhynchus saginatus* სიგრძეში 10 მეტრამდე აღწევს. მისი სხეული 1000-მდე პროგლოტიდისაგან შედგება. სკოლექსი აღჭურვილია ოთხი მისაწვარით. მასზე არ არის კაუჭები. ამიტომ ამ ცესტოდას შეუიარაღებელი ძეწკვურა ეწოდება. სასქესო აპარატის ფორმირება იწყება სხეულის დაახლო-ებით პირველი მეხუთედის ბოლოს განთავსებულ პროგლოტიდებში. სასქესო აპარატი ერთმაგია (ჰერმაფროდიტული პროგლოტიდა შე-იცავს მამრობითი და მდედრობითი სასქესო ორგანოების თითო კომპლექტს), რომლის სასქესო ხვრელები უწესრიგო მიმდევრობით იხსნებიან პროგლოტიდების გვერდებზე. ბოლო სეგმენტები, რომელ-თა სიგრძე 16-20 მმ-ს აღწევს, ხოლო სიგანე - 4-7 მმ-ს, მომწი-ფების შემდეგ წყდებიან სხეულს და ფეკალთან ერთად გამოიტანე-ბიან გარემოში. მომწიფებულ პროგლოტიდაში საშვილოსნო მედია-ლურ სვეტს წარმოადგენს, რომელსაც 18-35 ტოტი აქვს.

შეუიარაღებელი ძეწკვურას კვერცხი მრგვალია. მისი თხელი და გამჭვირვალე გარეთა გარსის ქვეშ ჩანს ონკოსფერა (სიგრძით - 0,03-0,04 მმ, სიგანით - 0,02-0,03 მმ), რომელსაც რადიალურად დახაზული მოყვითალო-მოყავისფრო ფერის სქელი ორკონტურიანი გარსი აქვს.

შუალედური მასპინძელი - მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, კა-

მეჩი, იაკი, ზებუ.

აღმძვრელის ბიოლოგია. ტენიარინქუსებით დაინვაზიებული ადა-მიანი ექსკრემენტებთან ერთად გამოყოფს პროგლოტიდებს. შუალე-დური მასპინძლების დაინვაზიება ხდება ძირითადად საძოვარზე ტე-ნიარინქუსების ონკოსფერების ან პროგლოტიდების გადაყლაპვით.


მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ნაწლავში ჩანასახები გამოდი-ან კვერცხებიდან და შეიჭრებიან ნაწლავის კაპილარებში. შემდეგ ჰემატოგენური გზით ისინი ხვდებიან სხვადასხვა ქსოვილსა თუ ორგანოში, სადაც დაახლოებით ხუთი თვის შემდეგ ინვაზიურ სტა-დიას აღწევენ.

ტენიარინქოზით ადამიანი ავადდება სიცოცხლისუნარიანი ცის-ტიცერკებით დაინვაზიებული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ხორცის საკვებად გამოყენების შედეგად, თუ იგი არასაკმარისად არის მოხარული ან შემწვარი. მის საჭმლის მომნელებელ ტრაქ-ტში მოხვედრილი ცისტიცერკები კუჭის წვენისა და ნაღვლის მოქ-მედებით ამოაბრუნებენ სკოლექსებს, რომელთა მეშვეობით ემაგრე-ბიან წვრილი ნაწლავის ლორწოვან გარსს. დაახლოებით სამი თვის შემდეგ ისინი აღწევნენ ზრდასრულ სტადიას. ადამიანის ორგანიზმში ტენიარინქუსების სიცოცხლის ხანგრძლივობა 10 წელს აღემატება.

ეპიზოოტოლოგიური მონაცემები. ჩვეულებრივ, ცისტიცერკებით მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის დაინვაზიების დონე დაბალია. ამასთან, ხბოები უფრო მეტად არიან დაავადების ამთვისებლები, ვიდ-რე მოზრდილი ცხოველები. პირუტყვის დაინვაზიება ხდება ანტი-სანიტარიულ პირობებში მისი შენახვის დროს, განსაკუთრებით თუ მომვლელი პერსონალი არ სარგებლობს ტუალეტით.

პათოგენეზი. ცხოველის ორგანიზმზე განსაკუთრებით ძლიერ პა-თოგენურ ზეგავლენას იწევენ ონკოსფერები მიგრაციის პერიოდში, რა დროსაც ისინი აზიანებენ ქსოვილებს და მოქმედებენ როგორც ბიოლოგიური გამღიზიანებლები. ფორმირებული ცისტიცერკები ორ-განიზმზე შესამჩნევ პათოგენურ ზეგავლენას არ ახდენენ.

დაავადების სიმპტომები. მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ცის-ტიცერკოზი კლინიკურად არ ვლინდება. ხბოების ექსპერიმენტული დაინვაზიების დროს მრავალი ავტორი მიუთითებს ავადმყოფობის მძიმე ფორმით მიმდინარეობასა და ზოგადი დაავადების მწვავე



სურ. 13. *T. saginatus*-ის განვითარების ციკლი

ფორმისათვის დამახასიათებელ ნიშნებზე ონკოსფერების მიგრაციის პერიოდში, რაც შესაძლოა სიკვდილით დამთავრდეს.

პათოლოგიურ-ანატომიური ცვლილებები. მწვავე ცისტიცერკოზის დროს კანქეშა უჯრედისში, კუნთებში, გულში მასობრივი წერტილოვანი სისხლჩაქცევებია. კუნთებში ნახულობებ ცისტიცერკებს.

დიაგნოზი. შემოთავაზებულია მუნიბიოლოგიური დიაგნოსტიკის

მეთოდები, მაგრამ მათ ვერ პოვეს ფართო გამოყენება. სიკვდილის შემდგომი დიაგნოსტიკა ემყარება მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის კუნთებში ცისტიცერკების აღმოჩენას.

ძეურნალობა შეუსწავლელია.

ლორის ცისტიცერკოზი (ცელულოზური)

ცელულოზური ცისტიცერკოზის გამომწვევა Cysticercus cellulosae. იგი ლარვული ფორმა, რომლის ზრდასრული ცესტოდა - *Taenia solium* პარაზიტობს ადამიანის ნაწლავებში. ცელულოზური ცისტიცერკები ლოკალიზობენ სხვადასხვა ორგანოებსა და ქსოვილებში. უფრო ხშირად ისინი გვხვდება ლორის კუნთებში, გულში, ტვინში, თვალებში, ღვიძლსა და ფილტვებში. აღწერილია მათ მიერ ადამიანის თავის ტვინისა და თვალების დაინვაზიების შემთხვევები.

აღმძვრელი. *Cyst. cellulosae* გამჭვირვალე სითხით ამოვსებული ელიფსის ფორმის, მოთეთრო ფერის ბუმტია, რომლის ზომები სიგრძეში შეადგენს 6-20 მმ-ს, სიგანეში - 5-10 მმ-ს. მისი გარსი ორშრიანია. შიდა შრეზე მიმაგრებულია ჩაბრუნებულ მდგომარეობაში მყოფი თეთრი ლაქის მსგავსი ერთი სკოლექსი.


ზრდასრული ცესტოდა - *Taenia solium* სიგრძეში 3 მეტრამდე აღწევს. მისი სკოლექსი ოთხი მისაწოვრის გარდა აღჭურვილია 22-28 კაუჭით. ამიტომ ამ ცესტოდას შეიარაღებელი ძეწკვრა ეწოდება. ჰერმაფროდიტული პროგლოტიდა ერთმაგ სასქესო აპარატს შეიცავს, რომლის სასქესო ხვრელები უწესრიგო მიმდევრობით იჩნებიან. მომწიფებულ პროგლოტიდაში საშვილოსნო მედიალურ სვეტს წარმოადგენს, რომელსაც 7-12 ტოტი აქვს.

შეიარაღებელი და შეუიარაღებული ძეწკვრების კვერცხები ძლიერ წაგავს ერთმანეთს.

შეალებური მასპინძელი - შინაური ღორი, გარეული ღორი, დათვი, აქლემი, ძალლი, კატა, ბოკვერი, კურდღელი, აგრეთვე ადამიანი.

აღმძვრელის ძოლლოვა. ადამიანი დავადების აღმძვრელის ერთადერთი დეფინიტური მასპინძელია. იგი ფეკალთან ერთად გამოყოფს ამ ცესტოდას მომწიფებულ პროგლოტიდებს, რომელთაც შე-

უძლიათ აქტიურად გადაადგილება გარემოში. გადაადგილებისას პროგლოტიდების მთლიანობა ირღვევა და მასში არსებული კვერცხები გარემოში მიმოიფანტება. შეულედური მასპინძლების დაინვაზიება ხდება საკვებთან ან წყალთან ერთად ამ კვერცხების გადაყლაპვით. ღორის ნაწლავში ონკოსფერები გამოდიან კვერცხებიდან, მათი გარსი ირღვევა, ჩანასახები გააღწევენ ნაწლავის კედლის სისხლის ან ლიმფის კაპილარებში და სისხლის და ლიმფის გზით მიიტანებიან კუნთშეა შემართებელ ქსოვილში, ტვინში, თვალებში, სხვა ორგანოებში, სადაც იწყება ცისტიცერკების ჩამოყალიბება. 40-50 დღის შემდეგ მათ აქვთ სკოლექსი, რომელზეც არის მისაწოვრები, ხორთუმი, კუჭები. შეულედური მასპინძლის დაინვაზიებიდან 2-4 თვის შემდეგ ცისტიცერკები აღწევენ ინვაზიურ სტადიას. ღორის ორგანიზმში ისინი 3-6 წელიწადს ცოცხლობენ, რის შემდეგ იჭმუხნებიან, იჟღენთებიან კირით და იღუპებიან.



სურ. 14. *T. solium*-ის განვითარების ციკლი

უნდა აღინიშნოს, რომ *Taenia solium*-ისათვის ადამიანი არის არა მარტო დეფინიტური, არამედ შეულედური მასპინძლებიც. ცისტიცერკებით მისი დაინვაზიების ორი გზა არსებობს: ან საკვებთან ერთად კვერცხის გადაყლაპვა, ან შინაგანი თვითდანვაზიება. ეს უკანასკნელი პარაზიტმატარებლის ორგანიზმში შემდეგნაირად ხდება: ნაწლავის ანტიპერისტალტიკის დროს, რაც გამოწვეულია პირდებინებით ან სხვა მიზეზებით, *Taenia solium*-ის მომწიფებული პროგლოტიდები კუჭში ხვდებიან. აქ მათი გარსი მოინელება, გამოთავისუფლდება კვერცხების დიდი რაოდენობა, რომელთა ჩანასახები ადამიანის ორგანიზმში მიგრაციის ისეთივე გზას გადიან, როგორსაც ღორის ორგანიზმში მიერი ორგანოსა და ქსოვილის დაინვაზიება. ამდენად, *Taenia solium*-ით (ნაწლავური ფორმა) დაინვაზიებული ადამიანი მუდმივად არის ცისტიცერკებით დაინვაზიების საფრთხის ქვეშ.

ამ ჰელმინთის საბოლოო განვითარება ხდება ადამიანის ორგანიზმში ცელულოზური ცისტიცერკებით დაინვაზიებული არასაგამარისად მოხარული ან შემწვარი ღორის ხორცის შეჭმისას. ადამიანის ნაწლავებში ცისტიცერკის გარსი მოინელება, სკოლექსი ამობრუნდება, მიემაგრება ნაწლავის კედელს და 2-3 თვის შემდეგ ზრდასრული შეიარაღებული ძეწკვურა იწყებს მომწიფებული პროგლოტიდების გამოყოფას. ადამიანის ორგანიზმში მისი სიცოცხლის ხანგრძლივობა წლობით განისაზღვრება.

ეპიზოოტოლოგიური მონაცემები. ცისტიცერკოზით ცხოველების დაავადების წყაროა ძეწკვურებით დაინვაზიებული ადამიანი. დაავადების გავრცელებას ხელს უწყობს კეთილმოწყობილი ტუალეტების უქონლობა, მათი ანტისანიტარიული მდგომარეობა. ღორი ჭამს ფეხალს, რა ღორსაც ყლაპავს ძეწკვურას პროგლოტიდებს. ადვილად ხდება ძალლების დაინვაზიება, რომელთათვისაც ასევე დამახასიათებელია კოპროფაგია. პარაზიტის კვერცხები საძოვარზე შეიძლება გადაიტანოს ქარმა, მომსახურე პერსონალმა ფეხსაცმელებით, თვით ცხოველებმა ან მწერებმა მექანიკურად და სხვა. ცისტიცერკოზის გავრცელებაში დიდ როლს ასრულებენ ჩამდინარე ბინძური წყლები და სარწყავ ფართობებზე არსებული საძოვრები.

პათოგენეზი. ცისტიცერკების პათოგენური მოქმედება მასპინძლის

ორგანიზმზე გამოიხატება მექანიკური და ტოქსიკური ზემოქმედებით. პათოგენური მოქმედების ხარისხი დამოკიდებულია ცისტიცერკების ლოკალიზაციასა და დაინვაზიების ინტენსიურობაზე.

დაავადების სიმპტომები. ჩვეულებრივ, ღორის ცისტიცერკოზი უსიმპტომოდ მიმდინარეობს. ძლიერი დაინვაზიების დროს ვითარდება შეშუპებები, კახექსია, ეპილეფსიური კანკალი; ამ დროს დაავადება შესაძლოა სიკვდილით დამთავრდეს. ტვინში ცისტიცერკების ლოკალიზაციისას აღინიშნება ნერვული მოვლენები, ხოლო თვალში მათი მოხვედრისას მოსალოდნელია დაბრძავება.

პათოლოგიურ-ანატომიური ცვლილებები. ცისტიცერკების ლოკალიზაციის ადგილებში ქსოვილი ჩატეჭყილი და ატროფიულია; ინტენსიური დაინვაზიების დროს კუნთები გადაგვარებულია, წყლიანია და შეზრდილია შემაერთებელ ქსოვილთან.

დიაგნოზი. ცისტიცერკოზის დადგენა ღორის სიცოცხლეში განხლებულია. სიკვდილის შემდეგ დიაგნოზი ისმება კუნთებში და შინაგან ორგანოებში ცისტიცერკების აღმოჩენის საფუძველზე.

მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვისა და ღორის ცისტიცერკოზების პროფილაქტიკა. ცხოველთა ცისტიცერკოზების დროს ადამიანი წარმოადგენს ერთადერთ საბოლოო მასპინძელს, ე.ი. გარემოს დაინვაზიების წყაროს. ამდენად, აუცილებელია სავეტერინარო და სამედიცინო ორგანიზაციების შეთანხმებული მოქმედება. განსახორციელებელ ღონისძიებათა რეალიზაციაში აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ სამეურნეო და საზოგადოებრივმა დაწესებულებებმა, მოსახლეობის ფართო ფერად, მაგრამ, მოუხედავად მჰკიდრო კონტაქტისა, სავეტერინარო და სამედიცინო პრაქტიკას აქვს თავისი სპეციფიკური ამოცანები, რომელთა გადაწყვეტა უნდა გამომდინარეობდეს ანთოროპოზოზის წინააღმდეგ ბრძოლის კონკრეტული პირობებიდან.

სავეტერინარო ხაზით განსახორციელებელი ღონისძიებების უმთავრესი პირობაა ადამიანის დაცვა ტენიოზითა და ტენიარინქოზით დაავადებისაგან, რაც მიიღწევა მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვისა და ღორის ხორცის საგულდაგულო სავეტერინარო ექსპერტიზით, ცხოველთა დაცვით ცისტიცერკებით დაინვაზიებისაგან. მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვისა და ღორის ნაკლავი და ხორცპროდუქტები საჭიროებუნ ცისტიცერკოზზე სპეციალურ დათვალიერებას.

ისინჯება ყველა ასაკის ცხოველის ხორცი. ამ მიზნით უპირველესად ჭრიან შიდა და გარე საღეჭ კუნთებს, აგრეთვე გულს, სინჯავენ ენას, საეჭვო შემთხვევაში აკეთებენ ჭრილებს. ცისტიცერკების აღმოჩენის შემთხვევაში დამატებით სინჯავენ მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის კისრის კუნთებს, წელის ღრმა კუნთებს და დიაფრაგმას, ღორის შემთხვევაში - წელის, კეფის კუნთებსა და დიაფრაგმას. გარდა ამისა, საჭიროების ღროს ჭრიან და იკვლევენ ბეჭიდაყვის, ზურგის, მენჯისა და კიდურების კუნთებს. 40 სმ² ფართობზე სამზე მეტი ცისტიცერკის აღმოჩენისას მთელ ნაკლავს, აგრეთვე თავის, ენის, გულისა და სხვა სუბპროდუქტებს გზავნიან ტექნიკური უტილიზაციისათვის ან სპობენ. ზემოთ აღნიშნულ ფართობზე ერთეული ცისტიცერკების (არა უმეტეს სამისა) აღმოჩენის შემთხვევაში ნაკლავს და ორგანოებს (გარდა ნაწლავებისა) აუგნებლებენ მოხარშვის, გაყინვის ან დამარილების გზით, რის შემდეგ იყენებენ საძეხვე წარმოებაში. მუცელის ქონს გადაადნობენ.

აკრძალულია ეზოებში ცხოველის დაკვლა. საჭიროა გაფართოვდეს ხორცკომბინატებისა და სასაკლაო პუნქტების ქსელი, ამ პირობებში დაკვლული ცხოველის ხორცისა და ყველა ორგანოს ვეტერინარიულ-სანიტარიული კონტროლის განხორციელებისათვის. ცისტიცერკოზიანი ნაკლავის გაუვნებლობა უნდა მოხდეს მხოლოდ სავეტერინარო ზედამხედველობის ნებართვით. სასაკლაო მოედნებთან, ბაზრებთან უნდა მოეწყოს პუნქტები ცისტიცერკოზიანი ხორცის გაუვნებლობისათვის. ცისტიცერკებით დაინვაზიებული ნაკლავის პატრონისათვის დაბრუნება კატეგორიულად აკრძალულია.

ცხოველებში ცისტიცერკოზის გამოვლენის ყველა შემთხვევა დაუყონებლივ უნდა ეცნობოს შესაბამის სამედიცინო ორგანიზაციებს იმ პირთა შორის გამოკვლევისა და სამკურნალო-პროფილაქტიკურ ღონისძიებათა განხორციელებისათვის, რომლებიც ცისტიცერკოზით ცხოველების დაავადების წყაროს წარმოადგენენ. ამისათვის საჭიროა დასაკლავი პირუტყვის აღრიცხვის ზუსტი ორგანიზება. დასაკლავად შემოსული ყველა ცხოველის მარკირება შესაძლებლობას იძლევა გამოვავლინოთ მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვისა და ღორის ცისტიცერკოზის კერები და ერთდროულად უზრუნველვყოთ აღნიშნულის თაობაზე შესაბამისი სავეტერინარო და სამედიცინო

ორგანიზაციების ინფორმირება. იმის გამო, რომ ტენიოზით და ტენიარინქოზით ადამიანი შესაძლოა დაავადდეს არა მხოლოდ ცისტი-ცერკებით დაინვაზიებული ღორისა და მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ხორცის, არამედ გარეული ცხოველების ხორცის მიღებითაც, აუცილებელია ნანადირევის ვეტერინარიულ-სანიტარიული გამოკვლევა და ცისტიცერკოზის გამორიცხვა.

ცისტიცერკოზისაგან მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვისა და ღორის დაცვის ძირითადი პირობაა ცხოველის მოვლა-შენახვის პირობებისა და კვების ნორმების დაცვა. დაუშვებელია პირუტყვის ყოლა ადამიანის საცხოვრებელ ადგილას.

სამედიცინო ღონისძიებათა კომპლექსი მიზნად უნდა ისახავდეს ტენიოზისა და ტენიარინქოზისაგან მოსახლეობის გაჯანსაღებასა და ტენიიდების პროგლოტიდებისა და ონკოსფერებისაგან გარემოს დაინვაზიებისაგან დაცვას. უპირველეს ყოვლისა უნდა გამოირიცხოს მათი მოხვედრა საძოვრებზე, პირუტყვის საღვომებში, დასარწყულებელ და საკვების შესანახ ადგილებში, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის, ღორისა და ცისტიცერკოზის ამთვისებელი სხვა ცხოველების კონტაქტი ადამიანის ექსკრემენტებთან. ამისათვის საჭიროა:

- ადამიანების სისტემატური შემოწმება ტენიოზისა და ტენიარინქოზის გამოსავლენად და მათი შემდგომი დეპელმინთიზაცია, რაც უზრუნველყოფს ადამიანის ორგანიზმის სრულ განთავისუფლებას ტენიიდებისაგან. ამ ღონისძიებათა განხორციელება საჭიროა პირველ რიგში მეცხოველეობის მუშაკთა (მწყემსები, მწველავები), აგრეთვე მეცხოველეობის რაიონების სოფლის მოსახლეობისა და კვების მრეწველობის მუშაკთა შორის. დეპელმინთიზაციის ღორის მთლიანად უნდა მოისპოს გამოყოფილი ტენიიდები და ფეკალი, რომელიც შეიცავს ცესტოდების ფრაგმენტებს და ონკოსფერებს;

- ნიადაგისა და წყალსატევების სისტემატური დაცვა ადამიანის ფეკალით დაბინძურებისაგან. საზოგადოებრივი და ინდივიდუალური ტუალეტების მოწყობა და სისტემატური კონტროლის დაწესება მათ სანიტარიულ მდგომარეობაზე. დაკვირვება მოსახლეობის მიერ ტუალეტით სარგებლობაზე, რათა არ მოხდეს გარემოში ექსკრემენტების მიმოფანტვა;

- ადამიანის ფეკალის უტილიზაციასა და ჩამდინარე (ბინბური)

წყლების მდგომარეობაზე სანიტარიული კონტროლის დაწესება, რათა გამოირიცხოს ინვაზიის გავრცელების შესაძლებლობა;

- ადამიანის მიერ პირადი პროფილაქტიკის ღონისძიებათა დაცვა. საკვებად არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს უმი, მოუხარაშავი და შეუმწვარი ხორცი და შინაგანი ორგანოები. საჭმლის მომზადებისას ხორცის დამუშავების დროს საჭიროა სიფრთხილე, რათა ცისტიცერკები შემთხვევით არ მოხვდნენ სამზარეულოში მოსახმარ ნივთებსა და სხვა პროდუქტზე. დღიდი მნიშვნელობა ენიჭება ადამიანის მიერ პირადი ჰიგიენის დაცვას.

ტენიოლოგი, როგორთა აღმავლებას საბოლოო მასპინძლები არიან ძალი და ხორცისმჭამელი მხეცები

ლარვული ეპიცოპოზი

ექინოკოკოზი უპირატესად ცხვრის, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის, ღორის, სხვა ძუძუმწოვრების, აგრეთვე ადამიანის დაავადება. მისი გამომწვევია ლარვული ფორმა Echinococcus granulosus, რომელიც ლოკალიზობს ძირითად ღვიძლში, ფილტვებში, იშვიათად სხვა ორგანოებსა და ქსოვილებში. ანალოგიური დასახელების მქონე მისი ზრდასრული ფორმა პარაზიტობს ძაღლის, მგლის, ტურას, იშვიათად მელას წვრილ ნაწლავებში.

ექინოკოკოზი დიდ ეკონომიკურ ზარალს აყენებს მეცხოველეობას. ექინოკოკების ბუშტებით ძლიერი დაინვაზიების შემთხვევაში ცხვარი, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი იღუპება. დაავადების ქრინიკული ფორმით მიმდინარეობისას მცირდება ცხოველების პროდუქტიულობა, ფერხდება მოზარდეულის ზრდა-განვითარება, ქვეითდება ორგანიზმის რეზისტენტობის უნარი. ხორციკმბინატებში, დაინვაზიების ინტენსივობიდან გამომდინარე, ხშირად ღვიძლსა და ფილტვებს ანალგურებენ. ექინოკოკოზით დაავადების შემთხვევაში ხშირია ადამიანის სიკვდილი.


აღმძვრელი E. granulosus larvae - მოთეთრო-მოყვითალო ფერის

ერთკამერიანი ბუშტია, რომელიც გამჭვირვალე სითხით არის სავსე. ეს სითხე შუალედური მასპინძლის სისხლის პროდუქტია. ბუშტი ძირითადად მრგვალი ფორმისაა და მისი ზომები მერყეობს მუხუდოს მარცვლის ოდენობიდან ახალშობილი ბავშვის თავის ოდენობამდე. გარედან იგი დაფარულია სქელი, ქიტინიზებული გაუმჭვირვალე გარსით, რომელსაც ქვეშ რამდენიმე შრე მოსდევს. საქურადღებოა შიდა - ჰერმინატიული გარსი, რადგან იგი გამომყვან კაფსულებს შეიცავს, რომელთა დანიშნულებაა სკოლექსების პროდუცირება. მომწიფების შემდეგ სკოლექსები სწყდებიან კაფსულებს და თავისუფლად ცურავენ ბუშტის სითხეში ან ილექტიან მის ფსკერზე და წარმოქმნიან ე.წ. ჰიდატიგენურ ქვიშას. ისინი მომცრო ზომის მრგვალი, თეთრი ფერის მქონე სხეულაკებია, რომელთა შემჩნევა შესაძლებელია შეუიარაღებელი თვალით. სკოლექსების შემცველი ექინოკოკის ბუშტები, რომლებსაც უწოდებენ *Echinococcus veterinarius*, უპირატესად ცხვრის ორგანიზმში ვითარდებიან. აღსანიშნავია, რომ ადამიანის დაინვაზიებაც ძირითადად ექინოკოკის ამფორმით ხდება.

გარდა ამისა, არსებობს ექინოკოკის ბუშტების კიდევ ორი მოდიფიკაცია - *Echinococcus acephalocysticus* და *Echinococcus hominis*. პირველი მოდიფიკაციის ბუშტების ჰერმინატიულ გარსში არ არის გამომყვანი კაფსულები. ამდენად, ასეთი ბუშტები სკოლექსებისაგან სტერილურია და მათ არ შესწევთ დეფინიტური (საბოლოო) მასპინძლების დაინვაზიების უნარი. მეორე მოდიფიკაციის ბუშტები, რომლებიც უფრო ხშირად მსხვილფეხა რქოსან პირუტყვში გვხვდებიან, ხასიათდებიან იმით, რომ სკოლექსების პროდუცირების გარდა, მათი ჰერმინატიული გარსისათვის დამახასიათებელია შვილეული და შვილიშვილეული ბუშტების წარმოქმნის უნარი.

ექინოკოკის ლენტისებრი ფორმა წარმოადგენს ძალზე მცირეცესტოდას, რომლის ზომა სიგრძეში 6 მმ-დან აღწევს და 3-4 პროგლოტიდისაგან შედგება. სკოლექსზე ხორთუმია, რომელზეც ორ რიგად განლაგებულია 28-დან 50-მდე კაუჭი. მათ გარდა სკოლექსზე ოთხი მისაწოვარია. პირველი პროგლოტიდა სასქესო ორგანოებს არ შეიცავს. მეორე, ჰერმაფოროდიტულ პროგლოტიდაში მრავლობითი სათესლე ჯირკვლებია, რომელთა სპირალურად დახვეული თეს-

ლგამომტანი სადინარი მთავრდება მსხლისებრი ფორმის სასქესო ბურსით. მდედრობითი სასქესო სისტემა წარმოდგენილია ნალისებრი ფორმის საკვერცხით, საშვილოსნოთი, საყვითრე ჯირკვლებით, მელისის სხეულით და ვაგინით. სასქესო აპარატი ერთმაგია. მისი ხვრელები პროგლოტიდას ერთ მხარეს იხსნებიან. ბოლო, მომწიფებულ პროგლოტიდაში, რომელიც ზომით აღემატება სტრობილას მთელ დანარჩენ მონაკვეთს, საშვილოსნოს გრძივი სეეტის სახე აქვს. იგი შეიცავს 800-მდე კვერცხს. ექინოკოკის ონკოსფერა (კვერცხი), რომელსაც მრგვალი ფორმა აქვს (დიამეტრი 0,030-0,036 მმ), გარედან დაფარულია რადიალურად დახაზული გარსით.




სურ. 15. *Echinococcus granulosus*

აღმძვრელის ბიოლოგია. საბოლოო მასპინძლები (ძალლი, მგელი, ტურა, მელა) ექსკრემენტებთან ერთად გარემოში გამოყოფენ ექინოკოკის ბოლო, მომწიფებულ პროგლოტიდებს, რომელთაც მოძრაობის უნარი შესწევთ. მათ შეუძლიათ 15-20 სმ-ის მანძილზე გადაადგილება ან ბალანის ღეროებზე აცოცება, რა დროსაც პროგლოტიდას კედლების მთლიანობა ირღვევა და კვერცხები მიმოიფარგლება.

შუალედური მასპინძლის დაინვაზიება ხდება საკვებთან ან წყალთან ერთად პარაზიტის ონკოსფერების ან მომწიფებული პროგლოტიდების გადაყდლაპვით. ნაწლავში გამოთავისუფლებული ონკოსფერები შეიჭრებიან ნაწლავის კედელში, შეაღწევენ მის კაპილარებში და სისხლის ან ლიმფის გზით მიიტანებიან სხვადასხვა ორგანოსა თუ ქსოვილში, სადაც ჩაბუდებენ და ექვსი თვის შემდეგ ჩამოყალიბდებიან ინვაზიური სტადიის ბუშტებად. ძალლისა და სხვა ხორცისმჭამელების დაინვაზიება ხდება ექინოკოკის ბუშტებით დაინვაზიებული ორგანოების (უფრო ხშირად ლვიდლისა და ფილტვის) შეჭმის შედეგად. ძალლის ორგანიზმში პარაზიტი სქესობრივ სიმწიფეს საშუალოდ 2-3 თვეში აღწევს, რაც

წლის სეზონზე და რეგიონის გეოგრაფიულ მდებარეობაზეა დამოკიდებული. მაგალითად, დადგენილია, რომ საქართველოს პირობებში გაზაფხულ-ზაფხულში ძაღლის ორგანიზმში ექინოკოკები სქესობრივ სიმწიფეს აღწევენ დაინვაზიებიდან 38-ე დღეს, შემოდგომით - 46-ე დღეს, ხოლო ზამთარში - 61-ე დღეს. ნაწლავური ფორმის ექინოკოკების სიცოცხლის ხანგრძლივობა 5-6 თვეს არ აღემატება.



სურ. 16. *E. granulosus*-ის განვითარების ციკლი

ეპიზოოტოლოგიური მონაცემები. მიუხედავად შუალედური მასპინძლების ფართო წრისა, საქართველოში ექინოკოკოზის ეპიზოოტოლოგიასა და ეპიდემიოლოგიაში განსაკუთრებულია ცხვრის (ძირითად თრ წელზე უხნესი ასაკის) როლი, რადგან უმეტესად

ისინი არიან დაინვაზიებული სკოლექსებშემცველი ექინოკოკის ბუშტებით. ნაკლებმიშვნელოვანია ღორების როლი, ხოლო მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი თითქმის არ წარმოადგენს ძაღლის დაინვაზიების წყაროს. ქვეყანაში ექინოკოკოზი უფრო გავრცელებულია მის აღმოსავლეთ რეგიონში, სადაც მეცხვარეობა მეცხოველეობის ერთ-ერთი უმთავრესი დარგია, მით უფრო მომთაბარე, და გადის საქონლის გადასარეკი ძირითადი ტრასები. აქ ექინოკოკოზით დაავადებულია ცხვრის მთელი სულადობის დაახლოებით ნახევარი. რაც შეეხება სხვა სახეობის შინაურ ცხოველებს, საქართველოში ექინოკოკოზით დაავადებულია მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვისა და ღორის მთელი სულადობის დაახლოებით ერთი მესამედი. როგორც წესი, ექინოკოკოზით ცხოველებისა და ადამიანის დაავადების წყაროა ძაღლი, ძირითადად უპატრონო, ფერმის ან ფარის გუშაგი. ინვაზიის გავრცელებას ხელს უწყობს ცხოველების არასრულფასოვანი კვება, მურნეობაში არსებული არადამაკმაყოფილებელი გეტერინარიულ-სანიტარიული პირობები. ადამიანი ექინოკოკოზით ავადდება დაინვაზიებულ ძაღლთან უშუალო კონტაქტით, ექინოკოკის კვერცხებით დაბინძურებული ბოსტნეულის, ხილის, მწვანილის შეჭმისა და პირადი ჰიგიენის ნორმების დაუცველობის გამო.

პათოგენეზი. ექინოკოკის ბუშტები მასპინძლის ორგანიზმზე ახდენენ მექანიკურ, ტოქსიკურ და ალერგიულ ზემოქმედებას. დაინვაზიებულ ორგანოზე დიდი ზომის მრავალი ბუშტის დაწოლის გამოხდება მომიჯნავე ქსოვილების ატროფია. მათი ლოკალიზაციიდან, რაოდენობიდან და ზომიდან გამომდინარე, ვითარდება სხვადასხვა ხასიათის ადგილობრივი და ზოგადი ხასიათის აშლილობები. ბუშტის გასკდომისას შესაძლოა განვითარდეს სხვადასხვა გართულება. ზოგჯერ ექინოკოკის ბუშტი იღუპება და ჩაიკირება. ექინოკოკოზით დაავადებული ცხოველების სისხლში მცირდება ერთოროციტების რაოდენობა, ქვეითდება ჰემოგლობინის მაჩვენებელი, ვითარდება ეოზინოფილია.

დაავადების სიმპტომები. ექინოკოკოზის დროს ცხოველის საერთო მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. დაავადება მიმდინარეობს მკვეთრად გამოხატული ნიშნების გარეშე, თუმცა მოგვიანებით ისინი სხვადასხვაგვარად ვლინდება, რაზეც გავლენას ახდენს ბუშტების დამატების გამო.

ბის მდებარეობა, რაოდენობა, ინვაზიის ხანგრძლივობა, ორგანიზმის საერთო მდგომარეობა, ცხოველის მოვლა-შენახვისა და კვების პირობები. სრულფასოვანი კვების დროს დაავადება ხანგრძლივი დრო-ის განმავლობაში სუბკლინიკურად მიმდინარეობს. უმეტეს შემთხვევაში ვითარდება ძლიერი სიგამხდრე, მცირდება ცხოველის პროდუქტიულობის მაჩვენებლები, ცხვარს მატყლი აბურმგნილი აქვს, რომელიც ხშირად ცვივა. ღვიძლის დაზიანების შემთხვევაში შეინიშნება საჭმლის მონელების პროცესის აშლილობა, ღვიძლის მოყრუბის არ გაფართოებული და პალპაციის დროს მტკივნეულია. ფილტვის ექინოკონზი იწვევს ხველას და სუნთქვის გაძნელებას. ინტენსიური ინვაზიის შემთხვევაში ცხოველი შესაძლოა დაიღუპოს გამჭლევებისაგან.

პათოლოგიურ-ანატომიური ცვლილებები. ექინოკოკის ბუშტებს ჩვეულებრივ პოულობებს ღვიძლსა და ფილტვებში, იშვიათად თირკმელებში, ელენთაში. ინტენსიური ინვაზიის დროს დაზიანებული ორგანოები მნიშვნელოვნად გადიდებულია, მათი ქსოვილი ატროფირებულია. ხშირად ექინოკოკის ბუშტები ჩაკირულია.

დიაგნოზი. კლინიკური ნიშნების საფუძველზე ექინოკონზის დიაგნოსტირება თითქმის შეუძლებელია. რენტგენოსკოპიამ ფართო გამოყენება ვერ პოვა. ზოგჯერ იყენებენ მიუნობიოლოგიურ მეთოდებს, რომლებიც უფრო პერსპექტიულია. მაგალითად, მოწოდებულია კაზონის კანშიდა რეაქცია. ცხოველის კანში, კისრის არეში ან სხვა ადგილას შეპყავთ 0,1-0,2 მლ სითხე, რომელსაც სტერილურად იღებენ ექინოკოკის ბუშტიდან. დადებითი რეაქციის შემთხვევაში, 5-10 წუთის შემდეგ ცხვარს ინექციის ადგილას წარმოექმნება წითელი რკალით შემოსაზღვრული შეშუპება (დიამეტრით 0,5-2,0 სმ), რომელიც 20 წუთის შემდეგ მეწამულ ფერს იძენს. უფრო გამოხატული რეაქცია მიიღება სრულფასოვანი სკოლექსებისაგან. ფიზიოლოგიურ ხსნარში გახსნილი ანტიგენი, შეფარდებით 1:750-თან, შეკყავთ ცხვრის თვალის ზედა ქუთუთოს კანის სისქეში დოზით 0,2 მლ. რეაქციას თვლიან დადებითად, თუ შეშუპების დიამეტრი 12-18 მმ-ია, შესაძლოა მეტიც. თუ შეშუპების დიამეტრი 9 მმ-მდეა, რეაქცია საეჭვოდ ითვლება. შეშუპების ზომებს ადგენენ 1-3 საათის შემდეგ შტანგენფარგალის მეშვეობით.

უნდა აღინიშნოს, რომ გაკვეთისას ერთეული ბუშტების აღმოჩენა არ შეიძლება ჩაითვალოს ცხოველის სიკვდილის მიზეზად. ექინოკოკონზისაგან ცხვრისა და თხის სიკვდილი შეინიშნება მხოლოდ ლარვოცისტებით ძლიერი დაინვაზიების შემთხვევაში.

მკურნალობა. ლარვული ექინოკოკონზით დაავადებული ცხოველების მკურნალობა შემუშავებული არ არის. ბოლო დროს სინთეზირებულია ნივთიერებათა ორი ჯგუფი. პირველ ჯგუფს მიეკუთვნება პრაზიკვანტელი (დრონციტი), რომელიც ექსპერიმენტის დროს წარმატებით გამოიყენება მცოხნავი ცხოველების, ღორის, ბოცვრების ცისტიცერკონზების სამკურნალოდ. ანტკელმინთურ საშუალებათა მეორე ჯგუფს მიეკუთვნება მებენდაზოლი, ფენბენდაზოლი და კამბენდაზოლი, რომლებიც დადებითი შედეგით არის გამოცდილი ლარვული ცესტოდოზების დროს.


პროფილაქტიკა და ბრძოლის ღონისძიებები ექინოკოკონზის შემთხვევაში ისეთივეა, როგორიც სხვა ლარვული ტენიდოზების დროს.

ცერვბრალური ცენტრი

ცერვებრალური ცენტრი ("რეტი") ცხვრისა და თხის დაავადებაა, რომლის გამომწვევია ლარვული ფორმა - *Coenurus cerebralis*. ცენტროზით ავადდება აგრეთვე მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, იშვიათად - ღორი, ცხენი, გარეული მცოხნავები, ძალზე იშვიათად - ადამიანიც. ცენტრუსის ბუშტები ლოკალიზობენ თავის, იშვიათად - ზურგის ტვინში. მისი ზრდასრული ფორმა - *Multiceps multiceps*, პარაზიტობს ძალლის, მგლის, ტურის, მელას, ყარსაღის წვრილ ნაწლავებში. ცენტროზით გამოწვეული ეკონომიკური ზარალი გამოიხატება ცხვრის სულადობის მასობრივი გაწყდომითა და დაავადებული ცხოველების იძულებითი დაკვლით. ცენტროზით დაავადებული ცხოველები ძლიერ გამჭლევებული არიან, რის გამო მათი ნაკლავი იგზავნება საუტილიზაციოდ.

აღმძვრელი. ცენტრუსი გამჭვირვალე სითხით სავსე, მრგვალი ან ოვალური ფორმის ბუშტია, რომლის ზომები, ლოკალიზაციის ადგილიდან გამომდინარე, მერყეობს მუხუდოს მარცვლის ოდენობიდან

10-15 სმ-მდე. გარედან იგი დაფარულია გამჭვირვალე ქიტინიზებული გარსით. სითხეში კარგად ჩანან შიდა გარსზე მიმაგრებული სკოლექსები, რომელთა რაოდენობა მერყობს რამდენიმე ათეულიდან რამდენიმე ასეულამდე.




სურ. 17. სხვდასხვა კონფიგურაციის ცენურუსის ბუშტები, რომელთა გამჭვირვალე გარსის ქვეშ სკოლექსები ჩანან

ლოტიდაში საშვილოსნოს მედიალური სვეტის სახე აქვს, რომლი-დანაც ორივე მხარეს 9-დან 26-მდე გვერდითი ტოტი გამოდის. მულტიცეფსის კვერცხს მრგვალი ფორმა აქვს და დაფარულია ოთხი გარსით. მისი დიამეტრია 0,031-0,036 მმ.

აღმძრელის ბიოლოგია. დეფინიტური მასპინძელი (ძირითადად ძალი) ექსკრემტებთან ერთად გამოყოფს მომწიფებული მულტიცეფსების პროგლოტიდებს. აღმძრელის კვერცხები, რომლებიც ძალიან გამძლე არიან გარემო პირობების მიმართ და დიდხანს ინარჩუნებენ სიცოცხლის უნარს, ხვდებიან საძოვარზე, წყალში, საკვებურებში, ქვეშაფენზე. შუალედური მასპინძლის (ძირითადად ცხვარი) დაინვაზიება ხდება საძოვარზე ან სადგომში საკვებთან ან წყალთან ერთად მულტიცეფსების კვერცხების გადაყლაპვით. ცხოველის ნაწლავში გამოთავისუფლებული ონკოსფერები შეიჭრებიან ნაწლავის კედლის სისხლძარღვებში და სისხლის გზით მიიტანებიან თავისა და ზურგის ტვინში, სადაც ჩაიბუდებენ, მიიღებენ ბუშტის ფორმას და იწყებენ ზრდას. ცხვრის დაინვაზიებიდან დაახლოებით ერთი თვის შემდეგ ცენურუსის ბუშტში იწყება სკოლექსების ფორმირება და მისი დიამეტრი 1-1,5 სმ-ს აღწევს. დაახლოებით სამი თვის შემდეგ ცენურუსის ბუშტი ინვაზიურია. ამ დროს მისი დიამეტრი

4-7 სმ-ია. ბუშტის ზრდა შემდეგაც გრძელდება, ოღონდ ნაკლები ინტენსიურობით.



სურ. 18. Multiceps multiceps-ის განვითარების ციკლი

ძალლი, მგელი, ტურა, მელა, ყარსაღი ავადდებიან ცენურუსებით დაინვაზიებული ცხვრის, სხვა შუალედური მასპინძლების თავის ტვინის შეჭმის შედეგად. მათ ნაწლავში იმდენი მულტიცეფსი ვითარდება, რამდენი სკოლექსიც იყო ცენურუსის ბუშტში. ძალლის ორგანიზმში პარაზიტი სქესობრივ სიმწიფეს აღწევს დაინვაზიებიდან 40-45 დღის შემდეგ. მისი სიცოცხლის ხანგრძლივობა საშუალოდ 6-8 თვეა. აღსანიშნავია, რომ ლეგების ორგანიზმში მულტიცეფსები უფრო სწრაფად ვითარდებიან.

ეპიზოოტოლოგიური მონაცემები. ცენურალური ცენუროზი ფართოდ არის გავრცელებული. ცენუროზით უფრო ხშირად ორ

წლამდე ასაკის ცხვრები ავადდებიან. ცხვრების გაწყდომა წლის ნებისმიერ სეზონშია შესაძლებელი. პარაზიტის კვერცხები გამძლენი არიან გარემო პირობების ზემოქმედების მიმართ, მაგრამ შედარებით სწრაფად იღუპებიან მაღალი ტემპერატურის ზეგავლენით. ცენუროზით დაავადების ძირითადი წყაროა ცხვრის ფარასთან მყოფი ძალი. გარეული ხორცისმჭამელების როლი ცენუროზის ეპიზოოგოლოგიაში უმნიშვნელოა. დაავადების გავრცელება დამოკიდებულია ცხოველის მოვლა-შენახვისა და კვების პირობებზე. სრულფასოვანი კვების დროს მნიშვნელოვნად მცირდება ცენურუსებით ცხვრებისა და თხების დაინვაზიების მაჩვენებელი.

პათოგენური ცხოველის ორგანიზმზე პარაზიტის პათოგენური ზემოქმედება ვლინდება ნაწლავის კედელში, სისხლძარღვებსა და ტვინში ონკოსფერების შეჭრისთანავე. მიგრაციისას აღმძვრელის ჩანასახოვანი ფორმები ტრავმას აყენებენ და აღიზიანებენ ტვინის უჯრედებს, იწვევენ ანთებით პროცესს და მენინგო-ენცეფალიტის მოვლენებს. ჩანასახის ზრდასთან ერთად მისი მიგრაცია ტვინის გარსებში ნელდება და ბოლოს წყდება. ამ დროს მწვავე მოვლენები ქრება და გარკვეული დროის განმავლობაში ცხოველი ჯანსაღად გამოიყურება. მაგრამ მოცულობაში მატების კვალობაზე ცენურუსის ბუშტი აწვება ტვინს და იწვევს მის ანემიას და ატროფიას, აგრეთვე შეგუბებით მოვლენებს თვალის ფსევრზე და თავ-ზურგტვინის სითხის ცილოვან-უჯრედული რეაქციის ცვლილებას (მატულობს მისი სიბლანტე, ცილის რაოდენობა, ჩნდება ეოზინოფილები). შემდგომში ტვინის ქსოვილის ატროფიული პროცესი კიდევ უფრო ძლიერდება, რის გამო ვითარდება მყარი ცვლილებები ნერვულ სისტემაში (ჰემიპლეგია, თვალის ნერვის დისტროფია), ირლვევა სტატიკური და ლოკომოტორული ფუნქციები, ჩნდება კრუნჩხვითი მოვლენები; მატულობს ქალაშიგა წნევა, რაც კიდევ უფრო ამძიმებს დაავადების მიმდინარეობას. პათოგენური ზემოქმედება არ შემოიფარგლება მხოლოდ ბუშტის ლოკალიზაციის ზონით, იგი ვრცელდება თავის ტვინის სხვა უბნებზე, თვალის ნერვზე და სხვადასხვა ორგანოებზე; უფრო მეტიც, იგი რთულდება ტოქსიკური ზემოქმედებითაც. აღსანიშნავია, რომ თუ ცენურუსის ბუშტი მდებარეობს თავის ტვინის ზედაპირზე, ატროფიას განიცდიან თავის ქალას ძვლებიც.

იმუნიტეტი. ცენუროზის დროს მკვეთრად არის გამომჟღავნებული ასაკობრივი იმუნიტეტი. ყველაზე მეტად დაავადების ამთვისებელია ბატკანი.

დაავადების სიმპტომები ცხვრის ცენუროზის დროს დამოკიდებულია ბუშტის ლოკალიზაციის ადგილზე, ტვინში განვითარებული ცვლილებების ხარისხზე, ბუშტების რაოდენობაზე, მათ ზომაზე, აგრეთვე ცხოველის ფიზიოლოგიურ მდგომარეობაზე. ჩვეულებრივ, პათოლოგიურ პროცესში ჩართულია თავის ტვინის რამდენიმე მომიჯნავე უბანი. ამიტომ ცენუროზის გამოვლინება განსხვავებულია და, პარაზიტის ბიოლოგიიდან გამომდინარე, სამი სტადიით ხასიათდება:

პირველი სტადია განპირობებულია ცხოველის ნაწლავიდან ტვინში ონკოსფერების მიგრაციით. ცხვარი მოდუნებული ან აგზნებულია. შეინიშნება შიში, კანკალი, უმიზნო, მკვეთრი მოძრაობები. თვალის ლორწოვანი გარსი ჰიპერემიულია. ზოგჯერ დაავადების პირველი სიმპტომების გამოჩენიდან მე-4-5 დღეს ცხვარი იღუპება. მწვავე ცენუროზის დროს კლინიკური ნიშნების თავისებურებები და მათი გამოვლინების მატება ვეტერინარიის დარგის მუშაკებს აფიქრებინებს სხვადასხვა ინფექციურ დაავადებაზე.

მეორე სტადია განისაზღვრება ცენურუსის ბუშტის ფორმირებით და ზრდის ნელი ტემპით, რაც 2-6 თვეს გრძელდება. დაავადების კლინიკური ნიშნები არ ვლინდება და ცხოველი ჯანსაღად გამოიყურება.

მესამე სტადიაში ცხვრის საერთო მდგომარეობა გაუარესებულია. ცხოველი დროდადრო არ იღებს საკვებს, მოულოდნელად ჩერდება, ხანგრძლივად თავჩაქინდრული დგას, თავით რაიმე საგანს ებჯინება, გარემომცველ სიტუაციაზე არ რეაგირებს, ხშირად წრიულად მოძრაობს. მას დარღვეული აქვს მოძრაობის კოორდინაცია. ზოგჯერ ცხვარი თავს უკან გადააგდებს, წინ გარბის ან უკან იხევს. თავს იჩენს ტონური კრუნჩხვები. ზოგიერთი ცხვარი ნაწილობრივ ან მთლიანად კარგავს მხედველობის უნარს. ცხოველი აღარ იღებს საკვებს, თანდათან ხდება, სუსტდება, უმეტესად წევს. ასეთი მდგომარეობა შესაძლოა ერთ-ორ თვეს გაგრძელდეს და საბოლოოდ ცხოველი კვდება.

ცენუროზის დროს ასეთი კლინიკური სურათი ვლინდება თავის ტვინში ერთი ბუშტის არსებობის შემთხვევაში. თუ ბუშტების რა-

ოდენობა მეტია, მაშინ სიმპტომები განსხვავებული იქნება.

ზურგის ტკინის დაზიანების დროს ცხვარი ბარბაცით დადის. მოგვიანებით მას უგითარდება უკანა კიდურების სრული დამბლა, ხოლო დაზიანების მიღამოში კანი კარგავს მერმნობიარობას.

მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ცერებრალური ცენუროზის კლინიკურ სურათს მრავალი საერთო აქვს ცხვრის ცენუროზთან.

პათოლოგიურ-ანატომიური ცვლილებები. იძულებით დაკლული ან მკვდარი ცხვრის გაკვეთისას თავის ტკინში ნახულობებს ერთ ან რამდენიმე ბუშტს. ტკინის ქსოვილებზე ბუშტის ძლიერი დაწოლის გამო ნერვული უჯრედები დიდ ფართობზე დაშლილია. ამავე მიზე-ზის გამო თავის ქალას ძვლები ძლიერ გათხელებულია, ზოგჯერ კი - პერფორირებული.

დიაგნოზი. ცხოველის სიცოცხლეში ცენუროზზე დიაგნოზი ის-მება ეპიზოოტოლოგიური მონაცემების, კლინიკური ნიშნებისა და თავის ქალას ძვლების გამოკვლევით (პალპაცია და პერკუსია). პერკუსის დროს ცენურუსის ბუშტის ლოკალიზაციის ადგილას აღინიშნება მოყრუება, ხოლო პალპაციისას - ქალას ძვლის გათხელება, რომელიც იღუნება. დაავადების კლინიკური ნიშნებიდან საყურადღებოა იძულებითი მოძრაობისა და კრუნჩხვების ხასიათი, თავისა და კიდურების მდებარეობა, მხედველობის უნარის დაკარგვა.

დიფერენციალური დიაგნოზი. ცენუროზი უნდა განვასხვაოთ ესტროზისაგან. ესტროზით ავადდება ყველა ასაკის ცხვარი, ცენუროზით - უმეტესად მოზარდეული. ორივე დაავადებისათვის დამასასიათებელია ცხვრის წრიული მოძრაობა. მაგრამ თუ ესტროზის შემთხვევაში ცხვარი წრებზე მოძრაობს როგორც მარჯვნივ, ისე მარცხნივ, ცენუროზის დროს იგი მოძრაობს მხოლოდ ერთი მიმართულებით, იმ მხარის საწინააღმდეგოდ, თუ ტკინის რომელი ნახევარსფეროა დაზიანებული. ესტროზის დროს თავის ქალას პალპაციით არ შეიგრძნობა ძვლების გათხელება და ფლუქტუაცია, რაც დამახასიათებელია ცენუროზისათვის. ასევე, ესტროზის დროს ვითარდება ცხვირის ღრუს ლორწოვანი გარსის კატარული ანთება, სუნთქვა გართულებულია, შეინიშნება სეროზულ-ლორწოვანი, ჩირქოვანი ან სისხლისმაგვარი გამონადენი ცხვირის ღრუდან და ფუფ-ხი ნესტოების ირგვლივ, ცენუროზის შემთხვევაში კი - არა.


და ბოლოს, ესტროზისაგან ცენუროზის დიფერენცირების სრულ შესაძლებლობას ოფთალმოსკოპია იძლევა. ცენუროზის დროს, როგორც წესი, თვალის ფუძეზე შეინიშნება დვრილის შეგუბების მსგავსი ცვლილებები. ესტროზის დროს თვალის ფუძე ნორმალურ მდგომარეობაშია.

ბუშტი მნიშვნელოვან ზომებს აღწევს, მიზანშეწონილია ქირურგიული ჩარევა, რომლის დროსაც ხდება ბუშტის ამოკვეთა თავის ქალას წინასწარი ტრეპანაციის ან პუნქციის შემდეგ. ქირურგიული ჩარევის შემდეგ ცხვრის გამოჯანმრთელება სწრაფად ხდება. ოპერაციის დროს ამოკვეთილი ცენურუსის ბუშტი აუცილებლად უნდა მოისპოს.

პროფილაქტიკა და ბრძოლის ღონისძიებები ისეთივეა, როგორც სხვა ლარვული ტენიდოზების დროს.

ტენიდოზური (ნაზყელიანი) ცისტიცერკოზი

ტენიდოზური (ნაზყელიანი) ცისტიცერკოზი ცხვრის, თხის, ღორის, იშვიათად მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის, აგრეთვე მრავალი გარეული ძუძუმწოვრის დაავადება, რომლის გამომწვევი ლარვული ფორმა - *Cysticercus tenuicollis* ლოკალიზობს ბადექონზე, ჯორჯალზე, ღვიძლზე, სხვა ორგანოებზე. მისი ზრდასრული ცესტოდა - *Taenia hydatigena* პარაზიტოს ძალის, მგლის, ტურის, სიასამურის, ყარსალის წვრილ ნაწლავებში.



სურ. 19. ტენიდოზური ცისტიცერკოზი და გვიძლზე

აღმძვრელი. *Cyst. tenuicollis* ქათმის კვერცხის ზომის, ოვალური ფორმის, მოთეთრო ფერის მქონე, გამჭვირვალე სითხით სავსე თხელგარსიანი ბუშტია. მის კედელზე კარგად ჩანს ერთი დიდი სკოლექსი.

ამ ტელმინთის ნაწლავური ფორმა - *Taenia hydatigena* გარეულ ხორცის-

მჭამელთა ერთ-ერთი ყველაზე დიდი ცესტოდაა. მისი ზომები 2-დან 5 მეტრამდე მერყეობს. სკოლექსი აღჭურვილია ოთხი მისაწვრით და ორ რიგად, წრიულად განლაგებული 26-44 კაუჭით. მომწიფებულ პროგლოტიდაში საშვილოსნოს გასწვრივი სვეტის სახე აქვს, რომლისგან 5-დან 16-მდე ტოტი გამოდის.

აღმძვრელის ბიოლოგია. ძალი, სხვა დეფინიტური მასპინძლები ფეკალთან ერთად გამოყოფენ *T. hydatigena*-ს მომწიფებულ პროგლოტიდებს, რომელთა გახრწნის ან მექანიკური დაზიანების შედეგად გამოთავისუფლებული კვერცხები ხვდებიან ბალაზე, წყალში, მოვლის საგნებზე და შემდეგ გადაიყლაპებიან შუალედური მასპინძლების მიერ. შუალედურ მასპინძელთა ორგანიზმში პარაზიტის ჩანასახოვანი ფორმები გააღწევენ ნაწლავის კედელში და კარის ვენის სისტემის (ღვიძლის გავლით) გზით მიიტანებიან ლოკალიზაციის ადგილებში, სადაც დაინვაზიებიდან ორი თვის შემდეგ აღწევენ ინვაზიურ სტადიას.

დეფინიტური მასპინძლების დაინვაზიება ხდება ნაზყელიანი ცისტიცერკებით დაინვაზიებული შინაგანი ორგანოების შეჭმით. მათ ორგანიზმში *T. hydatigena* სქესობრივ სიმწიფეს აღწევს 1,5-2 თვის შემდეგ. აღსანიშნავია, რომ ამ ჰელმინთოზით უპირატესად ახალგაზრდა ძალები ავადდებიან.

პათოგენეზი. მიგრაციისას პარაზიტის ჩანასახოვანი ფორმები და ახალგაზრდა ცისტიცერკები არღვევენ წვრილი სისხლძარღვებისა და ღვიძლის პარენქიმის მოლიანობას. განვითარებულმა სისხლდენამ და მწვავე ჰემორაგიულმა ჰეპატიტმა შესაძლოა გამოიწვიოს მოზარდებულის სიკვდილი. ფორმირებული ნაზყელიანი ცისტიცერკების პათოგენური ზეგავლენა შუალედური მასპინძლის ორგანიზმშე უმნიშვნელოა.

დაავადების სიპტომები. არჩევენ ტენუიკოლური ცისტიცერკოზის მწვავე და ქრონიკულ ფორმებს. დაავადების მწვავე ფორმა განპირობებულია ჩანასახოვანი ფორმებისა და ახალგაზრდა ცისტიცერკების ღვიძლში მიგრაციითა და მუცლის ღრუში მათი გამოსვლით.

ბატქნებს აღენიშნებათ მოუსვენრობა, ნერწყვდენა, ფალარათი, ტკივილი მუცლის არეში. ისინი არ იღებენ საკვებს. ზოგ შემთხვევაში შესაძლოა მოიმატოს სხეულის ტემპერატურამ. პირველი კლინიკური ნიშნები დაინვაზიებიდან 3-5 დღის შემდეგ ჩნდება და დაავადება მაქსიმალურად ვლინდება მე-7-13 დღეს. ბატქნებისა და გოჭებისათვის ეს პერიოდი ძნელად გადასატანია და მათი უმეტესობა იღუპება.

ქრონიკულ მიმდინარეობას დაავადება იძენს ცისტიცერკების ღვიძლიდან გამოსვლის შემდეგ. ამ დროს კლინიკური ნიშნები გამოხატული არ არის. ზოგ შემთხვევაში ცხოველს მაღა დაჭვეთებული აქვს, იგი დათრგუნვილია, გამხდარია და ჩამორჩება ზრდა-განვითარებაში.

პათოლოგიურ-ანატომიური ცვლილებები გამოხატულია ღვიძლში. იგი გადიდებული, მურა-მორუხო შეფერილობისაა და დაფარულია ფიბრინული ნადებით. მის ზედაპირზე მრავლობითი სისხლჩაქცევებია, ხოლო პარენქიმაში დაკლაკნილი ხვრელებია, რომლებიც სისხლით არის სავსე. მათში შესაძლებელია ახალგაზრდა ცისტიცერკების (ზომით 3-5 მმ) აღმოჩენა. ზოგჯერ მკვდარ ბატქნებსა და გოჭებს აღენიშნებათ პერიტონიუმის ანთება.

დიაგნოზი. ცხოველის სიცოცხლეში ტენუიკოლური ცისტიცერკოზის სადიაგნოსტიკოდ მოწოდებულია ალერგიული მეთოდი, მაგრამ მან ჯერჯერობით ვერ პპოვა ფართო გამოყენება. ცხოველის სიკვდილის შემდეგ დიაგნოზის დასმა შესაძლებელია პათოლოგიურ-ანატომიური გაკვეთის შედეგების საფუძველზე და შინაგან ორგანოებზე ტენუიკოლური (ნაზყელიანი) ცისტიცერკების აღმოჩენით.

მკურნალობა შემუშავებული არ არის.

პროფილაქტიკა და ბრძოლის ღონისძიებები ისეთივეა, როგორიც სხვა ლარვული ტენიდოზების დროს.

**თემისადასტური ბრძოლის ღონისძიებები,
რომელთა აღმაშენების საბოლოო
მასაინდები არიან ძალი და გარეული
მთავრებელი ქადაგოვრები (ეპინოკორზი,
ცენტრზი, ტენისიკოლური ცისტიცირკოზი)**

ტენიდოზებთან ბრძოლის პრიციპი გულისხმობს აღმბვრელების ბიოლოგიური ჯაჭვის გაწყვეტაში ადამიანის აქტიურ ჩარევას მათი ცალკეული როლის მოსპობის ან გათიშვის გზით. ტენიდოზების წინააღმდეგ ბრძოლა წარმატებული შეიძლება იქნეს თანამედროვე ჰელმინთოლოგიური მეცნიერების დონეზე კომპლექსურ ღონისძიებათა განხორციელებით, განსაკუთრებით აღვილობრივი ეპიზოოტოლოგიურ და ეპიდემიოლოგიურ თავისებურებათა გათვალისწინების საფუძველზე. ეს კომპლექსი მოიცავს ლარვული ცესტოდებით დაინვაზიებისაგან სასოფლო-სამეურნეო ცხოველების დაცვისა და ტენიდების ლენტისებრი (ნაწლავური) ფორმებით დაინვაზიებისაგან ძალების, გარეული მტაცებელი ძუძუმწოვრების არიდების ღონისძიებებს.

ლარვული ცესტოდებით დაინვაზიებისაგან სასოფლო-სამეურნეო ცხოველების დაცვის ღონისძიებები. ერთ-ერთი მთავარი ღონისძიებაა უზედაშედველო, მაწარწალა ძალების წინააღმდეგ ბრძოლა. ასეთი ძალების დაჭრა ორგანიზებულ უნდა იქნეს ყველა დასახლებულ პუნქტში და ამ ღონისძიების განხორციელებაში უნდა ჩაერთონ ვეტერინარიისა და მედიცინის დარგების მუშაკები, პოლიციის ორგანოები, საზოგადოებრიოების წარმომადგენლები.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ძალების მოვლა-შენახვის წესების დაცვას. თითოეულ რაიონში აღვილობრივ თავისებურებათა გათვალისწინებით უნდა შემუშავდეს დეტალური გეგმა, რომელიც დაარეგულირებს როგორც ცალკეული მეურნეობის, ისე კერძო პირების კუთვნილი ძალების მოვლა-შენახვას. ეს გეგმა დამტკიცებულ უნდა იქნეს რაიონის ხელმძღვანელობის მიერ და დაყვანილი იმ პირებამდე, რომლებიც პასუხისმგებლები არიან ძალების შენახვისათვის.

სავალდებულოა მეურნეობრივად ყველა სასარგებლო ძალის

რეგისტრაცია. მათზე უნდა გაიცეს პასპორტი, ნომრიანი ნიშანი, აგრეთვე სპეციალური ბარათი, რომელშიც აღინიშნება განხორციელებული დეპელმინთიზაცია.

ფარისა და ნახირის ტერიტორიაზე ტოვებენ ძალების მინიმალურ რაოდენობას. მეურნეობის მეპატრონებ ძალები უნდა უზრუნველყოს საკვებით და საკვების მისაღები სპეციალური ჭურჭლით. მეურნეობაში ახალი ძალების შეყვანა დასაშვებია მხოლოდ მათი წინასწარი დეპელმინთიზაციის შემდეგ და ვეტერინარ სპეციალისტთა ნებართვით. დაუშვებელია მათ დაუკითხავად ძალების გადაყვანა ერთი ფარიდან მეორეში. კატეგორიულად აკრძალულია ძალების შენახვა მეცხოველეობის ფერმების, სასაკლაოს, ბაზრის ტერიტორიაზე, პირუტყვის საკვების შესანახ აღვილებსა და საკვების მოსამზადებელ განყოფილებებში.

ძალების დეპელმინთიზაცია გეგმური უნდა იყოს. დამუშავებას ექვემდებარება მეურნეობის ყველა ძალი, გინაიდან ერთ არადაეპელმინთიზებულ ცხოველს შეუძლია არსებითი როლი შეასრულოს ინვაზიის გავრცელებაში. ძალების დეპელმინთიზაციისათვის რეკომენდებულია ბრომწყალბადიანი არეკოლინი, ფილიქსანი, სულფენი, ამინოაკრიქინი, მარი გვიმრის ძირის ექსტრაქტი, დრონციტი და სხვ.

ბრომწყალბადიანი არეკოლინი ეფექტურია ყველა ტენიდოზის დროს. პრეპარატი აღვილად გამოსაყენებელია და სწრაფი მოქმედებით გამოირჩევა (საფალარათოს არ უნიშნავენ, რადგან არეკოლინი აძლიერებს პერისტალტიკას). არეკოლინს უნიშნავენ ინდივიდუალურად, ღონით $0,004$ გ/კგ, ერთჯერადად, 12-14-სათიანი მშეირი დიეტის შემდეგ რძესთან ერთად, პურის ბოლუსში ან ხორცის ფარშში შერეულს ისე, რომ ძალმა მაშინვე გადაყდაპოს იყი. თუ პრეპარატის გამოყენებისთანავე ძალს დაწყო პირდებინება, მკურნალობას იმეორებენ. პრეპარატის გამოყენების შემდეგ ძალს აბამებ. ტენიდები ჩვეულებრივ გამოიყოფა პირველი, მეორე და მესამე დეფეკაციის დროს. ამ პელმინთების ინვაზიური საწყისის გავრცელებისათვის ყველაზე საშიშია ფეკალის პირველი და მეორე გამონაყოფი.

ფენასალი ძალს ეძლევა ღონით $0,25$ გ/კგ ინდივიდუალურად პურთან, ხორციან ერთად ან ბოლუსებით. მშეირ დიეტაზე ცხოველებს არ ამყოფებენ. საფალარათოს არ აძლევენ. პრეპარატის მოქ-

მედების პერიოდში ძაღლი დაბმულია.

ფილიქსანი ძაღლს წონით 15 კგ-მდე, ენიშნება დოზით 0,4 გ/კგ, ხოლო უფრო მეტი წონის ძაღლებს - 0,2-0,3 გ/კგ 24-საათიანი მშენერი დიეტის შემდეგ. პრეპარატს ახვევენ პაპიროსის ქაღალდში და დებენ პურში, ცომში, ცხვრის ნაწლავის ნაჭერში ან აძლევენ ძაღლს რძესთან ერთად. დეპელმინთიზაციის შემდეგ ძაღლს აბამენ 24 საათის განმავლობაში; საფალარათო საშუალებას არ იყენებენ. პირლებინების ასაცილებლად ცხოველს საჭმელს აძლევენ პრეპარატის მიცემიდან არა უადრეს 5-6 საათისა.

დრონციტს (პრაზიკვანტელი) იყენებენ დოზით 0,005 გ/კგ ინ-დივიდუალურად, ერთჯერად ფხვნილის სახით, შერეულს საკვებთან, ან აბის ფორმით მშიერი დიეტის დაცვის გარეშე.

ამინოაკრიქინი გამოიყენება ორჯერად ათი დღის შუალედით, დოზით 0,2 გ/კგ, შემდგომ საფალარათოს დანიშვნით.

მამრი გვიმრის ძირის ექსტრაქტს უნიშნავენ უელატინის კაფსულებით, დოზით 1-5 გ, ძაღლის ასაკისა და ჯიშის მიხედვით. პრეპარატის მიცემიდან 2-3 საათის შემდეგ ძაღლს აძლევენ საფალარათო მარილს.

ძაღლის ტენიდოზების დროს დეპელმინთიზაცია უნდა განხორციელდეს ყოველ კვარტალში ერთხელ. თუმცა ექინოკოკოზის მხრივ არაკეთილსამედო მეურნეობაში მიზანშეწონილია დეპელმინთიზაცია ჩატარდეს წელიწადში რვაჯერ 45 დღის შუალედით.

ძაღლის დეპელმინთიზაციას ატარებენ სპეციალურად შემოღობილ ან თხრილით გამოყოფილ მოედანზე. ღონისძიება უფექტიანია იმ შემთხვევაში, თუ ცესტოდები სკოლექსებთან ერთად გამოიყოფა. წინააღმდეგ შემთხვევაში ნაწლავში დარჩნილი პარაზიტის ყელი-დან იზრდება ახალი სტრობილა. აუცილებელია დეპელმინთიზაციის კონტროლი განხორციელდეს მისი ჩატარებიდან 2-3 კვირის შემდეგ. დეპელმინთიზებული ძაღლის ექსკრემენტებს და მათთან ერთად გამოყოფილ ჰელმინთებს აგროვებენ და სპობენ. ადგილს, საიდანაც შეგროვილია ფეკალი, წვავენ სარჩილავი ლამფის ცეცხლით (წვის ხანგრძლივობა არა ნაკლებ ერთი წუთისა).

ტენიდების ლენტისებრი (ნაწლავური) ფორმებით დაინგაზიებისაგან ძაღლების, გარეული მტაცებელი ძუძუმწოვრების არიდების

ღონისძიებები. ტენიდების ლენტისებრი ფორმებით დაინგაზიებისაგან საბოლოო მასპინძლების დაცვის უზრუნველსაყოფად სასოფ-ლო-სამურნეო ცხოველების დაკვლა დასაშვებია სპეციალურად საამისოდ გამოყოფილ ადგილებში მკაცრი ვეტერინარიულ-სანიტარიული კონტროლით.

დაუშვებელია სასაკლაო პუნქტიდან წინასწარი დამუშავების გარეშე ექინოკოკისა და ცენურუსის ბუშტებით, აგრეთვე ცისტიცერკებით დაინგაზიებული ცხოველის ორგანოების გაშვება, მით უმეტეს, ძაღლების საკვებად მათი გამოყენება. დაზიანებული ორგანოები, ინვაზიის ხარისხისა და პათოლოგიურ-ანატომიური ცვლილებების მიხედვით, ექვემდებარება სტერილიზაციას ან უტილიზაციას. ცხოველის ლეშის მოსპობის საუკეთესო საშუალებაა მისი დაწვა.

დეკადაში ერთხელ საჭიროა ცხვრის სულადობის კლინიკური დათვალიერება ცენუროზით დაავადებული ცხვრების გამოვლენისა და იზოლირებისათვის. დაავადებულ ყველა ცხვარს გამოყოფენ განსაკუთრებულ ჯგუფში ქირურგიული მკურნალობისათვის. ექინოკოკოზით და ცერებრალური ცენუროზით დაავადებულ ცხოველებს დასაკლავად ცალკე ჯგუფებად გზავნიან.


იგავითალური სტაზის ცესტოზებით გამოცვაული ცესტოზოგები

მცონეავთა ანოალოგალატოზები

მონივზიოზი

მონივზიოზი წერილფეხა და მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის, ირმის, აქლემის, მრავალი გარეული მცონავი პირუტყვის დაავადებაა. მისი აღმძვრელები - *Moniezia expansa* და *M. benedeni* მიეკუთვნებიან *Anoplocephalidae*-ს ოჯახს, რომელიც გაერთიანებულია *Anoplocephalata*-ს ქვერაზმში. მონივზიები პარაზიტობენ წვრილ ნაწლავებში. უმთავრესად ავადდებიან 1,5-8 თვის ასაკის ბატქნები და მიმდინარე წელს დაბადებული ხბოები. ბატქნებში იგი ხშირად

ეპიზოოტიის ფორმით მიმდინარეობს. მოზარდეულის სიკვდილიანობის მაჩვენებელმა შესაძლოა 80%-ს გადააჭარბოს. მონიეზიაზი ასევე ხშირად მიმდინარეობს ქრონიკული ფორმით, რაც არ იწვევს პირუტყვის გაწყდომას, მაგრამ ამ დროს გაჯანსაღების პროცესი შენელებულია, ცხოველის ზრდა-განვითარება შეფერხებულია, ქვეითდება პროდუქტებიულობის მაჩვენებლები.



სურ. 20. მონიეზიას
სკოლექსი.


აპარატია, რომლის ზერელები სეგმენტების ორივე შხარეს იხსნებიან. მომწიფებულ პროგლოტიდაში დატოტვილი საშვილოსნოა, რომელიც კვერცხებით არის სავსე.

M. benedeni მოთეთრო-მოყვითალო ფერის ცესტოდაა, რომლის სხეულის სიგრძე ოთხ მეტრამდე აღწევს. ამ ცესტოდას ისეთივე ანატომიურ-მორფოლოგიური სტრუქტურა აქვს, როგორიც *M. expansa*-ს, მაგრამ მისგან განსხვავდება იმით, რომ მისი პროგლოტიდშუა ჯირკვლები შეჯვალულია ყოველი სეგმენტის წინა კიდის ცენტრში. ამას სადიაგნოსტიკო მნიშვნელობა აქვს.

მონიეზიას კვერცხი შეიცავს სამი წყვილი კაუჭით აღჭურვილ ონკოსფერას, რომლის ირგვლივ მსხლისებრი აპარატია. *M. expansa*-ს კვერცხს სამკუთხა ფორმა აქვს, *M. benedeni*-ს კვერცხს - ოთხკუთხა. მათი ზომები სიგრძეში მერყეობს 0,05-დან 0,09 მმ-მდე.

მონიეზიები ბიოპელმინთებია. მათი შუალედური მასპინძლებია ორიბატიდული (ნიადაგის ჯავშნიანი) ტკიპები.


აღმმძრელის ბიოლოგია. მონიეზიებით დაინვაზიებული ცხოველები ფეხალთან ერთად გამოყოფენ კვერცხებით სავსე პროგლო-



სურ. 21. ცხვრისა და თხის ნაწლავის ცესტოდების პროგლოტიდების აგებულება: 1-Moniezia expansa; 2-M. benedeni; 3-Thysaniezia giardi; 4-Avitellina centripunctata; 5-Stilesia globipunctata.


ტიდებს, რომელთა მექანიკური დაზიანების ან გახრწნის შემდეგ კვერცხები ზვდება საძოვარზე. აქ მათ ყლაპავენ ორიბატიდული ტკიპები. შუალედური მასპინძლების ორგანიზმში კვერცხიდან გა-

მოდის ონკოსფერა, რომელიც აქტიურად შეიჭრება სხეულის ღრუში, სადაც მისგან ვითარდება ლარვული ფორმა - ცისტიცერკოიდი. დადგენილია, რომ $16-20^{\circ}\text{C}$ ტემპერატურაზე მონიეზიების ორივე სახეობის ცისტიცერკოიდების განვითარება ზაფხულში და შემოდგომაზე 65-90 დღეში მთავრდება, შემოდგომასა და ზამთარში - 95-115 დღეში, ხოლო მუდმივად 26°C ტემპერატურის დროს - 51-52 დღეში. დეფინიტური მასპინძლის დაინვაზიება ხდება საძოვარზე ცისტიცერკოიდებით დაინვაზიებული ტკიპების გადაყლაპვის შედეგად. მის ორგანიზმში ტკიპა მოინელება, ხოლო გამოთავისუფლებული ცისტიცერკოიდი ემაგრება ნაწლავის ლორწოვან გარსს და იწყებს სწრაფი ტემპით ზრდას. დღე-დამის განმავლობაში ჰელმინტის სტრიბილა სიგრძეში საშუალოდ 8 სმ-ით მატულობს. ბატკნის ნაწლავებში *M. expansa* 38-40 დღეში ამთავრებს განვითარებას, *M. benedeni* - 42-49 დღეში. ხბოს ორგანიზმში ისინი 47-50 დღის განმავლობაში ვითარდებიან. მონიეზიების სიცოცხლის ზანგრძლივობა 2-7 თვეა.



სურ. 22. 1-*M. benedeni*-ს კვერცხი; 2-*M. expansa*-ს კვერცხი.

უძლიათ მიგრაცია მცენარის ღეროებზე. ბინადრობისათვის უკეთეს პირობებს ორიბატიდები პოულობენ შერეულ ტყეში. მათი გამოვლენა შესაძლებელია ჭარბტენიან საძოვრებზე. ნაკვეთების გადახვნა მნიშვნელოვნად ამცირებს ტკიპების რაოდენობას. კულტურული საძოვრები უფრო ნაკლებადაა დატკიპიანებული, ვიდრე ყამირი.



სურ. 23. მონიეზის განვითარების ციკლი

საქართველოში მონიეზიოზის მიმართ განსაკუთრებით არაკეთილსამედოა დედოფლისწყაროს, სიღნაღის, საგარეჯოს, გარდაბნის, ნინოწმინდის, ახალქალაქისა და სხვა რაიონები.

მონიეზიებით ბატქნების პირველი დაინვაზიება ხდება მარტის ბოლოს. აპრილის ბოლოს დაინვაზიებულია მათი სულადობის ნახევარი, ხოლო ივნის-ივლისში - თითქმის მთელი სულადობა. შემოდგომაზე დაინვაზიების მაჩვენებელი მნიშვნელოვნად მცირდება. 1-2 წლის მოზარდეულში ინვაზია მაქსიმუმს აღწევს მაისში და მო-

იცავს სულადობის დაახლოებით მესამედს.

მონიეზიების ცისტიცერკოიდებით პირველადი დაინვაზიების ვა-დები დამოკიდებულია ადგილობრივ აგროკლიმატურ პირობებსა და საძოვარზე ბატკნების გასვლის დროზე. სამხრეთ კავკასიის ქვეყ-ნებში მონიეზიოზი ვლინდება მარტში. გაზაფხულზე საძოვარზე ახ-ლად გასული ბატკნების, თიკნებისა და ხბოების დაინვაზიება ხდე-ბა M. expansa-თი. დაინვაზიების ექსტენსიურობისა და ინტენსიუ-რობის მაჩვენებლები მაღალ დონეზეა 2-3 თვის განმავლობაში. ცალკეულ მეურნეობაში დაინვაზიებულია ბატკნების 90%, ხოლო ხბოების - 40-60%. შემდეგ ეს მაჩვენებლები მცირდება, მაგრამ და-ახლოებით აგვისტოდან ცხოველების დაინვაზიება ხდება M. benedeni-თი (შემოღომის მონიეზიოზი). მოზრდილ ცხოველებში უმე-ტესად გვხვდება M. benedeni.

ინვაზიის წყარო შეიძლება გახდეს მონიეზიოზის მიმართ არაკე-თილსამედო სათიბ-საძოვრებზე დაზადებული თივა. მონიეზიოზის ეპიზოტოლოგიაში მნიშვნელოვანი მომენტია შუალედური მასპინ-ძლების - ტკიპების მრავალსახეობა.

პათოგენეზი. მონიეზიას მომწიფებული პროგლოტიდას სიგანე დაახლოებით 2-3 თვის ასაკის ბატკნის წვრილი ნაწლავის სანა-თურის დიამეტრის ტოლია. ამიტომ ჰელმინთების დიდი რაოდენო-ბით დაგროვება იწვევს ნაწლავის ინვაზიაციას, მონელების ფუნქცი-ის მოშლას. მათი ტოქსინები ორგანიზმზე ახდენენ ალერგიულ და ტოქსიკურ ზემოქმედებას, იწვევენ ანთებას, დისტროფიულ პროცე-სებს ქსოვილებსა და ორგანოებში. იცვლება სისხლის შემადგენლო-ბა, მცირდება ერთოროციტების (6 მლნ-მდე) და ჰემოგლობინის (42%-მდე) რაოდენობა. ნაწლავის ლორწოვანი გარსის მთლიანო-ბის დარღვევის შედეგად შესაძლოა წარმოიშვას სეკუნდარული ინ-ფექციები; ბატკნის მონიეზიოზი ხშირად რთულდება პასტერელო-ზით, ბრადზოტით, ენტეროტოქსემით. მონიეზიები არა მარტო ით-ვისებენ მასპინძლის ორგანიზმისათვის განკუთვნილ საკვებ ნივთიე-რებებს, არამედ ცვლიან თიმუსის შემადგენლობას, რის გამო ბატკა-ნი მაღლე სუსტდება.

იმუნიტეტი. ცხვრის მონიეზიოზის დროს სახეზეა ასაკობრივი იმუნიტეტი. მაგალითად, 3-4 თვის ასაკმდე არ ხდება M. benede-

ni-თ ბატკნების დაინვაზიება. ავადმყოფი ცხოველის სისხლში აღ-მოჩენილია პრეციპიტინები. არსებობს მონაცემები ბატკნების მონი-ეზიოზის დროს ხელოვნური იმუნიზაციის შესაძლებლობის შესა-ხებ, თუმცა ამან ჯერ ვერ ჰპოვა პრაქტიკული გამოყენება.

დაავადების სიმპტომები დამოკიდებულია დაინვაზიების ინტენსი-ურობაზე, ცხოველის ასაკსა და მისი ორგანიზმის საერთო ფიზიო-ლოგიურ მდგომარეობაზე. ავადდება მოზარდეული. მოზრდილ ცხო-ველებში ინვაზია კლინიკურად არ მუღავნდება. დაავადება იწყება გაზაფხულზე ("ზაფხულის" მონიეზიოზი) საძოვარზე ცხვრისა და თხის გარეკვიდან რამდენიმე დღის შემდეგ და შემოდგომამდე გრძელდება. დასაწყისში ბატკნები ჩამორჩებიან ფარას. მათ აღნიშ-ნებათ მოღუნება, სიგამხდრე, საჭმლის მომნელებელი ტრაქტის აშ-ლილობა. ფეკალი დარბილებულია, ვითარდება ფალარათი. იგი დი-დი რაოდენობით შეიცავს ლორწოს. ხშირად მასში ნახულობენ მო-ნიეზიების პროგლოტიდებს. პროგლოტიდების გამოყოფის დაწყები-დან 10-15 დღის შემდეგ კლინიკური ნიშნები ძლიერდება. ავადმყო-ფი ბატკანი ზაფხულის განმავლობაში ჩამორჩება ზრდა-განვითარე-ბაში, სუსტდება. მას უკითარდება სისხლნაკლებობა. ზოგჯერ აღი-ნიშნება მკვეთრად გამოხატული ნერვული მოვლენები. ცხოველი უმიზნოდ მოძრაობს, ბარბაცებს, კანკალებს. ასეთ მიმდინარეობას შე-უძლია ზოგიერთი მწვავე ინფექციური და ინვაზიური დაავადების, განსაკუთრებით ცენტროზის სტიმულირება. მონიეზიოზის ნერვული ფორმით გართულების შემთხვევაში ცხოველი შეიძლება მოკვდეს, თუმცა სიკვდილის მიზეზი შეიძლება იყოს ნაწლავის დაცობა ან ორგანიზმის ინტოქსიკაცია.

ცხვრისა და თხის "შემოდგომის" მონიეზიოზი ვლინდება ივლი-სიდან შემოდგომამდე.

პათოლოგიურ-ანატომიური ცვლილებები განსხვავებულია. ლეში ჩვეულებრივ გამხდარია, ლორწოვანი გარსები ანემიურია, მუცელის ღრუში ექსუდატია. შესაძლებელია ინახოს ნაწლავის ინვაზინაციე-ბი და ჩაბრუნებები. კოლინჯის ლიმფურ კვანძებში, ნაწლავის ლორ-წოვან გარსებზე, თირკმელებში, ელენთაში პროლიფერაციულ-დის-ტროფიული პროცესებია, ნაწლავის ლორწოვან გარსებსა და თავის ტვინში ჰემორაგიებია. ნაწლავებში დიდი რაოდენობით ნახულობენ

მონიეზიებს.

დიაგნოზი. ცხოველის სიცოცხლეში დიაგნოზი დგინდება ეპიზო-ოტოლოგიური მონაცემებისა და ფეკალში მონიეზიების პროგლო-ტიდებისა და კვერცხების აღმოჩენით.

მკურნალობა. მონიეზიოზის საწინააღმდეგოდ რეკომენდებულია ფენასალი, ბითიონოლი, დარიშხანმჟავა კალა, დარიშხანმჟავა თუთია, დარიშხანმჟავა მანგანუმი და სხვ.

ფენასალი ცხვარს ეძლევა ინდივიდუალურად, პერიოდური გზით, დოზით 0,1 გ/კგ, მაგრამ არანაკლებ 1 გ ბატკანზე აბის ფორ-მით, ასევე 1%-იანი სახამებლის ან 0,5%-იანი ფქვილის სუსპენზი-ის სახით. ჯგუფური გამოყენების დროს ფენასალს აძლევნ დო-ზით 0,2-0,25 გ/კგ კომბინირებულ საკვებთან ან დაღერლილ მარც-ვლეულთან შერეულს. ნარევს ყრიან საკვებურებში და ცხვრებს კვებავნ ჯგუფურად (100-150 სული). ფენასალი ხბოებში გამოი-ყენება ინდივიდუალურად, დოზით 0,15 გ/კგ წყლის სუსპენზის სა-ხით 1:10 ემულგატორით. პრეპარატის გამოყენებამდე ცხოველებს საკვებს არ უზღდავთ, მაგრამ მისი მიცემა უმჯობესია დილით, ცხოველების საძოვარზე გარეკვამდე.

ბითიონოლი ცხვრებისათვის რეკომენდებულია ერთჯერადი დო-ზით 0,1 გ/კგ, ჯგუფურად, კონცენტრირებულ საკვებთან შერეული, 150-200 გ ერთ ცხოველზე გაანგარიშებით.

დარიშხანმჟავა კალა 1-4 თვის ასაკის ბატკანს ეძლევა დოზით 0,4 გ; 4-6 თვის ასაკისას - 0,6 გ; 6-8 თვის ასაკისას - 0,8 გ, 8 თვეზე უხნეს ცხვარს - 1 გ. დარიშხანმჟავა მანგანუმი 1,5-3 თვის ასაკის ბატკანს ეძლევა დოზით 0,3 გ; 3-6 თვის ასაკისას - 0,4 გ; 6-12 თვემდე ასაკისას - 0,6 გ; ერთ წელზე უხნეს ცხვარს - 1 გ ცხოველზე. ცხოველებს დარიშხანის პრეპარატები ეძლევათ აბის ფორმით, რომელსაც დებენ ენის ძირზე. მის მიცემამდე 16-18 საა-თის განმავლობაში ბატკნები გადაჰყავთ მშიერ დიეტაზე. ცხოველებს ასევე არ აძლევენ წყალს. პრეპარატის მიცემიდან 2-3 საათის შემ-დეგ ბატკნებს უშვებენ დედებთან, კვლავ მოაცილებენ 2-3 საათს და უშვებენ საძოვარზე 3-4 საათით.

პროფილაქტიკა და ბრძოლის ღონისძიებები. მონიეზიოზის მი-მართ არაკეთილსამედო მეურნეობებში ახორციელებენ როგორც

საძოვრული პროფილაქტიკის (მოზარდეულის იზოლირებულად გა-მოზრდა, ბაგური, ბაგურ-ბანაკური და ბაგურ-სეირანული შენახვა), ისე სპეციალურ ღონისძიებებს (პროფილაქტიკური დეპელმინთიზა-ციები და ქიმიოპროფილაქტიკა) ადგილობრივი პირობების გათვა-ლისწინებით. ძალზე საშიშია ფარეხის მიმდებარე ტერიტორია. სა-ჭიროა იგი წელიწადში ორჯერ გადაიხნას და დაითესოს საკვები ბალაზები.

მონიეზიოზის პროფილაქტიკის ერთ-ერთი მეთოდია პრეიმაგინა-ლური დეპელმინთიზაცია. მას ატარებენ დიფერენცირებულად ცხო-ველის ასაკის მიხედვით. ერთ თვეზე ნაკლები ასაკის ცხოველებს დეპელმინთიზაციას არ უტარებენ. როგორც ანტეპელმინთურ საშუ-ალებას, იყენებენ ფენასალს, აგრეთვე კალას და მანგანუმის არსენა-ტებს.

მიმდინარე წელს დაბადებულ ხბოებს დეპელმინთიზაციას უტა-რებენ საძოვარზე გაყვანიდან 35-40 დღის და განმეორებით - პირ-ველი დეპელმინთიზაციიდან 35-40 დღის შემდეგ. მეორე დეპელმინ-თიზაციიდან 30 დღის შემდეგ ატარებენ დასკვნით დეპელმინთიზა-ციას. ბატკნებს პირველ დეპელმინთიზაციას უტარებენ საძოვარზე გარეკვიდან 14-16 დღის შემდეგ, განმეორებითს კი - პირველი დე-პელმინთიზაციიდან 15-20 დღის შემდეგ და დასკვნითს - მეორე დე-პელმინთიზაციიდან 25-30 დღის შემდეგ.

თიზანიაზიოზი

თიზანიეზიოზი ცხვრის, თხის, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის დაავადებაა. მისი გამომწვევი - *Thysanieszia giardi* მიეკუთვნება *Avi-tellinidae*-ს ოჯახს, რომელიც გაერთიანებულია *Anoplocephalata*-ს ქვერაზმში. თიზანიეზიები ლოკალიზობენ წვრილ ნაწლავებში.

აღმძვრელი. სტრობილას სიგრძე 4,3 მეტრამდე აღწევს. სკო-ლექსი შეუიარაღებელია და აღჭურვილია ოთხი მისაწოვრით. პერ-მაფროდიტულ პროგლოტიდაში სასქესო აპარატი ერთმაგია. მისი ხვრელები სეგმენტის ცალ მხარეს იხსნებიან და არასწორად ენაც-ვლებიან ერთმანეთს. საშვილოსნოს განივი მილის სახე აქვს, როგო-

ლიც პროგლოტიდას მთელ სიგანეზე გასძევს. მისთვის დამახასიათებელია გამონაზარდები, რომლებშიც განთავსებულია მრავლობითი საშვილოსნოსირგველივი ორგანოები. თითოეულ მათგანში 5-15 კვერცხია. მონიეზიების კვერცხი მრგვალი ფორმისაა. მისი დიამეტრი 0,018-0,027 მმ-ია. კვერცხში ონკოსფერაა, რომელსაც არ გააჩნია მსხლისებრი აპარატი.

აღმძვრელის ბიოლოგია. ამ ჰელმინთის განვითარების ციკლი არ არის გაშიფრული. ზოგიერთი მკვლევარი ფიქრობს, რომ შუალედური მასპინძლები არიან მწერები - თივაჭამიები ან ორიაზიდული ტკიპები.

ეპიზოოტოლოგიური მონაცემები. დაავადება გავრცელებულია თითქმის ყველგან, განსაკუთრებით სამხრეთის ქვეყნებში. ზოგიერთ გეოგრაფიულ ზონაში დაინვაზიების ექსტენსიურობისა და ინტენსიურობის მაჩვენებლების მიხედვით თიზანიეზიოზი მონიეზიოზს აჭაბებს. ძირითად ავადდება 6-8 თვიდან 1,5 წლამდე ასაკის ცხვარი, თუმცა ეს ჰელმინთოზი გვხვდება მოზრდილ ცხერებშიც. მიმდინარე წელს დაბადებულ ხბოებში იგი იშვიათია, უპირატესად უფრო სი ასაკის მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი ავადდება.

თიზანიეზიოზი საქართველოში ფართოდ გავრცელებული ჰელმინთოზია. ბატკნებში იგი პირველად ივლისში აღინიშნება. თიზანიეზიები სქესობრივ სიმწიფეს ოქტომბრის დასაწყისში აღწევენ. ეს დაავადება ცხვარში კლინიკურად ძირითად ვლინდება გაზაფხულზე (მარტი-აპრილი) და შემოდგომით (ოქტომბერ-ნოემბერი). თიზანიეზიოზის მიმართ არაეთილსაიმედოა როგორც დაბლობი, ისე მაღალმოთანი ზონების საძოვრები. თიზანიეზიების კვერცხები ძლიერ მგრძნობიარენი არიან გარემო ფაქტორების მიმართ.

პათოგენზი და დაავადების სიმპტომები ისეთივეა, როგორიც მონიეზიოზის დროს. დაავადების თავისებურება იმით გამოიხატება, რომ თიზანიეზიებით დაინვაზიების დინამიკა მკვეთრად მატულობს შემოდგომაზე და ზამთარში.

პათოლოგიურ-ანატომიური ცვლილებები. წვრილ ნაწლავში ნახულობენ თიზანიეზიებს, ნაწლავის ლორწოვანი გარსის ანთებას და სისხლჩაქცევებს პარენქიმულ ორგანოებში.

დიაგნოზის დასმის მიზნით ჰელმინთოსკოპის მეთოდით და სა-

დიაგნოსტორით დეპელმინთიზაციის ჩატარებით იკვლევენ ცხოველების სულადობის 10-15%-ს.

მკურნალობა. იყენებენ კალას, მანგანუმის არსენატებს, ფენასალს იმავე დოზებით, რაც მონიეზიოზის დროს. კარგ შედეგს იძლევა ბი-თიონოლი დოზით 0,1 გ/კგ. მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ფენასალს უნიშნავენ დოზით 0,15 გ/კგ.

პროფილაქტიკა და ბრძოლის ღონისძიებები დამყარებულია პროფილაქტიკურ დეპელმინთიზაციაზე, რომელსაც ატარებენ გაზაფხულზე, საძოვარზე გასვლის წინ და შემოდგომის ბოლოს, ბაგურ შენახვაზე გადაყვანის შემდეგ. მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის თიზანიეზიოზის დროს დეპელმინთიზაციასთან ერთად ცხოველებს ამყოფებენ ბაგურ-სეირანული შენახვის პირობებში.

ავიტელინოზი

ავიტელინოზი ცხვრისა და თხის, იშვიათად მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის დაავადებაა. მისი აღმძვრელი - *Avitellina centripunctata* მიეკუთვნება *Avitellinidae*-ს ოჯახს. ავიტელინები ლოკალიზებენ წვრილ ნაწლავებში.

აღმძვრელი. ავიტელინას სტრობილას სიგრძე სამ მეტრამდე აღწევს. ეს არის ვიწრო, ზონარის მსგავსი ცესტოდა, რომლის სხეულის წინა ნაწილში მდებარე პროგლოტიდებს გარეგანი სეგმენტაცია არ ეტყობათ. სკოლექსი შეუძირადებელია და აღჭურვილია თოხი მისაწოვრით. ჰერმაფროდიტულ პროგლოტიდებში ერთმაგი სასქესო აპარატია. აღსანიშნავია, რომ მათ არ გააჩნიათ მელისის სხეული და საყითრე ჯირკვლები. სასქესო ხვრელები სხეულის ცალ მხარეს იხსნებიან და არასწორად ენაცვლებიან ერთმანეთს. საშვილოსნო შემოსაზღვრულია ოვალური ფორმის მქონე ერთი საშვილოსნოსირგვლივი ორგანოთი, რომელშიც კვერცხებია. ავიტელინას კვერცხი მრგვალია (დიამეტრი - 0,021-0,038 მმ). მასში ონკოსფერაა, რომელსაც არ გააჩნია მსხლისებრი აპარატი.

აღმძვრელის ბიოლოგია შესწავლილი არ არის. ვარაუდობენ, რომ აღმძვრელის შუალედური მასპინძელები არიან *Entomobrya*-ს გარის წარმომადგენელი მწერები - ბოლოფეხიანები (კოლემბოლები).

ეპიზოოტოლოგიური მონაცემები. ავიტელინოზი კერობრივად გავრცელებული დაავადებაა. იგი უპირატესად რეგისტრირებულია სამხრეთის ქვეყნებში, ხასიათდება სეზონურობით. ავიტელინების კვერცხებზე დამღუპველად მოქმედებს დაბალი უარყოფითი ტემპერატურა (-1°C) და ზაფხულის პერიოდში მზის პირდაპირი სხივები.

ავიტელინოზი ფართოდაა გავრცელებული საქართველოში. ძირითადად დაინგაზიებულია უქვისი თვიდან ერთ წლამდე ასაკის ბატქნები. უფროსი ასაკის ცხვარში დაავადება გვხვდება წლის ყველა პერიოდში აღმძვრელის განვითარების ყველა სტადიაზე, რაც მუდმივ დაინგაზიებაზე მიუთითებს. დაავადება მაქსიმალურად ვლინდება აპრილ-მაისში, შედარებით ნაკლებად - ზამთრის თვეებში (დეკემბერ-ანგარი).

პათოგენები. ავიტელინები მექანიკური და ტოქსიკური ზემოქმედებით ნაწლავებში იწვევნ ადგილობრივ ცვლილებებს, რომლებიც ნერვული და ჰემორალური სისტემების მეშვეობით პროცესში ითრევენ ორგანიზმის ყველა სისტემას.

დაავადების ნიშნები. დაავადება იწყება მოულოდნელად. ცხვარი, რომელიც დილით ჯანმრთელად გამოიყურებოდა, შუადღისით ჩამორჩება ფარას, განზე გადის, აღარ იღებს საკვებს. რამდენიმე საათის შემდეგ იგი კვდება.

დაავადების ისტება ეპიზოოტოლოგიური მონაცემებისა და კლინიკური ნიშნების საფუძველზე, აგრეთვე ჰელმინთოსკოპის მეთოდით ფეკალის გამოკვლევით, რა დროსაც მის ზედაპირზე ნახულობენ ავიტელინების პატარა, ყაყაჩოს თესლისმაგვარ, მოთეთრო-რძისფერ პროგლოტიდებს. ცხოველის სიცოცხლეში ატარებენ სადიაგნოსტიკო დეპელმინთიზაციას. გაკვეთისას ადგენენ წვრილი ნაწლავების ლორწოვანი გარსის კატარულ ანთებას, მასზე ნახულობენ მრავლობით სისხლჩაქცევებს, აგრეთვე ავიტელინების გორგლებს ნაწლავის სანათურში.

მკურნალობა. დარიშხანმჟავა კალა, დარიშხანმჟავა თუთია, დარიშხანმჟავა მანგანუმი, დარიშხანმჟავა კალციუმი მაღალეფექტიანი პრეპარატებია ცხვრის სამკურნალოდ ავიტელინოზის დროს. მათი დოზაა 1,0 გ ცხვარზე, აბის ფორმით. ეს პრეპარატები მოქმედებენ ახალგაზრდა და ზრდასრულ პარაზიტებზე. მათი გამოყენება შეიძლება როგორც სამკურნალო, ისე პროფილაქტიკურ-პრეიმაგინალური დეპელმინთიზაციის მიზნით. ასევე იყენებენ ფენასალს იმავე დოზით, რაც ცხვრის მონიეზიოზის დროს.

პროფილაქტიკა და ბრძოლის ღონისძიებები. ავიტელინოზზე არაკეთილსამედო მეურნეობებში ატარებენ ბატკნებისა და ცხვრების პროფილაქტიკურ დეპელმინთიზაციას სამჯერ. ცხვრებს უზრუნველყოფენ სრულფასოვანი კვებით, რეგულარული დარწყულებით, მარილით და მიკროელემნტების შემცველი საკვებით.

სტილელინები

სტილელინები მცონნავი პირუტყვის დაავადებაა. მისი აღმძვრელი - *Stilesia globipunctata* მიეკუთვნება Avitellinidae-ს ოჯახს. სტილელინები ლოკალიზობენ წვრილ ნაწლავებში.

აღმძვრელი. სტილელინების სხეული სიგრძეში 60 სმ-მდე აღწევს. ისინი ძალზე წვრილი და ნაზი ცესტოდებია. მათ სტრობილას გარეგანი სეგმენტაცია არ ეტყობა. ჰერმაფოროდიტულ პროგლოტიდაში ერთმაგი სასქესო აპარატია. საშვილოსნოს განივი მილის სახე აქვს. მასში კვერცხებით სავსე, მრგვალი ფორმის მქონე ორი საშვილოსნოსირგვლივი ორგანოა. სტილელინების კვერცხები თითოსტარისებრი ფორმისაა, ზომით 0,027 მმ x 0,014 მმ.

აღმძვრელის ბიოლოგია შესწავლილი არ არის. ვარაუდობენ, რომ სტილელინების განვითარებაში მონაწილეობენ ორიბატიდული ჯგუფის ტკიპები.

ეპიზოოტოლოგიური მონაცემები. დაავადება გავრცელებულია სამხრეთის ქვეყნებში.

პათოგენები. სტილელინები მასპინძლის ორგანიზმზე ახდენენ მექანიკურ, ალერგიულ და ტოქსიკურ ზემოქმედებას. სკოლექსებით ისინი ემაგრებიან წვრილი ნაწლავების ლორწოვან გარსს და წარმოქმნიან მცირე ზომის კვანძებს. ანთებითი პროცესისა და დიდი რაოდენობით კვანძების წარმოქმნის გამო ნაწლავის გედელი სქელდება. ორგანიზმში მიმდინარე პათოლოგიური პროცესები იწვევნ ნაღვლის შეგუბებას და კუჭქვეშა ჯირკვლის სეკრეციის დარღვევას.

დაავადების სიმპტომები. ცხოველი სუსტდება, მაღა ქვეითდება, იწყება ძლიერი ფალარათი, ვითარდება პროგრესირებადი სიგამხდრე, ირლვევა მოძრაობის კონრადინაცია, ხილული ლორწოვანი გარსები ანემიურია, ხშირად - ყვითელი.

პათოლოგიურ-ანატომიური ცვლილებები. ოორმეტგოჯა ნაწლავი-დან მღვივ ნაწლავში გადასვლის ადგილი მკვეთრად შესქელებულია.

მკურნალობა. გამოიყენება ბითონზოლი, ფენასალი იმავე დოზე-ბით, რაც მონიეზოზის დროს.

პროფილაქტიკა და ბრძოლის ღონისძიებები შეუმუშავებულია.

მონიეზიები, თიზანიზიები, ავიტელინები და სტილეზიები, რა თქმა უნდა, ცალკე დაავადების გამომწვევები არიან, მაგრამ უმეტესად მცონავი პირუტყვი ერთდროულად დაინვაზიებულია ანოპლოცეფალუტების ყველა ამ სახეობით. ამდენად, აუცილებელია მათი დიფერენცირება ანატომიურ-მორფოლოგიური ნიშნების მიხედვით. მაგალითად, მონიეზიებისგან განსხვავებით თიზანიეზიებს, ავიტელინებს და სტილეზიებს ერთმაგი სასქესო აპარატი აქვთ და მათი სასქესო ხვრელები პროგლოტიდების ხან ერთ, ხან მეორე მხარეს იხსნება. ასევე, მათ არ გააჩნიათ პროგლოტიდშეა ჯირკვლები, ხოლო ონკოსფერებს - მსხლისებრი აპარატი. გარდა აღნიშნულისა, თიზანიეზიების კვერცხები განვეული არიან კაფსულებში, რომლებიც მრავლადა მათ საშვილოსნოში. ავიტელინებს აქვთ ერთი ასეთი კაფსულა, ხოლო სტილეზიებს - ორი. რაც შეეხება მონიეზიებს, საშვილოსნოში მათ კაფსულები არ გააჩნიათ.


ცხენის ანოპლოცეფალიდოზები

ცხენის ანოპლოცეფალიდოზებს იწვევს სამი ცესტოდა - *Anoplocephala magna*, *A. perfoliata* და *Paranoplocephala mamillana*, რომლებიც მიეკუთვნებიან *Anoplocephalidae*-ს ოჯახს. ცხენის გარდა ეს სახეობები პარაზიტობენ ჯორისა და სახეორის ორგანიზმებიც.

აღმმკრელები. *A. magna* ლოკალიზობს მღვივ და მენჯის ნაწლავებში. იგი ყველაზე დიდი ცესტოდაა ამ სახეობებს შორის. მისი

სხეულის სიგრძე 520 მმ-ს აღწევს, სიგანე - 25 მმ-ს. ჰელმინთს აქვს სფეროსებრი სკოლექსი (დიამეტრი - 3 მმ-მდე), რომლის წინა ნაწილი მობლაგვებულია. იგი შეუიარაღებელია, მაგრამ აღჭურვილია ოთხი მდლავრი მისაწოვრით. ამ ცესტოდას ყელი არ გააჩნია. სეგმენტები მოკლე და განიერია. ჰერმაფროდიტულ პროგლოტიდებში ერთ-მაგი სასქესო აპარატია, რომლის ხვრელები იხნებიან სტრობილას ცალ მხარეს. ბოლო პროგლოტიდებში კვერცხებით სავსე საშვილოსნოა. კვერცხს მრგვალი ფორმა აქვს (დიამეტრი - 0,072-0,084 მმ). მსხლისებრი აპარატი სუსტად არის განვითარებული.

A. perfoliata ლოკალიზობს ბრძანა ნაწლავსა და კოლინჯში. სხეულის სიგრძე 70 მმ-მდე აღწევს, სიგანე - 14 მმ-მდე. სკოლექსი კუბისებრია (3 მმ-მდე დიამეტრით) და აღჭურვილია კარგად განვითარებული ოთხი მისაწოვრით. ყოველ მათგანზე, დორსალური და ვენტრალური მხრიდან, ორი ფურისმაგვარი წამონაზარდია. სეგმენტები მოკლე და განიერია. ჰერმაფროდიტულ პროგლოტიდებში ერთმაგი სასქესო აპარატია, რომლის ხვრელები იხსნებიან სტრობილას ცალ მხარეს. კვერცხს მრგვალი ფორმა აქვს (დიამეტრი - 0,08-0,096 მმ). ონკოსფერას ირგვლივ მსხლისებრი აპარატია.



სურ. 24. ცხენის ანოპლოცეფალიდოზების აღმმკრელები

P. mamillana ლოკალიზობს წვრილ ნაწლავებში. მისი სხეულის სიგრძე 10-40 მმ-ია, სიგანე - 5-6 მმ. სკოლექსი მცირე ზომისაა (დიამეტრი - 0,7-0,8 მმ). იგი შეუიარაღებელია, მაგრამ აღჭურვილია ოთხი მისაწოვრით. ჰერმაფროდიტულ პროგლოტიდებში ერთ-მაგი სასქესო აპარატია, რომლის ხვრელები იხნებიან სტრობილას ცალ მხარეს. კვერცხი მრგვალი ფორმისაა (დიამეტრი - 0,05-0,06 მმ). ონკოსფერას ირგვლივ კარგად განვითარებული მსხლისებრი აპარატია, რომლის სიგრძე კვერცხის რადიუსს აღემატება.

ცხენის ანოპლოცეფალიდოზების აღმძვრელები ბიოპელმინთებია. მათი შეუძლებული მასპინძლებია ორიბატიდული ტკიპები.

აღმძრელების ბიოლოგია. საძოვარზე მოხვედრილი ანოპლოცეფალიდების კვერცხებს ყლაპავენ ტკიპები, რომელთა ორგანიზმი, 18-21°C ტემპერატურის პირობებში, 140-150 დღეში ყალიბდებიან ინ-ვაზიური ცისტიცერკოიდები. ცხენის, სხვა დეფინიტური მასპინძლის დაინვაზიება ხდება დაინვაზიებული ტკიპების გადაყლაპვით. მათ ორგანიზმი ტკიპები მოინელება, გამოთავისუფლებული ცისტიცერკოიდები ემაგრებიან ნაწლავის კედელს და 1-1,5 თვის შემდეგ მათ-გან ჩამოყალიბდებიან ზრდასრული ცესტოდები.

ცეიზოოლოგიური ძონაცემები. ცხენის ანოპლოცეფალიდოზები გავრცელებულია ყველგან. უმთავრესად ავადდება მოზარდებული 5-7 თვის ასაკიდან 2-3 წლის ასაკამდე, თუმცა აღწერილია მეძუ-ძური კვიცების დაინვაზიების შემთხვევებიც. *A. magna*-თი ცხოველები უფრო მეტად დაინვაზიებული არიან ზაფხულის ბოლოს და შემოდგომის დასაწყისში, ხოლო *A. perfoliata* ნაკლებად გავრცელებული სახეობაა და მის მიერ დეფინიტური მასპინძლების დაინვაზიების მაჩვენებელი წლის განმავლობაში თითქმის თანაბარია.

პათოგენზე განპირობებულია ნაწლავის მექანიკური დაზიანებით და ორგანიზმზე ტოქსიკური ზემოქმედებით. ანოპლოცეფალიდების დიდი რაოდენობით დაგროვების დროს ხდება ნაწლავის ინვაზინაცია. მათი ნივთიერებათა ცვლის პროდუქტები მოქმედებენ სისხლწარმოქმნის ორგანოებსა და ნერვულ სისტემაზე.

დაავადების სიმპტომები. ინტენსიური დაინვაზიების დროს ვითარდება ენტერიტები, ჭვლისმაგვარი მოვლენები. კვიცი სწრაფად

ხდება და ჩამორჩება ზრდა-განვითარებაში. მკვეთრად გამოხატულია ხილული ლორწოვანი გარსების ანემია. ზოგ შემთხვევაში მისი კი-დურები, დაბაბი შეშუბებულია, რაც მიუთითებს დაავადების პროცესში გულ-სისხლძარღვთა სისტემის ჩართვაზე.

პათოლოგიურ-ანატომიური ცვლილებები. ლეში გამხდარია, ლორწოვანი გარსები - ანემიური, ნაწლავებში ნახულობები დიდი რაოდენობით ანოპლოცეფალიდებს.

დიაგნოზი ისმება ეპიზოოლოგიური მონაცემებისა და ფლოტაციის მეთოდით ფეკალის გამოკვლევის შედეგების საფუძველზე.

მკურნალობა. მაღალეფექტური პრეპარატია ფენასალი. ერთ წლამდე ასაკის კვიცის იგი ეძლევა დოზით 200 მგ/კგ ერთჯერად, ორ წლამდე მოზარდებულს - 250 მგ/კგ, მოზრდილ ცხენს - 300 მგ/კგ. პრეპარატი შერეული უნდა იყოს დანამულ კონცენტრირებულ საკვებში, გაანგარიშებით - 300-500 გ საკვები ერთ ცხოველზე. უფექტურია ასევე მამრიბითი გვიმრის ძირის ექსტრაქტი, რომელიც ცხოველს ეძლევა უელატინის კაფსულებით დოზით 5-20 გ (ამ პრეპარატის გამოყენებიდან 3-4 საათის შემდეგ ცხოველს უნდა მიეცეს საფალარაო მარილი).

პროფილაქტიკა და ბრძოლის ღონისძიებები. ანოპლოცეფალიდოზების მიმართ არაკეთილსამედო მეურნეობებში პროფილაქტიკურ დეპელმინთიზაციას ატარებენ კვიცების ბაგურ შენახვაზე გადაყვანის წინ. პრეიმაგინალური დეპელმინთიზაციის ჩატარება რეკომენდებულია კვიცების შესაძლო დაინვაზიებიდან 20 დღის შემდეგ. აუცილებელია ნაკელის ყოველდღიური გატანა და მისი შემდგომი ბიოთერმული გაუვნებლობა.

პალლის ტენიოზები და სხვა ცხასტოზები

პილატიბენური ტენიოზი, მულტიცენატოზი, ეპინოკოკოზი

ძალლის ტენიიდოზების გამომწვევია ძეწკვისებრი ცესტოდების მრავალი სახეობა, რომლებიც მიეკუთვნებიან *Taeniide*-ს ოჯახს.

მათგან განსაკუთრებით გავრცელებულია ჰიდატიგენური ტენიოზი, მულტიცეპტოზი და ექინოკოკოზი, რომელთა აღმძვრელები პარაზიტობენ ძალისა და ძალისებრთა ოჯახის წარმომადგენლების წვრილ ნაწლავებში.

ჰიდატიგენური ტენიოზის აღმძვრელია *Taenia hydatigena*, რომლის ლარვულ ფორმას წარმოადგენს *Cysticercus tenuicollis*. მულტიცეპტოზის აღმძვრელია *Multiceps multiceps*, რომლის ლარვული ფორმაა - *Coenurus cerebralis*. ექინოკოკოზის გამომწვევია *Echinococcus granulosus*, რომლის ლარვულ ფორმას წარმოადგენს ანალოგიური დასახელების მქონე ექინოკოკის ბუშტი.

აღმძვრელების ანატომია, ბიოლოგია და ეპიზოოტოლოგიური მონაცემები აღწერილია ტენიუკოლური ცისტიცერკოზის, ცერებრალური ცენუროზისა და ლარვული ექინოკოკოზის განხილვისას.

ჰათოგენეზი. ტენიოდები, აგრეთვე სხვა ცისტოდები (ჩვეულებრივ ძალები, სხვა დეფინიტური მასპინძლები ერთდროულად დაინვაზიებული არიან ცისტოდების რამდენიმე სახეობით), ემაგრებიან რა ნაწლავის ლორწოვან გარსს, მექანიკურად აზიანებენ მას, რაც იწვევს სისხლდენასა და სისხლში ჰათოგენური მიკროფლორის შეჭრას. მათ დიდი რაოდენობით დაგროვებას მოსდევს ნაწლავის გაუვალობა, გადახლართვა, შესაძლოა, გასკდომაც კი პერიტონიტის განვითარებით. ცისტოდების მიერ გამოყოფილი ტოქსინები და მათი ცხოველმოქმედების პროდუქტები, შეიწოვებიან რა სისხლში, აფერხებენ მისი შედედების პროცესს, იწვევენ შინაგანი სეკრეციის ჯირკვლების ფუნქციის მოშლას, მოქმედებენ ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე.

დაავადების სიმპტომები. ტენიოდოზების კლინიკური გამოვლინება დამოკიდებულია დაინვაზიების ინტენსიურობაზე, ცხოველის ფიზიოლოგიურ მდგომარეობაზე, მის ასაკზე. ძლიერი ინვაზიის დროს ძალლებს ეკარგებათ მაღა ან, პირიქით, ისინი ავლენენ გაუმაძლრობას. ირლვევა საჭმლის მომნელებელი ტრაქტის ფუნქცია, რის შედეგად აღინიშნება პირლებინება, ჭვლები, ფალარათი, რომელიც იცვლება ყაბზობით. ფეკალში ნახულობენ ლორწოს, ცისტოდების ფრაგმენტებს (პროგლოტიდებს). ძალლებს უვითარდებათ ძლიერი სიგამხდრე. ისინი მოუსვენრად არიან და უმიზნოდ მოძრაობენ.

ტენიოდებით დაინვაზიებული ლეპვები ჩამორჩებიან ზრდაში, მათი

ბალანი კარგავს ბზინვარებას, ხოლო ლორწოვანი გარსები ანემიურია. ცენტრალური ნერვული სისტემის დაზიანების გამო ლეპვები ტორტმანით მოძრაობენ, მათ აღენიშნებათ კრუნჩხვები. არცოუ იშვიათია სიკვდილი.

ჰათოლოგიურ-ანატომიური ცვლილებები. ტენიოდოზებისაგან დაღუბული ძალის ლეში კახექსიურია. ნაწლავებში ნახულობენ სტრობილების დიდი რაოდენობის გორგლებს. ლორწოვან გარსებზე ტენიოდების მიმაგრების ადგილებში კატარული ანთებაა.

დიაგნოზი. იმის გამო, რომ სხვა ცისტოდოზებსაც ანალოგიური კლინიკური ნიშნები აქვთ, ტენიოდოზების დროს დიაგნოზის დასმისას ეპიზოოტოლოგიურ მონაცემებთან ერთად დიდი მნიშვნელობა ენიჭება ჰელმინთოსკოპიულ და ჰელმინთოოვოსკოპიულ (ფლოტაციის მეთოდი) გამოკვლევებს. ფეკალში ნახულობენ, შესაბამისად, ტენიოდების პროგლოტიდებს ან მათ კვერცხებს, რომლებიც შეიცავენ ონკოსფერებს ექს-ექსი კაუჭით. გარდა ამისა, ბრომწყალბადინი არეკოლინით ატარებენ სადიაგნოსტიკო დეპლმინთიზაციას და საზღვრავენ გამოყოფილი ჰელმინთების რაოდენობას.


მკურნალობა, პროფილაქტიკა და ბრძოლის ღონისძიებები ასახულია იმ ტენიოდოზებთან ბრძოლის ღონისძიებებში, რომელთა აღმძვრელების საბოლოო მასპინძლები არიან ძალლი და გარეული მტაცებელი ძუძუმწოვრები (ექინოკოკოზი, ცენუროზი, ტენიუკოლური ცისტიცერკოზი).

დიპილიდიოზი

დიპილიდიოზი ძალლების, კატების, გარეულ ხორცისმჭამელთა დაავადებაა. მისი გამომწვევია *Dipilidium caninum*, რომელიც მიეკუთვნება *Dipilidiidae*-ს ოჯახს. დიპილიდიუმები პარაზიტობენ წვრილ ნაწლავებში. აღრიცხულია მათ მიერ ადამიანის დაინვაზიების შემთხვევებიც.

აღმძვრელი. ეს არის თეთრი, ოდნავ მოყვითალო ფერის ცისტოდა, რომლის ზომები სიგრძეში 70 სმ-მდე აღწევს, სიგანეში - 3 სმ-ს. იგი დაახლოებით 120 პროგლოტიდისაგან შედგება. სკოლექსი აღ-

ჭურვილია ოთხი მისაწოვრითა და ხორთუმით, რომელზეც სამ-ოთხ რიგად განლაგებული წვრილი ქაცვისებრი კაუჭებია. სტრობილას წინა ნაწილი წვრილია, შემდეგ იგი მსხვილდება. პროგლოტიდებს კიტრის მარცვლის ფორმა აქვთ. ჰერმაფროდიტულ პროგლოტიდებში ორმაგი სასქესო აპარატია. მომწიფებულ პროგლოტიდებში საშვილოსნო კაფსულებად იშლება. ყოველი მათგანი შეიცავს 8-დან 20-მდე მრგვალი ფორმის კვერცხს (დიამეტრი - 0,025-0,040 მმ), რომელთა შიგნით ექვსკაუჭიანი ონკოსფერებია.



სურ. 25. *Dipylidium caninum*
A-კოლექსი; B-სასქესო ორგანოები; C-კაფსულა; D-სტრობილა.

ეპიზოტოლოგიური მონაცემები. დიპილიდი ფართად გარემოში გამოიყოფა ჰელმინთის მომწიფებული პროგლოტიდები. კვერცხებს, რომლებიც ხვდებიან ნიადაგზე, ქვეშაფენზე, მოვლის საგნეზზე, ცხოველის თმის საფარველზე, ყლაპავენ რწყილები და ბალანჭამიები, აგრეთვე მათი ლარვები, რომელთა ორგანიზმში ჩანასახები გარდაიქმნებიან ცისტიცერკოიდებად. ძაღლების, სხვა დეფინიტური მასპინძლების დაინვაზიება ხდება ცისტიცერკოიდებშემცველი შეალედური მასპინძლების გადაყლაპვისას. ისინი საჭმლის მომნელებელ ტრაქტში მოიხლებიან, ხოლო გამოთავისულებული ცისტიცერკოიდები ემაგრებიან ნაწლავის კედელს და მათგან ვითარდებიან ზრდასრული ფორმები.

დიპილიდი ბიოლოგიური ბიოლოგინთებია. შეალედური მასპინძლებია - ძაღლის, კატის, ადამიანის რწყილები, ძაღლის ბალანჭამიები.

აღმძვრელის ბიოლოგია. დაინვაზიებული ძაღლის ფეკალთან ერთად გარემოში გამოიყოფა ჰელმინთის მომწიფებული პროგლოტიდები. კვერცხებს, რომლებიც ხვდებიან ნიადაგზე, ქვეშაფენზე, მოვლის საგნეზზე, ცხოველის თმის საფარველზე, ყლაპავენ რწყილები და ბალანჭამიები, აგრეთვე მათი ლარვები, რომელთა ორგანიზმში ჩანასახები გარდაიქმნებიან ცისტიცერკოიდებად. ძაღლების, სხვა დეფინიტური მასპინძლების დაინვაზიება ხდება ცისტიცერკოიდებშემცველი შეალედური მასპინძლების გადაყლაპვისას. ისინი საჭმლის მომნელებელ ტრაქტში მოიხლებიან, ხოლო გამოთავისულებული ცისტიცერკოიდები ემაგრებიან ნაწლავის კედელს და მათგან ვითარდებიან ზრდასრული ფორმები.

ეპიზოტოლოგიური მონაცემები. დიპილიდი ფართოდ გავრცელებული ჰელმინთოზია, რომლის დროს აღინიშნება დაინვაზიების ინტენსიურობის მაღალი დონე (ერთი ცხოველის ორგანიზმში რამდენიმე ათეულ ეგზემპლარამდე). დიპილიდიუმებით დეფინიტური მასპინძლების დაინვაზიება შესაძლებელია წლის ნებისმიერ დროს.

გეზოცესტოიდოზი

მეზოცესტოიდოზი ძაღლების, კატების, გარეულ ხორცისმჭამელთა დაავადებაა. მისი გამომწვევი - *Mesocestoides lineatus*, მიეკუთვნება *Mesocestoididae*-ს ოჯახს და პარაზიტობს წვრილ ნაწლავებში.

აღმძვრელი. მეზოცესტოიდა თეთრი ფერის ჰელმინთია, რომლის სტრობილას სიგრძე ორ მეტრამდე აღწევს. სკოლექსზე მას არ გააჩნია ხორთუმი და კაუჭები. იგი აღჭურვილია ოთხი მძლავრი მისაწოვრით. საშვილოსნო წაგრძელებული ფორმისაა და მდებარეობს პროგლოტიდას შუა ხაზზე. მეზოცესტოიდას კვერცხი ოვალურია. მისი ზომა სიგრძეში 0,04-0,06 მმ-ის ფარგლებში მერყეობს.

მეზოცესტოიდები ბიოლოგინთები არიან. მათი განვითარების ციკლში მონაწილეობენ შეალედური (ორიბატიდეს ჯგუფის ტკიპები) და დამატებითი (თავვისებრი მღრღნელები, ამფიბიები, რეპტილიები, ფრინველები) მასპინძლები.

აღმძვრელის ბიოლოგია. ფეკალთან ერთად გარემოში გამოყოილ მეზოცესტოიდების კვერცხებს ყლაპავენ ორიბატიდეს ჯგუფის ტკიპები, რომელთა ორგანიზმში ონკოსფერები ითხოვს განმავლობაში გარდაიქმნებიან ცისტიცერკოიდებად. დაინვაზიებული ტკიპების გადაყლაპვის შემთხვევაში მღრღნელების, სხვა დამატებითი მასპინძლების ორგანიზმში ცისტიცერკოიდები გარდაიქმნებიან ტეტრატირიდიუმებად. ძაღლები, სხვა დეფინიტური მასპინძლები მეზოცესტოიდოზით ავადდებიან ტეტრატირიდიუმებით დაინვაზიებული დამატებითი მასპინძლების შეჭმით. ამ ჰელმინთის ნაწლავური ფორმა სქესმწიფე სტადიამდე 14-16 დღეში ვითარდება.

დიფილობოთრიოზი

დიფილობოთრიოზი ანთროპოზოონზური დაავადებაა. მისი აღმძვრელი - *Diphyllobothrium latum* (ფართო ლენტურა) მიეკუთვნება *Diphyllobothriidae*-ს ოჯახს. იგი პარაზიტობს ძაღლის, კატის, ბეწვიანი ნადირის, აგრეთვე ადამიანის წვრილ ნაწლავებში.

აღმძვრელი. დიფილობოთრიოუმების ზომა სიგრძეში ერთიდან 10


მეტრამდე მერყეობს. ამ ცესტოდას სკოლექსზე ორი მისაწოვებელი ღრმა ნაპრალი ანუ ბოთრია აქვს. მისი პროგლოტიდები მოკლე და განიერია. მრავლობითი სათესლე ჯირკვლები (700-800-მდე) განლაგებულია პროგლოტიდის გვერდებზე. საკვერცხეს პეპლის ფრთებისმაგვარი ფორმა აქვს. დიფილობოთრიუმის საშვილოსნო ღია ტიპისაა. ამიტომ ყოველ სეგმენტში სამი სასქესო ხვრელია - მამრობითი და მდედრობითი სასქესო სისტემების, აგრეთვე საშვილოსნოსი, რომლებიც პროგლოტიდის არა გვერდზე, არამედ შუა არეში იხსნებიან. დიფილობოთრიუმების კვერცხი გარეგნულად ტრემატოდების კვერცხებს წააგავს. მის ერთ პოლუსზე სახურავია, მეორეზე - პატარა ბორცვაკი. კვერცხი, რომელსაც რუხი ფერი და ოვალური ფორმა აქვს (სიგრძით 0,070 მმ-მდე), შეიცავს ექვსი კაუჭით აღჭურვილ განსაკუთრებულ ჩანასახს - კორაციდიუმს.

დიფილობოთრიუმები ბიოპელმინთებია. მათი განვითარების ციკლში მონაწილეობენ ნიჩაბფეხიანი კიბო-ციკლოპები, დაბატომუსები (შუალედური მასპინძლები) და მტკნარი წყლის თევზები (დამატებითი მასპინძლები).

აღმძვრების ბიოლოგია. გარემოში გამოყოფილი დიფილობოთრიუმების კვერცხები შემდგომი განვითარებისათვის აუცილებლად უნდა მოხვდნენ წყალში, სადაც ისინი ვითარდებიან. დაახლოებით სამი კვირის შემდეგ მათგან გამოდიან წამწამებით დაფარული ჩანასახები - კორაციდიუმები, რომლებიც ჩაიყლაპებიან ციკლოპების ან დიაპტომუსების მიერ. დეფინიტური მასპინძლების ორგანიზმში კორაციდიუმებისაგან 2-3 კვირის შემდეგ ვითარდებიან ლარვული ფორმები - პროცერკოიდები. პროცერკოიდებით დაინვაზიებულ ციკლოპებს ან დიაპტომუსებს ყლაპავნ მტკნარი წყლის თევზები, რომელთა საჭმლის მომნელებელ ტრაქტში გამოთავისუფლებული პროცერკოიდები გააღწევენ შუალედური მასპინძლის კუნთებში, კანქვეშ, მუცლის ღრუში, სადაც ჩამოყალიბდებიან პლეროცერკოიდებად (ინვაზიური სტადიის ლარვული ფორმა, სიგრძით 6 მმ-მდე).

დეფინიტური მასპინძლები დიფილობოთრიოზით ავადდებიან პლეროცერკოიდებით დაინვაზიებული ნედლი, შებოლილი, არასაკმარისად შემწვარი ან მოხარშული თევზის შექმით. მათ საჭმლის მომნელებელ ტრაქტში გამოთავისუფლებული პლეროცერკოიდები

ემაგრებიან ნაწლავის კედელს და ერთი თვის შემდეგ აღწევენ სქეს-მწიფე სტადიას.



სურ. 26. *Diphyllobothrium latum*-ის განვითარების ციკლი

ეპიზოოტოლოგიური მონაცემები. დიფილობოთრიოზი ფართოდაა გავრცელებული ბალტიისპირეთის ქვეყნებში, რუსეთის ფედერაციის ჩრდილოეთ რეგიონებში. აღნიშნული ჰელმინთოზით დაავადების

შემთხვევები აღწერილია საქართველოშიც (მოსახლეობაში), დაავა-
დების კერძიდან ბაზრებზე შემოსული თევზის პროდუქციის რეა-
ლიზაციის შედეგად.

ჩვეულებრივ, ძალები ერთდროულად ტენიდებისა და სხვა ცეს-
ტოდების რამდენიმე სახეობით არიან დაანგაზიერული, რომლებიც
ერთნაირ ზეგავლენას ახდენენ დეფინიტური მასპინძლის ორგანიზ-
მზე. ამიტომ დიპილიდოზის, მეზოცესტოიდოზისა და დიფილობოთ-
რიოზის დროს პათოგენეზი, კლინიკური ნიშნები და პათოლოგიურ-
ანატომიური ცვლილებები ისეთივეა, როგორიც ტენიდოზების
შემთხვევაში.

დიაგნოზი. ცხოველის სიცოცხლეში დიაგნოზის დასადგენად ფე-
კალს იკვლევენ ჰელმინთოსკოპიული და ჰელმინთოოვოსკოპიული
მეთოდებით, რა დროსაც პოულობენ ამ ჰელმინთების პროგლოტი-
დებს, დიპილიდიების კაფსულებს, მეზოცესტოიდებისა და დიფილო-
ბოთრიუმების კვერცხებს.

მკურნალობა. ამ ჰელმინთოზების საწინააღმდეგოდ იყენებენ იმა-
ვე ანტჰელმინთურ საშუალებებს (იმავე დოზებით, ჯერადობით და
მათი მიცემის მეთოდით), როგორსაც ტენიდოზების შემთხვევაში.


პროფილაქტიკა. ძალებისათვის განკუთვნილ შენობებში, გალი-
ებში, სადგომებში აუცილებელია სისუფთავის დაცვა; მათ იატაკსა
და კედლებს ჰერიოდულად ამუშავებენ კრეოლინის ან ლიზოლის
3-5%-იანი ხსნარით. ქვეშაფენს ხშირად ცვლიან; მას წვავენ, ხო-
ლო ხალიჩას აუთოებენ. აუცილებელია ექტოპარაზიტების საწინა-
აღმდეგო ღონისძიებათა სისტემატურად განხორციელება. სანიტარი-
ულ-ჰიგიენურ ღონისძიებებთან ერთად განსაკუთრებული ყურადღე-
ბა უნდა დაეთმოს მღრღნელების განადგურებას. დაუშვებელია ძალ-
ების, კატების, ბეწვიანი ნაღირის კეგბა ნედლი ან თერმულად არა-
საკმარისად დამუშავებული დიფილობოთრიუმების პლეროცერკო-
დებით დაანგაზიერებული თევზით.

შრინვალის ცესტოდოზები

ბატისა და იხვის ღრევანილობის დროის განვითარები

დრეპანიდოტენიოზი ბატის, იშვიათად იხვის, აგრეთვე წყლისა და
ჭაბის მრავალი გარეული ფრინველის დაავადებაა. მისი გამომწვევია
Drepanidotaenia lanceolata, რომელიც მიეკუთვნება *Hymenolepididae*-ს
ოჯახს. დრეპანიდოტენიები პარაზიტობენ წვრილ ნაწლავებში.

აღმძრელი. *D. lanceolata* - ლია-მოყვითალო ან თეთრი ფერის
ცესტოდაა, რომლის ზომები სიგრძეში აღწევს 25 სმ-ს, სიგანეში -
1,5 სმ-ს. სკოლექსს მსხლისებრი ფორმა აქვს და აღჭურვილია
ხორუმით, ოთხი მისაწოვრითა და რეგ კაუჭით. პროგლოტიდების
სიგანე მნიშვნელოვნად აჭარბებს სიგრძეს. ჰერმაფროდიტულ პროგ-
ლოტიდში სამი სათესლე ჯირკვალია, რომლებიც ჰორიზონტალურ
საზზე არიან განლაგებული. მათ გაგრძლებაზე განთავსებულია
საყვითრე ჯირკვლები და საკვერცხე. სასქესო აპარატი ერთმაგია.
მისი ხვრელები სეგმენტის ცალ მხარეს იხსნებიან. დრეპანიდოტე-
ნიების კვერცხი ოვალურია (სიგრძით - 0,046-0,106 მმ). იგი ასე-
ვე ოვალური ფორმის ონკოსფერას შეიცავს, რომელიც აღჭურვი-
ლია სამი წყვილი კაუჭით.



სურ. 27. *Drepanidotaenia lanceolata*:
1—სკოლექსი; 2—კაუჭი; 3—კვერცხი;
4—ჰერმაფროდიტული პროგლოტიდა;
5—მომწიფებული პროგლოტიდა.

დრეპანიდოტენიები ბიოპელმინ-
თებია. მათი შუალედური მასპინ-
ძლები არიან სხვადასხვა სახეობის
ნიჩაბფეხიანი კიბო-ციკლოპები.

აღმძრელის ბიოლოგია. დრე-
პანიდოტენიების კვერცხები ფე-
კალთან ერთად ხვდებიან წყალში.
აქ მათ ყლაპავენ ნიჩაბფეხიანი კი-
ბო-ციკლოპები. შუალედური მას-
პინძლის ნაწლავში კვერცხიდან
გამოდის ონკოსფერა, რომელიც
შეაღწევს სხეულის ღრუში და
დაახლოებით ორი კვირის შემდეგ
გარდაიქმნება ცისტიცერკოიდად.

12-25 დღის შემდეგ იგი ინვაზიურ სტადიას აღწევს. დრეპანიდო-ტენიებით საბოლოო მასპინძლების დაინვაზიება ხდება ამ ცესტო-დას ცისტიცერკოიდებით დაინვაზიებული კიბო-ციკლოპების გადაყ-ლაპვის შედეგად. მათ ორგანიზმში დრეპანიდოტენია ზრდასრულ სტადიას აღწევს 15-20 დღეში.

ეპიზოოტოლოგიური მონაცემები. დაავადებას უფრო ადვილად ითვისებენ სამი-ოთხი თვის ასაკის ბატის ჭუჭულები, რომლებიც ავადდებიან წყალსატევებზე გასვლის პირველსავე დღეებში. ასაკის მატების კვალობაზე ინტენსიურად მატულობს დაინვაზიების მაჩვე-ნებელიც. დრეპანიდოტენიოზი მასობრივად გაზაფხულზე და ზაფ-ხულში ვლინდება, თუმცა ამ ცესტოდით დაინვაზიებული ყველა ასა-კის ფრინველის აღმოჩენა შესაძლებელია წლის ნებისმიერ დროს. ინვაზიის გავრცელების წყაროა დაავადებული შინაური და გარეუ-ლი ფრინველი. ამ დაავადების ეპიზოოტიურ პროცესში დიდი მნიშ-ვნელობა ენიჭება იმ ფაქტორს, რომ აღმდვრელის შუალედური მას-პინძლები - ნიჩაბფეხიანი კიბო-ციკლოპები მასობრივად ბინადრობენ წყალმცენარეებით მდიდარ, დაგუბებულ ან მდორე დინების მქონე წყალსატევებში, აგრეთვე დაჭაობებულ ტბებსა და გუბებში. დრე-პანიდოტენიების ცისტიცერკოიდებით ნიჩაბფეხიანი კიბო-ციკლოპე-ბი მაქსიმალურად არიან დაინვაზიებული მაის-იგნისში.

პათოგენეზი. დრეპანიდოტენიები მოქმედებენ ნაწლავის ლორწო-ვან გარსზე და იწვევნ მისი სეკრეტორული და მოტორული ფუნ-ქციების მოშლას. შემდეგ იწყება ნაწლავის ხაოების საფარის ეპი-თელიუმის დესკვამაცია, რის გამო ტოქსიკური პროდუქტები შეი-წივება სისხლში. სისხლის მიმოქცევის მოშლის შედეგად უარეს-დება ქსოვილების უანგაბადით მომარაგება, რაც პირველ რიგში ნერ-ვულ სისტემაზე აისახება.

დაავადების სიმპტომები სხვადასხვაგვარად ვლინდება, რაც დამო-კიდებულია ფრინველის ასაკსა და დაინვაზიების ინტენსიურობაზე. ჭუჭულები უკიდურესად დათოგუნვილი არიან, მათ აღენიშნებათ ფა-დარათი და პროგრესირებადი სიგამზდრე. განსაკუთრებით დამახა-სიათებელი კლინიკური ნიშანია მოძრაობის კომინაციის დარ-ღვევა, ბარბაციო სიარული, თავის უკან გადაგდება, თავის ქანქარი-სებრი მოძრაობა, ზოგჯერ ჭუჭულები კუდზე სხდებიან და ასეთ

მდგომარეობაში რამდენიმე ხანს იმყოფებიან. მათ აქვთ ნერვული შეტევები, რომლებსაც თან ახლავს კუნთების მკვეთრად გამოხატუ-ლი დაჭიმულობა შემდგომი დამბლით. მოზრდილი ფრინველისათ-ვის დამახასიათებელია ძლიერი ფალარათი, რაც ფრინველის გამ-ჭლევებით მთავრდება.

პათოლოგიურ-ანატომიური ცვლილებები. ლეში გამჭლევებულია. ნაწლავის ლორწოვან გარსზე კატარული ანთებაა. ნაწლავში ნა-ხულობენ დრეპანიდოტენიებს.

დიაგნოზს ადგენუნ ეპიზოოტოლოგიური მონაცემების, კლინიკუ-რი ნიშნებისა და ფლოტაციის მეთოდით ფეკალის გამოკვლევის შედეგების საფუძველზე. დიაგნოზს აზუსტებენ გაკვეთით.

ძურნალობა. ფენასალს უნიშნავენ ერთჯერადად ინდიგიდუალუ-რად ან ჯგუფური მეთოდით (საკვებთან ერთად), დოზით 0,3 გ/კგ, 16-18 საათიანი შიმშილის შემდეგ. პრეპარატს ურევენ საკვებს შე-ფარდებით 1:30; ფილიქსანს უნიშნავენ დოზით: იხვს - 0,35 გ/კგ, ბატს - 0,45 გ/კგ ერთჯერად (ინდივიდუალურად ან ჯგუფურად) კონცენტრირებულ საკვებთან შერეულს, შეფარდებით 1:50.

ბიორნოლს იხვებს უნიშნავენ დოზით 0,2-0,3 გ/კგ, ბატებს - 0,6 გ/კგ ჯგუფური მეთოდით, კონცენტრირებულ საკვებთან შერე-ულს, შეფარდებით 1:30, დილით, ერთჯერად 16-18 საათიანი შშიერი დიეტის შემდეგ. იგი რეკომენდებულია როგორც სამკურნალო, ისე პროფილაქტიკის მიზნით.

ბრომწყალბადიან არეკოლინს ბატებს აძლევენ შიგნით (რეზინის მილიანი შპრიცის მეშვეობით) წყალსნარის სახით, შეფარდებით 1:1000, დოზით 1-2 მლ/კგ, ერთჯერად. დეპელმინთიზაციას ატარე-ბენ ინდივიდუალურად, დილით, კვებამდე. ამის შემდეგ ფრინველს ერთი დღე-ლამის განმავლობაში არ უშვებენ წყალსატევზე და ამ-ყოფებენ სპეციალურად გამოყოფილ ადგილას.

პროფილაქტიკა ითვალისწინებს მოზრდეულის გამოზრდას დრე-პანიდოტენიოზის მიმართ კეთილსამედო წყალსატევებზე. სავალდე-ბულოა წყალსატევების ყოველწლიურად ცვლა და ფრინველის გა-რეშე მათი დატოვება 1-2 წლის განმავლობაში. დაუშვებელია წყალსატევებზე წყლის ფრინველის შემჭიდროვებულ პირობებში ყოლა. უმჯობესია მათი მიწაზე გამოზრდა. დრეპანიდოტენიოზის

მიმართ არაკეთილსაიმედო მეურნეობებში წელიწადში ორჯერ უნდა ჩატარდეს ბატისა და ინვის სადედე სულადობის პროფილაქტიკური დეპელმინთიზაცია: შემოდგომით, საძოვრული პერიოდის დამთავრების შემდეგ, და გაზაფხულზე, ფრინველის წყალსატევზე გასვლამდე ერთი თვით ადრე. არაკეთილსაიმედო წყალსატევზე მოზარდეულის გაშვებიდან 12-14 დღის შემდეგ ფრინველს უტარებენ პროფილაქტიკურ დეპელმინთიზაციას, რასაც ორი კვირის შემდეგ იმეორებენ.

ქათმის დავენოზი


დავენოზი ქათმის, ინდაურის, ციცარისა და ქათმისებრი მრავალი გარეული ფრინველის დაავადებაა. ქათმის დაავადებას იწვევს *Davainea proglottina*, ინდაურისას - *D. meleagris*, რომლებიც მიეკუთვნებიან *Davaineidae*-ს ოჯახს. დავენიები პარაზიტობენ თორმეტგოვანა ნაწლავში.

აღმძვრელი. *D. proglottina* მცირე ზომის ცესტოდაა, სიგრძეში - 3 მმ-მდე. მისი სტრობილა 4-5 პროგლოტიდისაგან შედგება. სკლექსი, რომელიც თითქმის ოთხკუთხა ფორმისაა, აღჭურვილია ხორუმით, ოთხი მისაწორით და გვირგვინისებრად ორ რიგად განლაგებული 80-90 კუჭით. ჰერმაფროდიტული პროგლოტიდების უკანა კიდის გასწვრივ ორ რიგად განლაგებულია 12-15 სათესლე ჯირკალი. სასქესო აპარატი ერთმაგია. მისი ხერელები სწორი თანამიმდევრობით იხსნებიან პროგლოტიდების ხან ერთ, ხან მეორე მხარეს. კვერცხი მრგვალი ფორმისაა (დიამეტრით - 0,035-0,040 მმ). *D. meleagris* დაახლოებით ასეთივე აგებულებისაა, ოღონდ პირველი სახეობისაგან განსხვავდება შედარებით მეტი ზომებით.

დავენიები ბიოპელმინთებია. მათი შუალედური მასპინძლებია ლოქორები და ზოგიერთი სხვა ხელეთის ლოკოკინა.

აღმძვრელის ბიოლოგია. დაავადებული ფრინველის სკორესთან ერთად გამოყოფილი პროგლოტიდებიდან დავენიების კვერცხები ვრცელდება გარემოში. აქ მათ ყლაპავნ მოლუსკები, რომელთა საჭმლის მომნელებელ ტრაქტში კვერცხებიდან გამოდიან ონკოსფერე-

ბი. ისინი გააღწევენ მოლუსკების სხეულის ღრუში, სადაც 2-4 კვირაში ყალიბდებიან ინვაზიურ ცისტიცერკოიდებად. დავენეოზით ქათმი, ინდაური, სხვა დეფინიტური მასპინძლები ავადდებიან ცისტიცერკოიდებით დაინვაზიებული მოლუსკების აკენკვის შედეგად. მათ ორგანიზმში დავენიები ზრდასრულ სტადიას ორ კვირაში აღწევენ. ზაფხულში ამ ცესტოდების განვითარების სრული ციკლი 32-38 დღეში მთავრდება.



სურ. 28. დავენიას განვითარების ციკლი

ბი დუნედ მოძრაობენ. მათი ბუბბული აბურძენილია, სუნთქვა გახმირებული. საჭმლის მომნელებელი ტრაქტის ფუნქცია დარღვეულია. სიკვდილის წინ არცთუ იშვიათად ვითარდება დამბლა.

პათოლოგიურ-ანატომიური ცვლილებები. კაუჭებით ფიქსაციისას დავენიები მექანიკურად აზიანებენ ნაწლავის ლორწოვან გარსს და იწვევენ წერტილოვან სისხლჩაქცევებს. ნაწლავის სანათურში დიდი რაოდენობით დაგროვილია მყრალი სუნის მქონე ლორწო.

დიაგნოზი. ფრინველის სიცოცხლეში დიაგნოზი ისმება სკორეში დავენიების პროგლოტიდების აღმოჩენით. სიკვდილისშემდგომი დიაგნოსტიკა დაფუძნებულია გაკვეთის დროს ნაწლავში ცესტოდების აღმოჩენაზე.

მკურნალობა. კარგ შედეგს იძლევა კამალა დოზით 1-2 გ/კგ. ასე-ვე რეკომენდებულია მამრობითი გვიმრის ექსტრაქტი იმავე დოზით, არეკოლინი (0,003 გ/კგ), ფილიქსანი (0,5 გ/კგ), დარიშხანმჟავა კალა და ბითონოლი (0,2 გ/კგ დანამულ ხორბალთან შერეული, ორჯერად, ოთხი დღის ინტერვალით). დეპელმინთიზაციის მომდევნო ორი დღის განმავლობაში ფრინველს საფრინველეში ამყოფებ, ხოლო ამ პერიოდის განმავლობაში გამოყოფილ სკორეს ბიოთერმულად აუვნებლებენ.

პროფილაქტიკა. საფრინველები განლაგებული უნდა იყოს შემაღლებულ, მზით განათებულ ადგილებში. კარგ ეფექტს იძლევა ზოგადი პროფილაქტიკური ღონისძიებები - სეირანების ცვლა, მშრალ სეირანებზე მოზარდეულის იზოლირებულად გამოზრდა, სეირანების გადახვნა, საფრინველებში ვეტერინარიულ-სანიტარიული წესების განუხრელი დაცვა სკორეს ბიოთერმულად უცილობელი გაუვნებლობით. საგალდებულოა რეგულარულად ხორციელდებოდეს ფრინველის კოპროლოგიური გამოკვლევა, ხოლო დაავადების გამოვლენის შემთხვევაში ჩატარდეს მთელი სულადობის პროფილაქტიკური დეპელმინთიზაცია.

რაიეტინოზი


რაიეტინოზი ქათმის, ინდაურისა და მრავალი გარეული ფრინველის დაავადება. აღწერილია დაავადების მრავალი აღმძვრელი. მათგან ქათმებში განსაკუთრებით გავრცელებულია *Raillietina echinobothrida* და *R. tetragona*, რომლებიც მიეკუთვნებიან *Davaineidae*-ს ოჯახს. რაიეტინები პარაზიტობენ თორმეტგვა ნაწლავში.

აღმძვრელი. *R. echinobothrida* შედარებით დიდი ცესტოდაა. მისი სხეულის ზომები სიგრძეში აღწევს 25 სმ-ს, სიგანეში - 4 მმ-ს. სკოლექსზე ხორთუმია, ორ რიგად განლაგებული 200-მდე კაუჭით, და ოთხი მისაწვარი, რომლებიც ასევე აღჭურვილი არიან მრავლობითი კაუჭებით. ჰერმაფროდიტულ პროგლოტიდებში ერთმაგი სასქესო აპარატია, რომლის ხვრელები სხეულის ცალ მხარეს იხსნებიან. მათში 30-მდე სათესლე ჯირკვალია, რომლებიც პროგლო-

ტიდის შუა არეში მდებარეობენ. აქვე მდებარეობს საკვერცხე, ხოლო მის უკან - თირკმლის ფორმის მქონე საყვითრე ჯირკვალი. მომწიფებულ პროგლოტიდებში საშვილოსნო კაფსულებად იშლება. თითოეულ კაფსულაში 6-12 კვერცხია. *R. tetragona*-ს ასეთივე აგებულება აქვს, ოღონდ მის ხორთუმზე ერთ რიგად განლაგებულია 100-მდე კაუჭი.

რაიეტინები ბიოპელმინთებია. მათი შუალედური მასპინძლებია ჭიანჭველები.

აღმძვრელის ბიოლოგია. დაავადებული ფრინველის სკორესთან ერთად გამოყოფილი პროგლოტიდებიდან რაიეტინების კვერცხები ვრცელდება გარემოში, სადაც მათ ყლაპავან ჭიანჭველები. შუალედური მასპინძლების ორგანიზმში კვერცხებიდან გამოდიან ონკოსუერები, რომლებიც გააღწევენ სხეულის ღრუში, სადაც ვითარდებიან ინვაზიურ ცისტიცერკოიდებად. ფრინველი ავადდება ცისტიცერკოიდებით დანვაზიებული ჭიანჭველების აკენებით.



სურ. 29. *Raillietina echinobothrida*-ს განვითარების ციკლი

ლებრივ შემოდგომით ხდება.

პათოგენები ყალიბდება რაიეტინას მიერ ნაწლავის ლორწოვან

გარსზე მექანიკური და მთელ ორგანიზმზე მისი ნივთიერებათა ცვლის პროდუქტების ტოქსიკური ზემოქმედებით.

დაავადების სიმპტომები. რაიეტინოზი მიმდინარეობს მწვავე და ქრონიკული ფორმებით. დაავადების მწვავე მიმდინარეობას (1-7 დღე) განაპირობებს ახალგაზრდა ცესტოდები სტრობილაციის დაწყებამდე, ქრონიკულს (20 დღემდე) - სქესმომწიფებული პარაზიტები. მოზარდეული ფრინველი მწვავე ფორმის დროს დათრგუნვილი და მოდუნებულია, კვდება კომატოზურ მდგომარეობაში. ქრონიკული ფორმის დროს ქათმებს აღნიშნებათ ლორწოვანი გარსების ანგმიურობა და სიყვითლე, ბიბილოსა და საყურების გალურჯება, გაძნელებული სუნთქვა, ზოგჯერ ფრთხისა და ფეხების დამბლა.

პათოლოგიურ-ანატომიური ცვლილებები. მწვავე რაიეტინოზის შედეგად მკვდარი ფრინველის ნაწლავის ლორწოვანი გარსი შესივებული და კაშკაშა წითელი ფერისაა. ლორწოვანი გარსიდან აღებულ ანაფენებები პოულობენ რაიეტინების სკოლექსებს. ქრონიკული ინვაზიის დროს ნაწლავის ლორწოვან გარსზე ნახულობენ მცირე ზომის ყავისფერ ლაქებს, ზოგჯერ 8-10 მმ დიამეტრის წყლულებს. ასეთივე სურათი დამახასიათებელია ფრინველის ტუბერკულოზისათვისაც, მაგრამ ტუბერკულოზის შემთხვევაში წერტილოვანი დაზიანებები არის არა მარტო ნაწლავებში, არამედ ღვიძლსა და ელენთაზეც.

დიაგნოზი ფრინველის სიცოცხლეში შეიძლება დაისვას მხოლოდ ქრონიკული რაიეტინოზის დროს სკორეში ცესტოდას პროგლოტიდების აღმოჩენის საფუძველზე. სიკვდილის შემდეგ დიაგნოზს ადგენენ პათოლოგიურ-ანატომიური გაკვეთის შედეგების საფუძველზე.

მკურნალობა. ეფექტიანი პრეპარატია ფილიქსანი დოზით 0,5 გ/კგ, ერთჯერად, საკვებთან შერეული, ინდივიდუალურად ან ჯგუფურად. პრეპარატი ფრინველს ეძლევა 12-15-საათიანი მშერი დიეტის შემდეგ. ასევე ეფექტიანი პრეპარატებია ოქსიდი, ფენასალი და ბი-თიონოლი, რომლებიც ფრინველს ეძლევა დოზით 0,2 გ/კგ საკვებთან ერთად ორჯერად, ოთხი დღის ინტერვალით.

პროფილაქტიკა. სეირანებსა და ფერმისპირა ტერიტორიაზე აუცილებელია სისუფთავის დაცვა, აგროტექნიკურ ღონისძიებათა განხორციელება, აგრეთვე სკორეს ბიოთერმული გაუცნებლობა. რაიეტინოზის მიმართ არაკეთილსამედო მეურნეობაში პროფილაქტიკურ დეპელმინთიზაციას ატარებენ ზამთარში ორჯერ.

თევზის ლიგულოზი

თევზის ლიგულოზის გამომწვევია პლეროცერკოიდი, რომელიც წარმოადგენს ცესტოდა *Ligula intestinalis* (ოჯახი - *Diphyllobothriidae*) ლარვულ ფორმას. იგი პარაზიტობს მტკნარი წყლის თევზების, უპირატესად კობრისებრთა მუცლის ღრუში. ამ ცესტოდას სქესმომწიფებული სტადია, რომელსაც ანალოგიური დასახელება აქვს, ლოკალიზობს სხვადასხვა სახეობის წყლის ფრინველების (იხვი, თოლია, ყანჩა) წვრილ ნაწლავებში.

აღმძვრელი. სქესმომწიფებული ლენტურას სხეულის სიგრძე ორ მეტრამდე აღწევს. სკოლექსზე ორი, კარგად გამოხატული ბოთრია. ლიგულა პროგლოტიდებად არ არის დაყოფილი, მაგრამ სხეულის მთელ სიგრძეზე, ერთმანეთის მიყოლებით განლაგებულია ჰერმაფოროდიტული სასქესო ორგანოების კომპლექსები. ინვაზიური პლეროცერკოიდები იმით განსხვავდებიან ნაწლავური ფორმებისაგან, რომ მათი სასქესო სადინარები განუვითარებელია.

ლიგულები ბიოპელმინთებია. მათი დეფინიტური მასპინძლებია წყლის ფრინველები, შუალედური - ნიჩაბფეხიანი კიბოსებრები, დამტებითი - თევზები.

აღმძვრელის ბიოლოგია. დეფინიტური მასპინძლების მიერ სკორესთან ერთად გამოყოფილი კვერცხები შემდგომი განვითარებისათვის აუცილებლად უნდა მოხვდენენ წყალში. აქ მიმდინარეობს მათი ემბრიონული განვითარება, რომლის დასრულების შემდეგ კვერცხებიდან გამოდიან კორაციდიუმები. ისინი გადაიყლაპებიან ნიჩაბფეხიანი კიბოსებრების მიერ, რომელთა ორგანიზმში კორაციდიუმები გარდა-

იქმნებიან პროცერკოიდებად. თუ პროცერკოიდებით დაინვაზიებული ნიჩაბფეხიანები მოხვდებიან თევზების საჭმლის მომნელებელ ტრაქტში, ისინი შეაღწევენ დამატებითი მასპინძლების მუცლის ღრუში, სადაც პლეროცერკოიდებად გარდაიქმნებიან. ჩვეულებრივ, პლეროცერკოიდების სხეულის სიგრძე 15-20 სმ-ს აღწევს, თუმცა მათი ზომები შესაძლოა უფრო მეტიც იყოს. დეფინიტური მასპინძლები (წყლის ფრინველები) ლიგულოზით აგადდებიან ლიგულას პლეროცერკოიდებით დაინვაზიებული თევზის შეჭმის შედეგად.

პათოგენეზი და დაავადების სიმპტომები. თევზის მუცლის ღრუში ზრდისა და ზომებში მომატების კვალობაზე პლეროცერკოიდები აწვებიან თევზის საჭმლის მომნელებელ ორგანოებს, საკვერცხეს, არღვევებს მათ ფუნქციას და იწვევენ ატროფიას. ამასთან, ზიანდება თევზის ცურვის მექანიზმი, რის გამო თევზი ვეღარ ჩადის წყლის ღრმა ფენებში და მუდმივად მის ზედაპირთან იმყოფება, რა დროსაც მოუსვენრად მოძრაობს. აღნიშნულის გამო ლიგულოზს "თევზის ცოფსაც" უწოდებენ. ეს ვითარება ძალზე ადვილებს პარაზიტის კონტაქტს დეფინიტურ მასპინძლებთან - წყლის ფრინველებთან, რომლებიც ადვილად იჭერენ წყლის ზედაპირთან მყოფ თევზებს და, თავის შხრივ, ავადდებიან ლიგულოზით.

თევზის ლიგულოზის ღროს დამახასიათებელი სიმპტომია მუცლის შებერვა. მუცლის მუსკულატურა იმდენად ატროფირდება, რომ შესაძლებელია მუცლის კედლების გასკომა.

დიაგნოზი დგინდება კლინიკური ნიშნების, აგრეთვე თევზის გაკვეთის შემდეგ მის მუცლის ღრუში ლიგულას პლეროცერკოიდების აღმოჩენის საფუძვლზე.

მკურნალობა არ არის შემუშავებული.

პროფილაქტიკა. საჭიროა თვალყურის დეგნება, რომ წყალსატევებზე, რომელთაც მეთევზეობის მეურნეობის მნიშვნელობა აქვთ, აგრეთვე მათ ახლო მდებარე წყალსატევებზე არ მოხდეს თოლიების, სხვა წყლის ფრინველების კოლონიების დასახლება. საჭიროა დაავადებული თევზის კონცენტრციის ადგილის გამოვლენა, სადაც უნდა მოხდეს მათი დაჭერა. დაინვაზიებულ თევზს ანადგურებენ.

ლიგულოზის მიმართ არაკეთილსამედო წყალსატევებში რეკომენდებულია ფარგის მოშენება, რომელიც არ ავადდება ამ ინვაზიით.


ნემატოდები და ნემატოლოგია

ნემატოდოზების აღმმღრელები არიან ნემატოდები - მრგვალი პარაზიტული ჭიები, რომლებიც მიეკუთვნებიან ტიპს - *Nemathelminthes*, კლასს - *Nematoda*.

ნემატოდების ანატომია და ბიოლოგია

ნემატოდების სხეული წაგრძელებული, ძაფისებრი ან თითისტარისებრი ფორმისაა, რომლის ზომა სიგრძეში 1 მმ-დან 1 მეტრამდე მეტყობას. სხეული გარედან დაფარულია მკვრივი კუტიკულით, რომელიც ხშირად გრძივი ან განივი მიმართულებებით არის დახაზული. ნემატოდების ცალკეულ სახეობებს კუტიკულაზე აქვთ ქაცვები, სავარცხლისებრი წარმონაქმნები. კუტიკულას ქვეშ კან-კუნოვანი პარია, რომელშიც განლაგებულია შინაგანი ორგანოები.

ნემატოდების საჭმლის მომნელებელი სისტემა იწყება პირის ხვრელით. იგი გრძელდება საყლაპავითა და ნაწლავით, რომელიც სხეულის ბოლოს ანუსით მთავრდება. ზოგიერთ ნემატოდას პირზე ტუჩები აქვს, რომელთა რაოდენობა



სურ. 30. ნემატოდები:

- 1, 2-Ascaris lumbricoides;
- 3-Syngamus trachea (Strongylata) შეწყვილებულ მდგომარეობაზი;
- 4, 5-Tetrameris sp. (Spirurata);
- 6-Soboliphyme baturini (Dioctophymata);
- 7, 8-Enterobius vermicularis (Oxyurata);
- 9, 10-Trichinella spiralis;
- 11-Loa loa (Filariata);
- 12, 13-Trichocephalus sp.

ორიდან ექვსამდე მერყეობს. ზოგიერთ ნემატოდას სხვადასხვა ზომისა და ფორმის პირის კაფსულა აქვს, რომელიც ხშირად აღჭურვილია კბილებით ან მჭრელი ფირფიტებით. მათი მეშვეობით პარაზიტი აზიანებს ცხოველის ნაწლავის ლორწოვან გარსს.

ნემატოდებს ორი ექსკრეტორული არხი აქვთ, რომლებიც სათავეს უკანა ბოლოში იღებენ, გასდევენ მთელ სხეულს, ერთიანდებიან და იხსნებიან მის წინა ნაწილში. ნერვული სისტემა შედგება საყლაპავის ორგვლივ განლაგებული ნერვული რგოლისაგან, საიდანაც გამოდიან ნერვული ღეროები.

ნემატოდები - სქესაყოფილი ჰელმინთები არიან. ჩვეულებრივ, მდედრი უფრო დიდია მამრზე. მამრის სასქესო სისტემა შედგება დახვეული სათესლე ჯირკვლებისაგან, რომლებიც ერთ თესლგამომტანში ერთიანდებიან. თესლგამომტანის ხვრელი სწორ ნაწლავში იხსნება, სადაც კლოაკას წარმოქმნის. ზოგიერთ ნემატოდას კლოაკის შორიახლოს აქვს დამხმარე სასქესო ორგანოები: ერთი ან ორი სპიკულა - ქიტინიზებული წარმონაქმნები, რომელთა მეშვეობით მამრი ფიქსირდება მდედრის სხეულზე შეწყვილებისას; გუბერნაკულუმი - ქიტინოვანი ორგანო, რომელიც არეგულირებს სპიკულების მოძრაობას; ფრთისებრი ფორმის სასქესო ბურსა, რომელსაც საფიქსაციო დანიშნულება აქვს; სასქესო დერილები - შევრძნების ოგანოები.

მდედრის სასქესო სისტემა წარმოდგენილია ორი წვრილად და გვეული საკვერცხით, ორი საშვილოსნოთი (იშვიათად ერთით ან მრავლით), რომლებიც კვერცხსავლების მეშვეობით უკავშირდებიან ერთმანეთს და წარმოქმნიან საერთო არხს - ვაგინას. ეს უკანასკნელი სასქესო ხვრელით (ვულვა) იხსნება სხეულის ვენტრალური ზედაპირის სხვადასხვა ადგილებში.

განაყოფიერების შემდეგ მდედრები დებენ კვერცხებს ან შობენ ლარვებს, რის გამო მათ ყოფენ კვერცხმდებლებად და ცოცხალმშობებად. კვერცხმდებელი ნემატოდები უმთავრესად ფეკალთან ან შარდთან ერთად გამოყოფენ განვითარების სხვადასხვა სტადიაზე მყოფ კვერცხებს - დაყოფის ბურთულებით ან ფორმირებული ლარვებით. ცოცხალმშობი ნემატოდები გამოყოფენ ცოცხალ ლარვებს. ჰელმინთების ლოკალიზაციის ადგილიდან გამომდინარე, ლარვები ან ფეკალთან ერთად გამოიტანებიან გარემოში, ან ზვდებიან სისხლში (როდე-

საც ჰელმინთები დახურულ ღრუებში პარაზიტობენ). სისხლძარღვებიდან ისინი გააღწევებ სისხლისმწვეველი მწერის სხეულში.

ყველა სხვა ნემატოდასაგან განსხვავებით ტრიქინელები მასპინძლის ნაწლავში შობენ ცოცხალ ლარვებს, რომლებიც იქვე შეიჭრებიან ნაწლავის ლორწოვან გარსში, ხოლო შემდეგ ლიმფური და სისხლის მიმოქცევის გზით მიიტანებიან კუნთებში, სადაც სამუდამოდ რჩებიან. ამრიგად, ტრიქინელებისათვის ერთი და იგივე ცხოველი ჯერ არის დეფინიტური მასპინძლი, შემდეგ - შუალედურიც.

მრგვალი ჭიების განვითარება ხდება როგორც შუალედური მასპინძლის მონაწილეობით, ისე მის გარეშე. კვერცხმდებელი ნემატოდების განვითარების ციკლი სხვადასხვაგარია. გარემოში გამოყოფილი მრავალი სახეობის ნემატოდას კვერცხებს განვითარებისათვის გარკვეული დრო ესაჭიროებათ. ამ დროს მათში ფორმირდებიან ლარვები, რომლებსაც შეუძლიათ ცხოველის დაავადება. საკვებთან ერთად გადაყლაბულ ლარვაზე კვერცხზე ცხოველის ორგანიზმში მოქმედებს კუჭის წვენი. კვერცხის გარსი იშლება და კუჭში ან ნაწლავის სანათურში გამოდის ლარვა. სხვადასხვა სახეობის ნემატოდების გამოთავისუფლებული ლარვები ცხოველის ორგანიზმში სხვადასხვაგარად მოქმედებენ. მაგალითად, კუდმახვილას ლარვები მაშინვე ემაგრებიან ნაწლავის ლორწოვან გარსს და ვითარდებიან ზრდასრულ პარაზიტებად. სხვა ნემატოდების ლარვები (ასკარიდები და სხვ.) ნაწლავიდან მიგრირებენ სისხლძარღვებში და ღვიძლისა და გულის გავლით მიიტანებიან ფილტვებში. აქ ისინი გამოდიან სისხლძარღვებიდან, შეიჭრებიან ბრონქებში, ნახველთან ერთად ამოიტანებიან პირის ღრუში, გადაიყლაპებიან და, ნაწლავში ხელმეორედ მოხვედრილნი, იწყებენ ზრდა-განვითარებას და გარდაიქმნებიან ზრდასრულ ასკარიდებად.

მრავალი სახეობის ნემატოდას (ქვერაზმი *Strongylata*) კვერცხებიდან გარემოში გამოდიან ლარვები, რომლებიც იზრდებიან, რამდენჯერმე იცვლიან კანს, რის შემდეგ აღწევენ ინვაზიურ სტადიას.

ნემატოდების განვითარების ციკლი ხასიათდება თავისებურებებით. განასხვავებენ გეონემატოდებს, რომლებიც ვითარდებიან პირდაპირ გზით (დეფინიტური მასპინძლის დაინვაზიება ხდება ჰელმინთის ინვაზიური კვერცხის ან ლარვის მეშვეობით), და ბიონემატო-

დებს, რომელთა განვითარების ციკლში მონაწილეობენ შუალედური მასპინძლები. ზოგიერთი სახეობის ნემატოდებისათვის დამახასიათებელია რეზერვუარული პარაზიტიზმი.

ვეტერინარიული მნიშვნელობის მქონე ნემატოდები გაერთიანებული არიან რვა ქვერაზმში. ესენია: Oxyurata, Ascaridata, Strongylata, Trichocephalata, Spirurata, Filariata, Dioctophimata და Rhabditata. ყოველი ქვერაზმისათვის დამახასიათებელია განსაკუთრებული მორფოლოგიური ნიშნები, რომელთა მიხედვით აღვილია ნემატოდების განსხვავება.

ოქსიურატოზები


პარაზიტისათვა მისი მოვალეობი

ოქსიუროზის გამომწვევია ნემატოდა *Oxyuris equi*, რომელიც მიეკუთვნება Oxyuridae-ს ოჯახს, Oxyurata-ს ქვერაზმს. ოქსიურისები პარაზიტობენ ცხენის, სახედრის, ჯორის, ზებრას მსხვილ ნაწლავებში, უმეტესად - დიდ მლივ ნაწლავში.


აღმძვრელი. ოქსიურისების პირი ექვსწახნაგოვანი ფორმისაა და შემოფარგლულია ექვსი ტუჩით. იგი იხსნება პირის მოკლე კაფსულაში, რომელიც საყლაპავით გრძელდება. საყლაპავის წინა ნაწილი გაგანიერებულია, უკანა - შევიწროებული, რომელიც მთავრდება მრგვალი ბულბუსით. მამრის სხეულის სიგრძე 6-15 მმ-ია, სიგანე - 0,8-1,0 მმ. კუდის ბოლო ბლაგვია. მასზე კუტიკულური აპკია, რომელიც დაფიქსირებულია ღეროსებრი შეგრძნების დვრილებით. აქვეა ერთი წვრილი და ბასრი სპიკულა. მდედრის სხეულის სიგრძე 18 მმ-ს აღწევს. სხეულის წინა მესამედი გაგანიერებულია, დანარჩენი - შევიწროებული. ვულვა განლაგებულია გაგანიერებულ ნაწილში. მდედრის პირის კაფსულაში ჯაგრები და სამი ქიტინოვანი კბილია. საშვილოსნო ერთმაგია. ოქსიურისების კვერცხი ოვალური ფორმისაა ($0,09-0,1$ მმ \times $0,04-0,05$ მმ) და დაფარულია ოთხშრიანი გარსით. კვერცხის ერთ პოლუსზე სარქველია.



სურ. 31. *Oxyuris equi*-ს მდედრი ინდივიდები განვითარების სხვადასხვა სტადიაზე



სურ. 32. *Oxyuris equi*-ს კვერცხი



სურ. 33. *Oxyuris equi*-ს მდედრი ინდივიდის თავის ბოლო

ამავე დროის განმავლობაში შრება წებოვანი მასა და ინვაზიურ სტადიას მიღწეული ოქსიურისების კვერცხები ცვივიან ნიადაგზე, ქვეშსაფენზე, მოვლის საგნებზე და აინვაზიურ მათ.

ეპიზოოტოლოგიური მონაცემებით მონაცემები. ოქსიუროზით ძირითადად ავადდებიან ერთ წლამდე ასაკის მოზარდეული და ხანდაზმული ცხენები. დაავადება გავრცელებულია ყველგან. ნესტიანი, დაბინძურებული სადგომები, არასრულფასოვანი კვება ხელს უწყობს მის გავრცელებას. ხშირად ცხენების დაინვაზიება ხდება იატაკიდან მათი კვებისას, სადაც ყველაზე მეტად გროვდება ინვაზიური სტადიის კვერცხები. ოქსიუროზი მაქსიმალურად ვლინდება ნოებბერ-მარტში, ცხოველების ბაგური შენახვის პერიოდში.

პათოგენური. ოქსიურისების მიერ ორგანიზმზე პათოგენური ზემოქმედება უპირველეს ყოვლისა გამოიხატება მსხვილი ნაწლავის ლორწოვანი გარსის ტრავმით, რის შედეგად ნაწლავში ვითარდება კატარული ანთება. პერიანალურ ნაოჭებში მყოფი მდედრები და მათ მიერ გამოყოფილი კვერცხები ლოკალიზაციის ადგილას იწვევენ ძლიერ ქავილს, რის გამო კუდის ძირში ვითარდება დერმატოზი.



სურ. 34. ცხენის ოქსიუროზისათვის დამახსასიათებელი კლინიკური ნიშანი მუს „აჩეჩა“

დაავადების სიმპტომები. ოქსიურისებით დაინვაზიებისას კუდის ძირში ძუა აჩეჩილია, რაც ამ დაავადებისათვის დამახსასიათებელი კლინიკური ნიშანია. ძლიერი ქავილის გამო ცხოველი მოუსვენრად არის, ეხახუნება თავლის კედლებს, სხვა საგნებს. კუდის ძირში ბალანი ცვივა, ვითარდება ეგზემა. ცხოველი თანდათან კნინდება. მას აღენიშნება კუჭ-ნაწლავის აშლილობა.

დიაგნოზი ისმება კლინიკური ნიშანებით და პერიანალური ნაოჭებიდან აღებული ანაფენების გამოკვლევით.

მკურნალობა. იყენებენ ოთხქლორიან ნახშირბადს, რომელსაც უნიშნავენ პერიორალურად კაფ-სულებით ან ცხვირ-ხახის ზონდის მეშვეობით წინასწარი 8-10-საათიანი მშიერი დიეტის დაცვით. ოთხქლორიანი ნახშირბადის დოზებია: 3-დან 7 თვის ასაკის კვიცებისათვის - 8-10 მლ; 7-დან 12 თვის ასაკის კვიცებისათვის - 10-15 მლ;

1-დან 2 წლის ასაკის კვიცებისათვის - 15-20 მლ; 2-დან 3 წლის ასაკის კვიცებისათვის - 20-25 მლ მოზრდილი ცხენებისათვის - 25-40 მლ.

ოქსიუროზის დროს უფექტიანი პრეპარატია პიპერაზინი მისი ფუძის ან მარილის სახით (ადიპინატი, ფოსფატი, სულფატი). მას უნიშნავენ დანამულ კონცენტრირებულ საკვებთან ერთად ინდივიდუალურად ან ჯგუფური მეთოდით. პიპერაზინის დოზაა 0,1 გ/კგ ორჯერად, ერთი დღე-დამის შუალედით. ინდივიდუალური მკურნალობის დროს პიპერაზინი შეიძლება შევიყვანოთ ცხვირ-ხახის ზონდის ან რეზინის ბოლოს მეშვეობით 2-5%-იანი წყალხსნარის ფორმით. პრეპარატის ჯგუფური გამოყენებისას ერთი ასაკის ცხენებისათვის წონიან 20-25 კგ კონცენტრატს (კომბინირებული საკვები, შვრია და სხვ.) და შეურევენ მას საჭირო რაოდენობის პიპერაზინის წყალხსნარს. ნარევს თანაბრად ყრიან საკვებურებში. მკურნალობამდე რეკომენდებულია 7-10-საათიანი მშიერი დიეტის დაცვა.

პროფილაქტიკა და ბრძოლის დონისძიებები. ოქსიუროზზე არაკეთილსამედო მეურნეობებში ცხენებს ყოველი 1-1,5 თვის შემდეგ უტარებენ 3-4-ჯერად დეპელმინითიზაციას პიპერაზინით. კლინიკურად ავადმყოფ ცხოველებს გამოყოფენ და უტარებენ მკურნალობას ინვაზიის პროფილაქტიკის ყველა წესის დაცვით. ანუსის არეს, შორისის მიდამოს, კუდის ძირს ყოველდღიურად წმენდენ სადეზინფექციის წსნარებში დასველებული ღრუბლით ან ტამპონით. ყოველი ექსი კვირის შემდეგ ყველა ცხენს იმ თავლიდან, სადაც იყვნენ ავადმყოფი ცხოველები, პერიანალური ნაოჭებიდან აღებული ანაფენების გამოკვლევის მეთოდით იკვლევენ ოქსიუროზზე, დაავადების სრულ ლიკვიდაციამდე. თავლის ინვენტარს (ნიჩაბი, ცოცხი და ა.შ.), მოვლის საგნებს (საფხეკები, ჯაგრისები), აგრეთვე საკვებურებს, შენობის კედლებს, იატაკს, კარებს ყოველი მექანიკური დასუფთავების შემდეგ ამუშავებენ ქაფქაფა წყლით.

ბოცვრის აასალუროზი

დაავადების გამომწვევია ნემატოდა *Passlurus ambiguus*, რომელიც მიეცუთვნება *Oxyuridae*-ს ოჯახს. პასალურები ლოკალიზობენ ბოცვრებისა და კურდღლების მსხვილ ნაწლავებში.

აღმძრელი. პასალურა თითისტარისებრი ფორმისაა. მას პატარა პირის კაფსულა აქვს, რომლის ძირზე განლაგებულია სამი კბილი. საყლაპაგზე ბურთისებრი ბულბუსია ქიტინოვანი აპარატით. მამრის სხეულის სიგრძე 3,8-5 მმ-ია. მისი კუდის ბოლო მთავრდება სადგისისებრი წანაზარდით. კლოაკის ირგვლივ მსხვილი დვრილების რიგია. სპიკულა ერთია. მდედრის სხეულის სიგრძე 7,8-11 მმ-ია. მას წვრილი, გრძელი და წაწვეტებული კუდი აქვს, რომლის ბოლოზე კუტიკულა ბეჭდისებურად არის შესქელებული. კულვა სხეულის წინა ნაწილშია. პასალურას კვერცხი ასიმეტრიული ფორმისაა. მის ერთ-ერთ პოლუსზე საცობისმაგვარი წამონაზარდია. კვერცხის სიგრძე 0,095-0,115 მმ-ია.

აღმძრელის ბიოლოგია. განაყოფიერების შემდეგ მამრი პასალურები იღუპებიან, ხოლო მდედრები გადაინაცვლებენ ანალური ხვრელისაკენ. ანუსიდან მომწიფებული პასალურების გამოსვლისას მათი ვულვიდან გამოიდევნება კვერცხებით გადავსებული საშვილოსნო, რომლიდანაც გამოთავისუფლებული კვერცხები ხვდებიან ანუსის ირგვლივ ბეწვზე, ფეკალზე, იატაკზე, საკვებურებში, მოვლის საგნებზე და სხვ. კვერცხდების შემდეგ მდედრი პასალურებიც იღუპებიან. კვერცხების განვითარება ძირითადად პერიანალურ ნაოჭებში მიმდინარეობს. ისინი ინვაზიურ სტადიას აღწევენ 24-48 საათის განმავლობაში. პასალურობით ბოცვრები ავადდებიან საკვებთან ან წყალთან ერთად ინვაზიური სტადიის კვერცხების გადაყლაპვით. მათ ნაწლავში კვერცხებიდან იჩეკებიან ლარვები, რომლებიც ზრდა-განვითარებას 11-15 დღეში ამთავრებენ. პასალურები ბოცვრების ნაწლავებში 60-70 დღეს ცოცხლობენ.

ეპიზოოლოგიური მონაცემები. პასალურობით ავადდება ყველა ასაკის ბოცვრი. დაავადება გვეზდება წლის ყველა სეზონში. პასალურობის გავრცელებას ხელს უწყობს ანტისანიტარიული მდგომარეობა.

პათოგენეზი. პასალურების მიერ ბოცვრის ორგანიზმზე მექანიკური და ტოქსიკური ზემოქმედების შედეგად ვითარდება მსხვილი ნაწლავის კატარული ანთება, ხოლო ინტენსიური დაინვაზიების შემთხვევაში (1000-ზე მეტი პარაზიტი) - ანუსისა და მსხვილი ნაწლავის ტრავმა. მოზარდეულში აღინიშნება კოლიტი, რომელსაც

თან ახლავს ტკივილი მუცელის არეში.

დაავადების სიმპტომები არადამახასიათებელია. ბოცვერს ანუსის მიდამოში კანი შეწითლებული აქვს, ხოლო ბეწვი - აჩეჩილი. დაავადებული ცხოველი ქავილის გამო წუხს, თათებით იფხანს ანუსის მიდამოს, ეხახუნება გალიის იატაკს, საკვებურს, ხშირად ზის სარწყულებელში.

დიაგნოზი ისმება პერიანალური ნაოჭებიდან აღებული ანაფხეკის გამოკვლევით.

გურინალობა. საუკეთესო უფექტს იძლევა ფენოთიაზინი და პიპერაზინის ნაერთები. შეიძლება გამოვიყენოთ ოთხქლორიანი ნახშირბადი. ფენოთიაზინს უნიშნავენ ორი დღის განმავლობაში დოზით 1-1,5 გ/კგ-ზე. თუ არ იქნა მიღებული სათანადო ეფექტი, 15-16 დღის შემდეგ დეპელმინთიზაციას იმეორებენ. პიპერაზინის მარილებს (ადიპინატი, ფოსფატი, სულფატი) მოზრდილ ბოცვრებს ადლევენ ერთჯერად დოზით 1,0 გ/კგ-ზე; მოზარდეულს - 0,75 გ/კგ-ზე ორჯერად ორი დღის განმავლობაში. პიპერაზინსა და ფენოთიაზინს აძლევენ დანამულ ან სხვა საკვებთან შერეულს 18-24-საათიანი შშიერი დიეტის შემდეგ. ოთხქლორიანი ნახშირბადი ბოცვერს ეძლევა პერიანალურად, დოზით 0,4 მლ, რის შემდეგ იყენებენ საფალარათო საშუალებას. დეპელმინთიზაციამდე აუცილებელია 20-24-საათიანი შშიერი დიეტის დაცვა.

პროფილაქტიკა დაფუნქციულია ზოგად და სპეციალურ ვეტერინარიულ-სანიტარიულ ღონისძიებათა განხორციელებაზე. საჭიროა გალიების, საკვებურებისა და სარწყულებლების ყოველდღიურად გულდასმით დასუფთავება და ქაფქაფა წყლით დეზინვაზია. დაავადების ქიმიოპროფილაქტიკის მიზნით ბაჭიებს ასხლეტიდან 45-50 დღის განმავლობაში ყოველდღიურად ჯგუფური წესით საკვებთან ერთად აძლევენ პიპერაზინის ადიპინატს დოზით 0,1-0,15 გ/კგ-ზე.

ქათმის პეტერაპიზოზი

დაავადების აღმძრელი - *Heterakis gallinarium*, მიეკუთვნება Heterakidae-ს ოჯახს, Oxyurata-ს ქვერაზმს. ჰეტერაკისები პარაზიტო-

ბენ ქათმისა და ინდაურის ნაწლავის ბრმა წანაზარდებში. ჰეტეროკიდოზით ავადდება ასევე ციცარი, ხოხობი, მრავალი გარეული ფრინველი, იშვიათად - შინაური ბატი და იხვი.

აღმძვრელი. ჰეტეროკისები მცირე ზომის ნემატოდები არიან. მამრის სხეულის სიგრძე შეადგენს 6-11 მმ-ს, მდედრისა - 7-12 მმ-ს. მათ პირის კაფსულაზე სამი ტუჩია, ხოლო საყლაპავისა და ნაწლავის საზღვარზე - სფეროსებრი ბულბუსი. მამრის კუდის ბოლოზე, რომელიც მახვილისებრად წაწვეტებულია, მრგვალი მისაწოვარი, ორი არათონაბარი ზომის სპიკულა და 12 დვრილია. მდედრის სხეულზე ვულვა კუდის ბოლოზე მდებარეობს. ჰეტეროკისის კვერცხი ოვალური, ოდნავ წაგრძელებული ფორმისაა (0,063-0,075 მმ x 0,036-0,048 მმ). მას ორკონტურიანი გარსი აქვს.

აღმძვრელის ბიოლოგია. ფრინველის ნაწლავში მდედრი დებს ერთი ბლასტომერის სტადიაზე მყოფ კვერცხებს, რომლებიც სკორესთან ერთად გამოიტანება გარეშემი. 2-3 კვირის განმავლობაში მათში ვითარდებიან ლარვები, რომლებიც იცვლიან კანს და კვერცხები აღწევენ ინვაზიურ სტადიას. ფრინველის დაინვაზიება ხდება საკვებთან ან წყალთან ერთად ინვაზიური სტადიის კვერცხების გადაყდლაპით. წვრილ ნაწლავში მათგან იჩეკებიან ლარვები, რომლებიც 24 საათის შემდეგ ხვდებიან ნაწლავის ბრმა წანაზარდებში, სადაც შეიჭრებიან ლორწოვან გარსში. 6-12 დღის შემდეგ ისინი გამოდიან ნაწლავის სანათურში და დაინვაზიებიდან დაახლოებით ერთ თვეში აღწევენ ზრდასრულ სტადიას.

ეპიზოოლოგიური მონაცემები. ჰეტეროკიდოზით ავადდება ყველა ასაკის ფრინველი, მაგრამ უფრო ხშირად - რვა თვიდან ორ წლამდე ასაკის ქათამი. დაავადება გავრცელებულია ყველგან და ვლინდება წლის ნებისმიერ სეზონში, თუმცა დაინვაზიების ექსტენსიურობის მაჩვენებელი განსაკუთრებით მაღალია ზაფხულში, შემოდგომასა და ზამთარში. ჰეტეროკისებით ერთი ქათამის დაინვაზიების ინტენსიურობის მაჩვენებელმა შესაძლოა 1500 ეგზებლარს მიაღწიოს.

ჰეტეროკისის კვერცხები გამძლენი არიან გარემოს არახელსაყრელი პირობების (გამოშრობა, დაბალი ტემპერატურა), აგრეთვე ზოგიერთი ქიმიური ნივთიერების (მარილმჟავასა და სულემის 1%-

იანი ხსნარების) ზემოქმედების მიმართ. დაავადების გავრცელებას ხელს უწყობს გარეულ ფრინველთა შორის ჰეტეროკისების დეფინიტურ მასპინძელთა დიდი დაიაპაზონი, აგრეთვე ჭიაყელები, რომელიც ამ ნემატოდას რეზერვუარულ მასპინძლებს წარმოადგენს. კერძოდ, ჭიაყელები ყლაპავენ ჰეტეროკისების კვერცხებს, საიდანაც მის ნაწლავში გამოდიან ლარვები. ისინი შეიჭრებიან ჭიაყელას კუნთოვან ქსოვილებში და დიდი ხნის განმავლობაში ინარჩუნებენ ინვაზიურ თვისებებს. ასეთი ჭიაყელების შეჭმის შემთხვევაში ფრინველი ავადდება ჰეტეროკიდოზით.

პათოგებები. ქათმის ორგანიზმზე ჰეტეროკისები ახდენს მექანიკურ და ტოქსიკურ ზემოქმედებას. ძლიერი დაინვაზიებისას აღინიშნება კუჭ-ნაწლავის ტრაქტის აშლილობა, სიგამზდრე, კვერცხმდებლობის შემცირება. ტოქსიკური ზემოქმედებით ვითარდება ეოზინოფილია, ღვიძლის ჰიპერემია, სისხლის შეგუბებითი მოვლენები. ჰეტეროკისები მნიშვნელოვან როლს ასრულებს ინვაზიზმში პათოგენური უმარტივესის - *Histomonas meleagridis*-ის ინოკულაციაში, რომელიც ინდაურის ენზოოტიური ენტეროპეპატიტის აღმძვრელია. კერძოდ, თუ ინდაური დაავადებულია ჰეტეროკიდოზით და ჰისტომონოზით, მის ნაწლავში ლოკალიზებული ჰეტეროკისები ყლაპავენ ჰისტომონებს, რომელთაც შეუძლიათ შეაღწიონ ჰელმინთის საკვერცხები. ასეთ შემთხვევაში ჰეტეროკისების მიერ პროდუცირებული კვერცხები შეიცავენ ჰისტომონოზის აღმძვრელებს და მათი გადაყლაპივისას ხდება ინდაურის დაინვაზიება ჰეტეროკიდოზით და ჰისტომონოზით. მარტო ჰისტომონოზით დაავადებისას ენტეროპეპატიტი იოლ ფორმებში მიმდინარეობს. დადგნილია, რომ ანტიცეტეროკიდოზული ღონისძიებები ძლიერ ამცირებენ ჰისტომონოზურ ინვაზიას ამ დაავადების მიმართ არაკეთილსამედო მეურნეობებში.

დაავადების სიმპტომები. ფრინველი დათრგუნვილია და სუსტდება. იგი მადას კარგავს. კუჭ-ნაწლავის აშლილობის გამო ვითარდება ფალარათი. მოზარდი ჩამორჩება ზრდა-განვითარებაში. მცირდება კვერცხმდებლობა.

პათოლოგიურ-ანატომიური ცვლილებები. ჰეტეროკისების ლარვების განვითარების პერიოდში ქათმის გაკვეთისას ლორწოვან გარსზე აღინიშნება კვანძოვანი ტიფლიტი (ანთება კვანძების წარმოქ-

მნით.), ზრდასრული ჰეტერაკისების ლოკალიზების ადგილებში კი, ვითარდება ქრონიკული დიფუზური ტიფლიტი. ბრძა ნაწლავის ლორწოვანი გარსი ატროფირდება, მასზე ნეკროზული კერებია, ეპი-თელიუმი განიცდის დესკვამაციას. ღრმა ცვლილებებია ნაწლავის კედლის ჯირკვლოვან ნაწილში. პარაზიტის შეჭრის ადგილებში განვითარებულია ძლიერი ინფილტრაცია, რომელიც შეიცავს ეოზინოფლებს და ლიმფოიდურ უჯრედებს. პისტომონოზის თანხლებისას ღვიძლში ვითარდება ღისტროფიული ცვლილებები.

დიაგნოზი. სკორეს იკვლევენ ჰელმინთოვოსკოპიურად ფლოტაციის მეთოდით.

მკურნალობა. ფენოთიაზინს იყენებენ ორი დღის განმავლობაში; ერთ ჯერზე მოზრდილ ქათამს პრეპარატი ეძლევა დოზით 1,0-1,5 გ/კგ, 5-6 თვის ასაკის მოზარდეულს - 0,3-0,5 გ/კგ. ფენოთიაზინი ფრინველს შეიძლება დავუნიშნოთ ინდივიდუალურად ბოლუსის ფორმით ან ჯგუფური მეთოდით (დანამულ კომბინირებულ საკვებთან ერთად). შესაძლებელია ოყნის მეშვეობით ფრინველის სწორ ნაწლავში ოთხქლორიანი ნახშირბადის შეყვანა დოზით: 2-3 თვის ასაკის წიწილებს - 1 მლ, მოზრდილ ფრინველს - 2-5 მლ.

შერეული, ასკარიდიოზულ-ჰეტერაკიდოზული ინვაზიის დროს რეკომენდებულია პიპერაზინისა და ფენოთიაზინის ნარევის გამოყენება ერთჯერადი დოზით: 4 თვის ასაკამდე მოზარდეულს - პიპერაზინი 0,5 გ, ფენოთიაზინი - 0,3 გ; უფროსი ასაკის მოზარდეულსა და ზრდასრულ ქათმებს - პიპერაზინი 0,5 გ, ფენოთიაზინი - 0,7 გ. ნარევი ფრინველს ეძლევა ორი დღის განმავლობაში.

შესაძლებელია ნილვერმის (ტეტრამიზოლი) და მებენდაზოლის გრანულირებული ფორმის - მებენვეტის გამოყენება. ნილვერმი ფრინველს ეძლევა დოზით 0,08 გ/კგ დანამულ კომბინირებულ საკვებთან შერეული, ჯგუფური მეთოდით. სამკურნალო ნარევის უკეთესად ათვისებისათვის საკვების ერთჯერად რაოდენობას ანახევრებენ. მებენვეტის 10%-იან გრანულატს იყენებენ დოზით 0,4 გ/კგ კომბინირებულ საკვებთან შერეულს.

შერეული ინვაზიების დროს ასევე ეფექტურია პანაკური (ფენბენდაზოლი) და რინტალი (ფებანტელი), რომლებიც აქტიურად

მოქმედი ნივთიერების მიხედვით ყოველ ფრინველზე გამოიყენება ერთჯერადი დოზით - 0,01 გ ორი დღის განმავლობაში.

პროფილაქტიკა. ყურადღება ეთმობა ჰეტერაკისებიდან ქათმების გათავისუფლებას გაზაფხულსა და ზაფხულში. რეკომენდებულია მოზრდილი ფრინველისაგან მოზარდეულის იზოლირებულად გამოზრდა, რომლის დაპლომინთიზაციას, ჰელმინთებისგან სრულ გათავისუფლებამდე, ზამთარში ახდენენ. ყოველდღიურად საფრინველების გულდასმით დასუფთავება, სკორეს ბიოთერმული გაუვნებლობა, პერიოდულად საკვებურებისა და სარწყულებლების დეზინვაზია ქაფქაფა წყლით ან სარჩილავი ღამფის ალით იცავს ფრინველს ჰეტერაკისებითა და სხვა ჰელმინთებით დაინვაზიებისაგან.

შემუშავებულია ფენოთიაზინით და ფურიდინით ქიმიოპროფილაქტიკის მეთოდები. ფენოთიაზინს მოზარდეულს უნიშნავენ დოზით 0,1-0,3 გ/კგ. ფურიდინს იყენებენ ასკარიდიოზულ-ჰეტერაკიდოზული ინვაზიის დროს. ამ მიზნით პრეპარატს ურევენ კომბინირებულ საკვებს გაანგარიშებით - 30 გრამი/ტონაზე. ფურიდინით გამდიდრებული საკვები ფრინველს ეძლევა ყოველდღიურად 45-60 დღის განმავლობაში. კომბინირებულ საკვებს ასევე ამდიდრებენ ჰიგროვეტინით, გაანგარიშებით 1,5 კგ/ტონაზე და ამ ნარევით კვებავენ ფრინველს 60 დღის განმავლობაში.

ასკარიდატოზები

ლორის ასკარიდოზი

ასკარიდოზის გამომწვევია ნემატოდა *Ascaris suum*, რომელიც მიეკუთვნება Ascaridae-ს ოჯახს, Ascaridata-ს ქვერაზმს. ასკარიდების ახალგაზრდა და ზრდასრული ფორმები პარაზიტობენ შინაური და გარეული ღორის წვრილ ნაწლავებში, ხოლო ლარვები აზიანებენ შინაგან ორგანოებს (ლიმფური კვანძები, ფილტრები, ღვიძლი), რაც ორგანიზმში ალერგიული ხასიათის პათოლოგიურ ცვლილებებს (ფილტვების ეოზინოფლებური ინფილტრატები, ბრონქოპნევმონია, პლევრი-

ტი, სუნთქვის მოშლა) იწვევს. ასკარიდოზის მიმართ უფრო ამთვი-სებელი არიან მეტყური გოჭები, 6-7 თვემდე ასაკის მოზარდეული. მოზრდილი ღორები ასკარიდოზით იშვიათად ავადდებიან. ისინი, რო-გორც წესი, პარაზიტმატარებლები არიან. ასკარიდოზი დიდ ეკონო-მიკურ ზარალს აყენებს მეღორეობის დარგს, რაც გამოიხატება გო-ჭების გაწყდომით, მოზარდეულის ზრდა-განვითარების შეფერხებით, ცხოველთა პროდუქტიულობის მკვეთრად შემცირებით.

აღმძვრელი. ღორის ასკარიდა თითისტარისებრი ფორმის თეთრი ფერის მსხვილი ნებატოდა, რომლის თავის ბოლოზე სამი ტუჩია. მამრის სხეულის სიგრძე 10-22 სმ-ია. მისი კუდის ბოლო, რომე-ლიც მორჩგვალებულია, აღჭურვილია ორი თანაბარი (1,2-2 მმ) ზო-მის სპიკულით. დღედრის სხეულის სიგრძე 23-30 სმ-ია. ვულვა მდებარეობს სხეულის წინა მესამედში. ასკარიდას კვერცხს ოვა-ლური ფორმა ($0,050-0,075$ მმ \times $0,040-0,050$ მმ) აქვს. იგი და-ფარულია მუქი ყავისფერი სქელი, ბორცვოვანი გარსით. ახლად გა-მოყოფილ კვერცხში ერთი ჩანასახოვანი უჯრედია.



სურ. 35. *Ascaris suum*
1-მამრი; 2-მდედრი.

აღმძვრელის ბიოლოგია. ასკარიდები გეოპელმინთები არიან. ისინი ვითარდებიან შუალედური მასპინძლების გარეშე. ზრდასრული მდედ-რი ასკარიდა წვრილ ნაწ-ლავებში დებს კვერცხებს სურ. 36. ღორის (დღე-დამეში ერთი ასკარი-ასკარიდას კვერცხი და დებს 200 ათასამდე კვერცხს), რომლებიც ფეკალთან ერთად გა-მოიყოფიან გარეთ. გარემოში ხელშემწყობი ტემპერატურისა ($20-30^{\circ}\text{C}$) და ტენიანობის პირობებში კვერცხში 2-3 კვირაში ვითარდე-ბა მოძრავი ინვაზიური ლარვა. ასეთი კვერ-ცხების გადაყლაპვისას ღორი ავადდება ასკა-რიდოზით. მის ნაწლავებში კვერცხებიდან იჩეკებიან ლარვები, რომლებიც შეიჭრებიან ნაწლავის კედლის სისხლძარღვებში და კა-

რის ვენის მეშვეობით ხვდებიან ღვიძლში, აქედან სისხლის მიმოქ-ცევის გზით - გულში, შემდეგ - ფილტვების კაპილარებში. აქ ისინი ერთხანს ყოვნდებიან, იზრდებიან და მიგრირებენ ფილტვის აღვეო-ლებში, ბრონქიოლებში, ბრონქებში, ტრაქეაში, საიდანაც ნახველთან ერთად ამოიტანებიან პირის ღრუში და გადაიყლაპებიან. 1,5-2 თვის შემდეგ წვრილ ნაწლავებში მათგან ვითარდებიან ზრდასრული ასკა-რიდები. ისინი რეალისებრად იკლაკნებიან და თავისა და კუდის ბო-ლოებით ებჯინებიან ნაწლავის კედლებს, რის გამო ფერხდება პერის-ტალტიკა. ასკარიდები იკვებებიან ნაწლავის შიგთავსით. მათი სი-ცოცხლის ხანგრძლივობა 7-10 თვეა; შემდეგ გარეთ გამოიყოფიან. ასკარიდების რაოდენობა ნაწლავში შესაძლოა მერყეობდეს რამდენი-მე ერთეულიდან ასობით და ათასობით ეგზემპლარამდე.

ეპიზოოლოგიური მონაცემები. ასკარიდოზი გავრცელებულია ყველგან. ღორის დაინვაზიება ხდება საღორეში ან ფერმისპირა ტე-რიტორიაზე საკვებთან ან წყალთან ერთად ინვაზიური სტადიის კვერცხების გადაყლაპვით. დაავადების ფართოდ გავრცელებას ხელს უწოდს საღორეში არსებული ანტისანიტარიული პირობები, განსაკუთრებით თუ ღორებს საკვები ეძლევათ იატაკიდან ან ფერ-ლით დაბინძურებული საკვებურებიდან. დედა ღორის დაბინძურებუ-ლი ცური განაპირობებს ასკარიდებით და სხვა ჰელმინთების კვერ-ცხებით მეტყური გოჭების დაინვაზიებას მათი სიცოცხლის პირვე-ლი დღეებიდანვე.

საქართველოში ასკარიდებით დაინვაზიებულია ღორის სულადო-ბის (ყველა ასაკის) დაახლოებით ნახევარი, ხოლო მოზარდეულის (2-6 თვის ასაკის) - დაახლოებით ორი მესამედი, ზოგ მეურნეობა-ში კი - მთელი სულადობა. ასკარიდას კვერცხები მეტად გამდლე-ნი არიან არახელსაყრელი პირობების მიმართ, რისი მეშვებით ისი-ნი დიდხანს ინარჩუნებენ სიცოცხლის უნარს. აღნიშნულის გამო წლის განმავლობაში საღორეში გროვდება ასკარიდების კვერცხე-ბის დიდაღი რაოდენობა, რაც განაპირობებს ასკარიდებით ღორე-ბის დაინვაზიების მაღალ და გამოთანაბრებულ მაჩვენებლებს ნების-მიერ სეზონში. 8-12 თვის ასაკის ღორებში დაინვაზიების ექსტენ-სიურობისა და ინტენსიურობის მაჩვენებლები დაბალია, თუმცა ამ ასაკობრივი ჯგუფის ცხოველები ინვაზიის გავრცელების წყაროს

წარმოადგენენ.

ღორის ასკარიდას ინვაზიური სტადიის კვერცხები სახიფათოა ადამიანის ჯანმრთელობისათვის. მათი გადაყდლაპატის შემთხვევაში ადამიანის ნაწლავებში იჩეკებიან ლარვები, რომლებიც ასრულებენ ზემოაღწერილ მიგრაციას, რითაც ორგანიზმის სხვადასხვა ფუნქცი-ის სერიოზულ მოშლას იწვევნ.

პათოგენეზი. არასრულფასოვანი კვება (განსაკუთრებით საკვებში A და B ვიტამინების ნაკლებობა) ასუსტებს ორგანიზმის დამცველ ძალებს, ხელს უწყობს ასკარიდოზით გოჭების მასობრივად დაავა-დებას, რაც მძიმე ფორმით მიმდინარეობს და ხასიათდება გაწყდო-მის მაღალი პროცენტით.

ზრდასრული ასკარიდების დიდი რაოდენობით დაგროვებამ შეიძლება გამოიწვიოს ნაწლავის სანათურის დაცობა, გადახლართვა ან გასკდომა, რასაც პერიტონიტი მოჰყვება. ასკარიდების ცხოველმოქ-მედების პროდუქტები და მათ მიერ გამოყოფილი ტოქსინები გო-ჭის ორგანიზმზე ტოქსიკურ ზეგავლენას ახდენენ, რის გამო ვითარ-დება ანემია, იშლება ნივთიერებათა ცვლა, ორგანიზმი კნინდება, ფერ-ხდება მისი ზრდა-განვითარება. ტოქსინები გავლენას ახდენენ ცენ-ტრალურ ნერვულ სისტემაზე, რაც იწვევს ცხოველის აღგზნებას, პარალიზებას, კრუნჩხვებს.

არანაკლებ პათოგენურები არიან ასკარიდას ლარვებიც. მიგრაცი-ისას ისინი აზიანებენ ქსოვილებს, მათ შორის წვრილ სისხლძარ-ღვებს, რის გამო ვითარდება სისხლჩაქცევები. ლარვების ნივთიერე-ბათა ცვლისა და დაშლის პროდუქტები იწვევნ ორგანიზმის სენ-სიბილიზაციას, ალერგიულ მოვლენებს, რაც კლინიკურად მძიმე ფორმით ვლინდება. ნაწლავის კედელში შექრილი ლარვები აზია-ნებენ ლორწოვან გარსს, რითაც ორგანიზმში შესაჭრელად გზას უხსნიან ნაწლავურ მიკროფლორას, მათ შორის პათოგენურს. ღვიძ-ლში შეჭრილი ლარვები აზიანებენ მის უჯრედებს, რასაც ნეკრო-ზული პროცესების განვითარება მოჰყვება. ისინი ასევე მექანიკუ-რად აზიანებენ ფილტვის სისხლძარღვებს, პარენქიმას, რის შედეგად ვითარდება ასკარიდოზული პნევმონია, რომელიც პათოგენური მიკ-როფლორით კიდევ უფრო მძიმდება. დაინვაზიებიდება მე-15-18 დღეს სისხლში მაქსიმალურად ვლინდება ეოზინოფილია.

დაავადების სიმპტომები. დაავადება იწყება ასკარიდოზული პნევ-მონით. დამახასიათებელია სხეულის ტემპერატურის მატება 41,5°C-მდე, მადის დაქვეითება, სუნთქვის გახშირება, მოუსვენრობა, ხელა, რაც 6-დან 15 დღემდე გრძელდება. მებუძურ გოჭებს აღე-ნიშნებათ საჭმლის მონელების ფუნქციის მოშლა, ღებინება, ძლიერი ქოშინი, დაკინება, ნერწყვის დენა. ისინი ქვეშაფებში ჩაფლული წვანან. პერიოდულად მათ უკითარდებათ კონვულსიები (უმეტესად კვების დროს). გოჭები უცარად წამოიჭყვივლებენ, ეცემიან იატაკ-ზე, მათ ეწყებათ კრუნჩხვა, უხშირდებათ სუნთქვა, უწითლდებათ კა-ნი და თვალები ფართოდ აქვთ გახელილი. შეტევა ერთ-ორ წუთს გრძელდება. ერთხანს ცხოველი გაუნძრევლად წევს, შემდეგ გაჭირ-ვებით დგება და ტორტმანებს.

ალერგიის შედეგად გოჭების კანზე შესაძლოა გაჩნდეს გამონა-ყარი, ჭინჭრის ციება, მარცვლისოდენა და მეტი სიდიდის ბუშტუ-ლები, რომელთაგან 5-6 დღის შემდეგ წარმოიქმნება შავი ფერის სარტყელით შემოფარგლული ქერცლი.

მოზრდილ ღორებში კლინიკური სურათი გამოხატული არ არის.

პათოლოგიურ-ანატომიური ცვლილებები. ლარვების მიგრაციის პერიოდში მათ პოულობებ ლიმფურ კვანძებში, ღვიძლსა და ფილ-ტვებში. დამახასიათებელი ნიშანია ღვიძლზე 2-5 მმ ღიამეტრის თეთრი ლაქების არსებობა. სისხლჩაქცევებისა და პნევმონიის კერე-ბი ფილტვებს ასევე თეთრლაქიან იერს სძენენ. ღვიძლის ზედაპი-რიდან მომზადებულ პისტოლოგიურ ანათლებში ჩანს წვრილი ნეკ-როზული კერები ცენტრში წერტილოვანი სისხლჩაქცევებით. წი-ლებს შორის არსებული შემაერთებელი ქსოვილი გაგანიერებულია.

სქესმწიფე ასკარიდებს შეუძლიათ გამოიწვიონ ნაწლავის ლორ-წოვანი გარსის კატარული ანთება.

დიაგნოზი. ცხოველის სიცოცხლეში ფეცალს იკვლევენ ფლოტა-ციის ან შჩერბოვიჩის მეთოდებით. ორ თვემდე ასაკის მოზარდეუ-ლის კოპროლოგიური გამოკვლევა რეკომენდებული არ არის, ვინა-იდან ამ დროისათვის მდედრი ასკარიდები ჯერ კიდევ არ არიან სქესობრივად მომწიფებული და არ გამოყოფენ კვერცხებს. ასკარი-დოზის ადრეული სტადიის დიაგნოსტიკა შესაძლებელია მხოლოდ იმუნობიოლოგიური გამოკვლევის საფუძველზე. ამ მიზნით რეკო-

მენდებულია ალერგიული დიაგნოსტიკა: ასკარიდებისაგან დამზადებული ანტიგენის 1%-იანი ხსნარი შეჰქავთ კანში, ყურის მიღამოში. ასკარიდებით დაინვაზიებული გოჭების კანზე ხუთის შემდეგ ჩნდება მუქი წითელი რკალი, რომელიც რჩება 30-40 წუთის განმავლობაში. შემდეგ იგი ქრება. რკალის შეფერილობის ინტენსიურობის, სიდიდისა და შენარჩუნების ხანგრძლივობის მიხედვით მსჯელობებ რეაქციის ხარისხზე.

სიკვდილის შემდეგ დიაგნოზი ისმება ნაწლავებში ასკარიდების აღმოჩენის საფუძველზე, აგრეთვე ფილტვისა და ღვიძლის დაქუცმაცებული ქსოვილების ბერმანის მეთოდით გამოკვლევით მათში ასკარიდების ლარვების არსებობაზე.

მკურნალობა. ღორების სადეპლიმინთიზაციოდ მოწოდებულია პიპერაზინი, ნილვერმი, პანაკური და სხვა ანტკელმინთური საშუალებები.

პიპერაზინის პრეპარატებიდან იყენებენ როგორც პიპერაზინის ჰექსაჰიდრატს, ისე მის მარილებს: ადიპინატს, ფოსფატს, სულფატს, რომელთაც უნიშნავენ ღლებში ორჯერ (დილით და საღამოს) საკვებთან ერთად, ჯგუფური მეთოდით წინასწარი მშეერთ დიეტის დაუცველად. ერთჯერადი დოზებია: მოზარდეულისათვის 50 კგ-მდე - 0,3 გ/კგ, ღორებს 50 კგ-ზე მეტი წონით - 15 გ ერთ ცხოველზე. პრეპარატის უკეთ ათვისების მიზნით მის საჭირო რაოდენობას გულდასმით შეურევენ რაციონით განსაზღვრული კომბინირებული საკვების დაახლოებით განახევრებულ ულუფაში, რომელსაც ოდნავ ნამავენ და თანაბრად ანაწილებენ საკვებურში. მოზარდეულისათვის რეკომენდებულია საკვებში რძის ან მისი შრატის დამატება. დარწყელება დეპელმინთიზაციამდე და მის შემდეგ შეზღუდული არ არის. საფარარათო საშუალებებს არ იყენებენ. დასუსტებულ გოჭებს გამოყოფენ და დეპელმინთიზაციას უტარებენ ჯგუფურად (სულ ბევრი 30 გოჭი ჯგუფში).

პიპერაზინის მარილშემცველ სამკურნალო კომბინირებულ საკვებს უნიშნავენ დოზით 40 გ/კგ, მაგრამ არა უმეტეს 2 კგ-ისა ერთ ღორზე, რომელსაც ცხოველს აძლევენ ერთი დღის განმავლობაში.

ნილვერმს იყენებენ დოზით 0,007 გ/კგ ან ნილვერმის 1%-იანი

კონცენტრაციის სამკურნალო-პროფილაქტიკურ პრემიქსებს ყოველდღიურად, ხუთი დღის განმავლობაში, საკვებთან შერეულს, ჯგუფური მეთოდით. რეკომენდებულია 10 კგ პრემიქსის შერევა ერთ ტონა კომბინირებულ საკვებთან.

პანაკურს (ფენბენდაზოლი) იყენებენ საკვებთან შერეულს ორჯერად ერთი დღის განმავლობაში დოზით 0,015 გ/კგ (აქტიურად მოქმედი ნივთიერების მიხედვით).

პროფილაქტიკა და ბრძოლის ღონისძიებები. ღორის ასკარიდოზის მიმართ არაჟერილსამედო მეურნეობებში ყოველწლიურად ატარებენ გეგმურ პროფილაქტიკურ დეპელმინთიზაციებს.


რეპროდუქტორულ და სანაშენე მეურნეობებში ქუბების დეპელმინთიზაცია ხდება ერთი თვით ადრე გოჭების დაყრამდე, გაზაფხულზე ბანაკებში გადაყვანამდე და შემოღვიმით ბაგურ კვებაზე დაყენებამდე. აპრილ-დეკემბერში მოზარდეულის დეპელმინთიზაციას პიპერაზინით ახდენენ პირველად 35-40 დღის ასაკში, ხოლო მეორედ და მესამედ, შესაბამისად, 50-55 და 90 დღის ასაკში. დეკემბრიდან აპრილამდე ტარდება მოზარდეულის ორი დეპელმინთიზაცია - 50-55 დღისა და 90 დღის ასაკში.

გასასუქებელ მეურნეობებში აუცილებელია შემოყვანილი ღორების კოპროლოგიურად გამოკვლევა და საჭიროების შემთხვევაში - მათი დეპელმინთიზაცია. ყოველი დეპელმინთიზაციის შემდეგ, აგრეთვე გოჭების დაყრის, გამოსაზრდელი სულადობის დაკომპლექტიბისა და დოლფარების დატვირთვის წინ საჭიროა განხორციელდეს შენობების დეზინგაზია მწვავე ნატრიუმის ან კალიუმის ცხელი ხსნარებით, ახლად ჩამქრალი კირის 10-20%-იანი ცხელი ეტელსით. სავალდებულოა ნაკელის ყოველდღიურად გატანა ნაკელსაცავებში ან ცხოველებისათვის მიუწვდომელ შემორაგულ ტერიტორიაზე ბიოთერმული გაუგნებლობისათვის. ფერმისპირა ტერიტორიები, სეირანები ნაკელისაგან გულდასმით დასუფთავების შემდეგ უნდა გადაიხნას, მოსწორდეს სატკეპნი საშუალებებით და უხვად მოიყაროს კირით. სადგომების, საკვებურების, სარწყულებლების, მოვლის სხვა საგნების რეგულარული მექანიკური დასუფთავება და გაუვ-

ნებლობა სადეზინვაზით საშუალებებით უზრუნველყოფს ასკარიდას კვერცხების გავრცელებისა და ღორის დაინვაზიების მკვეთრ შემცირებას ან სულაც შეწყვეტას.

ცხენის პარასკარიდოზი

პარასკარიდოზი კენტჩლიქიანი ცხოველების - ცხენის, სახედრის, ჯორის დავადებაა. მისი გამომწვევია ნემატოდა *Parascaris equorum*, რომელიც მიეკუთვნება Ascaridae-ს ოჯახს. ზრდასრული პარასკარიდები პარაზიტობენ წვრილ ნაწლავში, ხოლო მათი ლარვები მიგრირებენ ორგანიზმში ჰეპატო-ბულმონალური გზით.



სურ. 38. პარასკარიდას კვერცხი; A-არაინვაზიური; B-ინვაზიური.

აღმბერელი. პარასკარიდას სხეული თითოსტა-რისებრი ფორმისაა. იგი თეთრი ფერის ნემატოდაა. პირის ხვრელს გარს აკრავს სამი დიდი ტუჩი, რომელთა კიდეები აღჭურვილია კბილებით. დიდ ტუჩებს შორის მცირე ზომის შუალედური ტუჩებია. მამრის სხეულის სიგრძე 15-28 სმ-ია. კუდის ბოლოზე, რომელიც მოკაუჭებულია, განლა-გებულია მცირე ზომის ფრთები და 80-105 წყვი-ლი სასქესო დვრილი. მდედრის სხეულის სიგრძე 37 სმ-მდე აღ-წევს. კულვის ხვრელი იხსნება სხეულის წინა მეოთხედში. პარას-კარიდას კვერცხი მრგვალია, დიამეტრით - 0,09-0,10 მმ-მდე. მას

სქელი გარსი და მუქი ყავისფერი შეფერილობა აქვს.

აღმბერელის ბიოლოგია. პარასკარიდა გეოპელმინთია. გარემოში მოხვედრილი მისი კვერცხები ხელსაყრელი ტემპერატურისა და ტენიანობის პირობებში ინვაზიურ სტადიას 7-8 დღეში აღწევენ. მათი გადაყლაპვის შემთხვევაში ნაწლავში იჩეკებიან ლარვები, რომ-ლებიც შეაღწევენ ნაწლავის კედლის სისხლძარღვებში და სის-ხლის გზით მიგრირებენ ღვიძლში, გულსა და ფილტვებში. შემდეგ ისინი გადაინაცვლებენ ალვეოლებში, ბრონქებში, ტრაქეაში, ნახველ-თან ერთად ხვდებიან პირის ღრუში და გადაიყლაპებიან. ნაწლავში ხელმეორედ მოხვედრილი პარასკარიდები ამთავრებენ განვითარების ციკლს, რომელიც 2-2,5 თვეს გრძელდება. ზრდასრული პარასკარი-დები ნაწლავში ერთ წლამდე ცოცხლობენ.


ეპიზოოტოლოგიური მონაცემები. პარასკარიდოზით უმთავრესად ავადდება ერთ წლამდე ასაკის მოზარდეული. დაავადება განსაკუთ-რებით მძიმე ფორმით მიმდინარეობს მემუტურ კვიცებში, რომელთა დაინვაზიება შესაძლებელია სიცოცხლის პირველსავე დღეებში. ასა-კის მატების კვალობაზე დაინვაზიების ხარისხი კლებულობს და, როგორც წესი, მოზრდილი ცხენები ინვაზიის მატარებლები არიან.

დაინვაზიების ინტენსიურობა გარკვეულწილად დამოკიდებულია ცხოველთა მოვლა-შენახვისა და კვების პირობებზე. ინვაზიის გავ-რცელების წყაროა დაავადებული ცხოველი. იგი ფეკალთან ერთად გამოყოფს პარასკარიდას კვერცხებს, რომლებიც ხვდებიან ფერმის ტერიტორიაზე, საჯინიბოს იატაკზე, საკვებურებებში, სარწყულებლებში, მოვლის საგნებზე. ცხენების დაინვაზიებას ხელს უწყობს იატა-კიდან მათი კვების პრაქტიკა.

პარასკარიდას კვერცხები ვითარდებიან $10-40^{\circ}\text{C}$ ტემპერატურის პირობებში. მათზე დამღუპველად მოქმედებს გამოშრობა. თუ ფეკა-ლისა და ჰაერის ტენიანობის მაჩვენებელი, შესაბამისად, 20-25 და 70%-ზე დაბალია, ისინი იღუპებიან. მათ შუძლიათ გამოიზამთრონ თოვლის საფარქვეშ.

თავლაში და საძოვარზე დაინვაზიებისათვის ხელშემწყობი პირო-ბები იქმნება მაის-სექტემბერში, რის გამო დაინვაზიების უქსტენი-ურობის მაჩვენებელი მატებას იწყებს მაის-ივნისიდან, მაქსიმუმს აღ-წევს იანვარ-თებერვალში და მაღალ დონეზე რჩება იანვარ-თებერ-

ვლამდე. შემდეგ იგი მცირდება და აპრილის ბოლოსათვის მინიმუმამდე დადის. ეს მოვლენა აიხსნება თავისთავადი მოცილებით, როდესაც პარასკარიდების სიცოცხლის ხანგრძლივობა დასასრულს უახლოვდება.



სურ. 39. პარასკარიდებით გაგლეჯილი ნაწლავი

ნაწლავის გადახლართვა, სანათურის დაცობა, რაც იწვევს გაუვალობას. ამ დროს შესაძლებელია ნაწლავის კედელი გასკდეს და განვითარდეს შინაგანი სისხლდენა და პერიტონიტი. პარასკარიდების ტოქსიკური ზემოქმედება გავლენას ახდენს სისხლწარმომქმნორგანობსა და ცხოველის ნერვულ სისტემაზე.

დაავადების სიმპტომები ძირითადად დამოკიდებულია ცხოველის ასაკსა და დაინვაზიების ინტენსიურობის ხარისხზე. მოზრდილი ცხოველები, როგორც წესი, პარაზიტმატარებლები არიან, ამიტომ ამ შემთხვევაში დაავადება უსიმპტომოდ მიმდინარეობს. კვიცებს დაავადების საწყის სტადიაში ლარვების მიგრაციის დროს აღნიშნებათ ენტერიტი და ფალარათი (3-4 დღე), შემდეგ ბრონქოპნევმონიის ნიშნები: ტემპერატურის ხანმოკლე მომატება, ხველა, სუნთქვის გახშირება, ცხვირიდან სეროზულ-ლორწოვანი გამონადენი. ზოგჯერ აღინიშნება ნერვული აღგზნების შეტევები. ეს სიმპტომები უფრო გამოხატულია დაინვაზიებიდან მე-9 - მე-16 დღეს, გრძელდება 4-7 დღის განმავლობაში და შემდეგ თანდათანობით ქრება.

ზრდასრული პარასკარიდების პარაზიტობის სტადიაში დაავადებისათვის დამახასიათებელია ცხოველის გამჭვევება, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის პერიოდული აშლილობა (ფალარათი იცვლება ყაბზობით),

კვიცების ზრდაში ჩამორჩენა, მუცლის გადიდება, ხილული ლორწოვანი გარსების ფერმკრთალობა, ზოგჯერ - ჭვლები. ნერვული ფორმის დროს აღინიშნება ტეტანური კრუნჩვები, უკანა კიდურების პარეზი, მძაფრი აღგზნებითი შეტევები ცოფის ნიშნების სიმულირებით.

პათოლოგიურ-ანატომიური ცვლილებები. გაკვეთისას აღინიშნება წვრილი ნაწლავის ლორწოვანი გარსის აღგილობრივი დაზიანებები: ეპითელიური საფარის ზედაპირული დარღვევის კერები, ზოგჯერ სისხლჩაქცევები, წყლულები. ზოგადი ცვლილებებიდან დამახასიათებელია წვრილი ნაწლავების გარსების მწვავე ან ქრონიკული კატარული, ზოგჯერ ფიბრინული ან ჰემორაგიული ანთება ლორწოვანი გარსის ეპითელიუმის დეგენერაციით. ლარვების მასობრივი მიგრაციის დროს ფილტვებში მრავლობითი წერტილოვანი სისხლჩაქცევები და ანთება. ღვიძლსა და ფილტვებზე, იშვიათად ლიმფურ კვანძებსა და თირკმელებზე პარაზიტული კვანძებია ცენტრში ნეკროზული კერებით. პარასკარიდების ტოქსიკური ზემოქმედების გამო, რაც აისახება რეტიკულო-ენდოთელიალურ სისტემაზე, ვითარდება ლიმფური კვანძებისა და ელენთის პიპერპლაზია, აღინიშნება სისხლმარლვთა შებერილობა და პროლიფერაცია.

დიაგნოზი. ცხოველის სიცოცხლეში ფეცალს იკვლევენ ფლოტაციის ან შჩერბოვიჩის მეთოდებით, სიკვდილის შემდეგ - ნაწლავში პარასკარიდების ნახვით.

მკურნალობა. გამოიყენება პიპერაზინი, პანაკური, რინტალი, მებენდაზოლი და სხვ. პიპერაზინის მარილებს ან პიპერაზინის ჰექსა-ჰიდრატს უნიშნავენ ინდივიდუალურად ან ჯგუფური წესით (10-15 ცხენი) ორი დღის განმავლობაში დანამულ კონცენტრირებულ საკვებთან (1 კგ თითო ცხოველს) ერთად 7-10-საათიანი მშერი დიეტის დაცვის შემდეგ, საფარათოს მიუცემლად. დეპელმინთიზაციის დროს ცხენებს ათავისუფლებენ მძიმე სამუშაოსაგან. სადღელამისო კონცენტრირებული საკვების ნორმას ამცირებენ ორმაგად. პიპერაზინს აძლევენ შემდეგი ერთჯერადი დოზებით: კვიცებს 6-დან 10 თვის ასაკამდე - 8-10 გრამს; 10-დან 12 თვის ასაკამდე - 11-12 გრამს; ერთიდან ორ წლამდე მოზარდეულს - 13-20 გრამს; ორ წელზე უხნესი ასაკის ცხენებს - 21-25 გრამს. პიპერაზინის დო-

ზა არ უნდა აღემატებოდეს 0,1 გ/კგ. ჯგუფური წესით დეპელმინ-თიზაციის დროს ოდნავ დანამულ კონცენტრირებულ საკვებს შეუ-რევენ პრეპარატის გარკვეულ რაოდენობას და ათავსებენ ვარცლებ-ში პორციებად (დაახლოებით 1 კგ-ს ოდენობით), ერთმანეთისაგან 30 სმ-ის დაშორებით.

პანაკურს (ფენბენდაზოლი) უნიშნავენ ერთჯერად, შიგნით, დოზებით: ცხენებს 6 თვის ასაკიდან 4 წლამდე 0,068 გ/კგ გრანულატი (0,015 გ/კგ აქტიურად მოქმედი ნივთიერების მიხედვით), 4 წელზე უნიშნავენ ასაკის ცხენებს - 0,045 გ/კგ (0,01 გ/კგ აქტიურად მოქმედი ნივთიერების მიხედვით).

რინტალს უნიშნავენ პერორალურად ერთჯერად, დოზით 0,06 გ/კგ გრანულატი (0,006 გ/კგ აქტიურად მოქმედი ნივთიერების მიხედვით).

მებენდაზოლს 10%-იანი მებენვეტ გრანულატის ფორმით იყენებენ ერთჯერად, შიგნით, 12 საათიანი მშიერი დიეტის შემდეგ დანა-მულ საკვებთან ერთად დოზით 6 გ გრანულატი 100 კგ მასაზე.

პროფილაქტიკა და ბრძოლის ღონისძიებები. პარასკარიდოზის მიმართ არაკეთილსამედო მეურნეობებში ცხენების პროფილაქტიკური დეპელმინთიზაცია შემდეგნაირად იგეგმება: მიმდინარე წელს დაბადებულ კვიცებს პირველი დეპელმინთიზაცია უტარდებათ აგვისტოში, მეორე - ასხლეტის შემდეგ; 1-2 წლის მოზარდეულს და უფროსი ასაკის ცხენებს - მარტ-აპრილსა და ოქტომბერ-ნოემბერში. იპოდრომებზე ცხენების დეპელმინთიზაციას ატარებენ პიპერაზინით ყოველი 2-3 თვის შემდეგ.

ცხოველთა დეპელმინთიზაციის შემდეგ საჯინიბოში ახორციელებენ სადეზინვაზიო ღონისძიებებს. თუ დეპელმინთიზაცია ჩატარდა საძოვარზე, ამ შემთხვევაში ცხენები 3-4 დღით გადაჰყავთ ერთ გარკვეულ ნაკვეთზე, რის შემდეგ მას გადახნავენ. დეპელმინთიზაციის გარდა, არაკეთილსამედო მეურნეობებში რეკომენდებულია შემდეგი პროფილაქტიკური ღონისძიებები: ნაკელის დროულად გატანა, შენობის, საკვებურების, მოვლის საგნების სისტემატური დამუშავება მათი შემდგომი დეზინვაზით (ისე, როგორც ღორის ასკარიდოზის შემთხვევაში).

სტრატეგიული გავრცელები

ნეოასკარიდოზი მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის დაავადებაა. მისი გამომწვევი ნემატოდა *Neoascaris vitulorum*, რომელიც მიეკუთვნება *Anisakidae*-ს ოჯახს, *Ascaridata*-ს ქვერაზმს, პარაზიტობს წვრილ ნაწლავში, ზოგჯერ მაჟიკში. ნეოასკარიდოზით ძირითადად ავადლებიან ხბოები ოთხი თვის ასაკამდე, აგრეთვე ზაქები და ზებუს მოზარდეული.

აღმძვრელი. ნეოასკარიდები მოყვითალო-მოთეთრო ფერის მსხვილი ნემატოდებია. მამრის სხეულის სიგრძე 11-15 სმ-ს შეადგენს, მდედრისა - 14-30 სმ-ს. პირის ხვრელს გარს აკრავს წინ წამოწეული ფართო ტუჩქი. დამახასიათებელი მორფოლოგიური ნიშანია საყლაპავის გაგანიერება მისი ნაწლავში გადასვლის ადგილას. მამრის კუდის ბოლოზე 27 წყვილი პრეანალური და 7 წყვილი პოსტანალური დვრილია, აგრეთვე ორი მცირე ზომის (1,25 მმ-მდე) ოდნავ მოღუნული სპიკულა. ნეოასკარიდას კვერცხს მრგვალი ფორმა (0,70-0,90 მმ დამეტრი) და უჯრედებიანი გარსი აქვს.

აღმძვრელის ბიოლოგია. ნეოასკარიდები გეოპელმინთები არიან. ფეკალთან ერთად გარემოში გამოიყოფა მათი კვერცხები, რომლებიც 28-30°C ტემპერატურის პირობებში ინვაზიურ სტადიას აღწევენ 12-15 დღეში. ხბოს დაინვაზიება ხდება ინვაზიური კვერცხების გადაყლაპვის შედეგად. მის ორგანიზმში ნეოასკარიდები ვითარდებიან ასკარიდული ტიპით ანუ ასრულებენ ჰეპატო-კულმონალურ მიგრაციას. ლარვიდან სქესმწიფე სტადიამდე ნეოასკარიდას განვითარება ხდება 43-45 დღის განმავლობაში.

ეპიზოოტოლოგიური მონაცემები. დაავადება გავრცელებულია თბილი, ნოტიო კლიმატის მქონე ქვეყნებში. პარასკარიდოზის მიმართ არაკეთილსამედო მეურნეობაში დაავადება გვხვდება მთელი წლის განმავლობაში, მაგრამ იგი უპირატესად ზაფხულში ვლინდება. ინვაზიის გავრცელების წყაროა დაავადებული ხბო.

პათოგენები. ხბოს ორგანიზმზე ნეოასკარიდების პათოგენური მოქმედების მექანიზმი ისეთივეა, როგორიც ღორის ასკარიდოზის ან ცხენის პარასკარიდოზის ღორის (მექანიკური და ტოქსიკური ზემოქმედება).

დაავადების სიმპტომები ვლინდება ხბოს დაინვაზიებიდან 1-2 კვირის შემდეგ და დამოკიდებულია დაინვაზიების ინტენსიურობის ხარისხზე. დაავადებული ცხოველი დაკინებულია. მას მადა დაქვეითებული აქვს და აღენიშნება საჭმლის მომნელებელი ტრაქტის ფუნქციის აშლილობა (ყაბზობა ან ფალარათი, ნაწლავის ტიმპანია). დამახასიათებელი სიმპტომია ტიმპანიის განვითარება უშუალოდ რძის მიღების შემდეგ. ამ დროს პირის ღრუდან აღინიშნება სპეციფიკური სუნი, რომელიც წააგავს აცეტონის, ეთერის ან ქლოროფორომის სუნს. ფეკალში შერეულია სისხლი, რაც ფეკალს მუქ ან შავ შეფერილობას სძენს. დაინვაზიების მაღალი ინტენსიურობის დროს დამახასიათებელია ნაწლავის გაუვალობის სიმპტომები. მატულობს სხეულის ტემპერატურა, სუნთქვა გამნელებული და განშირებულია. ცხოველი ხშირად შარდავს. ნერვული მოვლენები გამოიხატება კუნთების კრუნჩვითი შეკუშვით, მოძრაობის კოორდინაციის დარღვევით.

პათოლოგიურ-ანატომიური ცვლილებები. წვრილი ნაწლავის ლორწოვან გარსზე ნახულობენ ჰემორაგიულ ანთებას ნეკროზული კერქით, მუცელისა და გულმკრდის ღრუში - ტრანსუდატს, ფილტვებში - კატარულ და ფიბრინულ ანთებას, ღვიძლში - ცხიმოვან გადაგვარებას და ნეკროზულ კერებს.

დიაგნოზი. ცხოველის სიცოცხლეში ფეკალს იკვლევენ ფლოტაციის ან შეჩრდოვიჩის მეთოდებით, ცხოველის სიკვდილის შემდეგ დიაგნოზს ადგენენ წვრილი ნაწლავების გაკვეთის შედეგების საფუძველზე.


მკურნალობა. პიპერაზინის მარილებს უნიშნავენ შიგნით 0,5 გ/კგ წინასწარი 12-სათიანი მშერი დიეტის დაცვით. ნილვერმს (ტეტრამიზოლი) უნიშნავენ შიგნით, წყალხსნარის ფორმით, დოზით 0,015 გ/კგ.

პროფილაქტიკა და ბრძოლის ღონისძიებები. სავალდებულოა 4-5 თვის ასაკამდე ხბოების იზოლირებული გამოზრდა უფროსი ასაკის ცხოველებისაგან. ნეოასკარიდოზის მიმართ არაკეთილსამედო მეურნეობაში ხბოების დეპელმინთიზაციას ახორციელებენ ერთი თვის ასაკიდან. დეპელმინთიზაციის შემდეგ ერთი კვარის განმავლობაში ხბოებს ამყოფებენ შენობაში, რომელსაც ყოველდღიურად

ასუფთავებენ ნაკელისაგან. სახმორცებში ახორციელებენ დეზინვაზი-ის ისეთივე ღონისძიებებს, როგორსაც ღორის ასკარიდოზის დროს.

ტოქსოკაროზი და ტოჯსასკარიდოზი

ტოქსოკაროზი და ტოჯსასკარიდოზი ძაღლის, კატის, გარეული ხორცისმჭამელების დაავადებებია. ტოქსოკაროზის აღმძვრეულია *Toxocara canis*, ხოლო ტოჯსასკარიდოზისა - *Toxascaris leonina*, რომელიც მიეკუთვნებიან, შესაბამისად, *Anisakidae*-ს და *Ascaridae*-ს ოჯახებს. ისინი პარაზიტობენ წვრილ ნაწლავებში. ტოქსოკაროზით უირატესად ავადდებიან ლეპვები, ხოლო ტოჯსასკარიდოზით მოზარდეული ექვსი თვის ასაკიდან.



სურ. 41. *Toxocara canis*-ის კერცხი




სურ. 40. *Toxocara canis*; 1-თავის ბოლო; 2-მამრის კუდის ბოლო.

მდედრის სხეულის სიგრძე 6-10 სმ-ია. მისი კუდის ბოლო აქვს მდედრის სხეულის სიგრძე 4-6 სმ-ია. მასაც კუდის ბოლო მოკაუჭებული აქვს.

აღმძვრეულები. *Toxocara canis* ღია-მოყვითალო ფერის ნემატოდაა. მისი თავის ბოლო აღჭურვილია სამი ტუჩით და განიერი გვერდითი ფრთებით. მამრის სხეულის სიგრძე 5-10 სმ-ია. მას მოკაუჭებული კუდის ბოლო აქვს. მდედრის სხეულის სიგრძე მერყეობს 9-დან 18 სმ-მდე. მას სწორი კუდის ბოლო აქვს. ვულვის ხვრელი განთავსებულია სხეულის წინა ნახევარში. ტოჯსოკარას კვერცხი მრგვალი ფორმისაა (0,068-0,075 მმ დიამეტრით), რომელსაც გარს აკრავს სქელი რუხი ფერის უჯრედებიანი გარსი.

Toxascaris leonina ასევე ღია-მოყვითალო ფერის ნემატოდაა, რომლის თავის ბოლოზე ვიწრო გვერდითი ფრთებია. მამრის სხეულის სიგრძე 4-6 სმ-ია. მასაც კუდის ბოლო მოკაუჭებული აქვს. მდედრის სხეულის სიგრძე 6-10 სმ-ია. მისი ვულვის ხვრელი მდე-

ბარეობს სხეულის წინა ნაწილში. ტოქსასკარიდების კვერცხები მრგვალი ფორმისაა (0,075-0,085 მმ დამეტრით). ისინი გარშე-მოკრული არიან სქელი ღია-რუხი ფერის გლუვი გარსით.




სურ. 42. *Toxascaris leonina*: 1-თავის ბოლო ფრთიებით; 2-მარის კუდის ბოლო

პლაცენტაში და ჩაბულოს ნაყოფის ფილტვებში. ლეკვის დაბადებით შემდეგ ლარვები მიგრირებენ მარგანიზმში ნაწლავის სისხლძარღვებში და ორგანიზმში ასრულდენ ჰემატო-პულმონალურ მიგრაციას. ნაწლავში ხელმეორედ მოხვედრილი ტოქსოკარები სქესობრივ სიმწიფეს აღწევენ ცხოველის დაინვაზიებიდან დაახლოებით ერთი თვის შემდეგ. აღსანიშნავია, რომ ტოქსოკარების ლარვების ნაწილს შეუძლია გააღწიოს მაკე ძაღლის

პლაცენტაში და ჩაბულოს ნაყოფის ფილტვებში. ლეკვის დაბადების შემდეგ ლარვები მიგრირებენ პირის ღრუში, ნერწყვთან ერთად გადაიყლაპებიან და, კუჭ-ნაწლავის ტრაქტში მოხვედრილი, 14-18 დღის შემდეგ ამთავრებენ ზრდა-განვითარებას.

გარემოში მოხვედრილი ტოქსასკარიდების კვერცხები სათანადო პირობებში (30°C ტემპერატურა და საკმარისი ტენიანობა) ინვაზიურ სტადიას სამ დღეში აღწევენ. ძაღლის კუჭ-ნაწლავის ტრაქტში მოხვედრისას მათგან გამოჩეკებიან ლარვები, რომლებიც შეიჭრებიან ნაწლავის კედელში, სადაც იცვლიან კანს. რამდენიმე ხნის შემდეგ ლარვები ბრუნდებიან ნაწლავის სანათურში და 3-4 კვირის შემდეგ აღწევენ სქესობრივ სიმწიფეს.


ეპიზოოტოლოგიური მონაცემები. ტოქსოკაროზი და ტოქსასკარიდოზი გავრცელებულია ყველგან, რასაც ხელს უწყობს ამ ჰელმინთების კვერცხების გამძლეობის მაღალი უნარი გარემოს არა-ხელსაყრელი ფაქტორების, სხვადასხვა ქიმიური ნივთიერების ზე-მოქმედების მიმართ.




სურ. 43. *Toxascaris leonina*-ს კვერცხი

აღმძვრელების ბიო-ლოგია. ტოქსოკარები და ტოქსასკარიდები გე-ოპელმინთები არიან. გა-რემოში ფეკალთან ერ-თად მოხვედრილი ტოქ-სოკარას კვერცხი ოპ-ტიმალურ პირობებში (სითბო, ტენიანობა) ინ-ვაზიურ სტადიას აღ-

წევს ორ კვირაში. ლეკვების დაინვაზიება ხდება ინვაზიური კვერცხების გადაყლაპვით. მათ ნაწ-ლავებში იჩეკებიან ლარვები, რომლებიც შეიჭრებიან ნაწლავის სისხლძარღვებში და ორგანიზმში ასრულდენ ჰემატო-პულმონალურ მიგრაციას.



სურ. 44. ლეკვის ტოქსოკაროზი



სურ. 45. *Toxascaris leonina* ძაღლის ღვიძლში

მოშლას იწვევს. ნაწლავის კედლიდან სისხლის მიმოქცევის სისტე-მაში ტოქსოკარას ლარვების შეჭრის დროს მათთან ერთად ორგა-ნიზმში ხვდება პათოგენური მიკროფლორა, რომელიც ართულებს პროცესს, განსაკუთრებით ლეკვებში, რადგან ტოქსოკარებს შეუძლი-ათ მათი დაინვაზიება თვით საშვილოსნოში.

დაავადების სიმპტომები. დაინვაზიების დაბალი ინტენსიურობის

შემთხვევაში კლინიკური ნიშნები არ აღინიშნება. ძლიერ დაინვაზიებული ცხოველები დათრგუნვილი არიან. მათი ბალანი კარგავს ბზინვარებას, ხილული ლორწოვანი გარსები ფერმკრთალია, აღინიშნება მადის დაქვეითება, სიგამხდრე, ჭვლები, პირლებინება, ფალარათი, რომელიც იცვლება ყაბზობით. არცთუ იშვიათად პირლებინებისას ძალია ამოაყოლებს ნემატოდების გროვებს. ამ ჰელმინთების ნივთიერებათა ცვლის პროდუქტებით ორგანიზმის ინტოქსიკაციის გამო აღინიშნება კრუნჩხვები, ეპილეფსიური მოვლენები. ცხოველი იღუპება ნაწლავის გახეთქვის შედეგად განვითარებული პერიტონიტისაგან.

პათოლოგიურ-ანატომიური ცვლილებები. ძალიას ლეში კახექ-სიურია, ხოლო ხილული ლორწოვანი გარსები - ანემიური. გაკვეთისას ხშირად ნახულობენ გადახლართულ ან გახეთქილ ნაწლავს კატარული ანთებით ლორწოვან გარსზე, ტოქსიკარიდებს ნაღვლის ბუშტსა და კუჭქვეშა ჯირკვლის სადინარებში, აგრეთვე სისხლის კოლტებს და ჩირქოვან ექსუდატს მუცლის ღრუში.

დიაგნოზი. ცხოველის სიცოცხლეში დიაგნოზი ისმება დამახასიათებელ კლინიკურ ნიშნებთან ერთად ძალიას ფეკალში ტოქსოკარებისა და ტოქსიკარიდების კვერცხების აღმოჩენით (ფეკალს კოპროლოგიურად იკვლევენ ფლოტაციის ან შჩერბოვიჩის მეთოდებით).

მკურნალობა. ტოქსოკაროზისა და ტოქსიკარიდოზის დროს ძალებს უნიშნავენ:

- პიპერაზინის მარილებს (ადიპინატი, სულფატი ან ფოსფატი) ერთჯერადი დოზით 0,2 გ/კგ სამი დღის განმავლობაში, ინდივიდუალურად, საკვებთან შერეულს, მშიერი დიეტის დაცვის გარეშე;

- ნილვერმს (ტეტრამიზოლი) საკვებთან ერთად, 12-16 საათიანი მშიერი დიეტის შემდეგ, მოზრდილ ძაღლებს დოზით 0,02 გ/კგ ერთჯერად, ლეკვებს - 0,01 გ/კგ ორჯერად, 24 საათის ინტერვალით;

- დეკარის დოზით 0,002-0,003 გ/კგ საკვებთან ერთად, 12-16 საათიანი დიეტის შემდეგ;

- თიაბენდაზოლს ერთჯერადი დოზით 0,05-0,15 გ/კგ საკვებთან ერთად, სამი დღის განმავლობაში;

- კონტრადიფენს (ლოპატოლი) დოზით 0,1 გ/კგ საკვებთან ერთად, ერთჯერად;

- ფენკურს დოზით 0,1 გ/კგ დილით კეტამდე ერთი საათით აღრე, ერთჯერად, ხორცის ფარშის მცირე რაოდენობასთან ერთად;

- ტივიდინს (პირანტელ ტარტრატი) ერთჯერადი დოზით 0,015 გ/კგ საკვებთან ერთად, ორი დღის განმავლობაში;

- მორანტელ ტარტრატს დოზით 0,15 გ/კგ (15 მგ/კგ აქტიურად მოქმედი ნივთიერების მიხედვით) საკვებთან ერთად, ორი დღის განმავლობაში;

- რინტალს ერთჯერადი დოზით 0,01 გ/კგ (აქტიურად მოქმედი ნივთიერების მიხედვით) საკვებთან ერთად, სამი დღის განმავლობაში;

- პირანტელ ემბონატს ერთჯერადი დოზით 0,015 გ/კგ (აქტიურად მოქმედი ნივთიერების მიხედვით) საკვებთან ერთად, ორი დღის განმავლობაში.

ნილვერმი და დეკარისი დამღუპველად მოქმედებენ ტოქსოკარებისა და ტოქსიკარიდების არა მარტო ზრდასრულ, არამედ მათ ლარვულ ფორმებზეც. ამიტომ ეს პრეპარატები წარმატებით გამოიყენება პრეიმაგინალური დეპელმინთიზაციის თვალსაზრისითაც.

პროფილაქტიკა და ბრძოლის ღონისძიებები. აუცილებელია კვარტალში ერთხელ კოპროლოგიურად გამოვიკლიოთ სადარაჯო, სანადირო, აგრეთვე მოსახლეობის კუთვნილი ძაღლები, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მათ უნდა ჩაუტარდეთ დეპელმინთიზაცია.

ტოქსოკაროზის პროფილაქტიკის მიზნით ლეკვებს დეპელმინთიზაციას უტარებენ დაბადებიდან 22-25 დღის შემდეგ. აუცილებელია ყოველდღიურად შეგროვდეს ფეკალი ბიოლოგიური გაუვნებლობისათვის ან ადგილზე დაიწვას.


წლის თბილ პერიოდში 10 დღეში ერთხელ ძაღლების სადგომ ადგილებს, გალიებს, მოვლის საგნებს მდუღრავენ წყლით ან ამუშავებენ კრეოლინის ან ლიზოლის 3%-იანი წყალხსნარით.

აუცილებელია მაწანწალა ძაღლების იზოლირება, რადგან ისინი წარმოადგენენ ტოქსოკარებისა და ტოქსიკარიდების კვერცხებით გარემოს დაინვაზიების ძირითად წყაროს.

ქათმის ასკარიდიოზი

ქათმის ასკარიდიოზის გამომწევევია ნემატოლა *Ascaridia galli*, რომელიც მიეკუთვნება Ascaridiidae-ს ოჯახს. იგი პარაზიტობს წვრილ ნაწლავში. ქათმების გარდა ასკარიდიოზით ავადდებიან ინდაურები, ბატები, ციცრები, ფარშავანები, ხოხები, როჭოები.

აღმძერული. ასკარიდია მოყვითალო-მოთერო ფერის ნემატოლაა. მისი პირის ხვრელი შემოფარგლულია სამი მსხვილი ტუჩით, რომელთა კიდეებზე განლაგებულია კბილები. მამრის სხეულის სიგრძე 25-70 მმ-ია. მის კუდის ბოლოზე განლაგებულია მრავალი დვრილი, კუნთოვანი მისაწოვარი კლოაკის წინ და თანაბარი ზომის ორი სპიკელა. მდედრის სხეულის სიგრძე 65-110 მმ-ია. კულვის ხვრელი სხეულის წინა ნაწილშია განთავსებული. ასკარიდიას კვერცხი ოვალური ფორმისაა ($0,070-0,086$ მმ \times $0,047-0,051$ მმ).



სურ. 46. *Ascaridia galli*: 1-მამრი და მდედრი ინდივიდები; 2-პარაზიტის თავის ბოლო; 3-მდედრის კუდის ბოლო; 4-მამრის კუდის ბოლო; 5-კვერცხი, განვითარების სხვადასხვა სტადიაზე.

ლარვები გადაინაცვლებენ ნაწლავში, ჩაიბუდებენ მის ხაობში, სადაც რჩებან 9 დღემდე. შემდეგ ისინი შეიჭრებიან ლორწოვანი გარსის სიღრმეში, ხოლო მე-18 დღეს ახალგაზრდა ასკარიდიები გამოდიან ნაწლავში სანათურში და ჩამოყალიბდებიან სქესობრივად მომწიფებულ პარაზიტებად. ქათმის ორგანიზმში შეჭრი-

დან სქესმწიფე ინდივიდად ჩამოყალიბებისათვის ასკარიდიას ესაჭიროება 28-56 დღე. ქათმის ნაწლავში ასკარიდიები ცოცხლობენ 9-14 თვეს.

ეპიზოოტოლოგიური მონაცემები. ასკარიდიოზით ძირითადად ავადდებიან წიწილები და მოზარდეული 8-10 თვის ასაკამდე. მოზრდილი ქათმები პარაზიტმატარებლები არიან. ინვაზიის გავრცელების თვალსაზრისით ყველაზე სახითაოა საფრინველები, სეირანები, სადაც დიდი ოდენობით გროვდება ქათმის სკორე. ფრინველის დაინვაზიება შესაძლებელია წელიწადის ყველა დროში, მაგრამ უფრო ინტენსიურად - თბილ, ნესტიან სეზონში. დაავადების გავრცელებაზე გავლენას ახდენს ფრინველის შენახვის სისტემაც. გალიური შენახვის პირობებში ასკარიდიებით ქათმების დაინვაზიება პრაქტიკულად გამორიცხულია.

პათოგენეზი. ფრინველის ორგანიზმზე ასკარიდიების პათოგენური მოქმედება პირველ რიგში გამოიხატება ნაწლავის ლორწოვანი გარსისა და ჯირკვლების მექანიკური დაზიანებით. ნაწლავის კედელში შეჭრილი ასკარიდიები აზიანებენ მის ხაობს, შლიან ლიბერკიურის ჯირკვლებს, რაც განაპირობებს სისხლჩაქცევებს და ანთებითი პროცესის განვითარებას. ასკარიდიების დიდი რაოდენობით დაგროვების შემთხვევაში შესაძლებელია ნაწლავის სანათურის დაცობა და მისი კედლის გასკდობა. დაავადებული ფრინველის ორგანიზმში იშლება ვიტამინური ციკლი, ვითარდება A-ჰიპოვიტამინოზი, რაც იწვევს ორგანიზმის საერთო წინააღმდეგობის უნარის დაქვეითებას სხვა დაავადებათა მიმართ.

დაავადების სიმპტომები აღინიშნება დაინვაზიებიდან 7-10 დღის შემდეგ. დაავადებული ფრინველები მოთენთილი და დაუძლურებული არიან, ნაკლებად მოძრაობებ და ფრთხებდაშვებული სხედან. ხილული ლორწოვანი გარსები და ბიბილო ანემიურია. შესაძლოა იყოს ყაბზობა, რომელიც იცვლება ფალარათით, აგრეთვე ნისკარტიდან ლორწოს გამოყოფა. წიწილები ჩამორჩებან ზრდა-განვითარებაში.

პათოლოგიურ-ანატომიური ცვლილებები ვითარდება დაინვაზიებიდან ოთხი-ხუთი დღის შემდეგ. აღინიშნება ნაწლავის გაგანიერება, ლორწოვანი გარსის შეშუბება, ჰიპერემია, ზოგჯერ სისხლჩაქცევები, ლორწოს ინტენსიურად გამოყოფა, ჩონჩხის კუნთებისა და პა-

რენქიმული ორგანოების ატროფია. ღვიძლში ვითარდება შეგუბებითი მოვლენები. ძლიერი დაინვაზიების დროს შესაძლებელია ნაწლავის კედლის გასკრომა. ზოგჯერ ქათმის კვერცხში ნახელობენ ასკარიდიებს. სავარაუდოა, რომ ისინი იქ ხვდებიან კვერცხის ფორმირების დროს, როდესაც ასკარიდიები ნაწლავიდან კლოაკის გავლით გადაინაცვლებენ ფრინველის კვერცხსავალში.

დიაგნოზი ფრინველის სიცოცხლეში ისმება კლინიკური ნიშნებისა და სკორეს კოპროლოგიური გამოკვლევის (ფლოტაციის, დარღლინგის ან შჩერბოვიჩის მეთოდები) შედეგების საფუძვლზე. ასკარიდიას კვერცხები უნდა განვასხვავოთ ჰეტერაკისის კვერცხებისაგან, რომლებსაც უფრო მცირე ზომა და წაგრძელებული ფორმა აქვთ. სიკლილის შემდგომ დიაგნოზი დგინდება ნაწლავში ასკარიდიების ნახვით.

მკურნალობა. ასკარიდიოზის საწინააღმდეგოდ წარმატებით გამოიყენება პიპერაზინის ჰიდრატი ან მარილები (სულფატი, ადიპინატი, ფოსფატი), რომლებსაც ფრინველს უნიშნავენ ჯგუფური მეთოდით საკვებთან ერთად, დილით, უზმოზე. ერთჯერადი დოზებია: 2-3 თვის ასაკის წიწილებს - 0,1 გ, მოზარდეულს 4 თვის ასაკიდან და მოზრდილ ქათმებს - 0,25 გ ერთ ფრთაზე ორ დღის განმავლობაში.

ნილვერმს სამკურნალო მიზნით უნიშნავენ დოზით 0,04 გ/კგ ერთჯერად, დანამულ საკვებთან ერთად, რომელსაც დამატებული აქვს რძე, ხორცის ნახარში, დაკეპილი ბალახი. თავდაპირველად პრეპარატს წინა წყალში, რომლითაც ნამავენ გამოსაყენებლად მოზადებული საკვები ულუფის ნახევარს. პრეპარატი საკვებს თანაბრად უნდა შეერიოს.

ფენბენდაზოლს (პანაკური) და რინტალს (ფებანტელი) უნიშნავენ ერთჯერადი დოზით 0,005 გ ფრინველზე (აქტიურად მოქმედი ნივთიერების მიხედვით) ორი დღის განმავლობაში.

მორანტელ ტარტრატს (12,5%-იანი) იყენებენ ერთჯერადი დოზით 0,12 გ ფრინველზე ორი დღის განმავლობაში.

პროფილაქტიკა და ბრძოლის ღონისძიებები. რეკომენდებულია მოზარდეულის იზოლირებულად გამოზრდა, მისი ყოლა ბრუდერებში, აკლიმატიზატორებში. გამოსაზრდელად გამოყენებულ უნდა იქ-

ნეს ის სეირანები და ბანაკები, სადაც წინა წელს არ იმყოფებოდა ასკარიდიოზით დაავადებული ფრინველი.

ასკარიდიოზის გავრცელების თავიდან ასაცილებლად რეგულარულად უნდა განხორციელდეს ზოგადსანიტარიული ღონისძიებები. სადედე გუნდში მოზარდეულის გადაყვანამდე შენობებსა და სეირანებს გულდასმით ასუფთავებენ სკორესაგან და ატარებენ დეზინვაზიას ქსილონაფტის 5%-იანი ხსნარით, მწვავე ნატრიუმის 3%-იანი ხსნარით, ნაცარტუტის ცხელი ხსნარით გაანგარიშებით ერთი ლიტ-რი 1 კვ.მ სადეზინფექციით ზედაპირისათვის.

ბოლო წლებში რეკომენდებულია ქათმის ასკარიდიოზის (პეტერაკიდოზთან ერთად) ქიმიოპროფილაქტიკის სხვადასხვა მეთოდი. ამ მიზნით იყენებენ ფენოთიაზინსა და პიპერაზინს. ფენოთიაზინს ქათმებს აძლევენ ყოველდღიურად საკვებთან ერთად 25-35 დღის განმავლობაში, დოზით 0,2-0,3 გ/კგ, ჯგუფურად კვების მეთოდით. ორი თვის შემდეგ კურსს იმეორებენ. სასურველია ფენოთიაზინსა და პიპერაზინის ნაზავის გამოყენება. პიპერაზინს დოზით 0,2 გ/კგ და ფენოთიაზინს დოზით 0,4 გ/კგ უმატებენ საკვებს, რომელსაც ფრინველს აძლევენ კვირაში ერთხელ, 2-3 თვის განმავლობაში ასკარიდიებითა და პეტერაკისებით დაინვაზიების მოსალოდნელ პერიოდში.

სტრონგილატოზები

საჭმლის მომენტები ტრაქტის სტრონგილატოზები


მცონავი ცხოველების საჭმლის მომნელებელი ტრაქტის სტრონგილატოზების აღმმდვრელები მიეკუთვნებიან *Strongylata*-ს ქვერაზმს და გაერთიანებული არიან *Strongylidae*-ს, *Trichostrongylidae*-ს, *Trichonematidae*-ს და *Ancylostomatidae*-ს ოჯახებში. ამ ნემატოდების გაერთიანება ეფუძნება თვით ჰელმინთების ღოკალიზაციის, განვითარების ციკლის, მათ მიერ გამოწვეულ დაავადებათა ეპიზოოტოლოგიის, პათოგენეზის, კლინიკური გამოვლინების, აგრეთვე მკურნალობისა და პროფილაქტიკური ღონისძიებების ერთობას,

რომლებიც თითქმის ერთნაირია. ამასთან, არის არსებითი განსხვავებებიც, რომელთა მიხედვით ამ საერთო სტრონგილატოზური კომპლექსიდან გამოყოფილია ზოგიერთი, უფრო მეტად შესწავლილი და სპეციფიკური დავადება. მათ მიეკუთვნება ჰემონქოზი, ნემატოდიროზი, ტრიქოსტრონგილოზი, ეზოფაგოსტომოზი, ბუნოსტომოზი, ქაბერტიოზი და სხვ.

მცონავთა ნაწლავური სტრონგილატები გეოპელმინთებია, ე.ი. კითარდებიან პირდაპირი გზით, შუალედური მასპინძლის გარეშე. მათგან ყველაზე მრავალრიცხოვანია ტრიქოსტრონგილიდები, რაც იმის საფუძველს იძლევა, რომ ცალკე განვიხილოთ მათ მიერ გამოწვეული დავადებები.

მცონავთა ტრიქოსტრონგილიდოზები

მცონავთა ტრიქოსტრონგილიდოზებს იწვევენ *Trichostrongylidae*-ს ოჯახის ნემატოდები, რომლებიც მიეკუთვნებიან გვარებს - *Haemonchus*, *Trichostrongylus*, *Nematodirus*, *Cooperia*, *Ostertagia* და სხვ. სულ მცონავებში გვხვდება ტრიქოსტრონგილიდების 400-ზე მეტი სახეობა.



სურ. 47. მცონავთა ტრიქოსტრონგილიდების შედარებითი ცხრილი: 1-*Trichostrongylus columbriformis*; 2 - *Ostertagia* sp.; 3-*Haemonchus contortus*; 4-*Nematodirus filicollis*; 5-*Cooperia punctata*; 6-*Mecistocirrus digitatus*; A-თავის ბოლო; B-მამრის კუდის ბურსა; C-სპიკულები და საჭე; D-მდედრის სხეულის ის ნაწილი, სადაც განთავსებულია გულვა.

ტრიქოსტრონგილიდები მცირე ზომის, ბეწვისებრი ნემატოდები არიან. პირის კაფსულა სუსტად არის გამოხატული. მამრებს

მძლავრად განვითარებული სასქესო ბურსა აქვთ. მათი კვერცხი ოვალურია ($0,270$ მმ \times $0,0730$ მმ), თხელი, ღია-მორუხო ფერის გარსით და ნაწლავიდან გამოსვლის მომენტში მისი შიგთავავი შეიცავს დაყოფის სხვადასხვა რაოდენობის ბურთულებს (მორულას სტადია). გარემოში გამოყოფილ კვერცხებში $20-25^{\circ}\text{C}$ ტემპერატურის პირობებში 12-17 საათის შემდეგ ვითარდებით ლარვები, რომლებიც იჩეკებიან და დაახლოებით 4-5 დღეში აღწევენ ინვაზიურ სტადიას. უფრო დაბალი ტემპერატურის პირობებში განვითარების პერიოდი რამდენიმე გვირას გრძელდება. ლარვებს შეუძლიათ მიგრაცია ბალაზის ღეროებზე, მცენარეთა ფოთლებზე, ტენიან ნიადაგზე, რა დორსაც ინარჩუნებებს სიცოცხლის უნარს 3-4 თვის განმავლობაში. ისინი მდგრადები არიან დაბალი ტემპერატურის მიმართ.

ზოგიერთი ტრიქოსტრონგილიდეს (ნემატოდირუსი, ნემატოდირელა, მარშალაგია) პირველი სტადიის ლარვები კვერცხებიდან არ იჩეკებიან. ისინი ორჯერ იცვლიან კანს და ინვაზიურ სტადიას კვერცხშივე აღწევენ, რის შემდეგ ან იჩეკებიან, ან რჩებიან მათში (დაბალ ტემპერატურაზე) დიდი ნინის განმავლობაში. ამ სახეობათა ტრიქოსტრონგილიდების განვითარება კვერცხიდან ინვაზიურ ლარვამდე ნელი ტემპით, 10-14 - 24-30 დღის განმავლობაში მიმდინარეობს.

ტრიქოსტრონგილიდებით ცხოველების დაინვაზიება ხდება საკვებთან ან წყალთან ერთად მათი ინვაზიური ლარვების გადაყლაპვის შედეგად. მაჭიკსა და წვრილ ნაწლავებში ლარვები ორჯერ იცვლიან კანს და 20-30 დღის შემდეგ გარდაიქმნებიან ზრდასრულ პარაზიტებად.

ტრიქოსტრონგილიდოზების დროს, როგორც წესი, არის ნაწლავების ქრონიკული ანთება და ანემია, რაც ვითარდება ლორწოვანი გარსების მთლიანობის დარღვევის, ინფექციის ინოკულაციისა და ტრიქოსტრონგილიდების ცხოველმოქმედების პროდუქტებით ორგანიზმის ინტოქსიკაციის შედეგად.

დაინვაზიების მაღალი ინტენსიურობის დროს ტრიქოსტრონგილიდოზები ვლინდება საჭმლის მონელების მოშლის სიმპტომებით - უძალობა, ფალარათი, მეტეორიზმი, რასაც შემდეგ ემატება სისხლნაკლულობისა და პიდრემის მოვლენები, ზოგჯერ - ჭვლები, კრუნჩხა და დამბლა.

უფრო ხშირად ტრიქოსტრონგილიდოზები უსიმპტომოდ (სუბკლინიკური ფორმით) მიმდინარეობენ. მათი აღმძვრელების ზოგიერთი სახეობა იწვევს ისეთ მძიმე დაავადებებს, როგორიცაა ჰემოქოზი, ნემატოდიროზი. სხვები იწვევენ ქრონიკულ დაავადებებს ნაკლებად შესამჩნევი კლინიკური ნიშნებით - გამჭლევება, სისხლნაკლებობა, ფალარათი, მეტეორიზმი.

ცხოველის სიცოცხლეში ტრიქოსტრონგილიდოზებზე დიაგნოზს ადგენენ კოპროლოგიური გამოკვლევების შედეგად (ფლოტაციის ან შჩერბოვიჩის მეთოდები). ამ დროს დიაგნოზი მხოლოდ ჯგუფური შეიძლება იყოს, რადგან სხვადასხვა გვარისა და სახეობის ტრიქოსტრონგილიდების კვერცხები, მცირე გამონაკლისის (ნემატოდირუსი) გარდა, მორფოლოგიურად არ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან ან სხვა სახეობის სტრონგილატების კვერცხებისაგან. უფრო ზუსტი დიაგნოზის დადგენა ხდება ლარვების მორფოლოგიური ნიშნების მიხედვით, რისთვისაც ფექალს იგვლევენ ლარვების კულტივირების მეთოდით.


მკურნალობა და პროფილაქტიკა აღწერილია ქვემოთ, ცალკეული ტრიქოსტრონგილიდოზების - ჰემონქოზისა და ნემატოდიროზის მაგალითზე.

ცხვრისა და თხის ჰემონქოზი

ჰემონქოზის აღმძვრელები არიან *Haemonchus*-ის გვარის ნემატოდები, რომელთაგან განსაკუთრებით გავრცელებულია *Haemonchus contortus*. ჰემონქუსები პარაზიტობენ ცხვრისა და თხის, აგრეთვე მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის, გარეული მცოხნავი ცხოველების მაჭიკში.

აღმძვრელი. ჰემონქუსები მოწითალო ფერის, თმისებრი ფორმის ნემატოდებია. მათ წაწვეტებული თავის ბოლო აქვთ. იგი აღჭურვილია რუდიმენტული კაფსულით, რომელშიც ერთი ქიტინოვანი კბილია. თავის ბოლოს მორიახლოს განლაგებულია ერთი წყვილი კისრის დვრილი. ტრიქოსტრონგილიდების სხვა სახეობებთან შედარებით ჰემონქუსები უფრო დიდი ნემატოდებია. მამრის სხეულის

სიგრძე 10-20 მმ-ია. მისი კუდის ბოლოზე კარგად განვითარებული გვერდითი ფრთები და ასიმეტრიულად განლაგებული დორსალური ნეკნია. აქვა 0,3-0,5 მმ სიგრძის ორი ყავისფერი სწორი სპიკულა. მდედრის სხეულის სიგრძე 18-30 მმ-ია. კულვის ხვრელი სხეულის ბოლოშია და დაფარულია სარქველით. ჰემონქუსების კვერცხი (0,080 მმ x 0,040 მმ) დაფარულია თხელი გარსით.



სურ. 48. *Haemonchus contortus*:
1-მდედრი და მამრი ინდივიდები; 2-პარაზიტის თავის ბოლო; 3-მამრის კუდის ბოლო; 4-მდედრის კუდის ბოლო; 5-კვერცხი; 6-ინვაზიური ლარვა.

აღმძვრელის ბიოლოგია. ჰემონქუსების კვერცხები ვითარდებიან 5,5-40°C ტემპერატურის პირობებში. უფრო დაბალი ან მაღალი ტემპერატურის დროს ისინი იღუპებიან. 26°C ტემპერატურის პირობებში კვერცხიდან ინვაზიურ

ლარვამდე განვითარების ვადაა 4 დღე, 17-18°C შემთხვევაში - 6-8 დღე. არაინვაზიური ლარვები ნაკლებად გამძლნი არიან და სწრაფად იღუპებიან ტემპერატურის მკვეთრი რყევის პირობებში. ინვაზიური ლარვები, პირიქით, კარგად იტანენ ტემპერატურის მკვეთრ ცვალებადობას, მაღალ ტემპერატურას და გამოშრობას. მათ შესწევთ გამოზამთრების უნარიც. მაჭიკში მოხვედრილი ჰემონქუსების ლარვები ზრდა-განვითარებას 17-20 დღეში ამთავრებენ. მასპინძლის ორგანიზმში მათი სიცოცხლის ხანგრძლივობა 6-8 თვეა.

ეპიზოოტოლოგიური მონაცემები. ჰემონქუსებით დაინვაზიება ძირითადად საძოვარზე ხდება წლის თბილი პერიოდის განმავლობაში. გარემოს არახელსაყრელი ფაქტორების მიმართ ამ ჰელმინთის ინვაზიური ლარვების მდგრადობის მაღალი უნარი ჰემონქუსებით ცხოველთა მასობრივ დაინვაზიებას უწყობს ხელს. დაინვაზიების დონე შეიძლება იმდენად მაღალი იყოს, რომ ჰემონქუსებით დაფარული მაჭიკის ლორწოვანი გარსი ქეჩისებრ ფორმას იძენს. საძოვარზე პირველად გასულ ბატქნებში დაავადება ზაფხუ-

ლის ბოლოს და შემოღომაზე.

პათოგენები. მაჭიკის ლორწოვან გარსზე პარაზიტის მიმაგრების ადგილებში ვითარდება ტრავმული დაზიანებები, ანთებითი პროცესები და კაპილარული სისხლდენა. ჰემონქუსები იკვებებიან მასპინძლის სისხლით, რასაც მოსდევს ანემია. პარაზიტის ცხოველმოქმედების პროდუქტებით ინტოქსიკაცია განაპირობებს პათოფიზიოლოგიურ და პათომორფოლოგიურ ცვლილებებს მთელ ორგანიზმში, მათ შორის სისხლწარმოქმნის ორგანოებში, ენდოკრინულ ჯირკვლებში, ნერვულ სისტემაში.

დაავადების სიმპტომები. დამახასიათებელია დაბეჩავება, მადის დაქვეთება, ლორწოვანი გარსების გაუფერულება, ფალარათი. ზოგიერთ შემთხვევაში სხეულის ტემპერატურა მატულობს $40-40,5^{\circ}\text{C}$ -მდე. სისხლში მცირდება ჰემოგლობინის შემცველობა, ჩქარდება ერითროციტების დალექვის რეაქცია (ედრ), ალინიშნება ძლიერი ლეიკოციტოზი ($14,6-20$ ათასი 1 კუბ მმ-ში). ავადმყოფობა განსაკუთრებით მძიმედ გადააქვთ მოზარდებს და ცუდი მოვლა-შენახვის პირობებში მყოფ ცხოველებს.

პათოლოგიურ-ანატომიური ცვლილებები. ლეშისათვის დამახასიათებელია ანემიურობა და ძლიერი გამჭლევება. მუცლისა და გულმკერდის ღრუებში ოდნავ მოყვითალო ფერის სითხეა. მაჭიკის ლორწოვანი გარსი პარაზიტებით არის დაფარული, მოფენილია ჰემორაგიებით და შესქელებულია. მაჭიკის შიგთავსი თხიერი და ყავისფერია. წვრილი და მსხვილი ნაწლავების ლორწოვან გარსებზე ანთების შედეგად განვითარებული მოვლენებია. აღნიშნავენ ნეფროზს, კუნთებშუა შემაერთებელი ქსოვილების შეშუპებას, გულის კუნთოვანი ბოჭკოების გადაგვარებას, ღვიძლის პარენქიმის ატროფიას, ატროფიულ და დისტროფიულ ცვლილებებს თავისა და ზურგის ტვინში, ენდოკრინულ ჯირკვლებსა და სისხლწარმოქმნის ორგანოებში.

დიაგნოზი ცხოველის სიცოცხლეში დგინდება ჰემონქუსების ინვაზიური ლარვების კულტივირების მიხედვით, სიკვდილის შემდგომ - ცხოველის გაკვეთის მონაცემების საფუძველზე.

მკურნალობა. იყენებენ ფენოთიაზინს, ნაფტამონს, ნილვერმს.

ფენოთიაზინს აძლევენ დოზით $0,5$ გ/კგ, შერეულს კონცენტრი-

რებულ საკვებთან, ფქვილის ბოლუსებში ან წყლიანი სუსპენზიის ფორმით, რომელსაც დამატებული აქვს ემულგატორები (ფქვილის ნახარში, სახამებელი, ბენტონიტი). ცხოველების დეპელმინთიზაცია ხდება დილით, საკვების მიღებამდე. აღსანიშნავია, რომ ფენოთიაზინით მკურნალობის შემდეგ შარდი ვარდისფრად იღებება.

ნაფტამონი რეკომენდებულია დოზით $0,3$ გ/კგ ერთჯერად, შიგნით, წინასწარი მშიერი დიეტის დაუცველად. პრეპარატს უნიშნავენ $10\%-იანი$ სუსპენზიის ფორმით, რომელიც მზადდება (გამოყენების წინ) მომინანქრებულ, შუშის ან ნის ჭურჭელში ჩვეულებრივ წყალზე ან სახამებლის $2\%-იან$ წყალხსნარზე.

ნილვერმს აძლევენ დოზით 15 მგ/კგ ერთჯერად, პერორალურად, წყალხსნარის სახით, კვების რეჟიმის შეუცვლელად.

პროფილაქტიკურ დეპელმინთიზაციას ატარებენ ზამთარში, ბაგური შენახვისას, იძულებითს - წლის ნებისმიერ დროს, საჭიროებისამებრ.


პროფილაქტიკა და ბრძოლის დონისძიებები. არაკეთილსაიმედო მეურნეობებში საჭიროა ფენოთიაზინით რეგულარული პროფილაქტიკური დეპელმინთიზაცია. საძოვრულ პერიოდში ცხოველებს ნებაზე კვებავენ ფენოთიაზინის ერთი წილისა და საკვები მარილის ცხრა წილის ნარევით, ხოლო მლაშობ ნიადაგიან ზონებში ეს შეფარდება არის $1:6$ -თან. შეძლებისდაგვარად მიმართავენ საძოვრული პროფილაქტიკის ღონისძიებებსაც: ბატკნების იზოლირებულად ძოვება მოზრდილი ცხოველებისაგან, გვიანი დოლის ბატკნების უზრუნველყოფა მაღალმთიანი და შმრალი საძოვრებით.

ცხრის ნემატოდინოზი

ნემატოდინოზის აღმძვრელებია Nematodirus-ის გვარის ნემატოდები, რომელთაგან განსაკუთრებით გავრცელებულია Nematodirus filicornis და N. spathiger. ნემატოდინუსები პარაზიტობენ ცხვრის, აგრეთვე მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის წვრილ ნაწლავებში.

აღმძვრელი. ნემატოდინუსის სხეულის სიგრძე $0,7-3$ სმ-ია. თავის ბოლოზე კუტიკულა გაფართოებულია და წარმოქმნის ვეზიკულას.

მამრის სასქესო ბურსა შედგება ორი განიერი ლატერალური და ერთი ოღნავ შესამჩნევი დორსალური ფრთისაგან. სპიკულები გრძელია, ძაფისებრი და ერთმანეთთან მეტბრანით არაან დაკავშირებული.



სურ. 49. *Nematodirus spathiger*: 1-პარაზიტის თვის ბოლო; 2-მდედრის თვის ბოლო; 3-მარის ბურსა; 4-კვერცხი.

განვითარება 24-28 დღეში მთავრდება, 13-15°C პირობებში - 5-6 კვირაში. 28°C მაღალი ტემპერატურის პირობებში ინგაზიური ლარვები იხოცებიან, თუმცა უძლებენ გამოშრობას ექვსი თვის განმავლობაში, აგრეთვე მრავალჯერად გაყინვას და გადნობას. მასპინძლის ორგანიზმში ლარვები ხვდებიან საკვებთან ერთად. ისინი ღრმად შეიჭრებიან ნაწლავის კედელში, ოჯერ იცვლიან კანს და ბრუნდებიან ნაწლავის სანათურში, სადაც 24-26 დღის შემდეგ გარდაიქმნებიან სქესმწიფე პარაზიტებად. მასპინძლის ორგანიზმში ნემატოდირუსები ხუთ თვეში ცოცხლობენ.

ეპიზოოტოლოგიური მონაცემები. ნემატოდიროზი საქართველოში ფართოდ გავრცელებული დაავადებაა. მისი აღმძვრელებით დაინვაზიებულია ცხვრის სულადობის დაახლოებით ნახევარი. დაინგაზიების ექსტენსიურობის მაღალი მაჩვენებელი (50%-ზე მეტი) გამოვლენილია დმანისის, თელავის, ახალგორის, თიანეთის, ახმეტის რაიონებში. ქვეყანაში ნემატოდიროზი ვლინდება წლის ნებისმიერ სეზონში, მაქსიმალურად - ზაფხულისა და შემოდგომის თვეებში. ბატკნებში დაავადება მძიმე ფორმით მიმდინარეობს (ხშირად ენზოოტის სახით), რის გამო მათი ზრდა-განვითარება მნიშვნელოვნად ფერხდება. საქართველოში ნემატოდირუსებით დაინვაზიებულია მოზარდეულის დაახლოებით ორი მესამედი. ასაკის მატების კვალობაზე

დაინვაზიების ექსტენსიურობის მაჩვენებელი კლებულობს.

პათოგენეზი. ნემატოდირუსები ღრმად იჭრებიან ნაწლავის კედელში და აზიანებენ ქსოვილებს, რის გამო ლორწოვან გარსზე წარმოიშობა ეროზიები, ვითარდება ხაობისა და ეპითელიუმის ნეკროზი, ნაწლავის ანთება. ზრდასრული ნემატოდირუსები სისხლით იკვებებიან, რაც იწვევს მასპინძლის ორგანიზმის ანემიას და გამჭველებას.

დაავადების სიმპტომები არ არის დამახასიათებელი. პირველი კლინიკური ნიშნები ვლინდება დაინვაზიებიდან 11-14 დღის შემდეგ: ქოშნი, ფალარათი, წყურვილის გაძლიერება. დაავადების მწვავე ფორმით მიმდინარეობისას ცხოველი შეიძლება მოკვდეს პირველი კლინიკური ნიშნების გამოვლენიდან რამდენიმე დღის შემდეგ. დაინვაზიების დაბალი ინტენსიურობის დროს დაავადებას ახასიათებს მაღის დაქვეითება, დასუსტება, ზრდა-განვითარებაში ჩამორჩენა, ფალარათი.

პათოლოგიურ-ანატომიური ცვლილებები. წვრილი ნაწლავის ლორწოვანი გარსი გასქლებულია. მასზე ანთების ნიშნები და მრავლობითი სისხლჩაქცევაა. ლეში ანემიური და გამჭველებულია ჩონჩხის კუნთების მკვეთრად გამოხატული ანემით. პერიფერიულ ნერვულ სისტემაში, ლიმფურ კვანძებში, მიოკარდიუმში, მლივ და თემოს ნაწლავებში დისტროფიული და ანთებითი ცვლილებებია.


დიაგნოზი ცხოველის სიცოცხლეში შეიძლება დაისვას ფლოტაციის მეთოდით ფეკალის გამოკვლევისას, რადგან ნემატოდირუსის კვერცხი ფორმით და ზომით მკვეთრად განსხვავდება სხვა სტრონგილატების კვერცხებისაგან. იგი ოვალურია, დიდი ზომისაა (0,231-0,238 მმ x 1,119-0,136 მმ), პერიფერიაზე უფერულია, ხოლო ცენტრში განლაგებულია რამდენიმე მსხვილი ჩანასახოვანი უჯრედი შავი ბურთულების სახით.

მკურნალობა. რეკომენდებულია ივომეკი, რომელსაც ცხოველს აძლევენ დოზით 0,01 მლ/კგ ცხოველის მასაზე. კარგი შედეგებითაა გამოცდილი ასევე მორანტელ ტარტრატი (დოზა 10 მგ/კგ), პანაკური (125 მგ/კგ) და ლოპატოლი (0,2 გ/კგ), რომლებსაც ცხოველებს აძლევენ ერთჯერად, საკვებთან ერთად, ჯგუფური მეთოდით.

პროფილაქტიკა და ბრძოლის ღონისძიებები ისეთივეა, როგორიც ჰემონქოზის დროს.

მცონავთა ქაბერტიოზი

ქაბერტიოზის აღმძვრელია ნემატოდა *Chabertia ovina*, რომელიც მიეკუთვნება *Strongylidae*-ს ოჯახს. ქაბერტიოზი პარაზიტობენ ცხვრის, ოხის, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის, აქლემის, ზოგიერთი გარეული მცონნავი ცხოველის მსხვილ ნაწლავში.



სურ. 50. *Chabertia ovina*: 1-პარაზიტის თავის ბოლო; 2-მამრის კუდის ბოლო; 3-ინ-გვერცხს რვალური ფორმა ($0,10-0,12$ მმ \times $0,04-0,05$) აქვს.

აღმძვრელის ბიოლოგია. გარემოში გამოყოფილი კვერცხს რვალური ფორმა ($0,10-0,12$ მმ \times $0,04-0,05$) აქვს.

აღმძვრელის ბიოლოგია. გარემოში გამოყოფილი კვერცხებიდან ერთ დღეში იჩეკებიან ლარვები, რომლებიც ინვაზიურ სტადიას ხუთ დღეში აღწევენ. საკვებთან ერთად დეფინიტური მასპინძლის მოზვედრილი ქაბერტიას ლარვები სქესმწიფე პარაზიტებად $32-60$ დღეში ყალიბდებიან. მათი სიცოცხლის ხანგრძლივობა დაახლოებით ერთი წელია.

ეპიზოოტოლოგიური მონაცემები. ქაბერტიოზი ყველგან არის გავრცელებული. დაავადების ამთვისებელია ყველა ასაკის ცხვარი, მაგრამ კლინიკურად უფრო ხშირად მოზარდებულში ვლინდება. გამოშრობისა და დაბალი ტემპერატურის მიმართ ინვაზიური ლარვების გამძლეობის დიდი უნარი ხელს უწყობს ცხოველების მასობ-

რივ დაინვაზიებას. გარემოში ქაბერტიოზის ინვაზიური ლარვები სიცოცხლის უნარს ერთ წელზე მეტ ხანს ინარჩუნებენ.

პათოგენეზი. ქაბერტიოზი მძლავრად განვითარებული პირის კაფსულით ემაგრებიან ნაწლავის ლორწოვან გარსს და აზიანებენ მას, როთაც ორგანიზმში პათოგენური მიკროორგანიზმებისა და ტოქსინების შეღწევას უწყობენ ხელს. ახალგაზრდა ქაბერტიოზი ჰქონის კემატოფაგებია. ამიტომ სისხლის დაკარგვის გამო ორგანიზმში ანემია ვითარდება.

დაავადების სიმპტომები. ცხოველებს აღენიშნებათ სიგამხდრე, ანემია, ფაღარათი, ყიდისქვეშა არის შეშუპება, წყურვილის გაძლიერება, მაღის დაქვეითება. მატყლი მშრალი და მსხვრევადა. შარდში ჩნდება ცილა, სისხლში – ეოზინოფილია, ლეიკოციტურ ფორმულაში – გადახრა ჩხირბირთვიანი ნეიტროფილებისაგან. ცხვერებში, განსაკუთრებით ექვსი თვის ასაკმდე, დაავადება შეიძლება ძალიან მძიმედ მიმდინარეობდეს, რაც ხშირად ცხოველის სიკვდილით მთავრდება.

პათოლოგიურ-ანატომიური ცვლილებები უმთავრესად შეინიშნება მსხვილ ნაწლავებში. ძირითადად არის ლორწოვანი გარსების ანემია და შესივება, მასზე ლორწო და წერტილოვანი სისხლჩაქცევებია. ასევე აღინიშნება ღვიძლის დისტროფია, კუნთებშორისი, თირკმლისირგვლივი და გულისირგვლივი ცხიმოვანი ქსოვილების ლაბი-სებრი გადაგვარება.

დიაგნოზი ცხოველის სიცოცხლეში შეიძლება დაისვას ინვაზიური ლარვების გამოვლენით, ხოლო სიკვდილის შემდგომ - ნაწლავში განვითარებული პათოგენური ცვლილებებისა და თვით ქაბერტიოზის აღმოჩენის საფუძველზე.

მკურნალობა. იყენებენ დიტრაზინს, რომელიც ეძლევა შიგნით ქატოსთან ან დანამულ კონცენტრატთან ერთად დოზით - $0,5$ გ/კგ. ასევე ეფექტურად ფენოთიაზინი - $1,0$ გ/კგ. შესაძლებელია ნილვერმის გამოყენებაც.


პროფილაქტიკა და პრძოლის ღონისძიებები ისეთივეა, როგორიც მცოცხავთა საჭმლის მომნელებელი ტრაქტის სხვა სტრონგილატოზებისას.

მცონავთა ბუნისფორმუზი

ბუნისტომოზის აღმძვრელებია *Bunostomum trigonoccephalum* და *B. phlebotomum*, რომლებიც მიეკუთვნებიან *An-*

cylostomatidae-ს ოჯახს. პირველი სახეობა სპეციფიკურია ცხვრი-სათვის, მეორე - მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვისათვის. ისინი ლო-კალიზბენ წვრილ ნაწლავებში.

აღმძვრელი. ბუნოსტომები 2,5 სმ-მდე სიგრძის მოთეთრო ფერის ნემატოდებია, რომელთა თავის ბოლო დორსალურად მოხრილია. მათ აქვთ ძარისებრი პირის კაფსულა, რომლის დორსალურ მხა-რეზე ღარია, ხოლო კიდეებზე - ორი ნახევარმოვარისებრი მჭრელი ფირფიტა. მამრის კუდის ბოლო სასქესო ბურსით გრძელდება, რო-მელიც ორი კარგად განვითარებული ლატერალური და ერთი ასი-მეტრიული, სუსტად გამოხატული დორსალური ფრთისაგან შედგე-ბა. აქვეა ორი სწორი ფორმის ყავისფერი სპიკულა (ზომით - 0,6-0,64 მმ). მდედრის კუდის ბოლო მომრგვალებულია. ვულვა მდე-ბარეობს სხეულის წინა მესამედში.



სურ. 51. *Bunostomum phlebotomum*: 1-პარაზიტის თავის ბოლო; 2-მამრის კუდის ბოლო; 3-ინვაზიური ლარვა.

ბას, სადაც დაახლოებით ერთ წლამდე ცოცხლობენ.

ეპიზოტოლოგიური მონაცემები. ცხვრის ბუნოსტომოზი გავრცე-ლებულია ყველგან. ბუნებრივ-კლიმატური პირობებიდან გამომდინა-რე დაინვაზიების ექსტენსიურობისა და ინტენსიურობის მაჩვენებლე-ბი განსხვავებულია. ბუნოსტომოზით განსაკუთრებით მოზარდებული ავადდება. ცხოველების დაინვაზიება ხდება საძოვარზე. ცალკეულ კე-რაში დავადება ენზოოტის სახით მიმდინარეობს, რა დროსაც სიკ-ვდილიანობის მაჩვენებელმა შესაძლოა 60-80%-ს მიაღწიოს.

პათოგენეზი. ბუნოსტომები ჰემატოფაგები არიან. ცვლილებები ძირითადად დაკავშირებულია ნაწლავის ლორწოვანი გარსის ტრავ-მასა და ანთებასთან, სისხლის დაკარგვასა და პათოგენური მიკროფ-ლორის ინოკულაციასთან.

დავადების სიმპტომები. დამახასიათებელია ძლიერი ფაღარათი, ანემია, შეშუბება, პროგრესირებადი სიგამხდრე და მოზარდებულის ზრდა-განვითარებაში ჩამორჩენა.

პათოლოგიურ-ანატომიური ცვლილებები. გაკვეთისას აღნიშნავენ სიგამხდრის, ჰიდრემისა და კახექსის მკვეთრ სურათს. ბუნოსტო-მოზისათვის დამახასიათებელია ნაწლავის ლორწოვანი და კუნთო-ვანი გარსების მწვავე ან ქრონიკული, ზოგჯერ ჩირქოვანი ან ფლეგ-მონური ხასიათის ანთება. ბუნოსტომების ფიქსაციის აღვილებში მასობრივად არის მცირე ზომის წყლები.

დიაგნოზი ცხოველის სიცოცხლეში ისმება ლარვების კულტივი-რების მეთოდით, სიგვლილის შემდეგ - ნაწლავში ბუნოსტომების აღ-მოჩენისა და განვითარებული პათოლოგიურ-ანატომიური ცვლილე-ბების საფუძველზე.


მკურნალობა. იყენებენ ფენოთიაზინს დოზით 1 გ/კგ, აგრეთვე ოთხელორიან ნახშირბადს (3 მლ - მოზრდილ ცხვარს, 1-2 მლ - მოზარდებულს).

პროფილაქტიკა და ბრძოლის ღონისძიებები. იმის გათვალისწი-ნებით, რომ შესაძლებელია კანის გზით დაინვაზიება, ნესტიან ამინ-დში რეკომენდებული არ არის ცხვრის შენახვა ნაკელით დასვრილ სადგომებში. აუცილებელია, რომ სადგომები მოწყობის შემაღლებულ, მშრალ ადგილებზე. დადებით შედეგს იძლევა პროფილაქტიკური დეპელმინთიზაცია და ქიმიოპროფილაქტიკა ფენოთაიზინით.

მცონავთა ეზოფაგოსტომოზი

ეზოფაგოსტომოზს იწვევენ *Oesophagostomum*-ის გვარის ნემა-ტოდები *Trichonematidae*-ს ოჯახიდან. მსხვილფეხა რქოსანი პი-რუტყვის ეზოფაგოსტომოზის აღმძვრელია *Oesophagostomum radiatum*, ცხვრისა - *Oesophagostomum venulosum* და *Oesophagosto-*

mum columbianum. ისინი პარაზიტობენ მსხვილ ნაწლავებში, რითაც დიდ ზარალს აყენებენ კვების მრეწველობის დარგს ძეხვის წარმოებისათვის საჭირო ძვირფასი ნედლულის მასობრივი წუნდების გამო.



სურ. 52. *Oesoph.radiatum*: 1-მდედრი და მამრი ინდივიდები; 2-*Oesoph.radiatum*-ის ინვაზიური ლარვა; 3-*Oesoph.venulosum*-ის ინვაზიური ლარვა.

სურ. 53. *Oesoph.columbianum*: 1-პარაზიტის თავის ბოლო; 2-მამრის ბურსა; 3-მდედრის კუდის ბოლო.

აღმძვრულები. ეზოფაგოსტომები თეთრი ფერის ნემატოდები არიან, რომელთა სხეულის ზომა სიგრძეში 20 მმ-მდე აღწევს. მათ თავის ბოლოზე ბეჭდისებრი კაფსულაა ორი რადიალური გვირგვინით და კუტიკულარული ვეზიკულით, რომელიც სხეულიდან გამოყოფილია ვენტრალური ნაოჭით. მამრების კუდის ბოლო მთავრდება სასქესო ბურსით. სპიკულები თანაბარია, სწორი ფორმისაა და მათი ზომები სიგრძეში შეადგენენ 0,7-1,5 მმ-ს. აქვე არის საჭეც (ზომით 0,1 მმ). ეზოფაგოსტომების კვერცხი ოვალური ფორმისაა. მას თხელი გამჭვირვალე გარსი აქვს. შეგთავსი შედგება ღია ნაცრისფერი ჩანასახოვანი ბურთულებისაგან.

აღმძვრულების ბიოლოგია. გარემოში გამოყოფილი კვერცხებიდან

იჩეკებიან ლარვები, რომლებიც ინვაზიურ სტადიას 7-8 დღეში აღწევენ. ცხოველის დაინვაზიება ხდება საძოვარზე ინვაზიური ლარვების გადაყდაპვით. დეფინიტური მასპინძლის ორგანიზმში ეს სახეობები სხვადასხვაგვარად ვითარდებიან. *Oesophagostomum radiatum*-ის ლარვები შეიჭრებიან ნაწლავის ლორწოვან გარსში, სადაც ერთ დღეს ჩერდებიან. შემდეგ გამოდიან ნაწლავის სანათურში, გადაინაცვლებენ მსხვილ ნაწლავში და 24-30 დღის შემდეგ ყალიბდებიან ზრდასრულ პარაზიტებად. ეზოფაგოსტომების ორი დანარჩენი სახეობის ლარვები ასევე შეიჭრებიან წვრილი ნაწლავის ლორწოვან გარსში, მაგრამ მათი ნაწილი ინცისტირდება, ნაწილი კი წარმოქმნის კვანძებს. სამი დღის ან უფრო მეტი ხნის შემდეგ ლარვები იწყებენ ცისტებიდან და კვანძებიდან გამოსვლას, მაგრამ ზოგიერთი მათგანი რჩება კვანძებში, სადაც დიდი ხნის განმავლობაში (წლობით) ინარჩუნებენ სიცოცხლის უნარს, ხოლო კვანძების დატვების შემთხვევაში ისინი 32-43 დღეში აღწევენ ზრდასრულ სტადიას.

ეპიზოოტოლოგიური მონაცემები. ცხოველების დაინვაზიება საძოვარზე ხდება ადრე გაზაფხულსა და ზაფხულში. ზოგ მეურნეობაში ეზოფაგოსტომებით ცხვრის სულადობის დაინვაზიების მაჩვენებელმა შეიძლება 100%-ს მიაღწიოს. სამ თვემდე ასაკის ბატქნები ეზოფაგოსტომოზით არ ავადდებიან.

პათოგენეზი. ყველაზე მძიმედ დაავადება ეზოფაგოსტომების ნაწლავის კედელში ჩაბუდების პერიოდში ("კვანძოვანი დაავადება") მიმდინარეობს. ეს კვანძები შეიძლება დაჩირქდეს ჩირქმბადი მიკროფლორის ინკულაციის შედეგად. პარაზიტების მიერ მექანიკური და ტოქსიკური ზემოქმედების გამო ვითარდება ნაწლავის ანთება, იშლება მისი ფიზიოლოგიური ფუნქცია.

დაავადების სიმპტომები. განასხვავებენ დაავადების პრეიმაგინალურ (ნაწლავის ლორწოვან გარსში ლარვების შეჭრისა და კვანძებში მათი ყოფნის პერიოდი) და იმაგინალურ (ნაწლავის სანათურში ზრდასრული ეზოფაგოსტომების პარაზიტობის პერიოდი) პერიოდებს. პირველ შემთხვევაში აღინიშნება საჭმლის მონელების ფუნქციის მოშლა, მაღის დაქვეითება ან სრული უმაღლება, თხიერი,

სისხლიანი და ლორწოშემცველი ფეკალის გამოყოფა, სიგამხდრე. პერიოდულად ვლინდება სუსტი ჭვლების ნიშნები. ცხოველი მოუს-ვენრობს, მას უკანა კიდურები დაჭიმულ მდგომარეობაში აქვს. ზოგ-ჯერ ვითარდება ანემია. მეორე შემთხვევაში დაავადება სუბკლინი-კურად მიმდინარეობს, ზოგჯერ აღინიშნება ფალარათი.

პათოლოგიურ-ანატომიური ცვლილებები. გაკვეთის შედეგად ვლინდება ნაწლავის ლორწოვანი გარსის ჰიპერემია და შეშუბება. ნაწლავის კედელზე ნახულობებ კვანძებს, რომელთა ზომა ყაყაჩის თესლის ოდენობიდან ცერცვის მარცვლის ან ტყის კაკლის ოდენობამდე მერყეობს. ლორწოვან და ლორწქვეში გარსებში კვანძებს ნეკროზული მუქი ყავისფერი ან შავი წვეტი აქვთ. კვანძების დიდი რაოდენობა გვხდება ჯორჯლის მიმაგრების ადგილებში. ძლიერი დაინვაზიების შემთხვევაში კვანძები მოფენილია მთელ ნაწლავზე და ზოგჯერ ერთ საერთო კონგლომერატს ქმნიან. ამ დროს მათ შეუძლიათ ნაწლავის ინვაზინაცია გამოიწვიონ. თვით კვანძების გაკვეთისას მათში ნახულობებ კაზეოზურ ან ჩირქოვან მასას ეზოფა-გოსტომების ლარვებით.

დიაგნოზი. ცხოველის სიცოცხლეში ლაბორატორიული გამოკვლევისათვის იყენებენ ლარვების კულტივირების მეთოდს. სიკვდილის შემდეგ დიაგნოზს ადგენენ ლორწოვან გარსზე დამახასიათებელი კვანძებისა და თვით ეზოფაგოსტომების აღმოჩენით.


მკურნალობა. ზრდასრული ეზოფაგოსტომების საწინააღმდეგოდ ეფექტიანი პრეპარატია ფენოთიაზინი, რომელიც ცხოველს ეძლევა დოზით 0,5 გ/კგ. ასევე წარმატებით გამოიყენება თიაბენდაზოლი, ნილვერმი, მებენვეტი.

პროფილაქტიკა და ბრძოლის ღონისძიებები. ეზოფაგოსტომოზის მიმართ არაკეთილსამედო მეურნეობებში ცხვრის სულადობის პროფილაქტიკურ დეპელმინთიზაციას ატარებენ ფენოთიაზინით გაზაფ-ზულზე, ცხოველების საძოვრული შენახვის დაწყების წინ. სასურველია ბატქნების ძოვება ნერბებისაგან განცალკევებით. ამ შემთხვევაში მათვის გამოყოფენ საძოვრის ცალკე ფართობებს, სადაც ერთი წლის განმავლობაში არ აძოვებდნენ მოზრდილ ცხოველებს.

ხორცისმაჭამელთა სტრონგილატოზები

უცინიარიოზი და ანკილოსტომოზი

უნცინარიოზის გამომწვევია ნემატოდა *Uncinaria stenocephala*, ხოლო ანკილოსტომოზის - *Ancylostoma caninum*, რომლებიც მიეკუთვნებიან *Ancylostomatidae*-ს ოჯახს. ისინი პარაზიტობენ ძალის, კატის, მელის, ყარსალის, ენოტისა და სხვა ხორცისმჭამელთა წვრილ ნაწლავებში.



სურ. 54. *Uncinaria stenocephala*:
1-მდედრი ინდივიდები; 2, 3-პარაზიტის
თავის ბოლო; 3-მამრის კუდის
ბოლო; 4-კვერცხი.

სურ. 55. *Ancylostoma caninum*:
1-მდედრი ინდივიდები; 2, 3-პარაზიტის
თავის ბოლოს ვენტრალური და ლატ-
ერალური მხარეები; 4-მამრის ბურსა;
5-მდედრის კუდის ბოლო; 6-კვერცხი.

აღმმდევლები. უნცინარიები ღია ყვითელი ფერის, ბოლოებში ოდნავ გაწვრილებული, 16 მმ-მდე სიგრძის ნემატოდებია. თავის ბოლოზე ქიტინოვანი ფირფიტებით აღჭურვილი პირის კაფსულაა. მამრის

კუდის ბოლოზე სასქესო ბურსაა, რომელიც სამი ფრთის, ორი თანაბარი ზომის სპიკულისა და ერთი საჭისაგან შედგება. მდედრის კუდის ბოლოზე ქაცვაა. ვულვის ხვრელი სხეულის უკანა მესამედში იხსნება. კვერცხი ოვალურია ($0,078-0,083$ მმ x $0,052-0,059$ მმ).

ანკილოსტომები ღია ყვითელი ფერის, 21 მმ-მდე სიგრძის ნემატოლები არიან. მათი პირის კაფსულა აღჭურვილია ორი ქიტინოვანი ფირფიტით, რომელთა თავისუფალ კიდეებზე სამი მსხვილი, კაუჭისებრი კბილია. მამრის კუდის ბოლოზე სამფრთიანი სასქესო ბურსაა ორი თანაბარი ზომის სპიკულით და ერთი საჭით. მდედრის კუდის ბოლოზე წაწვეტებული ქაცვაა. ვულვა სხეულის უკანა მესამედში მდებარეობს. კვერცხს ოვალური ფორმა ($0,060-0,066$ მმ x $0,037-0,042$ მმ) აქვს.

აღმძვრელთა ბიოლოგია. უნცინარიები და ანკილოსტომები გეოპელმინთები არიან. ფერალთან ერთად გარემოში გამოყოფილ კვერცხებში, ხელშემწყობა პირობების (სითბო, ტენიანობა) შემთხვევაში, ვითარდებიან ლარვები, რომლებიც იჩეკებიან და ერთი კვირის შემდეგ აღწევენ ინვაზიურ სტადიას. დეფინიტური მასპინძლების დაინვაზიება ხდება პერიოდურად, უნცინარიებისა და ანკილოსტომების ლარვებით დაინვაზიებული საკვების ან წყლის მიღებისას. მათ საჭმლის მომნელებელ ტრაქტში ლარვები ემაგრებიან ნაწლავის კედელს და 2-3 კვირაში აღწევენ სქესმწიფე სტადიას.

გარდა ამისა, დაინვაზიება შესაძლებელია პერკუტანულადაც ანუ ლარვებს შეუძლიათ აქტიურად შეიჭრან ორგანიზმში დაუზიანებელი კანიდან. შემდეგ ისინი ხვდებიან სისხლის მიმოქცევის სისტემში და ამ გზით გადაადგილდებიან ფილტვებში, სადაც პარენქიმის გავლით მიგრირებენ აღვეოლებში, ბრონქიოლებში, ბრონქებში, ტრაქეაში. შემდეგ ისინი ხვდებიან პირის ლრუში, გადაიყლაპებიან და ნაწლავში ამთავრებენ ზრდა-განვითარებას. ზრდასრული პარაზიტების სიცოცხლის ხანგრძლივობა 1-2 წელია.

ეპიზოოტოლოგიური მონაცემები. უნცინარიოზი და ანკილოსტომოზი გავრცელებულია ყველგან, განსაკუთრებით თბილი, ტენიანი კლიმატის მქონე ქვეყნებში. მათი აღმძვრელების კვერცხები და ლარვები ნაკლებგამძლენი არიან დაბალი ტემპერატურისა და გამოშრობის მიმართ.

პათოგენეზი. უნცინარიები და ანკილოსტომები, რომელთა პირის კაფსულა აღჭურვილია კბილებით და მჭრელი ფირფიტებით, ემაგრებიან ნაწლავის კედელს, არღვევენ მისი ლორწოვანი გარსის მთლიანობას, რაც იწვევს სისხლდენას. პერკუტანული დაინვაზიების დროს ლარვებთან ერთად ორგანიზმში აღწევს პათოგენური მიკროფლორა, რაც სხვადასხვა დაავალების გამოწვევის მიზეზი ხდება. უნცინარიები და ანკილოსტომები ჰემატოფაგები არიან. მათი ცხოველმოქმედების პროდუქტები ხელს უშლიან სისხლის შედებას, ცვლიან მის სურათს.

დაავადების სიმპტომები. დაინვაზიების მაღალი ინტენსიურობის შემთხვევაში ძალლებს უუარსდებათ ჭამის მაღალი ისინი ხდებიან და სუსტდებიან. მათ აღნიშნებათ პირლებინება, ფაღარათი, რომელიც იცვლება შეკრულობით. ფეკალი შეიცავს სისხლიან ლორწოს. ცხოველი გამუდმებით წევს და კვნესის. დაავადების მძიმე ფორმით მიმდინარეობისას კლინიკური ნიშნები უფრო გამოხატულია ლეგვებსა და მოზარდეულში. ასეთ დროს ხშირია სიკვდილი.

პათოლოგიურ-ანატომიური ცვლილებები. ნაწლავში ჰემორაგიული ანთებაა. მის ლორწოვან გარსზე, პარაზიტების მიმაგრების ადგილებში, ნახულობენ წერტილოვან სისხლჩაქცევებს. დაავადების ქრონიკული ფორმის დროს ნაწლავის ლორწოვანი გარსი გასქელებული და დანაოჭებულია. იშვიათად შეინიშნება კუნთების შეშუპება, ლიმფური კვანძების გადიდება, ლვიძლის, თირკმელების, გულის ცხიმოვანი გადაგვარება, წყალმანკი გულმკერდისა და მუცლის ღრუებში.

დიაგნოზი. ცხოველის სიცოცხლეში დიაგნოზის დასადგენად ფეკალს იკვლევენ ფლოტაციის მეთოდით, სიკვდილის შემდეგ ითვალისწინებენ პათოლოგიურ-ანატომიური გაკვეთის შედეგებს.

მკურნალობა. ძალლების დეპელმინთიზაციისათვის იყენებენ ოთხქლორიან ნახშირბადს და ტეტრაქლორეთილებს, ბეწვიანი ნადირებისათვის - მხოლოდ ტეტრაქლორეთილებს. ამ პრეპარატებს უნიშნავენ ისე, როგორც ტოქსოკაროზისა და ტოქსასკარიდოზის დროს. შეიძლება ნილვერმის გამოყენება, შიგნით, დოზით 15 მგ/კგ. ასევე ეფექტიანი პრეპარატებია პიპერაზინის მარილები, ტივიდინი, პირანტელ ემბონატი, მორანტელ ტარტრატი, რინტალი.


პროფილაქტიკა და ბრძოლის ღონისძიებები ძირითადად ისეთი-ვეა, როგორიც მაღლისა და ბეწვიანი ნადირის ასკარიდატოზების დროს.

სასუნიერი ორგანოების სტრონგილატოზები

სასოფლო-სამეურნეო ცხოველების სასუნთქ ორგანოებში პარაზიტობენ სტრონგილატები, რომლებიც მიეკუთვნებან *Dictyocaulidae*-ს, *Protostrongylidae*-ს, *Metastrongylidae*-ს, *Crenosomatidae*-სა და *Syngamidae*-ს ოჯახებს.

ცხვრისა და თხის ლიეტიოკაულოზი

წვრილფეხა რქოსანი პირუტყვის დიქტიოკაულოზის გამომწვევია ნემატოდა *Dictyocaulus filaria*, რომელიც მიეკუთვნება *Dictyocaulidae*-ს ოჯახს. დიქტიოკაულუსები პარაზიტობენ ცხვრის, თხისა და გარეულ მცონნავ ცხოველთა ტრაქეასა და ბრონქებში.




სურ. 56. *Dictyocaulus filaria*-ს მდედრი და მამრი ინდივიდების თავისა და კუდის ბოლოები და ლარვა.


აღმმდვრელი - თეთრი ფერის მსხვილი, ძაფისებრი ნემატოდა. მას მცირე ზომის პირის ღრუ აქვს, რომელიც შემოფარგლულია ოთხი დიდი ტუჩით. კუტიკულის ქვეშ მუქი ზოლის სახით მოჩანს ნაწლავი. მამრის სხეულის სიგრძე 3-8 სმ-ია. მის კუდის ბოლოზე სასქესო ბურსაა, რომელშიც მრავლობითი ნეკნი და ორი ყვითელი ფერის, ჩექმისებრი ფორმის, მოკლე სპიკულაა. მდედრის სხეულის სიგრძე 5-10 სმ-ია. ვულვის ხერელი სხეულის დახლოებით შუ-

აში იხსნება. დიქტიოკაულუსის კვერცხი ოვალური ფორმისაა (0,12-0,13 მმ x 0,07-0,09 მმ). მასში გაფორმებული ლარვაა.

აღმმდვრელის ბიოლოგია. ხელების დროს დიქტიოკაულუსის კვერცხები ხვდებიან პირის ღრუში და ცხოველი მათ ყლაპავს. კუჭ-ნაწლავის ტრაქტში გავლისას კვერცხებიდან იჩეკებიან ლარვები, რომლებიც გამოიყოფიან ფეკალთან ერთად. 4-5 დღის განმავლობაში ლარვები ორჯერ იცვლიან კანს. მათი განვითარებისათვის აუცილებელია ტენი. 27°C ტემპერატურის პირობებში ისინი ინგაზიურ სტადიას აღწევენ 6-7 დღეში. ტემპერატურის $5-10^{\circ}\text{C}$ -მდე დაწევისას ეს ვადა 15-17 დღემდე გრძელდება.



სურ. 57. *D.filaria*-ს და *D.viviparus*-ის (მარჯვენა) ლარვები.



სურ. 58. *D.filaria*-ს განვითარების ციკლი.

დეფინიტური მასპინძელი ავადდება დიქტიოკაულუსის ინგაზიური ლარვების გადაყლაპვისას. სამი დღის განმავლობაში ისინი შეაღწევენ ნაწლავის კედელში და ლიმფური სადინარებით გადაინაცვლებენ მეზენტერიალურ ლიმფურ კვანძებში, სადაც მესამედ იცვლიან კანს ორგანიზმში შეჭრიდან მეოთხე დღეს. შემდეგ ლიმფური და სისხლის სადინარებით ლარვები მიგრირებენ ფილტვებში, შეჩერდებიან კაპილარებში, აზიანებენ მათ და გადაინაცვლებენ ალველებში, ბრონქიოლებსა და ბრონქებში, სადაც ოთხ კვირაში ამთავრებენ ზრდა-განვითარებას. ცხვრის ორგანიზმში დიქტიოკაულუსები პარაზიტობენ 1,5-2 წლის განმავლობაში.

ეპიზოოტოლოგიური მონაცემები. დიქტიოკაულოზით ძირითადად ავადდება ერთ წლამდე ასაკის მოზარდეული. მოზრდილები ჰელ-მინთმატარებლები არიან და წარმოადგენენ ინვაზის გავრცელების წყაროს, რასაც ხელს უწყობს მოზრდილი ცხოველებისა და მოზარ-დეულის ერთად ძოვება.

გარემოში დიქტიოკაულუსების ლარვების სიცოცხლის ხანგ-რძლივობა დამოკიდებულია მათი განვითარების სტადიაზე, ტემპერა-ტურასა და ტენიანობაზე. უფრო მეტად სიცოცხლისუნარიანები არიან მესამე სტადიის ლარვები. სათანადო ტენიანობის პირობებში ისინი რამდენიმე თვეს ინარჩუნებენ სიცოცხლის უნარს. ინვაზიური ლარვები კიდევ უფრო მდგრადები არიან დაბალი ტემპერატურის მიმართ, რის მეობებით შეუძლიათ გამოიჩამთრონ და შეინარჩუნონ ინვაზიური თვისებები მომდევნო საძოვრული პერიოდისათვის. მშრალ და მზის სხივებით განათებულ ადგილებში დიქტიოკაულუ-სის ლარვები სწრაფად იღუპებიან.

დიქტიოკაულოზი მკვერრად გამოხატული სეზონური დაავადებაა. დაინვაზიებისა და ავადობის დინამიკურობა დამოკიდებულია ცხვრის შენახვის პირობებზე. იქ, სადაც ზაფხულობით ცხვარს საძოვარზე ამყოფებებინ, ხოლო ზამთრობით - ფარებში, ცხვრის დაინვაზიება ხდება აპრილ-მაისში და ივნის-ოქტომბერში. პირველი მაქსიმალუ-რი ინვაზია აღინიშნება იანვარ-აპრილში იმ ცხვრებში, რომლებიც საძოვარზე დაავადდნენ გასული წლის შემოდგომაზე, მეორე - აგ-ვისტო-ოქტომბერში, ძირითადად ბატქნებში, მიმდინარე საძოვრულ პერიოდში დაინვაზიების შედეგად. დიქტიოკაულუსებით თხების და-ინვაზიების ექსტენსიურობის მაჩვენებლი განსაკუთრებით მატუ-ლობს ივლისსა და დეკემბერში.

ჰელმინთოლარვოსკოპიული გამოკვლევისას მთის ზონაში დიქ-ტიოკაულუსებით დაინვაზიება (ფეკალში ლარვების არსებობა) ვლინდება 3-4 თვის ასაკის ბატქნებში, დაბლობ ზონაში - 5-6 თვის ასაკის ბატქნებში, ხოლო ციკნებში - 8 თვის ასაკში. მიმდინარე წელს დაბადებული ბატქნების პათოლოგიურ-ანატომიური გაკვეთი-სას სქესმწიფე დიქტიოკაულუსებს პირველად ივნისში ვნახულობთ.

პათოგენეზი. პათოლოგიური პროცესის განვითარება დამოკიდე-ბულია ცხოველის ასაკზე, ორგანიზმის მდგომარეობაზე, დაინვაზიე-

ბის ინტენსიურობის ხარისხსა და ინვაზიური ლარვების პათოგე-ნურ თვისებებზე. ნაწლავიდან მიგრაციის დროს ლარვები აზიანე-ბენ ქსოვილებს, რა დროსაც მათთან ერთად ხდება პათოგენური მიკ-როფლორის შეღწევა და მთელი ორგანიზმის ჩართვა პათოლოგი-ურ პროცესში. დიქტიოკაულუსები იწვევენ კატარულ ბრონქიტს. ანთებითი პროცესი ვრცელდება ბრონქების ირგვლივ მდებარე ქსო-ვილებზე. წარმოქმნილი ექსუდატი ხშირად ხვდება ბრონქიოლებსა და ალვეოლებში, რის გამო ვითარდება ატელექტაზი და კატარული პნევმონია. დიქტიოკაულუსების განვითარების პრეიმაგინალურ პე-რიოდს შეიძლება მოჰყვეს ბრონქიოლების ეოზინოფილური ექსუდა-ტით დაცობა და ალვეოლების შეკუმშვა. კლინიკურად ეს ვლინდე-ბა აჩქარებული სუნთქვით და ხველებით. შესაძლოა განვითარდეს ემფიზემა. ზრდასრული დიქტიოკაულუსები აზიანებენ ბრონქებისა და ტრაქეის ეპითელიუმს, ბრონქებში ვითარდება ექსუდაცია და პა-ერგამტარი გზების ბლოკადა. თუ ცხოველი არ დაიღუპა, დაახლო-ებით 50 დღის შემდეგ დაავადება ქრონიკულ ხასიათს იძენს.

დაავადებების სიმპტომები თანდათან ვითარდება. დაავადებულ ცხოველებს ეწყებათ ხველა, რომელიც თავიდან შეუმჩნეველი და მშრალია, შემდეგ თანდათან მატულობს და მტკივნეული ხდება. ხვე-ლა ძლიერდება მოძრაობის დროს. ხშირად ნესტოებიდან არის სე-როზული ან ჩირქოვანი გამონადენი, რომელიც ხმება და წარმოქ-მნის ქერქებს. ცხოველს ძლიერი ქავილის შეგრძნება აქვს, იგი ცხვირს იქავებს მიწაზე. სუნთქვა გახშირებული და გართულებუ-ლია. აუსკულტაციით ფილტვებში ისმინება სველი ხიხინი. პერკუ-სიის დროს ფილტვების უკანა და შუა ნაწილებში აღინიშნება ყრუ კერები. სხეულის ტემპერატურა ნორმის ფარგლებშია, მაგრამ ინ-ფექციით გართულებული მძიმე ფორმის დროს ვითარდება ატიპუ-რი ციებ-ცხელება. დაავადების მძიმე ფორმით მიმდინარეობისას ხი-ლული ლორწოვანი გარსები ციანოზურია, არის ქოშინი, აღინიშნე-ბა ქვედა ყბის, ქუთუთების, ტუჩების, მკერდისა და იშვიათად კი-ლურების შეშუბება. დაავადების განვითარების კვალობაზე სისხლში მცირდება ჰემოგლობინისა და ერთოროციტების რაოდენობა, იზრდე-ბა ლეიკოციტების რაოდენობა, სუსტდება გულის მუშაობა, ხშირად აღინიშნება ფალარათი. შარდში არის ცილა, შაქარი და ურობილი-

ნის მაღალი შემცველობა. დაავადება რამდენიმე კვირას ან თვეს გრძელდება. ცხოველი თანდათან ჲუსტდება, მჭლევდება და შესაძლოა მოკვდეს.

პათოლოგიურ-ანატომიური ცვლილებები. დაინვაზიებული ბატ-კნების ფილტვებში განასხვავებენ პათოლოგიური პროცესების მწვავე და ქრონიკულ მიმდინარეობას. მწვავე მიმდინარეობისას დაავადებიდან მე-9 - მე-10 დღეს ფილტვებში აღინიშნება ჰიპერემია, სისხლჩაქცევები, ალვეოლური ძვირების შესქელება, ქსოვილის სეროზულ-ჰემორაგიული შეშუპება, ცალკეული წილების ალვეოლების ღრუებში ექსტრავაზაცია. მე-14 - მე-15 დღეს ვითარდება მიკრობრონქიტი, ბრონქიტი და პერიბრონქიტი. პროცესი ძლიერდება და გადადის მწვავე კეროვან კატარულ-ჰემორაგიულ კეროვან ბრონქოპნევმონიაში, რომელიც ხშირად მეორეული ინფექციით რთულდება, რის შედეგად ვითარდება ჩირქოვან-კატარული პნევმონია. ქრონიკულ ფორმაში გადასვლის შემდეგ ბრონქებში ვითარდება კატარულ-დესკვამაციური ხასიათის მოვლენები. შემდგომ ბრონქების ორგვლივ ვითარდება შემაერთებელი ქსოვილი, ფილტვების ატელექტაზი და ემფიზება.

დიაგნოზი. ეპიზოოტოლოგიური მონაცემებისა და კლინიკური ნიშნების საფუძველზე დასმული წინასწარი დიაგნოზი ჲუსტდება ცხოველების ჰემომინთოლარვოსკოპიული გამოკვლევით (ბერმანის ან ვაიდას მეთოდები). დიქტიოკაულუსების ლარვებს, რომელთა სხეულის სიგრძე $0,55\text{--}0,58$ მმ-ია, თავის ბოლოზე აქვთ ფოლაქისებრი შესქელება, ხოლო ნაწლავში მოჩანს მრავლობითი ყავისფერი გრანულები.

გამოსაკვლევად იღებენ ახლად გამოყოფილ ფეკალს, უმჯობესია უშუალოდ სწორი ნაწლავიდან, რადგან ფეკალის გამოყოფიდან რამდენიმე საათის შემდეგ მასში იჩეკებიან ტრიქოსტრონგილიდების ლარვები, რომლებიც ართულებენ გამოკვლევის შედეგების დადგენას. დიქტიოკაულუსების ლარვების დიფერენცირება სტრონგილატების ლარვებისაგან შესაძლებელია, თუ სითხეს, სადაც ისინი იმყოფებიან, დაუმატებთ $0,1\text{--}0,15$ მეთილენის ლილის წყალში და დროს დიქტიოკაულუსების ლარვები ღია ისამნისფრად იღებენ.

ბიან, სხვა ლარვები კი შეუღებავი რჩებან.

ცხოველის სიკვდილის შემდეგ დიაგნოზი ისმება ტრაქეასა და ბრონქებში ზრდასრული დიქტიოკაულუსების, ხოლო ფილტვის ქსოვილებში - მათი ლარვების აღმოჩენით და დამახასიათებელი პათოლოგიურ-მორფოლოგიური ცვლილებების ნახვით. თუ გაკვეთისას ფილტვებში დიქტიოკაულუსები არ აღმოჩნდა, მის ქსოვილებს აქუცმაცებენ და იკვლევენ ბერმანის მეთოდით მათში დიქტიოკაულუსების არსებობაზე.

მკურნალობა. ცხვრისა და თხის სადეპლმინთიზაციოდ იყენებენ ნილვერმს, ლევომიზოლს, მებენდაზოლს, რინტალს, დიტრაზინ-ციტ-რატს, სავეტერინარო დიტრაზინს, დივეზიდს და სხვ.

ნილვერმი გამოიყენება $5\text{--}10\%$ -იანი სტერილური წყალშინარის ან ფხვნილის ფორმით საკვებთან ერთად. ნილვერმის ხსნარი ამზადებენ დისტილირებულ წყალზე, ასტერილულებენ წყლის აბაზანაში და იყენებენ ახლად მომზადებულს, $35\text{--}37^{\circ}\text{C}$ -მდე შემთბარს. პრეპარატი შეჰყავთ კანქვეშ ბეჟქვეშა არეში ერთჯერად ან პერიორალური გზით ინდივიდუალურად, დოზით $0,015$ გ/კგ ცხოველის მასაზე. მაღალი ინტენსიურობით დაინვაზიებისას გამჭლევებულ ცხვარსა და ბატკანს ნილვერმს უნიშნავენ პერიორალურად ან კანქვეშ ორ დღეს ზედიზედ ორჯერად, დოზით $0,01$ გ/კგ.

ლევომიზოლი შეჰყავთ კანქვეშ ერთჯერად, დოზით $0,01$ გ/კგ (აქტიურად მოქმედი ნივთიერების მიხედვით).

მებენდაზოლი გამოიყენება მებენვეტის ფორმით (10% -იანი გრანულატი), რომელიც ცხოველს ეძლევა ერთჯერად საკვებთან ერთად, დოზით $0,02$ გ/კგ (აქტიურად მოქმედი ნივთიერების მიხედვით).

რინტალს (ფებანტელი) იყენებენ ინდივიდუალურად ან ჯგუფური მეთოდით, კონცენტრირებულ საკვებთან ერთად, დოზებით: $0,01$ გ/კგ (აქტიურად მოქმედი ნივთიერების მიხედვით) ან $0,1$ გ/კგ გრანულატის ფორმით.

დიტრაზინ-ციტრატი გამოიყენება 25% -იანი ხსნარის ფორმით, რომელსაც ასტერილუსებენ წყლის აბაზანაზე. ახლად მომზადებულ ხსნარს ცხვარსა და თხას უნიშნავენ დოზით 4 მლ ცხოველის 10

კგ მასაზე (0,1 გ/კგ მშრალი ნივთიერება), კანქვეშ, კისრის არეში ან იდაყვის სახსრის უკან, ორჯერად ერთი დღე-ლამის განმავლობაში.

სავეტერინარო დიტრაზინი (დიტრაზინის ფუძე) ცხვრის სადე-ჰელმინთიზაციონ გამოიყენება 30%-იანი წყალხსნარის ფორმით, რომელსაც ასტერილებენ წყლის აბაზანაზე. ახლად მომზადებული ხსნარი შეჰყავთ კანქვეშ დოზით 2,5 მლ 10 კგ მასაზე (0,07 გ/კგ მშრალი ნივთიერება) კისრის არეში, ორჯერად, 24-საათიანი შუალედით. 8 მლ-ზე მეტი მოცულობის ხსნარი შეჰყავთ ორ ადგილას, კისრის ორივე შსარეს თანაბარი რაოდენობით.

დივეზიდს ცხვარს უნიშნავენ 33,3% სტერილური წყალხსნარის ფორმით ერთჯერად, კანქვეშ, კისრის არეში, დოზით: სამკურნალო მიზნით 3 მლ 10 კგ, ხოლო პროფილაქტიკის მიზნით 2 მლ 10 კგ ცხოველის მასაზე.

ცხვრის დიქტიოკაულოზის დროს ეფექტიანია ალუმინის იოდი-დი აეროზოლის ფორმით. სადეჰელმინთიზაციონ დონისძიებას ახორციელებენ ჰერმეტულად დახურულ შენობაში. ამისათვის შენობის მთელ სიგრძეზე ცხოველთა თავების მაღლა, იატაკიდან დაახლოებით 80 სმ-ის სიმაღლეზე კიდებენ 1 ლ მოცულობის ვედროებს. პრეპარატის საჭირო რაოდენობას საზღვრავენ შენობის 1 კუბ მეტრის მოცულობადან გამომდინარე: იოდი - 0,8 გ, ალუმინის ფხვნილი - 0,07 გ და ამონიუმის ქლორიდი - 0,1 გ. შენობის 1 კვ მეტრ ფართობზე გათვალისწინებულია სამი მოზრდილი ცხვრის ან ოთხი ბატკნის განთავსება. ვედროებში ჩაყრიან ალუმინის ფხვნილისა და იოდის ნარევს, რომელსაც შემდეგ უმატებენ ამონიუმის ქლორიდს და რამდენიმე წვეთ წყალს. რეაქცია იწყება მაშინვე ალუმინის იოდიდის ორთქლის გამოყოფით. ერთჯერადი დამუშავების დრო 40 წუთია. მკურნალობის კურსი სამ დამუშავებას ითვალისწინებს, 2-3 საათიანი ინტერვალით. ერთდროულად შესაძლებელია 800-1000 ცხვრის დამუშავება.

პროფილატიკა და ბრძოლის ღონისძიებები. დიქტიოკაულოზის პროფილაქტიკისა და ლიკვიდაციისათვის უნდა განხორციელდეს ღონისძიებათა კომპლექსი, რომლის მიზანია ინვაზიური საწყისის

მოსპობა მასპინძლის ორგანიზმსა და გარემოში. პროფილაქტიკურ ღონისძიებათა კომპლექსში შედის სამკურნალო და პროფილაქტიკური დეპელმინთიზაციები, საძოვრული და ქიმიური პროფილაქტიკა და ზოგად-სანიტარიული ღონისძიებები.

დიქტიოკაულოზის მიმართ არაკეთილსამედო მეურნეობებში ცხოველებს შერჩევით იკვლევებ ჰელმინთოლარვოსკობიულად. ფარაში დაინგაზიებული სულადობის აღმოჩნდისას დეპელმინთიზაციას ატარებენ: გაზაფხულზე, საძოვრული შენახვის პერიოდის დაწყებამდე, და გვიან შემოღვომით, ცხოველების ბაგურ კვებაზე დაყენების წინ. გარდა ამისა, ბატკნების დეპელმინთიზაცია ხდება ზაფხულში.

მომთაბარე მეცხვარეობის პირობებში, როდესაც ცხვარს მთელი წლის განმავლობაში საძოვარზე ინახავენ, ცხოველებს იკვლევენ და დეპელმინთიზაციას უტარებენ იმ ვადებში, რომლებიც დადგენილია მხარის ეპიზოოტოლოგიურ თავისებურებათა გათვალისწინებით.

დიქტიოკაულოზის სეკუნდარული ინფექციით გართულების შემთხვევაში (ჩირქოვან-კატარული ბრონქოპნევმონია) დეპელმინთიზაციასთან ერთად ცხოველებს მკურნალობენ ანტიბიოტიკებითა და სულფანილამიდებით.

დიქტიოკაულოზის ქიმიოპროფილაქტიკისათვის კარგ შედეგს იძლევა საძოვრული პერიოდის განმავლობაში ცხოველისათვის ერთი ნაწილი ფენოთიაზინისა და ცხრა ნაწილი საკვები მარილის ნარევის მიცემა. ფენოთიაზინი შეიძლება დაემატოს კომბინირებულ საკვებს ანგარიშით 1 გ პრეპარატი ცხოველზე დღის განმავლობაში. ეს პრეპარატი ანადგურებს ნაწლავებში მყოფ ლარვებს, რითაც სპობს ინვაზიის გავრცელების საშუალებას.

მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის დიქტიოკაულოზი

მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის დიქტიოკაულოზის გამომწვევია ნემატოდა *Dictyocaulus viviparus*, რომელიც პარაზიტობს ტრაქეასა და ბრონქებში. უპირატესად ავადდება მსხვილფეხა რქოსანი

პირუტყვის, კამეჩისა და ზებუს მოზარდეული.



სურ. 59. *Dictyocaulus viviparus*: 1-თავის ბოლო; ფერის სპიკულა და ერ-
2-სპიკულები და საჭე; 3-მამრის ბურსა.

თი საჭეა. მდედრის სხე-
ულის სიგრძე 23-73 მმ-ია. ვულვის ხვრელი სხეულის დაახლოე-
ბით შუა ნაწილში იქსნება. კვერცხი ოვალური ფორმისაა (0,085
მმ x 0,051 მმ). მასში გაფორმებული ლარვაა.

აღმძრელის ბიოლოგია. მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის დიქ-
ტიოკაულოზის აღმძრელის განვითარების ციკლი ისეთივეა, როგო-
რიც *Dictyocaulus filaria*-ს შემთხვევაში.

ეპიზოტოლოგიური მონაცემები. დიქტიოკაულოზის ძირითადი
გამავრცელებლები არიან მოზრდილი ცხოველები, რომლებიც კლი-
ნიკურად გამოხატული ფორმით იშვიათად ავადდებიან.

ხბოების დაინვაზიება ხდება საძოვარზე, განსაკუთრებით იქ, სა-
დაც სადგომები და სარწყულებლებია, რადგან ეს ადგილები უფრო
მეტად არის ფეკალით დასვრილი. ინვაზიურ ლარვებს უნარი შეს-
წევთ გამოიზამთრონ საძოვარზე, რის გამო გაზაფხულზე საძოვრე-
ბი სახიფათო ხდება ხბოების დაინვაზიების თვალსაზრისით. ლარ-
ვები (განსაკუთრებით ინვაზიურები) მეტად გამძლენი არიან სხვა-
დასხვა არახელსაყრელი ფაქტორის მიმართ. ისინი კარგად იტანენ
ზოგიერთი ქიმიური ნივთიერების მაღალ კონცენტრაციებს. ლარვე-
ბი უფრო მრავლად არიან დაბლობ და ჭარბტენიან საძოვრებზე,
ვიდრე მშრალ და შემაღლებულ ადგილებში. მზის სხივების ზეგავ-
ლენით ლარვები მაღალ იღუპებიან. გვალვიან ზაფხულში ისინი მა-
სობრივად იხოცებიან.

დიქტიოკაულოზით უმეტესად მიმდინარე წელს დაბადებული (4-
9 თვის ასაკის) ხბოები ავადდებიან, შედარებით ნაკლებად - 10-18
თვის ასაკის მოზარდეული. კიდევ უფრო ნაკლებად ავადდებიან
მოზრდილი ცხოველები, თუმცა გამორიცხული არ არის ჯანდაგი
პირუტყვის დაინვაზიება, რომელთა ორგანიზმი დასუსტებულია რო-
მელიმე ქრონიკული დაავადების გამო. წლის განმავლობაში საქარ-
თველოში დიქტიოკაულოზი მაქსიმალურად ვლინდება ივნისში (ყვე-
ლა ასაკის პირუტყვი) და ოქტომბერ-ნოემბერში (მიმდინარე წელს
დაბადებული ხბოები).

პათოგენეზი მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის დიქტიოკაულო-
ზის შემთხვევაში ისეთივეა, როგორიც ცხვრის დიქტიოკაულოზის
დროს.

დაავადების სიმპტომები. საწყის სტადიაზე ცხოველს უქვეითდე-
ბა მაღა, უძლიერდება ნაწლავის პერისტალტიკა, აღენიშნება ფარა-
რათი და საერთო დაბერბენება. მეორე-მესამე დღიდან ხბოებს ეწყე-
ბათ ხველა. აუსკულტაციით ფილტვებში ისმინება უხეში ვეზიკუ-
ლური სუნთქვა, ზოგჯერ ნიხინი. მაღა ეს მოვლენები, რომლებიც
დაკავშირებულია ლარვების მიგრაციასთან, ქრება. 3-4 კვირის შემ-
დეგ ხბოებს კვლავ აღენიშნებათ ხველა, რომელიც ძლიერდება და
მტკიცნეული ხდება. აუსკულტაციით კვლავ ისმინება უხეში ვეზი-
კულური სუნთქვა და მშრალი ან სველი ნიხინი, რაც ბრონქიტის
განვითარებას მოწმობს. ხბოებს უქვეითდებათ მაღა, აღენიშნებათ ქო-
შინი. ისინი მოთხოვთილი არიან და ნაკლებად მოძრაობენ. მათი ბა-
ლანი კარგავს ბზინვარებას და აბურძენილია. ზოგჯერ ვითარდება
ფარარათი. დაავადებული ცხოველი ნახინს ჩამორჩება, უმეტესად
წევს. მკურნალობის ჩაუტარებლობის შემთხვევაში ბრონქიტი
როტულდება პნევმონიით. მატულობს სხეულის ტემპერატურა
39,5-40,5°C-მდე, თუმცა ზოგჯერ იგი ნორმის ფარგლებშია. დაავა-
დების გართულებისას ცხოველის საერთო მდგომარეობა უარესდე-
ბა, ხველა ძლიერდება, რასაც თან სდევს ზუთვა. შეიმჩნევა ცხვირი-
დან უხვი გამონადენი, ლორწოვანი გარსები ციანოზური ხდება. პერ-
კუსით ფილტვებში აღინიშნება გამკვრივების კერები მერვე-მეცხრე
ნეკნებს შორის, რომლებიც შეიძლება მთელ ფილტვზე გავრცელდეს.
დაავადების განვითარების კვალობაზე პულსი გახშირებული და

გაძლიერებულია.

პათოლოგიურ-ანატომიური ცვლილებები. ხბოს ლეშის გაკვეთი-სას, საერთო დისტრიფული ცვლილებების ფონზე, როგორც წესი, აღინიშნება კატარული ან ჩირქოვან-ნეკროზული ბრონქოპნევმონია. ფილტვებზე, რომლებიც გადიდებული და ღია რუხი ფერისაა, ზოგჯერ შეიმჩნევა ჰეპატიზაციის კერები, უფრო ხშირად კი გამოხატულია ალვეოლარული ემფიზემა და ფილტვის კიდეების ატელექტაზი. ლიმფური კვანძები ძლიერ გადიდებულია, ტრაქეისა და ბრონქების ლორწოვანი გარსები ჰიპერემიულია. მათზე ალაგ-ალაგ სისხლჩაქცევებია. ტრაქეა და ბრონქები გადავსებულია სითხით, რომელშიც დიქტიოკაულუსებს ნახულობენ. წვრილი და საშუალო ბრონქები ხშირად დაცობილია ლორწოვან-ჩირქოვანი საცობებით.

დიაგნოზი ცხოველის სიცოცხლეში ისმება ეპიზოოტოლოგიური მონაცემების, კლინიკური ნიშნებისა და ბერმანის მეთოდით გამოკვლევისას ფეკალში დიქტიოკაულუსების ლარვების აღმოჩენის საფუძველზე. ლარვების სხეულის სიგრძე 0,31-0,36 მმ-ია. თავის ბოლო მომრგვალებულია, კუდის ბოლო - მოკლე და წამახვილებული. სხეულის შუა ნაწილი ამოვსებულია რუხი ფერის მარცვლებით, ხოლო თავისა და კუდის ბოლოები გამჭვირვალეა. ფეკალის სინჯებს იპვლევენ მათი აღებიდან არაუგვიანეს 12 საათისა.

სიკვდილის შემდეგ დიაგნოზი ისმება მკვდარი ან დიაგნოზის დადგენის მიზნით დაკლული ცხოველის გაკვეთით, რა დროსაც ყურადღებას ამახვილებენ ფილტვებში განვითარებულ დამახასიათებელ ცვლილებებსა და ბრონქების სანათურსა და ტრაქეაში დიქტიოკაულუსების არსებობაზე. ფილტვებში ლარვების აღმოსაჩენად ფილტვის ქსოვილს აქუცმაცებენ და იკვლევენ ბერმანის მეთოდით.

მკურნალობა. მსხილფეხა რქოსანი პირუტყვის დიქტიოკაულოზის საწინააღმდეგოდ იყენებენ ნილვერმს, 20%-იან ტეტრამიზოლ გრანულატს, მებენვეტს, დიტრაზინ-ციტრატს, ლევომიზოლს, დივეზიდსა და სხვა პრეპარატებს.

ნილვერმს (ტეტრამიზოლი) სამკურნალო და პროფილაქტიკური მიზნით უნიშნავენ შიგნით 1%-იანი წყალხსნარის ფორმით ინდივიდუალურად, დოზით 0,015 გ/კგ. ადგილობრივი გართულების გამომსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის კანქვეშ ტეტრამიზოლი არ შეკ-

ყავთ. სამკურნალო ნარევის ფორმით ხბოებისათვის ნილვერმი რეკომენდებულია დოზით 0,01 გ/კგ ორჯერად, ჯგუფური წესით, 24-საათიანი შუალედით.

20%-იანი ტეტრამიზოლ გრანულატის 1 გ პრეპარატში შედის 0,2 გ მარილმჟავა ტეტრამიზოლი (ნილვერმი). პრეპარატი ეძლევა ჯგუფურად ან ინდივიდუალურად ფხვიერ საკვებთან შერეული, ორჯერად ერთი დღის შუალედით, დოზით: 100 კგ-მდე წონის ხბოებს - 0,75 გ გრანულატი 10 კგ ცხოველის მასაზე, ხოლო 100 კგ-ზე მეტი წონის მოზარდეულს - 0,5 გ გრანულატი. ერთ ცხოველზე პრეპარატის მაქსიმალური ერთჯერადი დოზა არ უნდა აღემატებოდეს 15 გრამს. დეპელმინთიზაციისათვის არჩევენ დაახლოებით ერთნაირი მასის 10 ცხოველს. ერთ ჯგუფზე გაანგარიშებული გრანულატის დოზას გულდასმით შეურევენ საკვებს გაანგარიშებით 0,5-1 კგ საკვები ერთ ცხოველზე და აძლევენ 12-საათიანი შშიერი დიეტის დაცვით.

მებენვეტი (მებენდაზოლის 10%-იანი გრანულატი) გამოიყენება ერთჯერად, საკვებთან შერეული, დოზით 0,02 გ/კგ (აქტიურად მოქმედი ნივთიერების მიხედვით).

დიტრაზინ-ციტრატი 25%-იანი სტერილური წყალხსნარის ფორმით შეჰყავთ კანქვეშ, დოზით 2 მლ 10 კგ ცხოველის მასაზე (0,05 გ/კგ აქტიურად მოქმედი ნივთიერების მიხედვით), სამჯერად, პირველ, მეორე და მეოთხე დღეს.

ლევომიზოლი შეჰყავთ კანქვეშ ერთჯერად დოზით 0,017 გ/კგ (აქტიურად მოქმედი ნივთიერების მიხედვით).

დივეზიდი წარმოადგენს სამი ქიმიური ნივთიერების კომპლექსს. ესენია: დიტრაზინის ფუძე - 200 გ (60%), ციაზიდი - 100 გ (30%) და ლიმონმჟავა - 33 გ (10%). დივეზიდი გამოიყენება 33,3%-იანი ხსნარის ფორმით. 1 ლ ხსნარის მოსამზადებლად სამივე პაკეტის შიგთავსი (333 გ) იხსნება 750 მლ დისტილირებულ წყალში. ხსნარს ადუღებენ 5 წუთს, რის შემდეგ შესაძლებელია მისი გამოყენება 24 საათის განმავლობაში. სამკურნალო და პროფილაქტიკური მიზნით დივეზიდს უნიშნავენ ერთჯერად კანქვეშ კისრის არე-

ში, დოზით 1,5 მლ 10 კგ ცხოველის მასაზე, მაგრამ არაუმეტეს 20 მლ-ისა ერთ ცხოველზე.

პროფილაქტიკა და ბრძოლის ღონისძიებები მოიცავს საერთო და სპეციფიკურ ღონისძიებათა კომპლექსს.

საერთო ღონისძიებები: ცხოველთა უზრუნველყოფა სრულფასოვანი საკვებით და კვების პიგინის დაცვა, პირუტყვის შენახვის ზოოპიგიურ მოთხოვნათა შესრულება. ხბოების კვება უნდა ხდებოდეს მხოლოდ საკვებურებიდან. დარწყელებისათვის გამოყენებულ უნდა იქნეს მხოლოდ ახალი, სუფთა წყალი. ყურადღება ექცევა ცხოველთა საღომების, საკვებურების, სარწყელებლების, ფერმის ეზოების, ფერმისპირა ტერიტორიებისა და სასეირანო მოედნების სისუფთავეს. ნაკელი გატანილ უნდა იქნეს სპეციალურ ნაკელსაცავებში ბიოთერმული გაუვნებლობისათვის. ცხოველთა ძოვება ხდება მშრალ საძოვრებზე.

სპეციფიკური ღონისძიებები: დიქტიოკაულოზის მიმართ არაკეთილსაიმედო მეურნეობებში მიმდინარე წელს დაბადებულ ხბოებს, ხოლო სასუქ მეურნეობებში უფროსი ასაკის ხბოებს ზრდიან ბაგურ ან იზოლირებულ ბაგურ-სეირანულ პირობებში. ასევე მიმართავნ ხბოების იზოლირებულ საძოვრულ-ბანაკურ გამოზრდას ნაკვეთებზე, სადაც გასული წლის სექტემბრიდან არ აძოვებდნენ დიქტიოკაულუსებით დაინვაზიებულ მსხვილფეხა რქოსან პირუტყვს. ხბოები რომ დაცულ იყვნენ დაინვაზიებისაგან საჭიროა საძოვრებსა და შენობებში მათი იზოლირება ყველა ასაკის იმ სულადობისაგან, რომელიც წინა წელს სარგებლობდა საძოვრით.

აღნიშნული ინვაზიის მიმართ არაკეთილსაიმედო მეურნეობებში რეკომენდებულია მიმდინარე წელს დაბადებული ხბოების საშემოდგომო პროფილაქტიკური დეპელმინთიზაცია მათ ბაგურ შენახვაზე დაყენებისა და ასევე წინა წელს დაბადებული ხბოების საგაზაფხულო პროფილაქტიკური დამუშავება საძოვარზე მათი გაყვანის წინ. დეპელმინთიზაციის დროს 3-5 დღის განმავლობაში ხბოებს შენობაში ამყოფებენ, ნაკელს აგროვებენ და აუგნებლებენ. პროფილაქტიკური დეპელმინთიზაციისათვის გამოიყენება იგივე ანტკელმინთური

საშუალებები, რაც მკურნალობის დროს.

დიქტიოკაულოზის მიმართ მეურნეობა კეთილსაიმედოდ ითვლება იმ შემთხვევაში, თუ ერთი წლის ასაკის ხბოებისა (აპრილიდან ოქტომბრამდე ჩათვლით თითო თვის გამოტოვებით) და მიმდინარე წელს დაბადებული ხბოების (ივნისიდან ნოემბრამდე ჩათვლით) სამჯერადი გამოკვლევის შედეგად სინჯებში არ იქნა გამოვლენილი დიქტიოკაულუსების ლარვები.


მიულერიოზი

მიულერიოზის აღმმპრელია ნემატოლა *Muellerius capillaries*, რომელიც მიეკუთვნება *Muellerius*-ის გვარს, *Protostrongylidae*-ს ოჯახს. მიულერიები პარაზიტობენ ცხვრის, თხის, ქურციკის ალვეოლებში, ალვეოლურ გზებსა და ფილტვების წვრილ ბრონქიოლებში.

აღმმპრელი წვრილი ძაფისებრი ნემატოდაა. მამრის სხეულის სიგრძე 12-26 მმ-ია. კუდის ბოლო სპირალის მსგავსად არის დახვეული. სასქესო ბურსა მცირე ზომისაა. სპიკულა ორია. მათი კუდის ბოლოები გაყოფილია და სავარცხლისებრი წარმონაქნის ფორმა აქვთ. მდედრის სხეულის სიგრძე 18-30 მმ-ია. სასქესო ხვრელი ანუსის შორიახლოს იხსნება. კვერცხს მუქი ყავისფერი შეფერილობა და ოვალური ფორმა აქვს (0,084-0,104 მმ x 0,028-0,040 მმ). გარემოში გამოიყოფა ლარვა.

მიულერიები ბიონემატოდები არიან. მათი შუალედური მასპინძლებია სხვადასხვა გვარის ლოქორიები და ჯავშნიანი ტკიპები.

აღმმპრელის ბიოლოგია. დეფინიტური მასპინძლის ფილტვებში მდედრი დებს კვერცხებს. მათგან იქვე იჩეკებიან ლარვები, რომლებიც მიგრირებენ სასუნთქ გზებში, ტრაქეაში, ხვდებიან პირის ღრუში, გადაიყლაპებიან და ფეკალთან ერთად გამოდიან გარემოში. ისინი აქტიურად მიგრირებენ ნიადაგზე, ბალახის ღეროებზე და მეტად გამბლენი არიან გამოშრობის (შემხმარ ფეკალში სიცოცხლის უნარს ინარჩუნებენ დაახლოებით ერთი წლის განმავლობაში) და დაბალი ტემპერატურის მიმართ (შეუძლიათ გამოზამთრება), თუმცა მზის პირდაპირი სხივები მათზე დამღუპველად მოქმედებენ.



სურ. 60. *Mullerius capillaris*: 1-მამრი, რომელიც მდედრის სხეულზე შემოხვეული; 2-მამრის კუდის ბოლო ღორსოვნებრალური მხრიდან; 3-მამრის კუდის ბოლო ღატერალური მხრიდან; 4-სპინ-კულები; 5-მდედრის კუდის ბოლო; 6-პარაზიტის თავის ბოლო.

ბიან ნაწლავის კედელში, საიდანაც გადაინაცვლებენ ჯორჯლის ლიმფურ კვანძებში და შემდეგ ლიმფის ან სისხლის მეშვეობით მიიტანებიან ფილტვებში. აქ ისინი კიდევ ერთხელ იცვლიან კანს და ამთავრებენ ზრდა-განვითარებას.

ეპიზოოტოლოგიური მონაცემები. მიულერიოზი გავრცელებულია ბუჩქნარებით და ტყის მცენარეებით მდიდარ ადგილებში, იქ, სადაც უპირატესად ბინადრობენ შუალედური მასპინძლები (მოლუსკები). ასაკის მატების კვალობაზე მატულობს დაინვაზიების ინტენსიურობის ხარისხი, ჩვეულებრივ, თხები უფრო მეტად ავადდებიან მიულერიოზით, ვიდრე ცხვრები.

პათოგენეზი. ცხოველის ორგანიზმში ღარვების მიგრაციის დროს ხდება ნაწლავის ლორწოვანი გარსის, სისხლძარღვების, ლიმფური კვანძების, ღვიძლისა და ფილტვების პარენქიმის მექანიკური

შემდგომი განვითარებისათვის აუცილებელია შუალედური მასპინძლი, რომლის სხეულში ღარვა აქტიურად შეიჭრება მოლუსკის ფეხიდან ან თვით მოლუსკი ყლაპავს მას. მოლუსკის ორგანიზმში ღარვა ორჯერ იცვლის კანს და, შუალედური მასპინძლის სახეობიდან და გარემოს ტემპერატურიდან გამომდინარე, ინვაზიურ სტადიას აღწევს 8-45 დღის განმავლობაში.

ცხოველი ავადდება მოლუსკების ორგანიზმიდან გამოყოფილი მიულერიების ინვაზიური ღარვების ან დაინვაზიებული შუალედური მასპინძლების გადაყლაპვის შედეგად. ღეფინიტური მასპინძლის ორგანიზმში მოხვედრილი ღარვები შეიჭრებიან ნაწლავის კედელში და შემდეგ ლიმფის ან სისხლის მეშვეობით მიიტანებიან ფილტვებში. აქ ისინი კიდევ ერთხელ იცვლიან კანს და ამთავრებენ ზრდა-განვითარებას.


დაზიანება, რის გამო ვითარდება ანთებითი კერები. მცირე ბრონქიოლებში მიულერიების ზრდა-განვითარების პერიოდში ვითარდება ბრონქიტი, ხოლო პარაზიტების მსხვილ ბრონქიოლებში გადანაცვლებისას - კატარეული ანთება, რასაც თან სდევს ლორწოს დაგროვება ბრონქებში და მათი ეპითელიუმის დესკვამაცია. დაინვაზიების მაღალი ინტენსიურობის დროს ფილტვებში განვითარებულ ამ პათოლოგიურ ცვლილებათა გამო ხშირია ცხოველების გაწყდომის შემთხვევები.

დაავადების სიმპტომები. მიულერიოზი სუბკლინიკური ფორმით მიმდინარეობს. ინტენსიური დაინვაზიების დროს მესამე-მეოთხე დღიდან ცხოველებში აღინიშნება აბდომინალლური ტიპის აჩქარებული სუნთქვა, შემდეგ ჩნდება ხველა, ჯერ იშვიათი, შშრალი და მტკივნეული, შემდეგ - ხშირი, წყვეტილი, შეტევების სახით. აუსკულტაციით ფილტვებში ისმინება ძლიერი ვეზიკულური სუნთქვა, სველი ხიხინი. ზოგიერთ ცხოველს აღნარჩუნებული აქვს, მაგრამ სიკვდილამდე 2-3 დღით ადრე ბატკანი აღარ იღებს საკვებს. დაინვაზიებული ცხოველები შესამჩნევად ჩამორჩებიან ზრდა-განვითარებაში. სპონტანური მიულერიოზის დროს ცხოველთა სიკვდილი ხშირად გამოწვეულია დაავადების სეკუნდარული ბაქტერიული ინფექციით გართულების გამო.

პათოლოგიურ-ანატომიური ცვლილებები. ალვეოლებსა და ფილტვის პარენქიმაში, განსაკუთრებით სუბპლევრალურ ქსოვილში წარმოიქმნება 2 სმ-მდე დიამეტრის მორუხო ფერის კვანძები. ისინი შემოფარგლულია შემაერთებული ქსოვილით, რომელშიც შერეულია გიგანტური უჯრედები. ასეთი კვანძები შეიძლება გაკირული იყოს. პარაზიტის კვერცხების გარშემო ყალბიდება ფოკუსები, რომელთა პერიფერიაზე ღეიკოციტები და ეპითელოიდური უჯრედებია და გარს აკრავს ჰიპერემიული ფილტვის ქსოვილი, რომლის ალვეოლები სავსეა მრავალუჯრედოვანი ინფილტრატით. ზოგჯერ აღინიშნება ბრონქების ეპითელიუმის ადენომის მსგავსი პროლიფერაცია.

დიაგნოზი ცხოველის სიცოცხლეში ისმება ფეკალში მიულერიების ღარვების აღმოჩენით (ბერმანის ან ვაიდას მეთოდები). ღარ-

ვას სხეულის სიგრძე 0,27-0,34 მმ-ია. მისი ნაწილები არ არის პიგ-მენტირებული, ხოლო კუდის ბოლო დახვეულია და ქაცვით არის აღჭურვილი. სიკვდილის შემდეგ ყურადღებას აქცევენ ფილტვებში პათოლოგიურ-ანატომიურ ცვლილებებს. ზრდასრული მიულერიების ნახვა შესაძლებელია დაზიანებული ფილტვის ქსოვილის კომპრე-სორული მეორედი გამოკვლევის შედეგად.



სურ. 61. პროტოსტრონგილიდების ლარვების მორფოლოგია: 1-2-მიულერიები; 3-4-პროტო-სტრონგილუსები; 5-6-ცისტოკაულუსები.

დიტრაზინ-ციტრატი 25%-იანი სტერილური წყალხსნარის ფორმით შეჰყავთ კანქვეშ კისრის მიდამოში, დოზით 4 მლ ცხოველის 10 კგ მასაზე, ორჯერად, 24 საათის ინტერვალით. იმ შემთხვევაში, თუ ხსნარის მოცულობა 8 მლ-ს აჭარბებს, მას ყოვენ ორ თანაბარ ნაწილად და შეჰყავთ კისრის ორივე მხარეს.

დიტრაზინ-ციტრატი 25%-იანი სტერილური წყალხსნარის ფორმით შეჰყავთ კანქვეშ კისრის მიდამოში, დოზით 4 მლ ცხოველის 10 კგ მასაზე, ორჯერად, 24 საათის ინტერვალით.

ნილვერმი (ტეტრამიზოლი) 20%-იანი წყალხსნარის ფორმით შეჰყავთ კანქვეშ, ორჯერად, დოზით 0,015 გ/კგ (აქტიურად მოქმედი ნივთიერების მიხედვით).

პროფილაქტიკა და ბრძოლის ღონისძიებები. სასურველია ცხოველი არ გავუშვათ ტყეებსა და ბუქნარიან საძოვრებზე. თუ ამის შესაძლებლობა არ არის, მაშინ საჭიროა გასაძოვებელი ფართობები გა-

ვათავისუფლოთ ხექცეულებისაგან, ფიჩხებისა და დამპალი ჩირგვებისაგან. საძოვრულ პერიოდში სასურველია პროფილაქტიკის მიზნით ცხოველებს ყოველდღიურად მივცეთ ფენოთიაზინი (1 გ მოზრდილ ცხვარს). საძოვრის ცვლა უნდა დაიგეგმოს მოლუსკებში მიულერიების ლარვების განვითარების ვადების გათვალისწინებით. ასეთი ცვლა უნდა განხორციელდეს რამდენიმე წლის განმავლობაში, რადგან ზრდასრული მიულერიები დეფინიტური მასპინძლის ორგანიზმში ცოცხლობენ ოთხ წელზე მეტ ხანს. დეპელმინთიზაციას ატარებენ ერთხელ, ზამთარში, ბაგური შენახვის შუა პერიოდში.


ლორის მეტასტრონგილოზი

ლორის მეტასტრონგილოზის აღმმღრელები არიან *Metastomylus*-ის გვარის ნემატოდები, რომლებიც მიეკუთვნებიან *Metastomylidae*-ს ოჯახს. მეტასტრონგილუსები პარაზიტობენ შინაური და გარეული ლორის ბრონქებსა და ბრონქიოლებში.

ძირითადად ავადდება ლორის მოზარდეული. ვითარდება ბრონქიტი, ბრონქოპნევმონია, ანემია, ფერხედება ზრდა-განვითარება. ძლიერი დაინვაზიების დროს შესაძლებელია ცხოველების გაწყდომა. უარესდება წონამატისა და ხორცის ხარისხის მაჩვნებლები.

აღმმღრელები. მეტასტრონგილუსები თეთრი ან მოთეთრო-მოყვითალო ფერის წვრილი ნემატოდები არიან. თავის ბოლოზე პირის ხვრელია, რომლის ირგვლივ ექვსი მცირე ზომის ტუჩია. კუდის ბოლოზე მარტებს აქვთ სასქესო ბურსა რედუცირებული დორსალური ნენითა და ორი გრძელი, ძაფისებრი სპიკულით. კულვა მდებარეობს მდედრის კუდის ბოლოში და დაფარულია კუტიკულარული სარქველით. კვერცხს, რომელსაც ოვალური ფორმა აქვს, გარს აკრავს ღია რუხი ან ღია ყავისფერი დახორკლილი გარსი. მასში გაფორმებული ლარვა.

Metastomylus elongatus - მამრის სხეულის სიგრძე 25 მმ-ს აღწევს, მდედრის - 58 მმ-მდე. სპიკულების სიგრძე 4-4,2 მმ-ია. მათ ბოლოზე თითო კაუჭია. კულვა დაფარულია კარგად განვითარებული სფეროსებრი სარქველით. კვერცხის ზომებია - 0,045-0,057 მმ x 0,030-0,041 მმ.



სურ. 62. მეტასტრონგილუსების შედარებითი მორფოლოგიური მონაცემები: 1-მდედრი ინდივიდების კუდის ბოლოები: A-M. elongatus, B-M. salmi, C-M. pudendotectus; 2-მამრი ინდივიდების ბურსები (მარცხნივ) და სპიკულების ქვედა ბოლოები (მარჯვნივ): A-M. salmi, B-M. pudendotectus; 3-მ-tschaiuricus-ის მამრის სპიკულები; 4-კვერცხი; 5-მეტასტრონგილუსის ლარვა.

მეტასტრონგილუსები ბიონემატოლოგიური არიან. მათი შუალედური მასპინძლებია სხვადასხვა სახეობის ჭიაყლები.

აღმძვრულის ბიოლოგია. მდედრი ბრონქებში დებს კვერცხებს, რომლებიც ნახველთან ერთად ხვდებიან პირის ღრუში, გადაიყლა-პებიან და ფეკალიანი ერთად გარემოში. ხელსაყრელი პი-

Metastrongylus pudendotectus - მამრის სხეულის სიგრძე 16-18 მმ-ია, მდედრის - 19-37 მმ. სპიკულების სიგრძე 1,2-1,4 მმ-ია. ისინი ბოლოვდებიან ორმაგი, ღუზისმაგარი კაუჭებით. მდედრის კუდის ბოლოზე ძლიერ განვითარებული სფეროსებრი სარქველია, რომელიც ფარავს ვულვისა და ანუსის ხვრელებს. კვერცხის ზომებია - 0,057-0,063 მმ x 0,039-0,042 მმ.

Metastrongylus salmi - მამრის სხეულის სიგრძე 14-17 მმ-ია, მდედრის - 40 მმ-დე. სპიკულების სიგრძე 2-2,2 მმ-ია. ისინი თითო კაუჭით ბოლოვდებიან. წინა სახეობებთან შედარებით კუტიკულარული სარქველი ნაკლებად არის განვითარებული. კვერცხის ზომებია - 0,040-0,052 მმ x 0,032-0,040 მმ.

რობების არსებობის შემთხვევაში მათში საბოლოოდ ყალიბდებიან პირველი სტადიის ლარვები, რომლებიც იჩეკებიან და სათანადო ტენიანობისა და ტემპერატურის პირობებში აქტიურად მოძრაობენ ნიადგზე. ორი კვირის შემდეგ მათ მოძრაობის უნარი უქვეითდებათ, მაგრამ ისინი სამ თვემდე ინარჩუნებენ სიცოცხლის უნარს. პირველი სტადიის ლარვის სხეულის სიგრძეა 0,25-0,3 მმ. ნაწლავის სანათური შევსებულია გრანულებით. კუდის ბოლო დახვეული და შესქელებულია.

ლარვების შემდგომი განვითარება მიმდინარეობს შუალედური მასპინძლის ორგანიზმში. ჭიაყლების მიერ გადაყლაპული ლარვები იბუდებენ მასპინძლის საყლაპავის სისხლძარღვებში, სადაც ორჯერ იცვლიან კანს და 10-20 დღეში აღწევენ ინვაზიურ სტადიას (სხეულის სიგრძე - 0,52-0,57 მმ). ჭიაყლები არ იღუპებიან ძლიერი დაინვაზიების დროსაც და, პრაქტიკულად, მეტასტრონგილუსების ლარვები იმდენ ხანს ინარჩუნებენ სიცოცხლის უნარს, რამდენსაც ცოცხლობენ ჭიაყლები (ოთხი და მეტი წელი).

ღორი ავადდება დაინვაზიებული ჭიაყლების გადაყლაპვით. მის ორგანიზმში ჭიაყლა მოინელება, ხოლო გამოთავისუფლებული ლარვები შეიჭრებიან ნაწლავის კედელში და ლიმფური სადინარებით ხვდებიან მეზენტერიალურ ლიმფურ კვანძებში, სადაც მესამეჯერ იცვლიან კანს. ისინი გადაინაცვლებენ სისხლის მიმოქცევის მცირე წრეში, ხვდებიან ფილტვის კაპილარებში და კიდევ ერთხელ იცვლიან კანს. შემდეგ ლარვები ხვრეტენ ფილტვის პარენქიმას და მიგრაციას ამთავრებენ ბრონქებში, სადაც ვითარდებიან სქესმწიფე სტადიამდე. ღორის ორგანიზმში მეტასტრონგილუსების განვითარების ვადა დახსლოებით 25-35 დღეა, ხოლო მათი სიცოცხლის ხანგრძლივობა ერთ წლამდე აღწევს.

ეპიზოოტოლოგიური მონაცემები. საქართველოში მეტასტრონგილოზი გაცრცელებულია ყველგან, მაგრამ უპირატესად - დაბლობ რეგიონებში. ყველა ასაკის ღორის დაინვაზიების მაჩვენებელი 20-დან 65%-მდე მერყობს. დაავადება ვლინდება წლის ნებისმიერ ღროს, მაგრამ მაქსიმალურად - ზამთარში და გაზაფხულზე. მოზარდეულის დაინვაზიების ექსტენსიურობის მაჩვენებელი 60%-ს აჭარბებს.

ღორები ძირითადად ავადდებიან ფერმის მიმდებარე ტერიტორიაზე და თვით საღორეში, სადაც ნეტი და დაზიანებული იატაკია, რომლის ღრმულებსა და ჭრილებში გროვდებიან ჭიაყელები. ნეტიან და ფხვიერ ნიადაგში ჭიაყელები უხვად სახლობენ (1 კვ.მ ფართობზე დაახლოებით 1000 ეგზემპლარი), სადაც მეტასტრონგილუსების ლარვებით შესაძლოა დაინვაზიებული იყოს მათი 20-30%. თითო ჭიაყელას ორგანიზმში კი შესაძლებელია იყოს რამდენიმე ერთეულიდან ათასამდე ლარვა.

პათოგენები. მოზარდულები მეტასტრონგილოზი ხშირად მიმდინარეობს ბრონქიტისა და პნევმონიის ნიშნებით. ღორის ორგანიზმში მიგრაციის დროს ლარვები მექანიკურად აზიანებენ ნაწლავის კედელს და ლიმფურ კვანძებს, არღვევნ ფილტვის კაპილარების მთლიანობას და იწვევენ მის ანთებას. წვრილ ბრონქიოლებში დაღუპული პარაზიტები ხელს უწყობენ კვანძების წარმოქმნას. ნაკლავის ვეტერინარიულ-სანიტარიული ექსპერტიზისას აუცილებელია მათი დიფერენცირება ტუბერკულოზური კვანძებისაგან.

პელმინთებისა და მათი ლარვების ნივთიერებათა ცვლის ან მათი დაშლის შედეგად წარმოქმნილი პროდუქტების სისხლში მოხვედრისას ინტოქსიკაცია და ალერგიული რეაქციები ვითარდება. ალერგიული რეაქციები გამოიხატება ქსოვილოვანი და ჰუმორალური ეოზინოფილის სახით; ფილტვებში, ლიმფურ კვანძებში, ელენთაში, ძვლის ტვინის სისტემაში ჰიპერპლასტური რეაქციებით, რასაც თან ახლავს ლიმფოიდური და პლაზმური უჯრედების რაოდენობის მატება. ფილტვებში აღინიშნება ბრონქული და პერიბრონქული ქსოვილის, აგრეთვე წილებშუა ტიხიწრებისა და ალვეოლების კედლების გაჯირჯვება და უჯრედოვანი ინფილტრაცია, ალვეოლური ეპითელიუმისა და სისხლძარღვთა ენდოთელიუმის დესკვამაცია, პარაზიტული გრანულომების ფორმირება.

დაავადების სიმპტომები. მეტასტრონგილუსებით დაინვაზიებულ გოჭებს აღნიშნებათ მსუბუქი ხელა, რომელიც შემდეგ ძლიერდება, განსაკუთრებით მოძრაობისას. ნესტოებიდან გამოიყოფა სქელი, მოყვითალო ფერის გამონადენი, აღინიშნება ქოშნი. ღორწოვანი გარსები ფერმკრთალი და ციანოზურია, პულსი - აჩქარებული. ტემ-

პერატურა ხშირად ნორმის ფარგლებშია. ცხოველი შეიძლება დაიღუპოს ასფიქსით. გოჭები ჩამორჩებიან ზრდა-განვითარებაში, მჭლევდებიან. მოზრდილ ღორებში მეტასტრონგილოზი მიმდინარეობს შეუმჩნევლად, კლინიკური გამოვლინების გარეშე.

პათოლოგიურ-ანატომიური ცვლილებები უპირატესად ფილტვებში ვითარდება. ბრონქების სანათურში ნახულობენ ჰელმინთებს და ლორწოს. შეიმჩნება ბრონქიტისა და პერიბრონქიტის მოვლენები. ფილტვის ქსოვილში შესაძლოა განვითარდეს დიფუზური პნევმონია და ალვეოლური ემფიზემა. ფილტვის პარენქიმაში გვხვდება კვანძები, რომელთაც გარს აკრავს შემაერთებელი ქსოვილი. ამასთან, ბრონქიალური ლიმფური კვანძები ხშირად რამდენადმე გადიდებულია.

დიაგნოზი ცხოველის სიცოცხლეში დგინდება ეპიზოოტოლოგიური მონაცემების, კლინიკური ნიშნების და ფეკალში მეტასტრონგილუსების კერცხების ან მათი ლარვების აღმოჩენით. ჰელმინთო-ოვოსკოპიული გამოკვლევისათვის იყენებენ შეჩრდოვიჩის მეთოდს, ჰელმინთოლარვოსკოპიული გამოკვლევისათვის - ბერმანის მეთოდს. ცხოველის სიკვდილის შემდეგ დაიგნოზი დგინდება ბრონქების სანათურში ჰელმინთების დიდი რაოდენობით ნახვისა და ფილტვებში მეტასტრონგილუსებით გამოწვეული ცვლილებების საფუძველზე.

მკურნალობა. გამოიყენება დიტრაზინ-ფოსფატის 25%-იანი წყალხსნარი, ჰიპერაზინ-სულფატის 50%-იანი წყალხსნარი, ნილვერმი, ფენბენდაზოლი.

დიტრაზინ-ფოსფატის 25%-იანი წყალხსნარი შეჰქვეთ კანქვეშ ორჯერად, ღოზით 0,4 მლ/კგ 2-5 დღის ინტერვალით. ჰიპერაზინ-სულფატის 50%-იანი წყალხსნარი შეჰქვეთ კანქვეშ ორჯერად, ღოზით 0,5 მლ/კგ 24 საათის ინტერვალით. ნილვერმს აძლევენ ღოზით 0,005 გ/კგ საკვებათან შერეულს, სამი ღღის განმავლობაში, ჯგუფური მეთოდით (ჯგუფში 10-15 სული). ფენბენდაზოლს უნიშნავენ ღოზით 0,005 გ/კგ (აქტიურად მოქმედი ნივთიერების მიხედვით), ორჯერად, ორი ღღის განმავლობაში, საკვებათან შერეულს.

პროფილაქტიკა და ბრძოლის ღონისძიებები. მეტასტრონგილოზის მიმართ არაკეთილსამედო მეურნეობებში დაავადების თავიდან

ასაცილებლად ახორციელებენ ღონისძიებათა კომპლექსს, პროფილაქტიკურ და სამკურნალო დეპელმინთიზაციებს. საღორეში იატაკი უნდა იყოს მყარი, ღრუქოების გარეშე, მცირედი დაქანებით (წუნწუხის ჩამოსადენად). ფიცრები უნდა დაიგოს მჭიდროდ, უშავლოდ თიხის ან ასფალტის ფენაზე, რათა არ შეიქმნას სივრცე, სადაც შეიძლება დაგროვდნენ ჭიაყელები. სასურველია სასეირანო მოედნების მოწყობა ბეტონის საფარით. საღორები და სეირანები ყოველდღიურად უნდა გასუფთავდეს ნაკელისაგან, რომელიც გატანილ უნდა იქნეს ნაკელსაცავში ბიოთერმული გაუვნებლობისათვის. საღორების ასაშენებლად და ბანაკების მოსაწყობად უნდა შეირჩეს მშრალი, მაღლობი ადგილი, სადაც ჭიაყელების სასიცოცხლოდ არახელსაყრელი პირობებია. საქართველოში ღორებს ძირითადად არასტაციონარულ პირობებში ინახავენ. ამიტომ მეტასტრონგილუსებით დაინვაზიების დამატებითი შესაძლებლობის თავიდან ასაცილებლად დაუშვებელია ფერმისპირა ტერიტორიაზე ღორების გაშვება წვიმის შემდეგ, რადგან ამ დროს ჭიაყელები ამოდიან ნიადაგის ზედაპირზე. სავალდებულოა მიმდინარე წელს დაბადებული მოზარდეულის მოზრდილი სულადობისგან იზოლირებულად გამოზრდა.

პროფილაქტიკური დეპელმინთიზაციები უნდა დაიგეგმოს წელიწადში ორჯერ: შემოღვიმით, ბაგურ შენახვაზე ღორების გადაყვანამდე 10 დღით ადრე და გაზაფხულზე - საძოვარზე და სეირანზე გაშვებამდე. სამკურნალო დეპელმინთიზაციას ატარებენ წლის ნებისმიერ ღროს, დაავადების კლინიკური ნიშნების გამოვლენისთანავე.

არაკეთილსამედო მურნეობებში ქიმიოპროფილაქტიკისათვის იყენებენ პიპერაზინ-ადიპინატს ან პიპერაზინ-სულფატს, რომელთაც ღორებს აძლევენ დოზით 0,05 გ/კგ საკვებთან შერეულს, ჯგუფურად, ყოველდღე მთელი საძოვრული პერიოდის განმავლობაში.

პროფილაქტიკური პრეიმაგინალური დეპელმინთიზაციისათვის რეკომენდებულია ნილვერმი, რომელიც ღორებს ეძლევა დოზით 0,005 გ/კგ, საკვებთან შერეული, ჯგუფური მეთოდით, ორ დღეს ზედიზედ, თვეში ერთხელ საძოვრული შენახვის დროს. გოჭების დეპელმინთიზაციას იწყებენ 1,5-2 თვის ასაკიდან.

ფრინველის სინგამოზი

სინგამოზის აღმმდვრელები არიან სტრონგილატები, რომლებიც მიეკუთვნებიან *Syngamidae*-ს ოჯახს. სინგამუსები პარაზიტობენ შინაური და გარეული ფრინველის (განსაკუთრებით ქათმის და ქათმისებრთა) ტრაქეაში, იშვიათად - ბრონქებში. დაავადება ხშირად ენზოოტის ფორმით მიმდინარეობს.

ცნობილია სინგამოზის აღმმდვრელთა ექვსი სახეობა. მათგან განსაკუთრებით გავრცელებულია *Syngamus trachea*.


აღმმდვრელი წითელი ფერის ნემატოდაა. სქეს-მწიფე სინგამუსები მუდმივად შეწყვილებულ მდომარეობაში არიან. მათ მძლავრი პირის კაფსულა აქვთ, რომლის ძირზე 6-დან 10-მდე საშუალო ზომის კბილია. მამრის სხეულის სიგრძე 2-4 მმ-ია. კუდის ბოლოზე სასქესო ბურსა და თანაბარი ზომის ორი სპიკელაა. მდედრის სხეულის სიგრძე 7-20 მმ-ია. სასქესო ხვრელი სხეულის წინა ნაწილში მდებარეობს. კვერცხს, რომელიც ოვალური ფორმისაა (0,070-0,100 მმ x 0,043-0,046 მმ), სქელი გარსი აკრავს. მის პოლუსებზე ორი სარქველია. ახლად გამოყოფილი კვერცხის შიგთავსი შეიცავს ემბრიონს, რომელიც 16 უჯრედისაგან შედგება.

აღმმდვრელის ბიოლოგია. სინგამუსები გეონემატოდები არიან, მაგრამ დაავადების გავრცელებაში რეზერვუარულ პარაზიტიზმს დიდი მნიშვნელობა სურ. 63. *Syngamus* აქვს. მათი რეზერვუარული მასპინძლები არიან *trachea* შეწყვილებისაზე, აგრეთვე ხმელეთისა და მტკნარი ბულ მდგომარეობაში ლოკოკინების ზოგიერთი სახეობა, მრავალფეხა, მწერები, მათ შორის ოთახის ბუზიც.

სინგამუსები ფრინველის ტრაქეაში დებენ კვერცხებს, რომლებიც ლორწოსთან ერთად ხვდებიან პირის ღრუში, გადაიყლაპებიან და სკორესთან ერთად გამოიყოფიან გარემოში. ახლად გამოყოფილი კვერცხი მგრძნობიარეა გამოშრობის მიმართ, მაგრამ ხელსაყრელ პი-



რობებში (20-30°C ტემპერატურა და საკმარისი ტენიანობა) მასში სამ დღეში ვითარდება ლარვა, რომელიც ორჯერ იცვლის კანს და აღწევს ინგაზიურ სტადიას. 9-10 დღის შემდეგ ინგაზიური ლარვა შეიძლება გამოიჩეკოს ან დარჩეს კვერცხში. გამოჩეკილი ინგაზიური ლარვა მგრძნობიარეა გამოშრობისადმი. იგი სწრაფად კარგავს აქტიურობას და ვერტიკალური მიგრაციის უნარს.



სურ. 64. *Syngamus trachea*: 1-თავის ბოლო; 2-მამრის კუდის ბურსა; 3-მდედრის კუდის ბოლო; 4- კვერცხი (A-მოუმწიფებელი, B-განვითარებული ლარვით).

რომელმაც შეიძლება გადაყლაპოს ინგაზიური კვერცხი ან ინგაზიური ლარვა. მის ორგანიზმში ლარვები იბუდებენ კუნთებში, სადაც წლობით ინარჩუნებენ ინგაზიურ თვისებებს. ფრინველი ავადდება და ინგაზიებული რეზერვუარული მასპინძლის გადაყლაპვით. ორივე შემთხვევაში მის ნაწლავში გამოთავისუფლდებიან სინგამუსის ლარვები, რომლებიც შეიჭრებიან ნაწლავის კედელში და სისხლის გზით მიგრირებენ ფილტვებში. ფილტვის კაპილარებიდან ლარვები ხვდებიან ალვეოლებში, სადაც მესამედ იცვლიან კანს. კანის ბოლო, მეოთხე ცვლა ხდება წვრილ ბრონქიოლებში მათი მოხვედრისას. აქედან ახალგაზრდა სიგამუსები მიგრირებენ მსხვილ ბრონქებში და შეწყვილდებიან. ისინი ტრაქეას აღწევენ და ინგაზიებიდან მეშვიდე დღეს, ხოლო მე-17-მე-20 დღეს სკორეში შესაძლებელია პარაზიტის კვერცხების აღმოჩენა. დეფინიტური მასპინძლის ორგანიზმში სინგამუსების სიცოცხლის ხანგრძლივობა ორი თვეა.

ეპიზოოტოლოგიური მონაცემები. სინგამოზი კერობრივი დაავადება. იგი გავრცელებულია ნესტიანი და თბილი კლიმატის ადგილებში, სადაც პარაზიტის კვერცხების განვითარებისა და გარემოში მათ შენარჩუნებისათვის ხელშემწყობი პირობებია. დაავადების გავრცელების წყაროა დაინგაზიებული შინაური და გარეული ფრინველი. უპირატესად აგადდება მოზარდეული, ინდაურების გამოკლებით, რომლებიც აგადდებიან ყველა ასაკში. დეფინიტური მასპინძლის დაინგაზიება ძირითადად ხდება წლის თბილ პერიოდში.

პათოგენეზი. ძლიერი დაინგაზიებისას ფილტვებში მიგრაციის დროს ლარვები იწვევენ ფილტვების შეშექებას და პნევმონიასაც კი. ზრდასრული სინგამუსები ემაგრებიან ტრაქეისა და მსხვილი ბრონქების ლორწოვან გარსებს, წოვენ სისხლს და იწვევენ მათ კატარულ ანთებას. ამ დროს ხდება დიდი რაოდენობით ლორწოს სეკრეცია, რომელიც ნაწილობრივ ან მთლიანად ახშობს სასუნთქი გზების სანათურს. სინგამუსები თავის ბოლოებით დრმად იჭრებიან ტრაქეის კვედელში, სადაც კვანძები წარმოიქმნება.

დაავადების სიმპტომები. ჩვეულებრივ, დაავადება ვლინდება ორ თვემდე ასაკის წიწილებში. ყველაზე დამახასიათებელი ნიშანია "მთქნარება". ფრინველი თავს აქნევს, კისერს წაიგრძელებს, ნისკარტს ფართოდ აღებს და მოკლე მსტენავი ხველების ბგერებს გამოსცემს (თხიპინებს). ამ დროს სუნთქვა გამნელებულია, აღინიშნება ქოშინი და ასფიქსიის ნიშნები. ნისკარტში გროვდება სქელი, წელვადი ლორწო. მიუხედავად მადის შენარჩუნებისა ფრინველი მჭლევდება და სუსტდება. ლორწოვანი გარსები ფერმკრთალია, ბუმბული აბურძენილია, ფრთები დაშვებული, მოძრაობა - შენელებული. წიწილა ასფიქსიის მოვლენებით იღუპება.

უფროსი ასაკის ფრინველში სინგამოზი მკვეთრად გამოხატული კლინიკური გამოვლინების გარეშე მიმდინარეობს.

პათოლოგიურ-ანატომიური ცვლილებები. წიწილას ლეში გამჭლევებულია, ლორწოვანი გარსები - ანემიური. ტრაქეაში ნახულობები ლორწოვან გარსზე მიმაგრებულ სინგამუსებს, აგრეთვე ლორწოს და სისხლის კოლტებს. ხშირად პარაზიტების ფიქსაციის ად-

გილებში ჩანს კვანძები და აბსცესები.

დიაგნოზი ფრინველის სიცოცხლეში დგინდება კლინიკური ნიშნებისა და სკორეში სინგამუსის კვერცხების აღმოჩენით (ფლოტაციის მეთოდი). გარდა ამისა, უტყუარია ტრაქეის დათვალიერება, რისთვისაც ერთი ხელით იჭრება წიწილას, მეორეთი კი ჩავლებენ ნისკარტს, კისერს ფრთხილად დაჭიმუვენ და ტრაქეას სინათლეზე გახედავენ. დაინვაზიებულ ტრაქეაში წითელი ფერის სინგამუსები კარგად ჩანან. ფრინველის სიკვდილის შემდეგ დიაგნოზს ადასტურებენ ტრაქეის გაკვეთითა და მასში სინგამუსების ნახვით.

მკურნალობა. სინგამოზით დაავადებული ფრინველის სამკურნალოდ რეკომენდებულია იოდის წყალხსნარი, სალიცილიანი ნატრიუმის 5%-იანი ხსნარი, მებენვეტი, იოდიფენი.

იოდის წყალხსნარი (1 გ კრისტალური იოდი, 1,5 გ კალიუმის იოდიდი და 2000 მლ ალუმინიული წყალი) შეცყავთ ინტრატრაქეალურად, ხუთ თვემდე ასაკის წიწილებს დოზით 1-1,5 მლ ერთ შეცვანაზე.

სალიცილიანი ნატრიუმი 5%-იანი ხსნარის ფორმით გამოიყენება დოზით 1,0 მლ ერთ ფრთაზე. დეპელმინთიზაციის შემდეგ ფრინველს 3-5 დღის განმავლობაში ინახავენ შენობაში ან სეირანზე და გამოყოფილ სკორეს აუგნებლებენ.

მებენვეტი გამოიყენება საკვებთან შერეული დოზით 0,1 გ/კგ (აქტიურად მოქმედი ნივთიერების მიხედვით).

იოდიფენი ფრინველს ეძლევა საკვებთან შერეული დოზით 0,01 გ/კგ.

პროფილაქტიკა და ბრძოლის ღონისძიებები. მეფრინველეობის ფერმებს აშენებენ შემაღლებულ ადგილებზე ქვიშნარ და თიხნარ ნიადაგებზე, რომლებშიც ჭიაყელები არ ბინადრობენ. სავალდებულოა სეირანების მუდმივად დასუფთავება. მასზე არ უნდა იყოს ქვები, ფიცრები, ძველი ფოთლები, რომელთა ქვეშ ბინადრობენ ჭიაყელები და სინგამუსების სხვა რეზერვუარული მასპინძლები. სავალდებულოა საერთო ვეტერინარიულ-სანიტარიული წესების დაცვა.

სინგამოზის მიმართ არაკეთილსაიმედო მეურნეობებში მოზარდებულის გამოზრდა ხდება იზოლირებულად ისეთ ადგილებში, სადაც ბოლო 3-4 წლის განმავლობაში არ ამყოფებდნენ დაავადებულ

ფრინველს და არ შეიძლებოდა დარჩენილიყვნენ დაინვაზიებული ჭიაყელები.

მეურნეობებში, სადაც გავრცელებულია სინგამოზი, დაავადებულ ფრინველს ცალკე გამოყოფენ, უტარებენ დეპელმინთიზაციას და ახორციელებენ ყველა აუცილებელ პროფილაქტიკურ ღონისძიებას. წელიწადის თბილ პერიოდში ფრინველს წვიმის შემდეგ არ უშვებენ სეირანებზე, რადგან ამ დროს ნიადაგის ზედაპირზე ამოდიან ჭიაყელები, მათ შორის დაინვაზიებულები, რომლებიც გარემოში ინვაზიის შენარჩუნებისა და გავრცელების წყაროს წარმოადგენენ.

სპილურატოზები


მსხვილვესა რქოსანი აირუტფვის თელაზიოზი

თელაზიოზს იწვევენ ნემატოდები *Thelazia rhodesi*, *Thelazia gulosa* და *Thelazia skrjabini*, რომლებიც მიეკუთვნებიან *Thelaziidae*-ს ოჯახს, *Spirurata*-ს ქვერაზმს. პირველი სახეობა ლოკალიზობს კონიუნქტივალურ პარკში და მესამე ქუთუთოს ქვეშ, მეორე და მესამე სახეობები - საცრომლე ჯირკვლის სადინარისა და ცხვირ-ცრებლის არხში.

აღმძვრელები მცირე ზომის, 21 მმ-მდე სიგრძის ნემატოდები არიან. *Th. rhodesi*-ს სხეული განივად დახაზულია, რაც მას დაკბილულ შესახედაობას სძენს. პირის ხვრელი მცირე ზომის კაფსულით გრძელდება. მამრის ორი არათანაბარი სპიკულა აქვს (ერთის სიგრძე 0,11 მმ-ია, მეორესი - 0,6-0,8 მმ). *Th. gulosa*-ს კუტიკულა გლუვია, მაგრამ მას დიდი ზომის პირის კაფსულა აქვს. ერთი სპიკულას ზომაა 0,129-0,165 მმ, მეორესი - 0,608-0,692 მმ. ასევე გლუვი ზედაპირი აქვს *Th. skrjabini*-ს, მაგრამ წინა სახეობისაგან განსხვავებით იგი აღჭურვილია პირის მცირე ზომის კაფსულით. მამრ ინდივიდს თითქმის თანაბარი ზომის სპიკულები (0,082 და 0,113-0,185 მმ) აქვს.

აღმძვრელის ბიოლოგია. თელაზიები ბიონემატოდები, ამასთან ცოცხალმშობები არიან. მათი შუალედური მასპინძლებია საძოვრის

ბუზები. მდედრი თელაზიები შობენ დიდი რაოდენობით მოძრავ ლარვებს, რომლებიც ხვდებან ცრუმლის ნაკადში, საიდანაც მათ ბუზები ყლაპავენ. შუალედური მასპინძლის ორგანიზმში ლარვები დაახლოებით 3-4 კვირაში აღწევენ ინვაზიურ სტადიას, რის შემდეგ გადაინაცვლებენ ბუზის ხორთუმში. თუ ბუზი თვალის მიდამოში იმყოფება და წოვს ცრუმლს, ინვაზიური ლარვები თავისით გამოდიან ხორთუმიდან და გადაადგილდებან კონიუნქტივალურ პარკში, სადაც 15-20 დღეში ამთავრებენ ზრდა-განვითარებას. თვალის მიდამოში ისინი რამდენიმე თვეს ცოცხლობენ.




სურ. 65. *Thelazia rhodesi*: 1-მდედრი ინდივიდები; 2-პარაზიტის თავის ბოლო; 3-4-მამრი და მდედრი ინდივიდების კუდის ბოლოები; 5-კვერცხი და ლარვები.

განსაკუთრებით დიდი რაოდენობით - ზაფხულში.

პათოგენზი. თელაზიები მექანიკურად აზიანებენ კონიუნქტივას და რქოვანას, რასაც თან სდევს თვალში მიკროფლორის შეჭრა და სეროზული ან ჩირქოვანი ხასიათის კონიუნქტივიტის განვითარება. დაზიანებული რქოვანა იძლვოვევა. ანთების შედეგად კონიუნქტივა იმდენად სივდება, რომ ქუთუთოები მთლიანად ხურავენ დაინვაზიებულ თვალს. რქოვანაზე ვითარდება ეროზიები. შესაძლოა იგი გაიხვრიტოს, ბროლი დაზიანდეს და ფიბრინულ-ჰემორაგიული ირიდოციკლიტი განვითარდეს. ანთებითი პროცესების შედეგად შემდგრე-

ულ რქოვანაში ჩნდება მრგვალი ან ოვალური წყლული და თვალის კავალი ძლიერ გამობერილია. დროთა განმავლობაში რქოვანა თანდათანობით ხორცდება, დიფუზური შემდგრევა იუანტება და თვალი ნორმალურ შესახედაობას იძენს. ყოფილი წყლულის ადგილზე, როგორც წესი, რჩება სხვადასხვა სიდიდის თეთრი ლაქა.



სურ. 66. *Thelazia gulosa*: 1-პარაზიტის თავის ბოლო; 2-3-მამრი და მდედრი ინდივიდების კუდის ბოლოები; 4-კვერცხი და ლარვები.

დაავადების სიმპტომები. დამახასიათებელი ნიშნებია: ცრემლდენა, სინათლის შიში, კონიუნქტივის გაწითლება და შესივება, ქუთუთოების შეშუპება, უყურადღებობის შემთხვევაში - კერატიტი, წყლულები რქოვანაზე, ლიბრი. ჩვეულებრივ, დაავადება 1-2 თვეს გრძელდება. განსაკუთებით მძიმე ფორმით იგი მიმდინარეობს ოთხი თვისა და მეტი ასაკის მოზარდეულში. გარდა ამისა, ცხოველები წუხან, თავს აქვევენ. აღინიშნება მადის დაქვეითება და წველადობის შემცირება. კლინიკური გამოვლინების დონე ყოველთვის არ შეესაბა-

მება დაინვაზიების ინტენსიურობის ხარისხს. ზოგიერთ შემთხვევაში, თელაზიებით დიდი რაოდენობით დაინვაზიების მიუხედავად, დაავადების სიმპტომები არ აღიანიშნება.

კათოლოგიურ-ანატომიური ცვლილებები. დამახასიათებელია კონიუქტივიტი, კერატიტი, რქოვანას შემღვრევა და დაწყლულება, ბროლის დაზიანება. ჰისტოლოგიური გამოკვლევით დგინდება ნერვული ბოჭკოების ცვლილებები რქოვანასა და კონიუქტივაში, კერძოდ, ვარიკოზული შესქელება, ღერძული ცილინდრების ფრაგმენტაცია და ლიზისი.

დიავნოზი დგინდება კლინიკური ნიშნებისა და კონიუქტივალური არედან ჩამონარეცხის გამოკვლევით. ავადმყოფი ცხოველების გამოსავლენად ზაფხულობით მსხვილფეხა რქოსან პირუტყვს ყოველთვიურად იკვლევენ.

მკურნალობა. თელაზიოზის დროს, რომელიც გამოწვეულია *Th. rhodesi*-ს მიერ, რეკომენდებულია თვალის გამობანა სპეციალური ხსნარებით, როგორებიცაა ბორის მუავას 2-3%-იანი ხსნარი, ლიზოლის 3%-იანი ემულსია, იქტიოლის 3%-იანი ემულსია, 38-39°C-მდე შემთბარი იოდის წყალხსნარი (კრისტალური იოდი - 1 გ, კალიუმის იოდიდი - 2 გ, ადუღებული წყალი - 2 ლ). აღნიშნული ხსნარები და ემულსიები თვალბუდებში შეჰქავთ რბილბოლოიანი საშხეფით. სამკურნალო დეპელმინთიზაცია ხორციელდება სამჯერად 2-3 დღის ინტერვალით.

Th. gulosa-სა და *Th. skrjabini*-ს მიერ გამოწვეული თელაზიოზის დროს იყენებენ დიტრაზინ ციტრატს, დოზით 0,015 გ/კგ. პრეპარატი შეჰქავთ კანქვეშ ორჯერად, ერთი დღე-დამის ინტერვალით ან პერიორბიტალურ სივრცეში ერთჯერად.

პროფილაქტიკა და ბრძოლის ღონისძიებები. ახორციელებენ მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის მთელი სულადობის პროფილაქტიკურ დეპელმინთიზაციას ბაგური შენახვის პერიოდში ან გაზაფხულზე, საძოვრის ბუზების ფრენის დაწყებამდე. ამის შემდეგ მთელი სულადობის დამუშავება ხდება ყოველი 7-8 დღის შემდეგ. ზაფხულის ცხელამინდიან დღეებში, საძოვრის ბუზების ძლიერი აქტიურობის პერიოდში, რეკომენდებულია პირუტყვის შენახვა სადგომებში ან ფარდულებში.

ტრიქოცეფალატოზები


ლორის ტრიქოცეფალოზი

ტრიქოცეფალოზი შინაური და გარეული ღორის დაავადებაა, რომლის აღმძვრელი - *Trichocephalus suis* მიეკუთვნება *Trichocephalidae*-ს ოჯახს, *Trichocephalata*-ს ქვერაზმს. ტრიქოცეფალუსები პარაზიტობენ ბრმა ნაწლავში.


აღმძვრელი. ტრიქოცეფალუსებისათვის (თმათავიანები) დამახასიათებელია წვრილი, გრძელი, ძაფისებრი თავისა და მსხვილი, მოკლე კუდის ბოლოები. ამასთან, თავის ბოლოს სიგრძე 2,5-ჯერ აღემატება კუდის ბოლოსას. მამრის სხეულის სიგრძე 2-5 სმ-ია. მას მომრგვალებული კუდის ბოლო და ერთი მცირე ზომის (1,7-2,5 მმ) სპიკულა აქვს. მდედრის სხეულის სიგრძე 4-5,3 სმ-ია. ვულვა მდებარეობს სხეულის წვრილი და მსხვილი ნაწილების საზღვარზე. კვერცხი ოვალური ფორმისაა (0,052-0,061 მმ x 0,027-0,030 მმ). მას სქელი გარსი და ორივე პოლუსზე საცობები აქვს. ახალგამოყოფილი კვერცხის შიგთავსი დაყოფისწინა სტადიაზეა.



სურ. 68. *Tr. suis*-ის მდედრი და მამრი ინდივიდები



სურ. 69. *Tr. suis*-ის მდედრი და მამრი ინდივიდები



სურ. 70. ტრიქოცეფალუსის კვერცხი

აღმძვრელის ბიოლოგია. ტრიქოცეფალუსების კვერცხები ფეკალთან ერთად ხვდებიან გარემოში, სადაც სათანადო ტემპერატურისა და ტენიანობის პირობებში ინვაზიურ სტადიას 2-3 კვირაში აღწევენ. ღორის დაინვაზიება ხდება საკვებთან ან წყალთან ერთად ინვაზიური კვერცხების გადაყლავით. ცხოველის ორგანიზმში მათგან გამოთავისუფლდებიან ლარვები, რომლებიც ემაგრებიან ბრმა ნაწლა-

ვის ლორწოვან გარსს და 40-45 დღის შემდეგ ჩამოყალიბდებიან სქესმწიფე ჰელმინთებად. ლორის ნაწლავში ტრიქოცეფალუსები ცოცხლობენ 77-114 დღეს.

ეპიზოოტოლოგიური მონაცემები. ლორის ტრიქოცეფალოზი გავრცელებულია ყველგან. არაკეთილსამედო მეურნეობებში ლორების დაინვაზიების ექსტენსიურობის მაჩვენებელმა შეიძლება 80%-ს მიაღწიოს. ერთი ცხოველი შეიძლება დაინვაზიებული იყოს 6000-ზე მეტი ტრიქოცეფალუსით. უმთავრესად ავადმყოფობენ ასხლეტილი გოჭები და გასასუქებელი ღორები. ცხოველების დაინვაზიება ძირითადად ხდება წლის თბილი პერიოდის განმავლობაში სადგომებში, საღორის ტერიტორიაზე, სასეირანო მოედნებსა და საძოვარზე. ინვაზიური საწყისის გადატანა შესაძლებელია მოვლის საგნებით, ფრინველების, ბუზების, სხვა მწერების, აგრეთვე მომსახურე პერსონალის მიერ.

ტრიქოცეფალოზი ხშირად მიმდინარეობს ასკარიდოზთან და ეზოფაგოსტომოზთან ერთად შერეული ინვაზიის სახით.

ტრიქოცეფალუსის კვერცხები ნაკლებად მდგრადები არიან მაღალი ტემპერატურის მიმართ. მზის პირდაპირი სხივების ზემოქმედების შედეგად ისინი 5-7 დღის შემდეგ იხოცებიან, ხოლო ნაკლების ცივად შენახვის პირობებში სიცოცხლის უნარს შვიდ თვეზე მეტ ხანს ინარჩუნებენ. ისინი ასევე მდგრადები არიან 5%-იანი კრელინისა და 2%-იანი ქლორინის მიმართ.

პათოგენუზი. ტრიქოცეფალუსები თავის ბოლოთი იჭრებიან ნაწლავის ლორწოვან გარსში, აზიანებენ მას, არღვევენ სისხლძარღვების მთლიანობას, იწვევენ ნაწლავის ანთებას, მკვეთრად გამოხატულ კატარულ-დიფთერიულ კოლიტს. ლორწოვანი გარსის ღრმა შრეებში ვითარდება დისტროფიული პროცესები, მეზნეზერიალურ ლიმფურ კვანძებში - ლიმფადენიტი, ღვიძლში წარმოიქმნება მარცვლოვანი და ნაწილობრივ ცხიმოვანი დისტროფია. მნიშვნელოვანად ქვეითდება ჰემოგლობინის შემცველობა, ერთოროციტების რაოდენობა; ვლინდება მკვეთრად გამოხატული ლეიკოციტოზი, ჩქარდება ერითროციტების დალექვის რეაქცია, მცირდება შრატოვანი ცილებისა და შექრის საერთო რაოდენობა.

დაავადების სიმპტომები. აღინიშნება დასუსტება, დაბეჩავება, მადის გაუკულმართება, პროგრესირებადი სიგამზდრე, ტემპერატურის

მომატება მცირე ხნით, მძიმე სუნთქვა, ფაღარათი, რომელიც ზოგჯერ შეიცავს სისხლსა და ლორწოვას. პერიოდულად ვითარდება კრუნჩები, ცხოველები წრეზე მოძრაობენ. მუცლის კედელი მტკივნეულია. ზოგჯერ ღორები უკანა კიდურებზე სხდებიან.

პათოლოგიურ-ანატომიური ცვლილებები ტრიქოცეფალოზით მკვდარ გოჭებში გამოხატულია კატარული გასტროენტერიტის, კატარულ-დიფთერიული კოლიტისა და პროტეიტიტის, პარენქიმული ორგანოების დისტროფის, ფილტვების სისხლით გადავსებისა და შეშუპების, კატარული ლიმფადენიტის სახით.

ლორწოვან გარსში შეჭრილი ტრიქოცეფალუსები ზიგზაგისებრ ხვრელებს ტოვებენ, ეფლობიან ლორწოში, მათთან ახლომდებარე ხაოები და ეპითელური უჯრედები თანდათან იშლებიან. აღინიშნება ნაწლავის კედლის გასქელება და ეპითელიუმის გაფაშარავება, რომლებიც კბილნების ფორმით არიან გამოშვერილი ნაწლავის სანათურში.

დიაგნოზის დასადგენად ფეცალს იკვლევენ ფლოტაციის ან შეკრბოვიჩის მეთოდებით, ცხოველის სიკვდილის შემდეგ - აღმმრელის აღმოჩენის საფუძველზე. პათოლოგიურ-ანატომიური დიაგნოზის დროს საჭიროა გამოითიშოს პარატიფი, რომლის შემთხვევაში განვითარებული ცვლილებები ტრიქოცეფალოზის დროს არსებული ცვლილებების მსგავსია, განსაკუთრებით თმათავიანების პრეიმაგინალური განვითარების პერიოდში.


მეურნალობა. იყნებენ ბუბულინს. პრეპარატს უნიშნავენ დოზით 0,075 მლ/კგ კისრის მიღამოს კუნთებში, ორჯერად, 24 საათის ინტერვალით, კვების რეჟიმის შეუცვლელად. ლიტერატურაში არის ცნობები ღორის ნემატოდოზების (ტრიქოცეფალოზი, ასკარიდოზი, ეზოფაგოსტომოზი) დროს ქლოროფორის მაღალი ეფექტურობის შესახებ, რომელიც ცხოველს ეძლევა დოზით 0,1 გ/კგ, შეგნით, ორჯერად (ხუთი დღის შეალებით), 2-5%-იანი წყალხსნარის სახით.

პროფილაქტიკა და ბრძოლის ღონისძიებები. ღორის ტრიქოცეფალოზის მიმართ არაკეთილსამედო მეურნეობებში ატარებენ პროფილაქტიკურ დეპელმინთიზაციას გაზაფხულზე, დაბანაკების წინ და შემოღომაზე - ბაგურ შენახვაზე დაყენებამდე. ზოგადი სანიტარიულ-პროფილაქტიკური ღონისძიებები ისეთივეა, როგორიც ღორის ასკარიდოზის დროს.

ტრიქინელოზი

ტრიქინელოზი არის მწვავე ან ქრონიკული ფორმებით მიმდინარე, ალერგიული მოვლენებით მკვეთრად გამოხატული ზოოანთონ-პოზოონოზური დაავადება, რომლის აღმძვრელი - *Trichinella spiralis* მიეკუთვნება *Trichinellidae*-ს რჯახს, *Trichocephalata*-ს ქვერაზშს.

ზრდასრული ტრიქინელები პარაზიტობენ ცხოველებისა და ადამიანის წყვილ ნაწლავებში, ხოლო მათი ლარვული ფორმები - იმავე ორგანიზმების განივზოლიან კუნთებში.



სურ. 71. *Trichinella spiralis*: 1-მამრი; 2-მდედრი; 3-ლარვა; 4-კუნთები ახალშეჭრილი ლარვა; 5-ინცისტირებული ლარვა

თოზი დიდ საფრთხეს უქმნის ადამიანის ჯანმრთელობას, რადგან იგი მძიმე ფორმით ავადდება და შეიძლება დაიღუპოს კიდეც.

აღმძვრელი. ტრიქინელები მცირე ზომის ნებაზოდები არიან. მამრის სხეულის სიგრძე 1,4-1,6 მმ-ია. კუდის ბოლოზე კლოაკის უკან,

ორ ფარფლს შორის ორი წყვილი დვრილია. მდედრი ტრიქინელების სხეულის სიგრძე 3-4 მმ-ია. ისინი ცოცხალმშობები არიან.

აღმძვრელის ბიოლოგია. ტრიქინელოზის დროს ერთი და იგივე ცხოველი არის ამ დაავადების აღმძვრელის ჯერ დეფინიტური (ნაწლავის ტრიქინელები), შემდეგ შუალედური (კუნთის ტრიქინელები) მასპინძელი. ცხოველების დაინვაზიება ხდება ტრიქინელას ცოცხალი ლარვების კაფსულებშეცველი ხორცის შექმით. კუჭში კაფსულა იშლება, მისგან გამოთავისუფლდება ერთ მმ-მდე სიგრძის ლარვა, რომელიც თორმეტგვჯა ნაწლავში შეჩერდება და 30-40 საათის შემდეგ ჩამოყალიბდება ზრდასრულ ინდივიდად. მდედრები თავის ბოლოთი შეიჭრებიან ნაწლავის ლორწოვან გარსში, განაყოფიერდებინ და დაინვაზიებიდან მეოთხე დღეს შობენ ცოცხალ 1,2 მმ-მდე სიგრძის ლარვებს. თითოეული მდედრი შობს 2000-ზე მეტ ლარვას, რომლებიც შეიჭრებიან ჯერ ლიმფურ, შემდეგ სისხლის მიმოქცევის სისტემაში და სისხლის მეშვეობით ვრცელდებიან მთელ ორგანიზმში. ისინი ჩერდებიან განივზოლიან კუნთებში, შეიჭრებიან კუნთოვანი ბოჭკოების სარკოლემის ქვეშ, იზრდებიან, სპირალის სახით იწვევიან და მასპინძლის დაინვაზიებიდან 17-18 დღის შემდეგ აღწევენ ინვაზიურ სტადიას. მომდევნო 4-12 კვირის განმავლობაში ლარვების გარშემო ყალიბდება კაფსულები, რომლებიც ექვსი თვის შემდეგ ჩაიკირებიან. მთლიანად ეს პროცესი 15-16 თვის შემდეგ მთავრდება.

ტრიქინელას ლარვები გულში არ ვითარდებიან გულის კუნთოვანი ბოჭკოების თავისებური აგებულების გამო. კუნთებში ინკაფსულირებული ლარვები სიცოცხლის უნარს ინარჩუნებენ 25 წლის განმავლობაში. მდედრი ინდივიდები ნაწლავში რჩებიან რვა კვირის განმავლობაში. შემდეგ ისინი იხოცებიან. რაც შეეხება მამრებს, ისინი იხოცებიან განაყოფიერების შემდეგ.

ეპიზოოტოლოგიური მონაცემები. ეს ჰელმინთოზი ყველგან არის გავრცელებული. პრაქტიკული და სამედიცინო-სანიტარიული მნიშვნელობა აქვს ღორის ტრიქინელოზს. ღორების დაინვაზიება ხდება ტრიქინელებით დაინვაზიებული ვირთაგვას, თაგვის, კატის, გარეული ცხოველების ლეშების, აგრეთვე უმი ან ცუდად მოხარშული სასაკლაოს კონფისკატებისა და ხორცის ანარჩუნების შექმით. ადა-

მიანი ავადდება ტრიქინელას ლარვებით დაინვაზიებული ღორის ხორცის ან ნანადირევის (გარეული ღორის ან დათვის ხორცი) შეჭმით. დასახლებულ პუნქტებში ტრიქინელოზის გავრცელებაში დიდ როლს ასრულებს დაინვაზიებული თაგვები და ვირთხები, რომელთა ლეშებს ღორები ჭამენ.

კუნთის ტრიქინელები დიდ გამდლეობას იჩენენ გარემო ფაქტორების მიმართ. ლპობად ხორცში ისინი ინვაზიურ თვისებებს ინარჩუნებენ ოთხი თვის განმავლობაში, ხანგრძლივად ძლებენ მინუს 10°C ტემპერატურის პირობებში. სუსტად დამარილებისა და ჩვეულებრივი დაშასხვის დროს ლარვები არ იხოცებიან. მინუს 30°C -ზე ღორის ნაკლავში ისინი იხოცებიან $52\text{-}64$ საათის, ხოლო მინუს 50°C -ზე - $15\text{-}18$ საათის შემდეგ.

პათოგენები. მიგრაციის პროცესში ტრიქინელას ლარვები აზიანებენ ქსოვილებს, იწვევენ სისხლდენას. ლარვების ცხოველმოქმედებისა და დაშლის, აგრეთვე მასპინძლის დაშლილი ქსოვილების პროდუქტები იწვევენ ორგანიზმის მოწამვლას. პათოგენურ ზემოქმედებას ახდენენ მოზრდილი ტრიქინელებიც, რომლებიც არღვევენ ნაწლავის ლორწოვანი გარსის მთლიანობას, რითაც ხელს უწყობენ ორგანიზმში პათოგენური მიკროფლორის შექრას. ტრიქინელების პარაზიტობის გამო ვითარდება ღორის ორგანიზმის სენსიბილიზაცია მკვეთრად გამოხატული აღერგიული მოვლენებით.

დაავადების სიმპტომები. ღორებში ტრიქინელოზი აშკარად გამოხატული კლინიკური ნიშნების გარეშე მიმდინარეობს. აღნიშნავენ სხეულის ტემპერატურის ხანმოკლე მომატებას, სუნთქვის გახშირებას, კუნთების მტკივნეულობას, კანის ქავილს, კანკალს, შენაცვლებით კოჭლობას, ზოგჯერ - ფაღარათსა და პირღებინებას. დაავადების კლინიკური გამოვლინება ემთხვევა ტრიქინელას ლარვების მიგრაციისა და ინკაფსულირების პერიოდს. შემდეგ კლინიკური ნიშნები ქრება.

პათოლოგიურ-ანატომიური ცვლილებები. ირლვევა კუნთოვანი ბოჭკოების ხორმალური აგებულება: კაფსულების განთავსების ადგილებში ბოჭკოები გაფართოებულია და მათ თითისტარისებრი ფორმა აქვთ, განივზოლიანობა ქრება, ბირთვები დიდდება, კუნთოვანი ბოჭკოები იშლება და მარცვლოვან მასად გადაიქცევა. ძლიერი

დაინვაზიების დროს ჩონჩხის კუნთებში შეიმჩნევა მცირე, ყაყაჩის თესლის ზომის მოთეთრო ფერის გამკვრივებები, რომლებიც წარმოადგენენ ტრიქინელას ლარვებშემცველ კაფსულებს.

ტრიქინელას ლარვები ძირითადად ლოკალიზობენ დიაფრაგმის ფეხებში, ენის, საყლაპავის, ხორხის, ნეკნთაშუა, მკერდის კუნთებში. იშვიათად ლარვების ნახულობენ პარენქიმულ ორგანოებში, ღორის ქონის კუნთოვან შრეებში.

დიაგნოზი. ღორის სიცოცხლეში ტრიქინელოზზე დიაგნოზი შეიძლება დაისვას იმუნოლოგიური მეთოდით (არაპირდაპირი იმუნოფლუორესენციის სეროლოგიური რეაქცია), მაგრამ მან ჯერჯერობით ვერ პოვა ფართო გამოყენება სავეტერინარო პრაქტიკაში. ასევე შესაძლებელია ბიოფსიით აღებული კუნთების ნაწილაკების გამოკვლევა ტრიქინალას ლარვების შემცველობაზე.

ღორის დაკვლის შემდეგ დიაგნოზს ადგენენ ტრიქინელოსკოპის მეთოდით. დაიფრაგმის ფეხებილან მაკრატლის მეშვეობით აღებულ შვრიის მარცვლისხელა 24 ანათალს ჭყლეტენ კომპრესორიუმის ორ მინას შორის და იკვლევენ მიკროსკოპის მეშვეობით. გარდა ამისა, იყენებენ ხელოვნური კუჭის წვენში ხორცის მცირე ნაჭრების გადამუშავების მეთოდს, რა დროსაც ხდება (დაინვაზიების შემთხვევაში) ტრიქინელას ლარვების გამოთავსიუფლება. კაფსულების ჩაკირვისას ანათლებს ამჭვირვალებენ, რითვისაც 1-2 საათით მათ ათავსებენ მარილმჟავას 5-10%-იან ხსნარში.

პროფილაქტიკა და ბრძოლის ღორისძიებები. ტრიქინელებით ადამიანის დაინვაზიების თავიდან ასაცილებლად სავალდებულოა ღორის ყველა ნაკლავის, აგრეთვე ნანადირევი გარეული ღორისა და დათვის ხორცის გამოკვლევა. ტრიქინელებით ნებისმიერი ინტენსიურობით დაინვაზიების შემთხვევაში ღორის ნაკლავი და ნანადირევი ხორცი, აგრეთვე სუბპროდუქტები იგზავნება საუტილიზაციოდ. ქონს აღნობენ 100°C ტემპერატურაზე 20 წუთის განმავლობაში, ხოლო შინაგან ცხიმს შეუზღუდავად იყენებენ.

ტრიქინელებით დაინვაზიებული ნაკლავის აღმოჩნდისას ხორციომბინატებისა და სასაკლაოების ხორცსაკონტროლო სადგურები და სავეტერინარო საწარმოები აღნიშნულის შესახებ ატყობინებენ იმ მეურნეობებს, საიდანაც მოიყვანეს ცხოველი. განსაკუთრებული

ყურადღება უნდა დაეთმოს თაგვებისა და ვირთხების საწინააღმდეგო ღონისძიებათა განხორციელებას. მღრღნელების ლეშები აუცილებლად უნდა დაიწვას. დაუშვებელია გაუვნებლობის გარეშე ღორის საკვებად სასაკლაოს ანარჩენების გამოყენება. უნდა აიკრძალოს ღორების ხეტიალი დასახლებული პუნქტების ტერიტორიაზე.

ტრიქინელოზის მიმართ ნებისმიერი არაკეთილსამედო პუნქტი უნდა მიჩნეულ იქნეს დაავადების ბუნებრივ კერად, სადაც საგალდებულოა განხორციელდეს ვეტერინარიულ-სანიტარიულ და სამედიცინო-პროფილაქტიკურ ღონისძიებათა კომპლექსი.

აკანთოცეფალოზი და აკანთოცეფალოზები

აკანთოცეფალოზებს იწვევენ მჩხვლეტავთავიანი ჰელმინთები (აკანთოცეფალები), რომლებიც გაერთიანებული არიან ტიპში - *Acanthocephales*, კლასში - *Acanthocephala*.

აკანთოცეფალების ანატომია და ბიოლოგია

აკანთოცეფალების ზომები სიგრძეში მერყეობს 1,5 მმ-დან 70 სმ-დებულით. მათი სხეულის ფორმა თითოსტარისებრი, ცილინდრული ან ოვალურია.

მჩხვლეტავთავიანთა სხეული, რომელიც, სახეობიდან გამომდინარე, თეორი, ნარინჯისფერი ან მოყავისფრო შეფერილობისაა, ორ ნაწილად არის გაყოფილი: წინა ანუ პრესომად და უკანა ანუ მეტასომად, რომელიც საკუთრივ სხეულს წარმოადგენს. პრესომაში განლაგებულია ხორთუმი, მძლავრი კაუჭებით აღჭურვილი ხორთუმის ბუდე და ყელი. ხორთუმის ბუდე წარმოადგენს კუნთოვან ცილინდრულ ტომარას, რომელშიც ცენტრალური ნერვული განვლია. მეტასომა ანუ საკუთრივ სხეული არის კან-კუნთოვანი ტომარა, რომელიც შეიცავს დანარჩენ სისტემებსა და ორგანოებს. გარედან სხეული დაფარულია თხელი კუტიკულით, რომელიც განივად დახაზულია.

მჩხვლეტავთავიანებს არ აქვთ საჭმლის მომნელებელი სისტემა.

საკვებ ნივთიერებებს ისინი ოსმოსის გზით იღებენ ანუ მთელი სხეულით შეიწოვენ. მჩხვლეტავთავიანები სქესგაყოფილი ჰელმინთები არიან. მამრის სასქესო სისტემა განთავსებულია სხეულის ბოლოში და შედგება ორი ელიფსური ან მრგვალი სათესლე ჯირკვლისაგან თესლგამომტანი სადინრებით და სასქესო ბურსისაგან. მდედრის სასქესო სისტემაში შედის საკვერცხები და კვერცხგამომტანი გზები, კვერცხსავალი, საშვილოსნო და საშო. ნერვული სისტემა შედგება ცენტრალური ნერვული განვლიისა (მისგან გამოდიან ნერვული ღეროები, რომლებიც გასდევენ მთელ სხეულს) და პერიფერიული ნერვული დაბოლოებებისგან. აკანთოცეფალების გამომყოფი სისტემა სუსტად არის შესწავლილი.


მჩხვლეტავთავიანები ბიოპელმინთები არიან. მათი განვითარების ციკლში, როგორც შუალედური მასპინძლები, მონაწილეობენ სხვადასხვა სახეობის უხერხებლობი, უპირატესად, - კიბოსნაირები, ხოჭოები, მათი ლარვები და სხვ. განაყოფიერების შემდეგ მდედრი ინდივიდები დებენ კვერცხებს, რომლებიც შეიცავენ ჩამოყალიბებულ ლარვას - აკანტორს. გარემოში კვერცხებს ყლაპავენ შუალედური მასპინძლები, რომელთა ორგანიზმში აკანტორები გამოთავისუფლდებიან და გარდაიქმნებიან ჯერ პრეკანტელებად, შემდეგ - აკანტელებად. დეფინიტური მასპინძლის დაინვაზიება ხდება საკვებთან ან წყალთან ერთად აკანტელებით დაინვაზიებული შუალედური მასპინძლების გადაყლაპვით. მის ორგანიზმში შუალედური მასპინძლები მოინელებიან, ხოლო გამოთავისულლებილი აკანტელები ემაგრებიან ნაწლავის კედელს და იწყებენ ზრდა-განვითარებას.

ლორის მაპრაპანთორინეოზი

მაკრაკანთორინქოზის აღმმღვრელია *Macracanthorhynchus hirudinaceus*, რომელიც მიეკუთვნება *Oligacanthorhynchidae*-ს ოჯახს. იგი პარაზიტობს შინაური და გარეული ღორის წვრილ ნაწლავებში.

აღმმღვრელი. მაკრაკანთორინქოსების სხეული ზონრისებრი ფორმისაა. მამრის სიგრძე 15 სმ-დე აღწევს, მდედრის - 68 სმ-დე. ხორთუმი აღჭურვილია 12-რიგად განლაგებული 36 კაუჭით. კვერ-

ცხი ოვალურია (0,080-0,100 მმ x 0,051-0,056 მმ). მასში ჩამო-
ყალიბებული ჩანასახი - აკანტორია. კვერცხს გარს აკრავს თხელი
შრე, რომელსაც ჩაღრმავებები აქვს და ნუმის ნაჭუჭს მოგვაგონებს.



სურ. 72. *Macracanthorhynchus hirudinaceus*:
1-აპარაზიტის თავის
ბოლო; 2-კვერცხი.

შუალედური მასპინძლის ორგანიზმი აღმძ-
ვრელის განვითარების ვადები დამოკიდებულია
დაინვაზიების სეზონზე. თუ მაკრაკანთორინ-
ჯუსის კვერცხი ხოჭოს მატლის ორგანიზმი
მოხვდა ივნისის ბოლომდე, მაშინ აკანტელამ-
დე ჩანასახი ვითარდება 3,5-4 თვეში. თუ დაინვაზიება მოხდა ივ-
ლისში ან უფრო გვიან, მაშინ ეს ვადა 12-13 თვემდე იზრდება.

აკანტელები სიცოცხლის უნარს და ინვაზიურ თვისებებს არ
კარგავენ მაისის ხოჭოსა და ბრინჯაოსებრების მეტამორფოზის
მთელი პერიოდის განმავლობაში. ღორის დაინვაზიება ხდება განვი-
თარების ყველა სტადიაზე მყოფი მწერების შექმნით: მატლი, ჭუპრი,
იმაგო. შუალედური მასპინძლის ორგანიზმი ისინი სიცოცხლის
უნარს 2-3 წლის განმავლობაში ინარჩუნებენ, ხოლო მკვდარი ხო-
ჭოს ორგანიზმი 5-7 დღეს ცოცხლობენ.

ღორის საჭმლის მომნელებელ ტრაქტში აკანტელები თავისუფ-
ლდებიან გარსებისაგან, მლივ და თეძოს ნაწლავებში ამოაბრუნებენ
ხორთუმს, კაუჭებით ემაგრებიან ნაწლავის კედელს და 70-110 დღის
შემდეგ აღწევენ სქესობრივ სიმწიფეს. დადგენილია, რომ დაინვაზი-
ებიდან 20 დღის შემდეგ მდედრი სამჯერ უფრო სწრაფად იზრდე-
ბა, ვიდრე მამრი. ღორის ნაწლავში მაკარკანთორინჯუსების სიცოც-

ხლის ხანგრძლივობა 15-23 თვეს აღწევს.

ეპიზოოტოლოგიური მონაცემები დაავადებისათვის დამახასიათებე-
ლია კერობრივი გავრცელება. საქართველოში იგი რეგისტრირებუ-
ლია 36 რაიონში. მაკრაკანთორინჯოზით უფრო ხშირად ავადება
უფროსი ასაკის ღორი (ცხრა თვეზე უხნევისი). დაინვაზიება ხდება სა-
მოვარზე (განსაკუთრებით ტყის პირობებში), ფერმისპირა ტერიტო-
რიაზე. დაავადების კერაში უფროსი ასაკის ღორების დაინვაზიების
მაჩვნებელმა შეიძლება 86-100%-ს მიაღწიოს. ასევე მაღალია აკან-
ტელებით შუალედური მასპინძლების დაინვაზიების უქსტენსიურობის
მაჩვნებელიც (60-100%), ხოლო ერთი მწერის ორგანიზმში აკანტე-
ლების რაოდენობა მერყეობს ერთიდან 200 ეგზემპლარამდე. მაკრა-
კანთორინჯოზის დროს შესაძლებელია სუპერინვაზია, თუმცა ამ დროს
შეგუება 1,5-ჯერ ნაკლებია, ვიდრე პირველადი დაინვაზიებისას, ხოლო
თვით ჰელმინთების განვითარება უფრო ნება მიმდინარეობს.

მაკრაკანთორინჯუსების კვერცხები მეტად მდგრადები არიან: ბიო-
თერმიულად დაუმუშავებელ ნაკელში ისინი სამ წელს ცოცხლობენ;
წყალში, ექვსი სმ სიღრმეზე, 18-20°C ტემპერატურის პირობებში სი-
ცოცხლის უნარს 30-35 დღის განმავლობაში ინარჩუნებენ. თუ მაკრა-
კანთორინჯუსის ლარვები ზაფხულში ვერ აღწევენ ინვაზიურ სტადი-
ას, ისინი იზამთრებენ და მომდევნო წელს განაგრძობენ განვითარებას.

პათოგენები. მაკრაკანთორინჯები მძლავრი ხორთუმით და შეხვი-
ლი კაუჭებით შექრებიან ნაწლავის კედელში და აზიანებენ მას. ზოგჯერ ისინი ხვრეტებ ნაწლავის კედელს და მუცლის ღრუში გა-
დიან. აქ მათ შეუძლიათ კვლავ მიემაგრონ ნაწლავის კედელს სე-
როზული გარსის მხრიდან. ამ დროს ხდება სისხლჩაქცევები ქსო-
ვილებში, ნაწლავის სანათურში, მუცლის ღრუში, რის გამო ნაწლავ-
ში ვითარდება ანთებითი პროცესები, ხოლო ნაწლავის პერფორაცი-
ის დროს - ადგილობრივი პერიტონიტი. ორგანიზმში პათოგენური
მიკროფლორის შეჭრისას პათოლოგიური პროცესი რთულდება აბს-
ცესებით, ნაწლავის ჩირქოვანი ანთებით; ნეკროზული ინფილტრატის
დროს მაკრაკანთორინჯუსების ხორთუმის ირგვლივ აღინიშნება ეო-
ზინოფილური ინფილტრაცია, ზოგჯერ ხორთუმის ზედაპირზე მიკ-
რობების დიდი რაოდენობაა. მაკრაკანთორინჯუსების ცხოველმოქმე-
დების პროდუქტები ორგანიზმის ინტოქსიკაციას იწვევენ.



სურ. 73. მაკრაკანთორინჯას
მიერ პერფორირებული
წვრილი ნაწლავი
რა ნორმის ფარგლებშია, მაგრამ ნაწლავის პერფორაციის დროს 41°C -მდე მატულობს. მუცლის კედელი დაჭიმული და მტკივნეულია. ღორი საკვებს არ ეტანება, უმეტესად წევს. ხშირად დაავადება სიკედილით მთავრდება.

პათოლოგიურ-ანატომიური ცვლილებები. ლეში გამჭლევებულია. მლივი და თებოს ნაწლავების სეროზულ გარსზე, პარაზიტის მიმაგრების ადგილებში მოჩანს მორუხო-მოყვითალო ან მუქი წითელი კვანძები. ამ ადგილებში ნაწლავის კედელი გასქელებულია. თვით სანათურში ნახულობენ ნაწლავის კედელზე მკვიდრად მიმაგრებულ მაკრაკანთორინჯებს.

დიაგნოზი დგინდება ფეკალის გამოკვლევით (შჩერბოვიჩის მეთოდი).

მკურნალობა. შემოთავაზებულია ანტისკრებნინის გრანულირებული ფორმა დოზით 0,8 გ/კგ, აგრეთვე სუსპენზია (30 კგ-მდე ღორს დოზით 7,5 მლ, 45 კგ-მდე ღორს - 15 მლ, 45 კგ-ზე მეტი წონის ღორს - 27,5 მლ). პრეპარატი ეძღვევა საკვებთან შერეული, 4 დღის განმავლობაში ზედიზედ, დილით კვებისას.


პროფილაქტიკა და ბრძოლის ღონისძიებები. სტაციონარულ პი-

დაავადების სიმპტომები. მცირე ინტენსურობით დაინვაზიების დროს (1-15 ჰელმინთი) დაავადება უსიმპტომოდ მიმდინარეობს. დაინვაზიების მაღალი ხარისხის (50-160 ჰელმინთი) შემთხვევაში კლინიკური ნიშნები ვლინდება დაინვაზიებიდან მეორე - მეხუთე დღეს; ცხოველი დათრგუნვილი და მოუსვენარია; მადა დაქვეითებულია. დაახლოებით თვე-ნახევრის შემდეგ აღინიშნება მკვეთრად გამოხატული სისუსტე, ზრდა-განვითარების შეფერხება, ზოგჯერ - სისხლიანი ფალარათი, კანკალი და მუცლის კუნთების ტოკვა. ღორი ხშირად ჭყივის, მუცლის ქვეშ იკეცავს, ხოლო ხერხემალს რეალისებრად ამოზნებს. ჩვეულებრივ, სხეულის ტემპერატურა ნორმის ფარგლებშია, მაგრამ ნაწლავის პერფორაციის დროს 41°C -მდე მატულობს. მუცლის კედელი დაჭიმული და მტკივნეულია. ღორი საკვებს არ ეტანება, უმეტესად წევს. ხშირად დაავადება სიკედილით მთავრდება.

რობებში დაბეტონებულ იატაკზე ღორების შენახვა უზრუნველყოფს მაკრაკანთორინჯებით მათი დაინვაზიების თავიდან აცილებას. როგორც წესი, მაკრაკანთორინჯოზით დაავადებული ღორი უნდა დაიკლას. აუცილებელია ნაკელის ბიოთერმიულად გაუცნებლობა.

II გვ. პოლიმორფოზი

პოლიმორფოზის გამომწვევები არიან *Polymorphus magnus* და *P. minutus*, რომლებიც მიეკუთვნებიან *Polymorphidae*-ს ოჯახს. პირველი სახეობა უპირატესად პარაზიტობს იხვის წვრილ ნაწლავში, მეორე - მსხვილში.



სურ. 74. *P. magnus*:
1-2-მდედრი და მამრი ინდივიდები (შინაგანი აგებულება); 3-კვერცხი.

რძელებული და კვერცხისებრია.

აღმბვრელის ბიოლოგია. პოლიმორფუსები ბიოპელმინთები არიან. მათი განვითარების ციკლში მონაწილეობენ მტკნარი წყლის კიბორჩხალები. რეზერვუარული მასპინძლები არიან მტკნარი წყლის რვა სახეობის თევზები.

ფერალთან ერთად წყალში ხვდება პოლიმორფუსების კვერცხები. მათ ყლაპავენ კიბორჩხალები, რომელთა ორგანიზმში აკანტელები ვითარდებიან 14-15 დღეში. იხვის დაინვაზიება ხდება აკანტელებშემცველი კიბორჩხალების გადაყლაპვით. მის საჭმლის მომნელებელ ტრაქტში შუალედური მასპინძლები მოინელება, ხოლო გამოთავისუფლებული აკანტელები ემაგრებიან ნაწლავის კედელს და დაახლოებით ერთი თვის შემდეგ აღწევენ სქესმწიფე სტადიას.

ეპიზოოტოლოგიური მონაცემები. დაავადებას ავრცელებენ იხვები და გარეული წყლის ფრინველები. წყალსატევებში, რომელთა ფსკერის ერთ კვ.მ ფართობზე ზოგჯერ დასახლებულია 3000-ზე მეტი კიბორჩხალა, პოლიმორფუსების აკანტელებით შესაძლოა დაინვაზიებული იყოს შუალედური მასპინძლების 80%-ზე მეტი, ხოლო ერთ კიბორჩხალაში ლარვების რაოდენობა ერთიდან თერთმეტამდე მერყეობდეს. კიბორჩხალების სიცოცხლის ხანგრძლივობა 2-3 წელია. ზამთარში მათ ორგანიზმში აკანტელების განვითარება ნელა, მაგრამ მაინც მიმდინარეობს და გამოზამთრებული კიბორჩხალები გაზაფხულზე იხვების დაინვაზიების პირველწყაროს წარმოადგენენ. პოლიმორფუსების კვერცხები წყალში, 10-17°C ტემპერატურის პირობებში, სიცოცხლის უნარს ინარჩუნებენ დაახლოებით ექვსი თვის განმავლობაში.

პათოგენები და პათოლოგიურ-ანატომიური ცვლილებები. ნაწლავის კედელზე მიმაგრებისას პოლიმორფუსები თავიანთი მძლავრი კაუჭებით მექანიკურად ძლიერ აზიანებენ მას და შეიძლება გახვრიტონ კიდეც. ჰელმინთის ფიქსაციის ადგილებში ვითარდება ჩირქოვანი ხასიათის ანთება, ხოლო სეროზულ გარსზე ამ ადგილებში წარმოიქმნება შეუიარაღებელი თვალით კარგად შესამჩნევი კვანძები (შემაერთებელი გრანულაციური ქსოვილის ჩაზრდა). კვანძების გრანულაციური ქსოვილი გარდაიქმნება ნეკროზულ კერებად და ხორთუმის ირგვლივ წარმოიქმნება კაფსულა.

დაავადების სიმპტომები შეუსწავლელია.

მკურნალობა. იხვების დეპელმინთიზაციისათვის გამოიყენება ბითიონოლი, ფილიქსანი და ოთხქლორიანი ნახშირბადი.

ბითიონოლს უნიშნავენ ერთჯერად, დოზით 0,5 გ/კგ, ჯგუფური მეთოდით, საკვებთან ერთად 1:50 შეფარდებით, ორ დღეს ზედიზედ,

დილით კვების დროს. ფილიქსანს აძლევენ დოზით 5 გ/კგ კონცენტრირებულ საკვებთან ერთად 1:30-1:50 შეფარდებით, დილით კვებისას, სამ დღეს ზედიზედ. ამ დროს საკვებ ულუფას ერთი მესამედით აძლირებენ. ოთხქლორიანი ნახშირბადი შეჰყავთ დოზით 2 მლ/კგ, ერთჯერად, ზონდის მეშვეობით ინდივიდუალურად, დილით, უზმოზე. არის მონაცემები დიქლოროფენის მაღალეფებისათვის შესახებ, რომელსაც იხვებს უნიშნავენ დოზით 0,5 გ/კგ ინდივიდუალურად, ერთჯერად, საკვებთან ერთად.

პროფილაქტიკა. ძირითადი ღონისძიება, რომელიც ხელს უშლის პოლიმორფოზის გავრცელებას, არის ის, რომ იხვის ჭუჭულები უნდა სარგებლობდნენ ისეთი წყალსატევებით, რომლებშიც არ არიან პოლიმორფუსების აკანტელებით დაინვაზიებული კიბორჩხალები. სადედე გუნდის პროფილაქტიკურ დეპელმინთიზაციას ატარებენ შემოდგომაზე, წყალსატევებიდან ფრინველის გამოყვანის შემდეგ.

ს ა რ ჩ ე ვ ი

ზოგადი ჰელმიტოლოგია	3
სავეტერინარო ჰელმინთოლოგის განსაზღვრა,	
შინაარსი და მოცულობა	3
პათოგენზი ჰელმინთოზების დროს	5
ჰელმინთოზების დიაგნოსტიკა	7
ჰელმინთოზების დიაგნოსტიკა ცხოველის სიცოცხლეში	7
ჰელმინთოზების დიაგნოსტიკა ცხოველის	
სიკვდილის შემდგომ	12
ცხოველთა ჰელმინთოზებთან ბრძოლის მირითადი	
პრინციპები	18
პერძო ჰელმიტოლოგია	24
ტრემატოზები და ტრემატოლოზები	24
ტრემატოლების ანატომია და ბიოლოგია	25
ფასციოლოზი	28
დიკროცელიოზი	40
მცონავთა პარამფისტომიდოზები	46
ხორცისმჭამელთა ოპისთორქოზი	51
ფრინველის პროსთორონიმოზი	55
ცესტოზები და ცესტოლოზები	60
ცესტოდების ანატომია და ბიოლოგია	60
ცესტოდების ლარვული ფორმებით გამოწვეული	
დაავადებები	64
ტენიიდოზები	64
ტენიიდოზები, რომელთა აღმძვრელების საბოლოო	
მასპინძელია ადამიანი	65
მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ცისტიცერკოზი	66
ღორის ცისტიცერკოზი	69
ტენიიდოზები, რომელთა აღმძვრელების საბოლოო	
მასპინძლები არიან ძაღლები და ხორცისმჭამელი	
მხეცები	75
ლარვული ექინოკოკოზი	75
ცერებრალური ცენუროზი	81

ტენუიკოლური (ნაზყელიანი) ცისტიცერკოზი	87
ტენიიდოზებთან ბრძოლის ღონისძიებები, რომელთა	
აღმძვრელების საბოლოო მასპინძლები არიან ძაღლი და	
გარეული მტაცებელი მუმუმწოვრები (ექინოკოკოზი,	
ცენუროზი, ტენუიკოლური ცისტიცერკოზი)	90
იმაგინალური სტადიის ცესტოდებით გამოწვეული	
ცესტოდოზები	93
მცონავთა ანოპლოცეფალატოზები	93
მონიეზიოზი	93
თიზანიეზიოზი	101
ავიტელინოზი	103
სტილეზიოზი	105
ცხენის ანოპლოცეფალიდოზები	106
ძაღლის ტენიიდოზები და სხვა ცესტოდოზები	109
ჰილატიგენური ტენიოზი, მულტიცეპტოზი და	
ექინოკოკოზი	109
დიპილიდიოზი	111
მეზოცესტოდოზი	113
დიფილობოთრიოზი	113
ფრინველის ცესტოდოზები	117
ბატის და იხვის დრეპანიდოტენიოზი	117
ქათმის დავენიოზი	120
რაიეტინოზი	122
თევზის ლიგულოზი	125
ნემატოზები და ნემატოლოზები	127
ნემატოდების ანატომია და ბიოლოგია	127
ოქსიურატოზები	130
კენტჩილიქიანთა ოქსიუროზი	130
ბოცვრის პასალუროზი	133
ქათმის ჰეტერაკიდოზი	135
ასკარიდატოზები	139
ღორის ასკარიდოზი	139
ცხენის პარასკარიდოზი	146
ხბოს ნეოასკარიდოზი	151

ტოქსოგაროზი და ტოქსასკარიდოზი	153
ქათმის ასკარიდიოზი	158
სტრონგილატოზები	161
საჭმლის მომნებელი ტრაქტის სტრონგილატოზები	161
მცოხნავთა ტრიქოსტრონგილიდოზები	162
ცხვრისა და თხის ჰემონქოზი	164
ცხვრის ნემატოდიროზი	167
მცოხნავთა ქაბერტიოზი	170
მცოხნავთა ბუნისტომოზი	171
მცოხნავთა ეზოფაგოსტომოზი	173
ხორცისმჭამელთა სტრონგილატოზები	177
უნციონარიოზი და ანკილოსტომოზი	177
სასუნთქი ორგანოების სტრონგილატოზები	180
ცხვრისა და თხის დიქტიოკაულოზი	180
მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის დიქტიოკაულოზი	187
მიულერიოზი	193
ღორის მეტასტრონგილოზი	197
ფრინველის სინგამოზი	203
სპირურატოზები	207
მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის თელაზიოზი	207
ტრიქოცეფალატოზები	211
ღორის ტრიქოცეფალოზი	211
ტრიქინელოზი	214
აპათოცეფალები და აპათოცეფალატოზები	218
აკანთოცეფალების ანატომია და ბიოლოგია	218
ღორის მაკრაკნოტორინქოზი	219
იხვის პოლიმორფოზი	223

ტექნიკური რედაქტორები:

მაია ღარიბაშვილი
ალექსანდრე კუზანაშვილი